დიომიდე თოლფუზარიძე

# საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები

გამოსაცემლად „ფარული“
ტფილისი 1927



დიომიდე თოფურიძე

# საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები

10812

გამომცემლობა „ფრომა“
ტფილისი 1926

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი. შეკვ. 39÷. მთავლიტი 1690. ტირ. 3.000.

# წინასიტყვაობა.

ჩვენში არ არსებობს წიგნი, რომელიც შეიცავდეს საქართველოს მეურნეობის ყველა დარგის შესახებ კრიტიკულად შესწავლილ მასალას. ჯერ ასეთი წიგნის დაწერის ცდასაც არ ქონია ადგილი. ასეთი წიგნისათვის საჭირო მასალებიც ცოტაა დაგროვილი და გამოქვეყნებული. საჭირო მასალების უდიდესი ნაწილი მოიპოვება, ასე ვსთქვათ, შავად სხვადასხვა დაწესებულებაში და ამა თუ იმ სპეციალისტის ხელში. ამ მასალების ძებნას, დაგროვებას და შესწავლას მე შევუდექი 1918 წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც მე რუსეთიდან დავბრუნდი სამშობლოში. შვიდი წლის განმავლობაში მრავალ წერილებში მე ვცდილობდი გამეშუქებია საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური კითხვები, მაგრამ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული წერილები იყო მხოლოდ წინასწარი მუშაობა, რომელმაც მე დამარწმუნა, რომ საჭიროა დაიწეროს ორი წიგნი: საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები და საქართველოს ფინანსიური შესაძლებლობა. პირველ წიგნს ქართველ მკითხველს ვაწვდი და მეორე წიგნი დასაბეჭდათ მზადდება.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ჯერ ძლიერ ღარიბი ვართ სწორი და საჭირო სტატისტიკური მასალებით.

იმავე დროს ერთ და იმავე საკითხის შესახებ სხვადასხვა ხშირათ ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობები აქვთ, როგორც ოფიციალურ დაწესებულებებს, ისე კერძო სპეციალისტებს. რომ მკითხველისათვის მეტი მასალა მიმეწოდებია ამა თუ იმ კითხვის შესახებ სწორი წარმოდგენის შესაქმნელად, მე ხშირად ერთ და იმავე კითხვის შესახებ წიგნში მომყავს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცნობები.

მე შევეცადე და კიდევაც დავაგროვე ყველა ის მასალა, რის მიღება შესაძლებელი იყო დაწესებულებებიდან, კერძო სპეციალისტებისაგან და ოფიციალური გამოცემებიდან. ეს შრომა ამ მასალების შესწავლის ნაყოფია.

მიზნად დავისახე, რომ წიგნში მოცემული ყოფილიყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის არა მარტო დღევანდელი მდგომარეობა, არამედ განვითარების ისტორია და მომავლის პერსპექტივებიც.

ამ წიგნს, როგორც ჩვენი ეკონომიკის საფუძვლების შესწავლის პირველ ცდას, უთუოდ მრავალი ნაკლი ექნება, მაგრამ ავტორი იმედოვნებს, რომ ცალკე დარგის სპეტიალისტები მიაწვდიან მას თავიანთ შენიშვნებს და შემდეგი გამოცემის დროს ყველა საფუძვლიანი და სწორი შენიშვნა მიღებულ იქნება მხედველობაში.

მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გულითადი მადლობა ვუძღვნა მიწად-მოქმ-დების კომისარიატის იმ თანამშრომლებს, რომელნიც მუდამ სიამოვნებით მაწვდიდენ საჭირო მასალებს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი სახელმწიფო საგეგმო კომისიის საბიუჯეტო-საფინანსო სექციის წევრს **აკაკი ბ. სიგუას,** რომელმაც გამოცემის ხელმძღვანელობა იკისრა და დაუფასებელი დახმარება გამიწია მრავალი მასალის გადასინჯვაში და ტექსტში საჭირო შესწორებების შეტანაში.

**ავტორი.**

P. S. წიგნი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურმა სამმართველომ გამოსცა „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე„ № 4-5, რომელშიაც ცოთავსებულია უკანასკნელი ცნობები სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების შესახებ. ამიტომ ეს ცნობები ჩემ მიერ გამოყენებულია მხოლოდ ჩემი წიგნის უკანასკნელ თავში, სადაც ლაპარაკია ნაციონალურ პროდუქციაზე.

გარდა ამისა სულ უკანასკნელ დღეებში გამოირკვა საბოლოოდ 1926 წ. 17—30 დეკემბრის აღწერის შედეგები ამ უკანასკნელი აღწერის ცნობებით საქართველოს მოსახლეობა უდრის 2.622.610 სულს. ამაში არ შედის ხევსურეთის, თუშეთის მთიანი ნაწილის როკის რაიონის მცხოვრებნი და შირაქის ველის მეცხვარენი. მათ შორის სოფლის მოსახლეობა უდრის 2.053.663 სულს, ხოლო ქალაქების და ქალაქის ტიპის ადგილების—568.947.

ავტ.

# შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე მოეპოვება, ის ეკონომიურად მაინც დაბალ საფეხურზე დგას.

საქართველოს ეკონომიურად ჩამოქვეითებას მრავალი ისტორიული მიზეზი აქვს და ამ უკანასკნელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი იმ ეკონომიურ პოლიტიკას ეჭირა, რომელსაც მეფის რუსეთი კავკასიის და კერძოთ საქართველოს მიმართ აწარმოებდა.

საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში და ამიერ-კავკასიაში მეფის რუსეთი ხელოვნურად აფერხებდა. საქართველოს ეკონომიური განვითარება საკუთარი დამოკიდებული იყო რუსეთის ბურჟუაზიისაგან. რუსეთის უსუსურ კაპიტალს მეფის მთავრობის მფარველობა ესაჭიროებოდა; ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში მრეწველობის განვითარება ველიკოროსიის მრეწველობის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა და იწვევდა შიშს, რომ თუ ამიერ-კავკასიაში მრეწველობა განვითარდებოდა, ცენტრალური რუსეთის მრეწველობა ბაზარს დაკარგავდა არამც თუ კავკასიაში, ის ამ შემთხვევაში გამოეთხოვებოდა ბაზრებს სამხრეთ-აზიაშიაც, რომელსაც კავკასიასთან კასპის და შავი ზღვები აერთებს.

მართლაც, ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში საფეიქრო, სამთომადნო მრეწველობის, რკინის საკეთებელი და მაშინების საშენებელი ქარხნების განვითარება რუსეთის მრეწველობას გამოაცლიდა არამც თუ კავკასიის და სამხრეთ აზიის ბაზრებს, არამედ, ასეთი ეკონომიური განვითარება ამიერ-კავკასიას გახდიდა თვით რუსეთის დიდ მეტოქედ შიგ რუსეთშივე.

საქართველოს და ამიერ-კავკასიას ბუნებრივი სიმდიდრე და გეოგრაფიული მდებარეობა ყოველნაირად ხელს უწყობდა იმას, რომ

კაცობრიობის კულტურის ამ ძველ ისტორიულ გზაზე შექმნილიყო მსოფლიო მნიშვნელობის მრეწველობა. საქართველო შავი ზღვით ადვილათ გაგზავნიდა თავის საქონელს რუსეთში და სხვა ქვეყნებში და აგრეთვე ყველა ქვეყნებიდან წყლით მიიღებდა მისთვის საჭირო საქონელს.

კასპის და შავ ზღვათა შორის ეკონომიური ცხოვრების განვითარება, როგორც ავღნიშნეთ, რუსეთის მრეწველობას უსპობდა ამიერ კავკასიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ნედლეულობის შეძენის საშუალებას.

უაღრესად კარგი გეოგრაფიული მდებარეობა საქართველოსი, დიდ-ძალი ნედლეული შიგ და მეზობელ ქვეყნებში, ადგილობრივადვე სხვადასხვა სახის სათბობი, აქვე სხვადასხვა მადნეული და მრავალი სხვა დასამუშავებელი მასალა ერთის მხრით, და მეორეს მხრით, უშუალო მეზობლობა სამხრეთ-აღმოსავლეთის არასამრეწველო ქვეყნებთან, საქართველოს და მთელ ამიერ-კავკასიის მომავალ მრეწველობას დიდ და ფართო პერსპექტივებს უშლის წინ. მეფის რუსეთის უძლეური კაპიტალი კარგად ხედავდა ჩვენი ქვეყნის ასეთ ბუნებრივ უპირატესობას რუსეთთან შედარებით, ითვალისწინებდა ამიერ-კავკასიის ბრწყინვალე, ძლევა-მოსილ ეკონომიურ მომავალს და ამიტომ ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას საქართველოში.

მიუხედავათ მეფის რუსეთის ჩვენს მიმართ ასეთი პოლიტიკის წარმოებისა, საქართველოში მაინც თვალსაჩინოდ განვითარდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგი.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა და წარმოებათა შორის პირველი ადგილი შავ ქვას და მის მრეწველობას უკავია. შავ ქვას მიყვება: ტყვარჩელის ქვა-ნახშირი, შემდეგ გელათის და ზოგიერთ სხვა ალაგების. ტყვარჩელის ქვანახშირი თითქმის შავი ზღვის ნაპირზეა და დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს, ის დიდი ხანია იპყრობს ევროპის კაპიტალისტების ყურადღებას, მაგრამ ჯერ საერთაშორისო მდგომარეობა ხელს უშლის მისი ექსპლოატაციის მოწყობას.

საქართველო მდიდარია სხვადასხვა მადნეულით.

საქართველოს წიაღთა გეოლოგიური გამოკვლევებით, რომლითაც სამწუხაროდ ჯერ ჩვენ ძლიერ ღარიბნი ვართ, სპილენძის ბუდობები საქართველოს დღევანდელ ფარგლებში მოიპოვება ტფილისის და რაჭის მაზრებში.

საქართველოს ოქრო ცნობილი იყო რამოდენიმე ათასი წლის წინ, რასაც ადასტურებს ძველი საბერძნეთის ლეგენდა კოლხეთის ოქროს ვერძის შესახებ. ჩვენ დროში ზერელე გამოკვლევებს ჰქონდა

ადგილი ინგურის და რიონის სათავეებში და ბორჩალოს მაზრაში, სადაც არის ოქროს ნიშნები. მაგრამ ოქროს ძველი საბადოები დავიწყებულია და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ არგონავტებს ახალი კოლხიდა არ ელის. ისტორიის ბორბალი დღეს სხვანაირად ტრიალებს და ეს ოქრო ჩვენვე უნდა ვიპოვოთ.

ტყვიის მადნები არის ახტალა და დამლუღის რაიონებში, აგრეთვე გვაქვს ცნობები, რომ ეს მინერალი ლეჩხუმის და რაჭის მაზრებშიც მოიპოება.

ივერია უძველეს დროში ცნობილი იყო აგრეთვე საკუთარი რკინით. რკინის მადანი არის ჩათახში, სადაც 1862 წელს ააშენეს სადნობი ქარხანა, მაგრამ მეფის რუსეთის მძიმე პირობებში ასეთი ქარხნები იშვიათად ხარობდენ, და ეს ქარხანაც მისმა პატრონმა დასტოვა. ჩათახის ქარხანა საბჭოთა ხელისუფლებამ აღადგინა და ჩათახის მიდამოებში ხდება ახალი გამოკვლევები, რომელიც კარგ პერსპექტივებს გვიხატავს.

რკინის მადანი არის აგრეთვე ზუგდიდის, შორაპნის და რაჭის მაზრებშიც.

უეჭველია, რომ საქართველოს წიაღში არის **ნავთი**. სპეციალისტების აზრით კახეთში და ბევრ სხვა ადგილში ნავთის ექსპლოატაციას შეიძლება სამრეწველო ხასიათი მიეცეს. შირაქში ნავთის ექსპლოატაციამ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები. ნავთი მოიპოება აგრეთვე სიღნაღის, გორის, რაჭის, შორაპნის და ოზურგეთის მაზრებში.

საქართველო მეტად მდიდარია დიდი ღირსების მინერალური წყლებით. საკმარისია დავასახელოთ აბასთუმანი, ბორჯომი, წყალტუბო, ახტალა, კობის ნარზანი, ტყვარჩელის გოგირდის წყაროები და სხვ.

შიგ ტფილისშიც არის გოგირდის წყაროები. შემდეგ მრავალი ათეული დიდი ღირსების წყლები იკარგება საქართველოს მთებში, სადაც ისინი რწყავენ კლდეებს, კორდებს და უერთდებიან ღელეებს.

ტყის მრეწველობა საქართველოში მსხვილი კაპიტალის მოლოდინშია. ის უცდის ისეთ პირობებს, როდესაც თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, შესაძლებელი გახდება საქართველოს ტყეების ექსპლოატაციის რაციონალურად მოწყობა. ტყის მრეწველობას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ჩვენი ქვეყნის მეურნეობაში, ვინაიდან ჩვენ გვაქვს მრავალი სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის ხე, რომელიც მოიპოვება თბილ, სუბტროპიკულ ქვეყნებში და აგრეთვე ალპებში.

ჩვენი ქვეყნის ჰავის და ნიადაგის პირობები ხელს უწყობს ისეთი ხეების და სამკურნალო მცენარეების კულტურას, რომელთა სამშობლოა ტროპიკული მხარეები. ასეთია ბელადონა, ევკალიპტის ხე, ქაფურის ხე და სხვა მრავალი.

საექიმო მცენარეებით საქართველო მეტად მდიდარია.

ჩაი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი და სხვა ძვირფასი კულტურის მრავალი წარმომადგენელი, საუკეთესო ჯიშის ხილეული უხვად მოდის საქართველოს ნიადაგზე და შედის მის მრავალგვარ სიმდიდრეთა ციკლში.

ამ სიმდიდრეთა შორის ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ღვინო შორეულ ქვეყნებშიაც ცნობილია, და ზოგიერთი ჩვენი ღვინო თავის ღირსებით საფრანგეთის საუკეთესო ღვინოებს უდრის. მაგალითად ჩვენი თელიანი ძალიან გავს და არაფრით არ ჩამოუვარდება საფრანგეთის მუტონროტშილდს, რომლის ერთი ბოთლი რუსეთში ომამდე იყიდებოდა 10—15 მანეთად და მეტადაც.

საქართველოში მევენახეობაში ჩაბმულია რამდენიმე ას ათ. მუშა ხელი და სოფლის მეურნეობის ეს დარგი მრავალ ათეულ ათას ოჯახს ასაზრდოებს. მეურნეობის ამ დარგს ჩვენ პირობებში ბრწყინვალე მომავალი აქვს.

ჩვენში ძალიან გავრცელებულია მეთამბაქოობა, რომელიც მაღალი ღირსების დიდ-ძალ თამბაქოს იძლევა. ჩვენს თამბაქოს უკვე მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და თამბაქოს ექსპორტს ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსში დიდი როლი შეუძლია ითამაშოს. მისი ეკონომიური მნიშვნელობა შავი—ქვის მნიშვნელობაზე ნაკლები არ იქნება.

საქართველოს ჰავა და თუთის ხეების სიმრავლე საუცხოვო პირობებს ჰქმნის მეაბრეშუმეობის განსავითარებლად და სოფლის მეურნეობის ამ დარგს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს. დიდი ხანია, რაც პარკი არის საექსპორტო საქონელი, რომელზედაც ევროპაში მტკიცე მოთხოვნილებაა.

საქართველოში არის მრავალი სხვადასხვა მეორე ხარისხოვანი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი მადნეული და ქვები, რომელთა გამოყენებაზე უკვე ზრუნავს ხელისუფლება. ბევრ ადგილას მოიპოვება პორტლანდ ცემენტის დასამზადებლად საჭირო მასალა. აშკარაა, რომ აღმშენებლობის გაჩაღება—განვითარება მომავალში აუარებელ საღმშენებლო მასალას მოითხოვს, მათ შორის მთავარი მასალა იქნება ცემენტი. საქართველოში არის ისეთი კუთხეები, სადაც უხვად არის ყოველგვარი მასალა პორტლანდ—ცემენტის ქარხნის საუკეთესო

პირობებში მოსაწყობად: გაჯი, ქვა-ნახშირი, წყლის ენერგია, ხე-ტყე და ზღვის სიახლოვე.

სანამ დავამთავრებდეთ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა მოკლე მიმოხილვას ორიოდე სიტყვით მოვიხსენიებთ სადეკორაციო ქვებს, რომლებიც ბლომად მოიპოვება ჩვენს მთაგრეხილებში სვანეთში, ყაზბეგის მიდამოებში და სხვაგანაც. ამ ქვების უმრავლესობა თუმცა კრისტალებს წარმოადგენს, მაინც არ შეიძლება მათ ვუწოდოთ ძვირფასი ქვები ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით; მაგრამ მათი სილამაზე და ის გარემოება, რომ მათი შეკრება ადვილია, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მომავალში საქართველოს ლამაზ ქვებსაც ბაზარი ექნება.

საქართველოს მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხვარეობას და ნედლი მატყლის ექსპორტს.

მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე და მომავალშიც ექნება ეგრეთ წოდებულ შვეიცარიის ყველის დამზადებას ჩვენში.

ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების პერსპექტიულ გეგმაში ფრიად საყურადღებო ადგილი უნდა დაიკავოს სახლების აშენების საკითხმა. საქართველოს ყველა ქალაქები და განსაკუთრებით ტფილისი ბინის დიდ კრიზისს განიცდის, ბინები მოსახლეობას არ ჰყოფნის. მრავალი შენობა დაინგრა და ბევრიც ინგრევა. თანამედროვე სანიტარულ-კულტურულ მოთხოვნილებას ტფილისში იშვიათი სახლი აკმაყოფილებს. ეკონომიური თვალსაზრისითაც არაა სახლები დამაკმაყოფილებლად აშენებული. ცხოვრების თანამედროვე პირობები სხვანაირ ტიპის სახლებს მოითხოვს.

სახლების აშენება, განსაკუთრებით ტფილისში, და თვით ქალაქის დაგეგმვა, მისი კულტურულად მოწყობა საქართველოსათვის ერთ-ერთ უდიდესი ეკონომიური პრობლემათაგანია, რომელსაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუხვევთ და ამავე დროს ეს ისეთი საკითხია, რომელიც დიდ კაპიტალს დააინტერესებს და ადვილად მოიზიდავს. დიდი კაპიტალის ამ საქმეში ჩაბმა ფრიად გააიაფებს სახლების აშენებას, რადგან ყველაფერი გაკეთდება მასსიურად. ახალი და კარგი ბინა ეღირება იმდენი, (თუ ბინაში დღეს ნორმალურ ფასს მივცემთ), რამდენიც დღეს ღირს ცუდი, მოუწყობელი ბინა—და ამ ნაირად მოგებული დარჩება, როგორც დამქირავებელი, ისე სახლის პატრონიც.

სახლების დიდი მასშტაბით აშენება (რასაკვირველია დიდი საქციო საზოგადოების საშუალებით) გამოიწვევს საქართველოში მრავალ სხვადასხვა ქარხნის აშენებას, როგორიცაა პორტლანდ-ცემენტის, ტყის საექსპლოატაციო, ავეჯეულობის და მრავალი სხვა. განსაკუთ-

რებით განვითარდება ტყის მრეწველობა, რომელსაც შიგ საქართველოშივე ექნება დიდი ბაზარი.

ასეთი აღმშენებლობა იქნება დიდი იმპულსი, რომელიც ეკონომიურად მთელ საქართველოს ააღორძინებს, მაგრამ ამისათვის საქართველოს დასჭირდება უცხო კაპიტალის დახმარებით დიდი საალმშენებლო სააქციო საზოგადოების დაარსება, რაც შესაფერ პირობებში სრულიად მოსახერხებელი საქმეა.

ასეთია ჩვენი სახალხო ძეურნეობის და ეკონომიური პრობლემების უმთავრესი კითხვები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველომ მომავალში უნდა შექმნას დიდი ნავთსადგური. ეს საკითხი უკვე წამოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და მის განხორციელებას ზედმიწევნით უწყობს ხელს ბუნებრივი პირობები ფოთში და სხვაგანაც. არის ისეთი დიდი პრობლემა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსათვის და რომელიც მსხვილი კაპიტალის დიდ ყურადღებას იპყრობს. ეს არის ახალი გზის გაყვანა, რომელმაც უნდა გადალახოს კავკასიონის მთავარი ქედი და ჩრდილო ევროპის, ციმბირის და შუა აზიის საქონელს გაუხსნას უმოკლესი გზა შავი ზღვის ნაპირისაკენ. ეს გზა ფოთს ქუთაისით და რაჭით შეაერთებს ჩრდილო-კავკასიასთან. ეს გზა საქართველოს მოუტანს უდიდეს სარგებლობას არა მარტო, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სატრანზიტო გზა; ის გააცოცხლებს და გაამდიდრებს ბუნებით მდიდარს, მაგრამ მივარდნილ საქართველოს ნაწილებს.

ამ გზის გაყვანა მსოფლიო ვაჭრობისათვის იმდენად გამოსადეგია, რომ, როგორც კი შეიქმნება შესაფერი პირობები, ეს გზა იქნება გაკეთებული.

საქართველოში ყოველგვარი ეკონომიური პრობლემების განხორციელებას უაღრესად ხელს უწყობს ის, რომ საქართველო განსაკუთრებით მდიდარია ჰიდრავლიური ძალებით. ამ მხრივ საქართველოს მსოფლიოში მეშვიდე ადგილი უკავია. არც ისე ძველი ცნობებით სხვადასხვა სახელმწიფოებში ჰიდრავლიური ძალა უდრიდა

| | **არის ბუნებრივად.** | | **გამოუყენებელია.** | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | % |
| ამერ. შეერთებ. შტატები . | 28 | მილ. ცხ. ძალა | 7 | —*) | 25 |
| კანადა . . . . . | 27 | „ „ | 3,4 | —*) | 12 |
| ნორვეგია . . . . . | 15 | „ „ | 1,2 | —*) | 8 |
| საფრანგეთი . . . . . | 9 | „ „ | 1,6 | —*) | 17 |
| საქართველო . . . . . | 5,7 | „ „ | 0,023 | —*) | 0,3 |

*) ეს ცნობები უკვე მოძველებულია. ამ ქვეყნებში დღეს გაცილებით მეტი წყლის ენერგია არის გამოყენებული.

ასეთია საქართველოს სიმდიდრისა და ეკონომიური პრობლემების კალეიდოსკოპიური სურათი. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს, მის ეკონომიურ პერსპექტივებს ფაქტიური მასალების საშუალებით ჩვენ შემდეგ გავეცნობით და მაშინ დავრწმუნდებით, რომ თუ საქართველოს ეკონომიურად შევისწავლით და მისი უხვი ბუნების სიმდიდრეს ჩვენ გამოვიყენებთ, საქართველოს ეკონომიური, ფინანსიური და კულტურული მომავალი სრულიად საიმედოა; მეტიც: მისი მომავალი ბრწყინვალე იქნება და საქართველო თავის კულტურით და დიდი მრეწველობით მსოფლიოში ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე იქნება და შავი ზღვის ძველ ერებთან ერთად დაწინაურებულ ქვეყნების დიდ ოჯახში საქართველოც საუკეთესო წევრად გახდება. საქართველოს ეს დიადი ხანა იმდენათ უფრო მალე დადგება, რამდენათაც ქართველი ერი მეტ შეგნებას და შრომის უნარს გამოიჩენს. ხალხმა უნდა მტკიცედ შეიგნოს, რომ ჩვენი ბედის მჭედელი ჩვენ ვართ; დიდი ბუნება ჩვენ გვეხმარება, მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენ გვქონდეს მისი გამოყენების უნარი. ეს უნარი ხალხში უნდა განვითარდეს და მაშინ საქართველოც აყვავდება.

---

# საქართველოს საზღვრები, ტერიტორია, მოსახლეობა, ნიადაგი, ჰავა და ლანდშაფტები.

## ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი.

საქართველოს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება: დაღესტანი 144 კილ. მანძილზე, აზერბეიჯანი, რომელიც საქართველოს ესაზღვრება ნაწილობრივ სამხრეთის მხრივაც 326 კილ., ჩრდილოეთიდან საქართველოს საზღვრავს ჩერგეზ-ყარაჩელების ოლქი 244 კილ., შემდეგ ყაბარდ-ბალკართა ოლქი 796 კილ., ჩრდილო ოსეთი 41 კილ., სამხრეთიდან საქართველოს საზღვრავს სომხეთი 142 კილ. და ოსმალეთი 125 კილ., დასავლეთიდან საქართველოს საზღვრავს შავი-ზღვა 325 კილომეტრის მანძილზე.

საქართველო იყოფა სამ ნაწილად: დასავლეთი საქართველო (დასავლეთ საქართველოში შედის საბჭოთა აფხაზეთიც), აღმოსავლეთი საქართველო (შედის საბჭოთა სამხრეთ ოსეთიც) და სამხრეთი საქართველო—საბჭოთა აჭარისტანი.

დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს ერთმანეთისაგან სურამის და ლიხის მთები ჰყოფს, ხოლო დასავლეთ საქართველოს სამხრეთ საქართველოსაგან ჰყოფს აჭარის მთები.

სრულიად საქართველოში შედის: საქართველოს რესპუბლიკა უავტონომიოთ, მოკავშ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

საქართველო უავტონომიებოდ იყოფა 16 მაზრად, ეს მაზრებია: ტფილისის, დუშეთის, გორის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის, ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, რაჭის, ლეჩხუმის და ზემო-სვანეთის. ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულს წარმოადგენს ქ. ფოთი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა შემდეგ მაზრებად იყოფა: გუმისტის, სამურზაყანოს, კოდორის, გუდაუთის და გაგრის.

აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედის მაზრები: ხულოს, ჭოროხის, ქობულეთის, აჭარის—წყლის და ქედის.

## ტ ე რ ი ტ ო რ ი ა.

თანამედროვე სრულიად საქართველოს ტერიტორია უდრის—71.619,4 კვ. კილომეტრს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში საქართველოს ტერიტორია 20—30%-ით მეტი უნდა იყოს, რადგანაც საქართველოს მეტი წილი მთა-გორიანი ადგილია; მაგრამ საქართველოს ტერიტორია სისწორით არ არის გაზომილი.

ტერიტორია საქართველოს ჯსვადასხვა ნაწილებს შორს შემდეგნაირად ნაწილდება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო | 35.380,2 | კილ. ან | 30,155,82 | კვ. ვ. | 50,3% |
| დასავლეთი „ | 20.823,3 | „ | 18,111,61 | „ | 29.1 „ |
| აფხაზეთის ს. ს. რ. | 8.254,4 | „ | 7,364,66 | „ | 11.5 „ |
| აჭარისტანის ს. ს. რ. | 2.846,0 | „ | 2.485,31 | „ | 3,9 „ |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 4.315,5 | „ | 3,786.80 | „ | 5,2 „ |
| სულ: | 71.619,4 | „ | 61,904,20 | კვ. ვ. | 100% |

ამ რიგად, სრ. საქ. რესპუბლიკის ნახევარი მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე (50,3%), ტერიტორიის სიდიდის მხრივ მეორე ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოს (29,1%), შემდეგ მოდის აფხაზეთის რესპუბლიკა (11,5%), მეოთხე ადგილი უჭირავს სამხრეთ ოსეთის ოლქს, ხოლო უკანასკნელი—აჭარისტანის რესპუბლიკას.

ცალკე მაზრებს შორის ტერიტორია შემდეგნაირად ნაწილდება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალქალაქის მაზრა— | 2.640,83 | კვ. კილ. ან | 2.355,67 | კვ. ვერსტ | |
| ახალციხის „ | 2.594,21 | „ | 2.308,84 | „ | |
| ბორჩალოს „ | 3.032,35 | „ | 2.698,78 | „ | |
| გორის „ | 4.561,84 | „ | 4.060,02 | „ | |
| დუშეთის „ | 4.315,81 | „ | 3.841,06 | „ | |
| ტფილისის „ | 6.239 01 | „ | 5.552,70 | „ | |
| თელავის „ | 4.393,56 | „ | 3.910,25 | „ | |
| სიღნაღის „ | 6.099,46 | „ | 5.428,50 | „ | |
| ზუგდიდის „ | 2.541,60 | „ | 2.262,02 | „ | |
| ლეჩხუმის „ | 2.202,43 | „ | 1.960,16 | „ | |
| ოზურგეთის „ | 2.073,29 | „ | 1.845,22 | „ | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაჭის | მაზრა-- | 2.350,71 | კვ. კილ. | ან | 2.092,12 | კვ. ვერსი |
| სენაკის | „ | 1.928,49 | „ | | 1.716,35 | „ |
| ქუთაისის | „ | 3.420,40 | „ | | 3.044,14 | „ |
| შორაპნის | „ | 2.707,27 | „ | | 2.409,46 | „ |
| ზემო-სვანეთის | „ | 3.012,96 | „ | | 2.681,52 | „ |
| ჭ. ფოთი | „ | 113,06 | „ | | 100,62 | „ |

ამ ციფრებიდან ცხადია, რომ ტერიტორიის სიდიდის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ტფილისის მაზრას, შემდეგ მოდის სიღნაღის, გორის, თელავის და სხვ. მაზრები. ყველაზე მცირე ტერიტორია აქვს სენაკის და ოზურგეთის მაზრებს.

თუ საქართველოს ტერიტორიას დაუპირდაპირებთ სხვა პატარა ქვეყნების ტერიტორიას, შემდეგ სურათს მივიღებთ:

| | | |
|---|---|---|
| საქართველო . . . . . | 71,6 | ათ. კილ. |
| აზერბაიჯანი . . . . . | 84,9 | „ |
| სომხეთი . . . . . | 35,9 | „ |
| რუმინია . . . . . | 296 | „ |
| ბელგია . . . . . | 30 | „ |
| ჰოლანდია . . . . . | 34 | „ |
| შვეცია . . . . . | 448 | „ |
| საბერძნეთი . . . . . | 127 | „ |
| ბულგარეთი . . . . . | 103 | „ |
| შვეიცარია . . . . . | 41 | „ |
| დანია . . . . . | 44 | „ |
| ფინეთი . . . . . | 388 | „ |
| ნორვეგია . . . . . | 324 | „ |

საქართველოს თავისი ტერიტორიით მოკავშირე მეზობელ რესპუბლიკებიდან მხოლოდ სომხეთზე დიდია, ხოლო ევროპის პატარა სახელმწიფოებიდან საქართველო უფრო დიდია, ვიდრე ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია და დანია.

## ნიადაგი*), ჰავა და ლანდშაფტები.

საქართველო ბუნებრივ პირობათა მხრივ მეტად მრავალფეროვანია და ძალიან რთულად შეხამებული, რასაც შედეგად მოსდევს მისი ნიადაგის დიდი სიჭრელე.

*) საქართველოს ნიადაგის სქემა ამოღებული გვაქს ს. ა. ზახაროვის შრომიდან „О главнейших итогах и основных проблемах изучения почв Грузии". Известия Тиф. Полит. Института, вып. 1, 1924 г.

საქართველოს რელიეფში ერთმანეთს სცვლიან ისეთი გოლიათები, როგორნიც არიან ყაზბეგი (მყინვარი), კაშტანდაუ, დიხტაუ და სხვები და ისეთი დაბლობები, ველები და ვაკეები, როგორსაც წარმოადგენენ კოლხიდის, რიონის და მტკვრის ვაკე-დაბლობები.

საქართველოში გვხვდება როგორც ბათომის მიდამოების ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა, ისე ყარაიის ველის სიმშრალე, როგორც კოლხიდის სითბო, ისე მუდამ თოვლიანი კავკასიონის მთავარი ქედის სუსხი.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე გაბატონებულია ნოტიო სუბტროპიკული ჰავა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს—ჰავა სიმინდისა და მშრალი კონტინენტალური. საშუალო მთების ზონა ხასიათდება ზომიერათ ცივი ჰავით.

ს. ა. ზახაროვი საქართველოს ნიადაგის შემდეგ სქემას იძლევა.

I. **დასავლეთი საქართველო**—კოლხიდის რაიონი.

1. დაბლობის ჭაობიან-ქვენაროვანი ზონა.
2. წითელ-მიწოვან ქვენაროვანი ზონა.
3. ტყიან ნიადაგთა ზონა.

II. **აღმოსავლეთი საქართველო.**

4. შავმიწოვან-წაბლისფეროვანი ზონა.
5. ტყიან ნიადაგთა ზონა.

III. **სამხრეთი საქართველო.**

6. მთიან-შავმიწოვანი ზონა.

IV. **მაღალ-მთიანი რაიონი.**

7. მთიან-კორდოვანი ზონა მთავარი ქედისა.
8. „ „ აჭარა-იმერეთის მთებისა.
„ „ „ თრიალეთის ქედისა და მცირე კავკასიონისა.

I. **დასავლეთ საქართველოს ნიადაგი.** საქართველოს ნიადაგის ცალკე ოლქი და ზონები შემდეგნაირად ხასიათდება:

კოლხეთის რაიონი შეიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას სურამის ქედის დასავლეთით, გარდა მისი მაღალი უტყეო ნაწილისა. ჩრდილოეთ-სამხრეთით მას საზღვრავს კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთ-აღმოსავლეთით—აჭარა-იმერეთის ქედი, დასავლეთით შავიზღვა. მას ახასიათებს: 1) ვაკოვანი რელიეფი დაბლობ ნაწილში და ჩამონაყარი რელიეფი საშუალო მთების ზონაში გარდი-გარდმომდებარე ხეობებით; 2) სუბტროპიკული ნოტიო ჰავა, რომლის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 12—15°-ს ცელსიუსით, ამპლიტუდა

18-დან 20-მდე, ნალექების რაოდენობა 2600—1200 და ნაკლებ მილიმეტრს; ნალექების მაქსიმუმი მოდის შემოდგომაზე; 3) პონტიის ტიპის ხის მცენარეულის უხვი განვითარება; 4) მთის ჯიშების აშკარად გამოსახული ენერგიული ქიმიური გამოფიტვა; 5) ნიადაგ წარმომშობი დედა ჯიშები, რომლებიც წარმოადგენენ: დაბლობ ნაწილში წვრილ-მიწოვან, ზოგან კლდოვან ალუვიალურ და ძველ ალუვიალურ დანაგროვებს, ხოლო მაღლობ ადგილებში ძველი წარმოშობის ქვა-კირის, სილთიხის, ქვიშიან ფიქალის და სილაქვის გამოფიტვით წარმომდგარ ქვიშიან კანს.

კოლხიდის სანიადაგო რაიონი იყოფა შემდეგ ზონებად.

1. კოლხიდის დაბლობის ჭაობიან—ქვენაცროვანი ზონა; ეს ზონა შეიცავს რიონის დაბლობს და სამეგრელოს ვაკეს; ორივეს ერთად აქვს სხვადასხვა გვერდიანი სამკუთხედის ფორმა. რომლის თავიც მდებარეობს აღმოსავლეთით, რიონის სადგურის მახლობლად. მას ახასიათებს ნოტიო სუბტროპიკული ჰავა (1300 – 1700 მილიმ. ნალექი), შავი თხმელას (ლიანებით) და საველე ჭაობის სიუხვე ზღვის და დიდ მდინარეთა კალ პოტის მახლობლად—დასავლეთის დაბლობ ნაწილში და ფოთლოვანი ლიანისებური ტყეები (მუხა, ძელქვა და სხვ.) მაღლობ ნაწილში; თანამედროვე და, ნაწილობრივ, ძველი ალუვიალური დანაგროვები (ქვე-ნიადაგის სახით) და იდეალური ვაკე რელიეფი.

2. წითელ-მიწა ქვენაცროვანი ზონა; ამ ზონას უჭირავს მთების დაქანებანი და საშუალო მთების ძირითა ნაწილები, იგი ზოლად არტყია პირველ რაიონს. ამ ზოლის სიგანე 15-დან 40 ვერსამდეა და მდებარეობს აჭარის, გურიის, სამეგრელოს და ქვემო იმერეთის ფარგლებში. მას ახასიათებს: 1) მთა-გორიანი რელიეფის დარგვალებული მოხაზულობა—დასავლეთ ნაწილში და კარგად გამოსახული ძველი ტერასები—აღმოსავლეთ ნაწილში; 2) ნოტიო სუბტროპიკული ჰავა—დასავლეთით და ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული ჰავა—აღმოსავლეთით (ნალექი 2600-დან—1200 მილიმეტრამდე; 3) წიფელის, მუხის, ძელქვის და სხვა ფოთლოვანი ჯიშების ძველი მდიდარი ნარგავი ლიანებით და მუდამ მწვანე ბუჩქნარით, რომელიც ეხლა ძალზე შეთხელებულია; 4) დედა-ჯიშები—ამოხეთქილი ქანების გამოფიტვით წარმომდგარი კანი, ადგილ-ადგილ ქვა-კირის და ტბა-მდინარის ძველებური დანადები. ამ ზონაში ტიპიურ ნიადაგათ ჩაითვლება: 1) სხვადასხვა წითელ-მიწოვანი ნიადაგი, 2) ქვენაცროვანი, თიხოვანი და თიხანარევი ნიადაგები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია გადამავალი ტიპის ქვენაცროვან—წითელმიწოვანი ნიადაგი; 3) ნოშოდამპალა—ნახშირადი ნიადაგი. წითელმიწოვან ნია-

დაგს, რომელიც დასავლეთ ნაწილში (ბათუმის სანაპირო) ერთნაირად დევს, აღმოსავლეთისკენ ენაცვლება ქვენაცროვანი ნიადაგი, შემდეგ კი ეს უკანასკნელი მთლად უთმობს მას ადგილს. ამასთან წითელ მიწას უჭირავს უფრო მაღლობი და დაქანებული ადგილები ხოლო ქვე ნაცროვან ნიადაგს—სწორი ადგილები და დაწეული რელიეფი მოჭარბებული სინესტით.

3. დასავლეთ საქართველოს ტყიან ნიადაგთა ზონა. მას უჭირავს ფართო ზოლი წინა ზონას ზემოთ, და აღწევს უტყეო რაიონს (საშუალოდ 2000-დან—7000-დე ფუტის სიმაღლეზე). ამ ზონას ახასიათებს: 1) ძალზე დანაწევრებული რელიეფი ღრმა ხეობებით, მდინარეთა ველებით და ციცაბო კლდოვანი ფერდობებით, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ნაწილში, მაშინ, როდესაც სამხრეთ-ნაწილში ახალციხე-იმერეთის და აჭარის ქედის კალთები წარმოადგენენ უფრო რბილი მოხაზულობის რელიეფს, დაქანებული ფერდობებით და ბრტყელი თხემებით; 2) ზომიერად ცივი და ნოტიო ჰავა, საშუალო წლიური ტემპერატურით—11°-დან 5°-დე; ყველაზე ცივი თვის ტემპერატურა ადის 2°-დან 6°-მდე, ყველაზე თბილი თვის 22°-ზე ნაკლებია; წლიური ნალექის რაოდენობა აღწევს 1200-ს და მეტ მილიმეტრს; 3) ნაირ-ნაირი მთის ჯიშები: თიხოვანი და ხოჭოიანი ქვა-კირი სარმატის იარუსისა; თიხოვანი სილაქვა, სილთიხა, ფიქალოვანი თიხა და თიხოვანი ფიქალი ეოცეონის იარუსისა; შრეებიანი მაგარი ქვაკირი, სილთიხა და სილაქვა ცარცის სისტემისა; თიხოვანი ფიქალი, სილა-ქვა და კონგლომერატები იურის სისტემისა; გრანიტი, მელაფირი და დიაბაზი: 4) მუხის, თეთრი რცხილის და იფნის ტყეები—3000 ფუტის სიმაღლემდე, წიფელის ტყეები—5000 ფუტის სიმაღლემდე და წიწვიანის (ნაძვის და სოჭის) ტყეები—5000 დან—7000-მდე ფუტის სიმაღლეზე. ყველა ამ სარტყელს თავისებური წვრილი ტყე ახასიათებს.

ყველაზე უფრო გავრცელებული ამ ზონაში ტყის ნიადაგებია, რომლებიც განირჩევიან ფერით, სიმძლავრით და მექანიკური შემადგენლობით, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი ჩაწოლის პირობები და პირველყოფილი მთის ჯიშები.

II. **აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგი.** აღნიშნულ რაიონს უჭირავს საქართველოს ტერიტორია სურამის ქედის აღმოსავლეთით, გარდა მისი მაღალი უტყეო ზოლისა და ახალქალაქის მაღლობისა. ივი შეიცავს ვაკეების, ველების, მთის ფერდობებისა და საშუალო ტყიანი მთების რაიონს; კახეთის ვაკეს, გორის ვაკეს, ზეგნებს მტკვრისა და ივრის, ივრისა და ალაზნის შუა, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებს და კალთებს, თრიალეთის მთების ჩრდი-

ლოეთ და სომხეთის მთების სამხრეთ ფერდობებს, საერთოდ მტკვრის შუა დენის თითქმის მთელ აუზს.

აღნიშნულ ნაწილში გავრცელებულია ჰავის სამი ტიპი: 1) მშრალი კონტინენტალური, 2) სიმიდის ჰავა, 3) ზომიერად ცივი, რომელსაც ამ ნაწილის უდიდესი სივრცე უჭირავს. საერთოდ, დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, აქ ჰავა უფრო მშრალი, ცხელი და მძაფრია.

მცენარეულის ფორმაციებიდან უფრო გავრცელებულად უნდა ჩაითვალოს ტყის და ველისა. შედარებით ნაკლები სივრცე უჭირავს საკორდე ფორმაციებს.

ნიადაგი საკმაოდ მრავალგვარია. გვხვდება აქ საქართველოს ნიადაგის ყველა ტიპი, გარდა წითელმიწოვანის და მთაკორდოვანისა.

4. შავმიწა-წაბლისფერი ზონა აღმოსავლეთ საქართველოსი. ამ ზონას უჭირავს საქართველოს აღმოსავლეთი, უფრო დაბალი ნაწილი, 2000 ფუტის სიმაღლეზე. იგი იწყება ტფილისის აღმოსავლეთით, მისდევს მტკვრის ველს და შეიცავს მტკვრის და ივრის, ივრის და ალაზნის წყალგამყოფ პლატოებს, ამ მდინარეების ველების საშუალო და დაბალ ნაწილებს.

ჰავა მშრალი კონტინენტალურია და წარმოადგენს არალო-კასპიის ტიპის უფრო თბილ ნაირ სახეობას. საშუალო წლიური ტემპერატურა 12-13°-ს უდრის. ზაფხული ცხელი იცის, ზამთარი თბილი. ყველაზე უფრო ცივი თვის ტემპერატურა 0°-ია. თოვლს იშვიათად სდებს. ნალექს წელიწადში იძლევა 400-500 მილ. ნალექის მაქსიმუმი მოდის გვიან გაზაფხულზე და მეორეთ—ადრეულ შემოდგომაზე.

ნიადაგის ძირითად ტონს წარმოადგენენ წაბლისფერი და ნაწილობრივ შავმიწოვანი ტიპის ნიადაგები. ამას გარდა გვხდება მლაშე ალუვიალური ნიადაგი და შედარებით ნაკლებათ განუვითარებელი ნიადაგი რელიეფის გამობურთულ ელემენტებში.

5. ტყის ნიადაგთა ზონა აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ზონას უჭირავს ფართო ზოლი შავმიწოვან წაბლისფერი ზონის და მაღალმთიანი რაიონის შორის 2000-7000 ფუტის სიმაღლეზე. მას უკავია აღმოსავლეთ საქართველოს მაღლობის დიდი ნაწილი. რელიეფის აგებულობით იგი მრავალფეროვანია. მის უფრო მეტად დამახასიათებელ ტიპად უნდა ჩაითვალოს საშუალო მთების რელიეფის ტიპი ძალზე დანაწევრებული ველებით და ხეობებით, რომელთაც დაქანებული და ციცაბო გვერდები აქვთ. მათთან ერთად აღნიშნულ ზონაში შეჭრილია მთის დაქანებანი, ზედაპირის რბილი მოხაზულობით და ვაკეებიც-კი, როგორც, მაგალითად, გორის და მუხრანისა და ალაზნის ვაკის საგრძნობი ნაწილი ზემო მხარეში.

აღნიშნული ზონის ჰავა ზომიერად თბილია დაბლობებში და ზომიერად ცივი მაღლობებში. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 12—6°-ს. ნალექი იძლევა 500-1200 მილიმეტრს და მეტს. მისი მაქსიმუმი მოდის მაისზე და შემოდგომის დამდეგზე. დაბლობებში ზაფხული ცხელი იცის, ზამთარი რბილი, მშრალი, მზიანი, ზაფხულის და ზამთრის დამლევი—გვალვიანი.

მცენარეული წარმოდგენილია სხვადასხვა ტყის ნარგავით. დასავლეთ ნაწილში იგი კოლხეთისას წააგავს. ამ ნაწილში არის ნაძვი, სოჭი, ფიჭვი, რომლებიც აღმოსავლეთით ჰქრებიან და ფოთლოვანთ უთმობენ ადგილს. ამ უკანასკნელთა გავრცელებას ვერტიკალური ზონალობა ახასიათებს.

III. **სამხრეთ საქართველოს ნიადაგი.** აღნიშნული რაიონი შეიცავს საქართველოს შედარებით მცირე სამხრეთ ნაწილს, რომელიც ფიზიკო-გეოგრაფიულის მხრით წარმოადგენს მცირე კავკასიის მაღლობის ჩრდილოეთ ნაწილს. მას ახასიათებს განვითარება ზეგნებისა, რომლებიც ზოგან გაყოფილნი არიან მდინარის ღრმა კანიონებით (ხეობებით), ცალკე ვულკანიური სიმაღლეები, როგორიც არის, მაგალითად, აბული და ვულკანური წარმოშობის ქედები.

ჰავა კონტინენტალურია. ზაფხული ცხელი იცის, ზამთარი სუსხიანი. თბილი პერიოდის საშუალო ტემპერატურა უდრის 14, 1°-ს, ცივი პერიოდისა—3,2°-ს; ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა 17,2°-ს უდრის, ხოლო ცივი თვისა—8°-ს (ახალქალაქი). ზამთრობით ტემპერატურა ეშვება—30°-მდე. ნალექს იძლევა 500-7000 მილ. ზამთარი თოვლიანია. საერთოდ აქაური ზამთარი წააგავს სამხრეთ-რუსეთის ველის ჰავას. მცენარეული მთა-ველის და მთა-კორდის ფორმაციისა.

ნიადაგის ძირითად ფონს წარმოადგენს სხვადასხვა შავ-მიწოვანი და მთა-კორდოვანი ნიადაგი.

IV. **საქართველოს მაღალ-მთიანი რაიონი.** მაღალ-მთიანი რაიონი შეიცავს საქართველოს უტყეო ტერიტორიას, იმას, რომელიც 6000-7000 ფუტზე მაღლა მდებარეობს. თავისი ბუნებრივი პირობებით ეს რაიონი წარმოადგენს „განსაკუთრებულ ქვეყანას“.

რელიეფის ხასიათით ამ რაიონში შეიძლება გავარჩიოთ: 1) კლდიანი მთების ლანდშაფტი, სადაც სჭარბობს მექანიკური გამოფიტვა და ენერგიული ეროზია; ამის წყალობით კლდეებს წაწვეტებული ფორმა ეძლევათ და ბალახი ნაკლებად იკიდებს ფეხს; ბლომად არის ჩამონაყარი და ჩამონაცვივნი მიწა; 2) კორდიან-ტყიანი მთების ლანდშაფტი მრავალი ღელეებით; აქ სჭარბობს ქიმიური გამოფიტვა. ეს გადამავალი ტიპის ლანდშაფტია; 3) კორდიანი გორების ლან-

დშაფტი რბილი მორგვალებული მოხაზულობით, მთლად დაფარული კორდებით, რომლებიც ხელს უშლიან ეროზიას.

მაღლობიანი კორდების ჰავა ცივი ჰავის ტიპს ეკუთვნის. წლის საშუალო ტემპერატურა უდრის 0—4°-ს, ყველაზე თბილი თვისა 10°-ს, ყველაზე ცივი თვისა—6. საშუალო ამპლიტუდა 21°—27°. წლიური ნალექი 500-დან 1500 მილიმეტრამდე. გვალვა იშვიათია, თუ არის—ზამთრობით. დამახასიათებელია ძლიერი რყევა ჰაერის სინოტივისა. ზამთარში დიდი თოვლი მოდის, რომელიც დევს მაისის დამლევამდე ან ივნისის შუა რიცხვებამდე,

მაღლა მთიანი ზოლის მცენარეულობას ახასიათებს ბიოლოგიური განკერძოებებით და შემადგენლობით თავისებური ფლორა. იგი მიეკუთვნება რამდენსამე ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციას და შეიცავს შემდეგ ფორმაციებს:

1) სუბალპიური კორდები,
2) როდოდენდრონის ნარგავები,
3) სუბალპიური არყნალი,
4) ალპიური კორდები,
5) ალპიური ხალები,
6) მაღალმთიანი ველები, ძურწოვანი.

საქართველოს ცალკე ნაწილების საზღვრები და ბუნებრივი პირობები მოკლედ შემდეგია *).

**ქართლი.** ქართლს დასავლეთით საზღვრავს სურამის მთა, ჩრდილოეთით—კავკასიონის ქედი, სამხრეთით—თრიალეთის მთა. სურამის მთიდან აღმოსავლეთისაკენ ქართლი გაჭიმულია დიდ ვაკე ადგილზე და მდ. არაგვამდე აღწევს.

ქართლის უმთავრესი ნაწილი ვაკე ადგილია, ხოლო უმცირესი—მთა-გორიანი. ცნობილია ქართლის ველი, რომელიც მდ. მტკვრის გასწვრივ მდებარეობს. მთა-გორიანი ადგილები ქართლის ველს გარშემო აქვს შემოვლებული.

საერთოდ ქართლს უფრო მაღალი მდებარეობა აქვს, ვიდრე დასავლეთ საქართველოს. ჰავა აქ დასავლეთ საქართველოსაზე უფრო გრილია: ზამთარი ცივი და სუსხიანი იცის, ზაფხული კი მოკლე და ცხელი.

აქ ქრის ორ გვარი ქარი: აღმოსავლეთის და დასავლეთის. უკანასკნელი უფრო ძლიერია ქართლში, ვიდრე აღმოსავლეთის.

საერთოდ ქართლის ჰავა მშრალი და საკმაოდ ცივია. ამიტომ ქართლში ვერ ხეირობს ყველა ის მცენარე, რომელიც დასავლეთ საქარ-

*) ამ ნაწილში გამოყენებულია ს. რობაქიძის—„სამშობლოს აღწერა“ 1914 წ. გამოც.

თველოში იზრდება. სამაგიეროდ, კარგად ხეირობს ისეთი მცენარე, რომელიც ადვილად იტანს სიცივეს. მაგ. ვაშლი, მსხალი და სხვ. ქართლს შეადგენს გორის, დუშეთის და ტფილისის მაზრის ნაწილი.

**კახეთი.** დასავლეთიდან კახეთს საზღვრავს მდ. არაგვი, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან—კავკასიონის ქედი და სამხრეთიდან—მდინარე მტკვარი.

კახეთში შედის: საგუთარი კახეთი, თუშეთი, თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი.

მთელ კახეთს შუაზე ჰყოფს ცივგომბორის მთა, რომელიც კავკასიონის ქედიდან იწყება და სამხრეთისაკენ მიიმართება. ეს ნაწილებია შიგნით კახეთი და გარე-კახეთი. ქიზიყი და თუშეთი შიგნით კახეთს ეკუთვნიან, თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი—გარე კახეთს. გარე-კახეთი თავისი ჰავით უფრო ქართლსა ჰგავს, ხოლო შიგნით კახეთი—ქვემო იმერეთს იმ განსხვავებით, რომ შიგნით კახეთში უფრო გრილი ჰავაა.

გარე-კახეთის უმეტესი ნაწილი ვაკეა. შიგნით-კახეთი შუაზე ჩაღრმავებულია, აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ კი ამაღლებული. კახეთის ამ ნაწილს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან აფარებული აქვს კავკასიონის მთები, დასავლეთიდან კი ცივ-გომბორის მთა. ამ ორ მთას შუა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიიზლაზნება მდინარე ალაზანი. ამ მდინარის ორსავე ნაპირზე კარგა ფართო ვაკე ადგილი მიყვება; ამ ვაკე ადგილს ალაზნის ველს ეძახიან. ჰავა აქ ზომიერია. აღმოსავლეთის ცივი ქარი შიგნით კახეთს თავისუფლად ვერ ხვდება. დასავლეთის ქარი ცივ-გომბორის მთაზე ადვილად გადადის და თან გადააქვს წვიმის ღრუბლები. სამხრეთის მხრით ეს ქვეყანა სრულიათ გაშლილია და აქიდან ადვილად შემოდის ნელ-თბილი ქარი, რის გამოც ჰავა აქ არც ძალიან ცხელია და არც ცივი. შიგნით კახეთი თავის მცენარეებითაც ძალიან ჰგავს ზემო იმერეთს: ყველა მცენარე, რომელიც ზემო იმერეთში ვარგობს, შიგნით კახეთშიაც კარგად ხეირობს. ბროწეული, ლეღვი, უნაბი, ბამბა და სხვა ქართლში სრულიად არ ხეირობს, აქ კი ყველა ეს მცენარე მშვენიერად იზრდება. ზამთარში აქ არ იცის დიდი ყინვები, ზაფხულში კი ნამეტანი სიცხე.

შიგნით კახეთს შეადგენს სიღნაღისა და თელავის მაზრები, ხოლო გარე-კახეთს—ყოფილი თიანეთის მაზრა და ტფილისის მაზრის ნაწილი.

**სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.** სამხრეთ-ოსეთი გაშენებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე. ადგილ-მდებარეობა მთა-გორიანია.

ჰავა ოსეთში მეტად ცივია, რაც აიხსნება კავკასიონის ქედის სიახლოვით, რომელიც მუდამ თოვლითაა დაფარული.

სუსხიანი ჰავა ხელს უშლის ოსეთში მცენარეულის გავრცელებას. ოსეთში არ ხეირობს თითქმის არავითარი ჭირნახული, გარდა ქერისა.

**ახალციხის მაზრა და ჯავახეთი** (ახალქალაქის მაზრა), ძლიერ მაღლობი ადგილია. ამავე დროს ჯავახეთი გაცილებით უფრო მაღლობ ადგილზეა, ვიდრე ახალციხის მაზრა. ჰავა ჯავახეთში უფრო ცივია, ვიდრე ახალციხის მხარეში და ეს მაშინ, როცა ახალციხის მხარეში ჰავა უფრო ცივია, ვიდრე ქართლ-კახეთში და იქ ბევრი ისეთი მცენარე სრულებით ვერ ხეირობს, რომელიც ქართლ-კახეთშია გავრცელებული. ზამთარი, როგორც ახალციხის, ისე ახალქალაქის მაზრაში ხანგრძლივი და სუსხიანი იცის. ნიადაგი ორივე მაზრაში ნაყოფიერია.

**მოკავშირე აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა.** აფხაზეთს აღმოსავლეთით საზღვრავს სამეგრელო—ზუგდიდის მაზრა, (მდინარ ენგური), დასავლეთით კავკასიონის ქედის კალთები და შავიზღვა,სამხრეთით—შავი-ზღვა და ჩრდილოეთით—კავკასიონის ქედი.

აფხაზეთი ძევს შავი-ზღვის პირას, ზღვის პირის დაყოლებით სწორი და ვაკე ადგილია, ხოლო აფხაზეთის უმეტესი ნაწილი—მთა-გორიანი ადგილია, აფხაზეთი დაფენილია კავკასიონის ტოტების კალთებით.

ჰავა ძალზე ნოტიოა და თბილი. ზამთარი აფხაზეთში თბილია, ყინვა სულ არ იცის. აფხაზეთში ხეირობს ცხელი ქვეყნის მცენარეც. აფხაზეთი მდიდარია ტყეებით, სადაც ხშირად შეგვხდებათ ზეთისხილის ხეც. ცნობილია აფხაზეთის ბზა, კაკლის ხე და სხვ.

**აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკას** საზღვრავს ჩრდილოეთით გურია, აღმოსავლეთით—ახალციხის მაზრა, დასავლეთით—შავი-ზღვა და სამხრეთით—ართვინის ოლქი.

აჭარისტანს მთა-გორიანი მდებარეობა აქვს. უფრო მთიანია აჭარისტანის სამხრეთი ნაწილი, ის დასერილია მრავალი ხეობით და კარგად ირწყვის მთის პატარა მდინარეებით.

ჰავა თბილი და ზომიერია. ჰავის სითბო ხელს უწყობს აჭარაში სუბტროპიკული მცენარეების გავრცელებას.

**სამეგრელო.** სამეგრელოს აღმოსავლეთის მხრიდან საზღვრავს მდინარე ცხენის წყალი, რომელიც მას ჰყოფს იმერეთისაგან, სამხრეთით საზღვრავს მდინარე რიონი, რომელიც სამეგრელოს ჰყოფს გურიისაგან, დასავლეთით აკრავს შავი-ზღვა, ჩრდილოეთით სამეგრელოს საზღვრავს ლეჩხუმი და სვანეთი. ჩრდილოეთისაკენ—ლეჩხუმ-სვანეთის მიმართულებით სამეგრელოში მთა-

გორიანი მაღლობებია, ხოლო შავი-ზღვის შიმართულებით—ვაკე დაბლობები. ხშირი წვიმები ვაკე ადგილებზე აჩენს ჭაობებს და ტბებს (ცნობილია ჭალადიდის ჭაობი).

ჰავა ნოტიოა და თბილი. ის ხელს უწყობს ყოველგვარი მცენარის გავრცელებას.

სამეგრელოს შეადგენს სენაკისა და ზუგდიდის მაზრები.

**იმერეთი.** იმერეთს აღმოსავლეთის მხრიდან—საზღვრავს სურამის ანუ ლიხის მთა, დასავლეთის მხრიდან—მდინარე ცხენის წყალი, სამხრეთისაკენ—აჭარა-ახალციხის მთა, ხოლო ჩრდილოეთით იმერეთი რაჭა და ლეჩხუმამდე უწევს. იმერეთს ქალაქ ქუთაისი ჰყოფს ორ ნაწილად: ზემო-იმერეთი და ქვემო-იმერეთი. იმერეთის ეს ორი ნაწილი ძალიან განსხვავდება ერთი-მეორესაგან, როგორც ნიადაგის შენობით, ისე ჰაერითაც. ზემო-იმერეთი თითქმის მთლად მთა-გორიანი ადგილია, ქვემო იმერეთი კი თითქმის სულ ვაკეა.

ზემო-იმერეთში მიწა უფრო მშრალია, ვიდრე ქვემო-იმერეთში, სადაც ვაკე ადგილებზე ხშირად გვხდება დაგუბებული წყალი, ჭაობები.

ქვემო-იმერეთში უფრო ნოტიო ჰაერია, ვიდრე ზემო-იმერეთში. საერთოდ კი იმერეთში ზომიერი ჰავაა. იმერეთში უმთავრესად ორ გვარი ქარი ჰქრის: აღმოსავლეთის და დასავლეთის. აღმოსავლეთის ქარი ზაფხულში ცხელი და მშრალია, ზამთარში—ცივი და მშრალი, დასავლეთის ქარი კი მუდამ ნოტიოა- ზამთარში თბილი, ზაფხულში კი გრილი.

ზომიერი ჰავა და ნოტიო ნიადაგი ხელს უწყობს იმერეთში მრავალ-გვარი მცენარეების გავრცელებას. აქ ხარობს ისეთი მცენარე, რომელიც უფრო ცივ ჰავაში ვერ იხეირებს, მაგალითად, ბამბა, თამბაქო, თუთის ხე და მრავალი სხვა.

იმერეთს შეადგენს ორი მაზრა—ქუთაისის და შორაპნის.

**გურია.** გურია (ოზურგეთის მაზრა) ისაზღვრება აღმოსავლეთის მხრიდან იმერეთით, დასავლეთით—შავი -ზღვით, ჩრდილოეთიდან—მდინარე რიონით და სამხრეთით—აჭარა-ახალციხის მთით. გურია მდებარეობით სხვადასხვა გვარია: მდინარე რიონის დაყოლებით ვაკე ადგილებია, აჭარა-ახალციხის მთისაკენ კი—მთაგორიანია. ვაკესა და მთაგორიან გურიას შუა ძევს ნიგოითის მთა, რომელიც აჭარა-ახალციხის მთის ტოტია.

გურიაში ჰავა ნოტიო და თბილია. შავი-ზღვის სიახლოვე ხელს უწყობს სუბტროპიკული მცენარეების გავრცელებას. აქ ხეირობს ლიმონი, ფორთოხალი, ჩაი, თამბაქო და სხვა.

გურიაში, როგორც ვაკე, ისე მთა-გორიანი ადგილები, დაფარულია, ხშირი ტყეებით.

**სვანეთი**. სვანეთი ჩრდილოეთიდან ისაზღვრება კავკასიონის ქედით, სამხრეთით—სამეგრელოთი, დასავლეთით—სამურზაყანოთი და აღმოსავლეთით—რაჭა-ლეჩხუმით. სვანეთი სულ მთა-გორიანი ადგილია. თვით სვანეთი ოთხივ მხრით შემოზღუდულია მაღალი მთებით. ჩრდილოეთიდან სვანეთს დაჰყურებს მუდამ თოვლით დაბურული იალბუზის მთა. სვანეთი ძევს მაღალი მთების ორ-ვიწრო ხეობაში. ერთ ხეობას ჩაურბის მდინარე ინგური, მეორეს კი—ცხენის წყალი.

ჰავა აქ მეტად ცივია. სვანეთის სუსხიანი ზამთარი 7—8 თვეს გრძელდება. ადამიანი სითბოს მხოლოდ ზაფხულის თვეებში გრძნობს. სვანეთში სახნავ-სათესი მიწები ნაკლებადაა. საძოვრები კი ბლომად. ნიადაგი კი ნაირ-ნაირი და ნაყოფიერია.

სვანეთი ორ ნაწილად იყოფა: ზემო და ქვემო-სვანეთი.

**რაჭა**. აღმოსავლეთით რაჭას საზღვრავს ლიხის მთა, დასავლეთით—სვანეთის მთები, ჩრდილოეთით—კავკასიონის ქედი, სამხრეთით – ნაქერალას მთა; რაჭაც შემოზღუდულია მაღალი მთებით. რაჭის მდებარეობა სულ მთაგორიანია. რაჭის ხეობას მდინარე რიონი თითქმის შუაზე ჰყოფს. ვაკე ადგილები მხოლოდ მდინარე რიონის ნაპირებში მოიპოვება აქა-იქ. დანარჩენი ადგილები სულ მთა-გორაკებითაა დაფარული.

რაჭაში ცივი და გრძელი ზამთარი იცის. მცენარეულობით რაჭა მდიდარი არ არის, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ნაწილები.

**ლეჩხუმი**. ლეჩხუმს აღმოსავლეთით საზღვრავს რაჭა, დასავლეთით სამეგრელო, ჩრდილოეთით – სვანეთი და სამხრეთით—იმერეთი. მდებარეობა სულ მთა-გორიანია. ვაკე ადგილი აქ იშვიათია. რადგანაც ლეჩხუმსა და შავ-ზღვას შორის არ არის დიდი მთა ამართული, ამიტომ ლეჩხუმში ჰაერი ნოტიო და გრილია.

ლეჩხუმი მცენარეულით საკმაოდ მდიდარია. ლეჩხუმის მთები დაფარულია ტყეებით, სოფლები—კი ბაღ-ვენახებშია გაშენებული.

## მოსახლეობა.

1897 წ. აღწერით საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 2.109.273 სულს, ხოლო 1917 წლის აღწერით—2.426.281 სულს.

1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერით და 1922 წ. ქალაქების აღწერით საქართველოს მოსახლეობა შედგებოდა—2.462.2 ათასი სულისაგან (აქ არ შედის დუშეთის მაზრის ცხრა სოფელი და აჭარის სხვა და სხვა სოფლების—733 ოჯახი).

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს თეორეტიული გამოანგარიშებით 1926 წ. 1 იანვრისთვის თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 2.541.400 სულს.

1917 და 1923 წ.წ. აღწერათა თანახმად საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში მოსახლეობა უდრიდა:

| მ ა ზ რ ა | მოსახლეობის რაოდენობა | ოთხკუთხედ ვერსზე მოდის სული |
|---|---|---|
| 1. ახალქალაქის . . . . . | 72.337 | 30,7 |
| 2. ახალციხის . . . . . | 83.732 | 36,3 |
| 3. ბორჩალოს . . . . . | 70.787 | 26,2 |
| 4. გორის . . . . . | 194.235 | 47,8 |
| 5. დუშეთის . . . . . | 67.701 | 17,4 |
| 6. ტფილისის . . . . . | 368.980 | 66,5 |
| 7. თელავის . . . . . | 101.670 | 26,0 |
| 8. სიღნაღის . . . . . | 140.071 | 25,8 |
| **სულ აღმოსავლ. საქართვ.** | 1.098.513 | 36,4 |
| 9. ზუგდიდის მაზრა . . . . . | 121.560 | 53,7 |
| 10. ლეჩხუმის „ . . . . . | 46.609 | 23,8 |
| 11. ოზურგეთის „ . . . . . | 122.906 | 66,6 |
| 12. რაჭის „ . . . . . | 78.129 | 37,3 |
| 13. სენაკის „ . . . . . | 129.024 | 75,2 |
| 14. ქუთაისის „ . . . . . | 295.982 | 97,2 |
| 15. შორაპნის „ . . . . . | 178.506 | 74,5 |
| 16. ზემო სვანეთი . . . . . | 15.000 (დაახლ.) | 5,6 |
| 17. ქ. ფოთი . . . . . | 11.358 | 112,8 |
| **დასავლეთ საქართველ.** | 985.074 | 54,1 |
| აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკა | 169.982 | 23,1 |
| აჭარისტანის ავტ. რესპუბ. | 127.910 | 51,5 |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 80.739 | 21,3 |
| **სულ საქართველ.** . . | 2.462.281 | 39,8 |

თანახმად 1917 წ. აღწერის ცნობებისა საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 2.426.281 სულს და ოთხკუთხედ ვერსზე საშუალოდ მოდიოდა 39,8 კაცი.

ქალაქებს და სოფლებს შორის მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდება:

| წლები აღწერების | მოსახლეობის რაოდენობა | მოსახლეობა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დაბებში | მოსახლეობა სოფლებში | % ქალაქის მოსახლეობის | % სოფლის მოსახლეობის |
|---|---|---|---|---|---|
| 1.886 | — | — | — | 11,5 | 88,5 |
| 1.897 | 2.109.273 | 322.312 | 1.786.961 | 15,5 | 84,5 |
| 1.917 | 2.426.281 | 423.544 | 2.002.737 | 17,5 | 82,5 |
| 1.923 | 2.439.349 | 502.268 | 1.937.081 | 20,4 | 79,6 |

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქალაქის მოსახლეობა თანდა თან იზრდება პროცენტულად, ხოლო სოფლის მოსახლეობის პროცენტი თანდათან მცირდება.

1917 წლის შემდეგ მოხდა საქართველოს ტერიტორიის შემცირება და ამიტომ ეს ციფრები მოსახლეობის ზრდის სწორ სურათს არ იძლევა.

თანახმად ქალაქთა მოსახლეობის 1922 წ. ნოემბრის და სასოფლო-მეურნეობის 1923 წ. აღწერებისა ტერიტორია და მოსახლეობა საქართველოში შემდეგნაირად ნაწილდება:

| **სრულიად საქართველოს ნაწილები** | ტერიტორია | | მოსახლეობა | |
|---|---|---|---|---|
| | კვად. კილომეტრი | %% | ათასი სული | %% |
| აღმოსავ. საქართველოში | 35.380,2 | 50,3 | 1.098,5 | 44,6 |
| დასავ. საქართველო . . . | 20.823,3 | 29,1 | 984,4 | 40,0 |
| სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლ. | 4.315,5 | 5,2 | 80,7 | 3,3 |
| აჭარისტანის ავტ. რესპ. | 2.846,0 | 3,9 | 127,9 | 5,2 |
| აფხაზეთის ავტ. რესპუბ. | 8.254,4 | 11,5 | 170,7 | 6,9 |
| **სულ** . . . . . | 71.619,4 | 100 | 2.462,2 | 100 |

მოსახლეობის ზრდას ქალაქებში და შემცირებას სოფლებში შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს (პროცენტები):

| | ქალაქებში | სოფლებში |
|---|---|---|
| 1886 წ. . . . . | 11,5 | 88,5 |
| 1897 წ. . . . . | 15,5 | 84,5 |
| 1917 წ. . . . . | 17,5 | 82,5 |
| 1922-23 წ. . . . . | 20,4 | 79,6 |

მაგრამ ეს სურათი სულ სხვა სახეს იღებს საქართველოს სხვადასხვა ნაწილში. მაგ. აღმოსავლეთ საქართველოში—ქალაქებში იმყოფება მოსახლეობის 35%. აქ დიდ როლს თამაშობს ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არის საქართველოს სატახტო დიდი ქალაქი—ტფილისი: დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის მაზრაში ქალაქებში სცხოვრობს მოსახლეობის 25% და აჭარისტანში 50%.

თანახმად 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერისა და 1922 წ. ქალაქების აღწერისა საქართველოს ეროვნული შემადგენლობა შემდეგ სურათს გვაძლევს:

**ს ო ფ ლ ე ბ შ ი.**

| | ეროვნებით | | სალაპარაკო ენით |
|---|---|---|---|
| ქართველები . . . . | 1.509.521 | 77,9 | 1.543.612 |
| სომხები . . . . | 128.534 | 6,6 | 92.197 |
| ოსები . . . . . | 94.563 | 4,9 | 92.286 |
| აფხაზები . . . . . | 35.749 | 1,9 | 35.747 |
| აზერბაიჯ. თურქები | 72.926 | 3,8 | 103.770 |
| ბერძნები . . . . . | 49.763 | 2,6 | 28.698 |
| რუსები . . . . . | 24.204 | 1,2 | 24.328 |
| ებრაელები . . . . | 3.895 | 0,2 | 50 |
| დანარჩენი . . . | 17.517 | 0,9 | 16.977 |
| | 1.937.665 | 100 | 1.937.665 |

თუ აფხაზებს არ ჩავთვლით ქართველი ერის შემადგენლობაში, მაშინაც საქართველოს ტერიტორიის მოსახლეობის სამოცდათვრამეტი პროცენტი არის ქართველი, ხოლო იმათი რიცხვი, ვისიც სალაპარაკო ენა ქართული ენაა, უდრის მოსახლეობის თითქმის ოთხმოცი პროცენტს.

ენის საკითხი საქართველოში პირველად გამორკვეულ იქნა ქალაქებში 1922 წ. აღწერით, ხოლო სოფლის მოსახლეობაში—1923 წ.

სასოფლო-სამეურნეო აღწერით—სოფლის მოსახლეობის შესახებ ზევით მოვიყვანეთ საჭირო ცნობები, ქალაქთა მოსახლეობის შესახებ. სტატისტიკოსი ყოჩიაშვილი ამ საკითხს ასე აშუქებს:

საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან—502.268 მცხოვრებიდან[1]) თავის ჩვეულებრივ სალაპარაკო ენად სთვლის:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართულს | 289.792 | ანუ | 57,7% | თურქულს | 3.978 | ანუ | 0,8% |
| სომხურს | 88.962 | „ | 17,7 „ | ოსურს | 1.611 | „ | 0,3 „ |
| რუსულს | 77.306 | „ | 15,4 „ | ბერძნულს | 14.635 | „ | 2,9 „ |
| ებრაულს | 2.895 | „ | 0,6 „ | დანარჩენს | 23.089 | „ | 4,6 „ |

როგორც სჩანს ჩვენი ქალაქების მცხოვრებთა აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენენ ქართული ენით მოლაპარაკენი, მაშინ როდესაც ამავე მოსახლეობის ეროვნული შედგენილობა შედარებით განსხვავებულ სურათს გვაძლევს. ეროვნული განაწილება ქალაქთა მოსახლეობისა ასეთია:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 234.452 | ანუ | 46,7% | თურქი | 3.738 | ანუ | 0,7% |
| სომეხი | 135.529 | „ | 27,0 „ | ოსი | 2.441 | „ | 0,5 „ |
| რუსი | 59.320 | „ | 11,8 „ | ბერძენი | 16.459 | „ | 3,3 „ |
| ებრაელი | 23.438 | „ | 4,7 „ | დანარჩენი | 26.891 | „ | 5,3 „ |

ამ დაპირდაპირებით განსხვავება ეროვნულ შედგენილობასა და სალაპარაკო ენის მიხედვით საგრძნობია; ორი ენით—ქართულად და რუსულად მოლაპარაკეთა რაოდენობა სჭარბობს ქართველთა და რუსთა რიცხვს, ხოლო დანარჩენი ჯგუფები იძლევა კლებას სათანადო ეროვნების მიმართ. მაგრამ ეს განსხვავება ეროვნებისა და ენის მიხედვით ქალაქების საერთო ჯამში ისე მკაფიოდ არ არის გამოსახული, როგორც მას ადგილი აქვს თვითეულ ქალაქში ცალკე. ამის გამო ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ დაპირდაპირება მოსახლეობის შედგენილობისა ეროვნების და სალაპარაკო ენის მიხედვით (პროცენტულად) თვითეულ ქალაქისთვის ცალკე. (აღებულია მხოლოდ 24—ქალაქად აღიარებული დასახლებული პუნქტი და სამი მთავარი

---

[1]) ცნობები შეეხება საქართველოს და მის ავტონომიურ რესპუბლიკების ყველა იმ 36 დასახლებულ პუნქტს, რომელიც მოჰყვა 1922 წ. საქალაქო აღწერაში; აქედან 24 ქალაქია, ხოლო 12—ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილი (სახელობითი სია ამ პუნქტებისა იხ. სტატ. ცენტრ, სამმარ. გამოცემაში: „სრულიად საქარ. ქალაქ. მოსახ, 1922 წ. აღწერის ჯამები“ II ნაწ. ტფილისი, 1924 წ. შენიშვნა ყოჩიაშვილის).

ეროვნება; ქალაქები დალაგებულია ქვემავალი რიგით ქართული ენის გავრცელების მიხედვით).

**მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შეადგენს პროცენტს:**

| | ქართველი | | სომეხი | | რუსი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ენით | ეროვნებით | ენით | ეროვნებით | ენით | ეროვნებით |
| ხონი | 99,0 | 98,9 | 0,3 | 0,3 | 0,5 | 0,6 |
| ზესტაფონი | 98,0 | 96,9 | 0,2 | 0,4 | 1,1 | 0,5 |
| ოზურგეთი | 97,7 | 97,3 | 0,3 | 0,4 | 1,5 | 1,5 |
| ზუგდიდი | 97,5 | 97,4 | 0,3 | 0,5 | 1,7 | 1,2 |
| სამტრედია | 97,0 | 96,3 | 0,7 | 0,9 | 2,2 | 2,1 |
| სენაკი | 96,1 | 95,5 | 0,4 | 0,9 | 1,8 | 1,8 |
| ქუთაისი | 95,3 | 83,5 | 0,7 | 2,0 | 2,6 | 2,5 |
| დუშეთი | 94,4 | 71,1 | 1,7 | 23,8 | 3,2 | 2,2 |
| ონი | 92,7 | 48,4 | 5,4 | 10,0 | 1,3 | 1,0 |
| თელავი | 91,7 | 55,2 | 5,4 | 41,1 | 1,9 | 1,3 |
| სიღნაღი | 91,3 | 38,5 | 5,7 | 59,3 | 2,3 | 1,5 |
| ჭიათურა | 91,2 | 87,1 | 0,2 | 1,8 | 2,1 | 2,2 |
| გორი | 90,6 | 65,8 | 4,9 | 27,1 | 2,7 | 1,8 |
| ფოთი | 88,1 | 85,8 | 1,9 | 2,7 | 7,7 | 6,3 |
| ხაშური | 87,1 | 83,8 | 4,1 | 7,3 | 4,0 | 3,4 |
| ცხინვალი | 84,5 | 31,7 | 1,3 | 16,8 | 2,4 | 1,4 |
| ბორჯომი | 63,8 | 56,9 | 15,3 | 22,1 | 14,1 | 12,3 |
| ტფილისი | 47,8 | 34,6 | 23,2 | 36,5 | 21,6 | 16,5 |
| ბათომი | 30,8 | 30,0 | 22,8 | 24,6 | 23,8 | 17,6 |
| ახალციხე | 27,5 | 21,4 | 67,0 | 68,0 | 2,5 | 1,8 |
| სოხუმი | 20,5 | 21,3 | 9,8 | 10,8 | 34,5 | 25,6 |
| ახალქალაქი | 7,3 | 7,9 | 86,4 | 86,8 | 5,4 | 3,8 |
| ლიუქსემბურ. | 3,2 | 3,3 | 11,2 | 12,6 | 5,0 | 3,9 |
| შულავერი | 0,4 | 0,4 | 97,8 | 98,0 | 0,8 | 03 |

გარდა ამისა ტფილისში ებრაელები შეადგენენ: ენით 0.5, ეროვნებით—3,7%-ს, თურქები 1,6—1,4, ბერძნები 0,3—0,5, ოსები 0,4—0,6; ბათომში: ებრაელები 1,8—6,1, ბერძნები 11,4—12,5; ცხინვალში: ოსები 11,2—13,5, ებრაელები 0,4—36,3.

# მიწათ-მფლობელობა და მიწით სარგებლობა.

1900 წ. საქართველოში მიწები, მისი სხვადასხვა სახის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდებოდა:*)

| | რაოდენობა დესეტინობით | %% მიწის საერთო სივრცის მიმართ. |
|---|---|---|
| სამოსახლო . . . . | 128.520 | 2,1 |
| ბაღები . . . . . | 24.480 | 0,4 |
| ვენახები . . . . . | 61.080 | 1,0 |
| სახნავი . . . . . | 1.303.560 | 21,3 |
| სათიბი . . . . . | 48.960 | 0,8 |
| ჩირგვნარი . . . . | 348.840 | 5,7 |
| საძოვრები . . . . | 1.101.600 | 18,0 |
| ტყეები . . . . . | 2.172.600 | 35,5 |
| გამოუყენებელი . . | 930.360 | 15,2 |
| სულ . . . | 6.120.000**) | 100% |

შემდეგი ცხრილი გვიხატავს ამ მიწების წოდებათა და უწყებათა შორის განაწილების სურათს:

| | რაოდენობა დესეტინობით | %% მიწის საერთო რაოდენობის მიმართ. |
|---|---|---|
| ხაზინა . . . . . | 3.535.544 | 57,8 |
| თავად-აზნაურობა . . . | 1.914.214 | 31,3 |
| გლეხობა . . . . . | 382.697***) | 6,2 |
| სასულიერო დ სავაჭრო წოდება . . . . . | 148.885 | 2,4 |
| საუფლისწულო მიწები . | 116.299 | 1,2 |
| საეკლეს.-სამონასტრო . . | 22.361 | 0,4 |
| სულ . . . | 6.120.000 | 100,0 |

*) ციფრები ამოღებულია გამიჯვნის მასალებიდან (საქართველოს საგეგმო კომისიის მასალები).

**) საბჭოთა ავტონომიური აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის დღევანდელი ტერიტორიის თანჩართვით.

***) ნაჩვენებია მხოლოდ გლეხობის საკუთრება; დროებით ვალდებულთა, ეგრედ წოდებული „სანადელო“ მიწები და აგრეთვე ხიზანთა და სახაზინო გლეხთა მიწები მიწერილია ხაზინისა და თავად-აზნაურობისათვის.

ეს ციფრები ნათელჰყოფენ, რომ საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი რუსის მთავრობის საკუთრება იყო.

თავად-აზნაურობის თითქმის ყველა მიწით სარგებლობდენ მესაკუთრე და დროებით ვალდებული გლეხები, რომელნიც თავად-აზნაურობას აძლევდენ ღალას.

უნდა აღინიშნოს, რომ ღალის პირობები სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი იყო. უმეტეს შემთხვევაში გლეხები ღალის სახით იხდიდენ მოსავლის მესამედს, ანუ მეოთხედს, იშვიათად კი—ნახევარს.

სახაზინო მიწებით სარგებლობისათვის გლეხები უფრო ნაკლებს იხდიდენ, ვიდრე თავად-აზნაურობის მიწებზე. მეფის მთავრობა მის მიერ ხელში ჩაგდებულ მიწას აძლევდა ისევ ქართველ მოსახლეობას დაკლებულ ქირაში, თუმცა რუსებს და გერმანელ კოლონისტებს ეს მიწები უფრო შეღავათიან პირობებში ეძლეოდათ, ვიდრე ქართველებს.

რევოლიუციამდე გლეხების მიწით უზრუნველყოფას შემდეგი ციფრები გამოხატავს:

| | ვარგისი მიწა 1 ოჯახზე | მოდიოდა— 1 სულზე |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში . | 2,7 დეს. | 0,4 დესეტ. |
| დასავლეთ საქართველოში . . | 2,0 „ | 0,3 „ |

მიწით სარგებლობის საერთო სურათს 1921 წ., მიწის რეფორმის წინა დღეებში, შემდეგი ცხრილი გვიხატავს:

ცხრ. იხ. მე—30—31 გვ.

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მიწის სხვადასხვა სახე უთანასწოროთაა განაწილებული: იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში ერთ კომლზე საშუალოდ 2,4 დესეტინა მოდის, აღმოსავლეთ საქართველოში კომლზედ საშუალოდ მოდის 4,9 დესეტ.; უფრო ძლიერია განსხვავება მიწით უზრუნველყოფის მხრივ ცალკე მაზრებს შორის.

მიწის საერთო რაოდენობა, მისი სხვადასხვა სახის მიხედვით, საქართველოში 1926 წ. ასე იყო განაწილებული:

| მაზრები | კომლთა რაოდენ. რომელნ. მიწა ჰქონ. არა უმეტ. 1/2 დეს. | % კომლთა საერთო რაოდენობიდან | ამ კატეგორიის ყველა მიწები | % მიწის საერთო რაოდენობიდან | კომლთა რაოდენ. რომელთაც ჰქონ. მიწა 1/2—2 დეს-მდე | % მიწის საერთ. რაოდენობიდან | ამ კატეგორიის ყველა მიწა | % საერთო რაოდენობიდან | კომლთა რაოდენ. რომელთაც ჰქონ. მიწა 2—4 დეს-მდე | % საერთო რაოდენობიდან | ამ კატეგორიის ყველა მიწა | % საერთო რაოდენობიდან | კომლთა რაოდენ. რომელთაც ჰქონ. მი- |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 1. ტფილისის . | 3.618 | 14,1 | 1.796 | 1,1 | 2.071 | 8,3 | 4.139 | 2,6 | 3.468 | 13,9 | 1.237 | 7,7 | 15.[illegible] |
| 2. გორის . . . | 5.317 | 16,7 | 2.476 | 2,5 | 7.959 | 25,0 | 10.862 | 10,9 | 10.697 | 33,6 | 2.834 | 2,84 | 7.0[illegible] |
| 3. დუშეთის . | 692 | 6,2 | 200 | 0,5 | 3.370 | 30,2 | 5.719 | 14,3 | 4.500 | 40,3 | 15.299 | 38,3 | 2.3[illegible] |
| 4. თიანეთის . | 404 | 4,8 | 147 | 0,5 | 2.078 | 24,7 | 2.887 | 9,8 | 3.450 | 41,0 | 1.037 | 35,1 | 2.4[illegible] |
| 5. თელავის . . | 2.598 | 14.6 | 631 | 1,5 | 8.246 | 46,3 | 11.647 | 27,7 | 4.857 | 27,3 | 1.447 | 34,3 | 1.9[illegible] |
| 6. სიღნაღის . . | 2.185 | 11,1 | 1.020 | 0,7 | 1.969 | 10,0 | 3.770 | 2,7 | 2.363 | 12,0 | 895 | 6,2 | 12.9[illegible] |
| 7. ბორჩალოს . | 1.566 | 8,5 | 631 | 0,6 | 4.128 | 22,4 | 7.252 | 6,9 | 2.948 | 16,0 | 956 | 9,1 | 9.6[illegible] |
| 8. ახალქალაქის | 1.892 | 9,7 | 895 | 0,7 | 2.184 | 11,2 | 4.185 | 3,1 | 4.096 | 21,0 | 1.605 | 12,0 | 11.1[illegible] |
| 9. ახალციხის . | 635 | 5,8 | 154 | 0,5 | 1.937 | 17,7 | 1.877 | 6,2 | 3.589 | 26,4 | 709 | 23,5 | 4.6[illegible] |
| სულ აღმოსავლ. საქართველოში | 18.907 | 11.6 | 7.950 | 0,9 | 33.942 | 20,9 | 52.338 | 7,0 | 39.968 | 24,6 | 26.019 | 16,9 | 67.7[illegible] |
| 10. ქუთაისის . | 1.972 | 4,7 | 765 | 0,7 | 19.396 | 46,2 | 27.100 | 24,8 | 14.811 | 35,3 | 461 | 42,0 | 5.7[illegible] |
| 11. შორაპნის . | 2.885 | 8,3 | 1.520 | 1,9 | 12.060 | 34,7 | 15.646 | 19,1 | 13.276 | 35,2 | 315 | 38,5 | 6.4[illegible] |
| 12. რაჭის . . . | 4.154 | 39,5 | 2.053 | 10,8 | 2.228 | 30,7 | 4.761 | 25,0 | 2.303 | 21,9 | 685 | 36,0 | 8[illegible] |
| 13. ლეჩხუმის . | 191 | 2,5 | 81 | 0,4 | 2.993 | 39,1 | 4.308 | 22,2 | 3.429 | 44,8 | 915 | 47,2 | 1.9[illegible] |
| 14. სენაკის . . . | 474 | 2,0 | 252 | 0,0 | 9.019 | 38,0 | 13.145 | 20,8 | 10.040 | 42,3 | 2.749 | 43,5 | 4.1[illegible] |
| 15. ზუგდიდის . | 538 | 2.0 | 220 | 0,3 | 9.530 | 35,4 | 11.735 | 16 0 | 11.037 | 41,0 | 29.333 | 40,0 | 5.7[illegible] |
| 16. ოზურგეთის | 1.365 | 7,5 | 625 | 1,9 | 10.783 | 59,2 | 12.285 | 37,4 | 4.919 | 27,0 | 1.282 | 39,0 | 1.0[illegible] |
| სულ დასავლეთ საქართველოში | 11.579 | 7,1 | 5.516 | 1,4 | 66.009 | 40,9 | 88.980 | 22,3 | 59.815 | 36,5 | 35.740 | 40,9 | 24.9[illegible] |
| მთელს რესპუბლ. ავტონომიურ ნაწილების გამოკლ. | 30.486 | 9,3 | 13.466 | 1,1 | 100.951 | 30,9 | 141.318 | 11,9 | 99.783 | 30,6 | 61.759 | 24,4 | 92.6[illegible] |

# მოსდენილ ალწერის შედეგები.

| % საერთო რაოდენობიდან | ამ კატეგორიის ყველა მიწა | % საერთო რაოდენობიდან | კომლთა რაოდენ. რომელთაც ჰქონდა 10—50 დესეტინამ. | % საერთო რაოდენობიდან | ამ კატეგორიის ყველა მიწა | % საერთო რაოდენობიდან | სავალი | | | | მოდიოდა დესეტინ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | კომლი | სული | მუშა ხელის რაოდენობა | მიწა | კომლზე | ერთ სულზე |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| 62,3 | 133.873 | 83,9 | 381 | 1,4 | 6.984 | 4,7 | 24.949 | 135.219 | 31.401 | 159.189 | 6.4 | 1,2 |
| 22,1 | 49.607 | 49,7 | 827 | 2,6 | 8.586 | 8,5 | 31.837 | 172.738 | 45.918 | 99.845 | 3,2 | 0,6 |
| 21,4 | 15.277 | 38,2 | 209 | 1,9 | 3.498 | 8.7 | 11.159 | 63.244 | 14.478 | 39,993 | 3,6 | 0,6 |
| 28,8 | 14.386 | 48,6 | 59 | 0,7 | 1.754 | 6,0 | 3.415 | 37.084 | 10.810 | 29.461 | 3,5 | 0,8 |
| 10,7 | 11.331 | 27,9 | 188 | 1,1 | 3.610 | 8,6 | 17.793 | 82.853 | 25.755 | 41.646 | 2,3 | 0,5 |
| 65,9 | 127.265 | 87,9 | 203 | 1,0 | 3.522 | 2,5 | 19.691 | 101.258 | 40.131 | 144.532 | 7,3 | 1,4 |
| 52,5 | 83.666 | 79,6 | 118 | 0,6 | 3.994 | 3,8 | 18.428 | 92.767 | 23.341 | 105.108 | 5.7 | 1,1 |
| 57,3 | 107.472 | 80,8 | 165 | 0,8 | 4.585 | 3,4 | 19.504 | 73.289 | 24.518 | 133.152 | 6,9 | 1,8 |
| 49,0 | 19.309 | 63,7 | 122 | 1,1 | 1.853 | 6,1 | 10.942 | 72.716 | 23.822 | 30.286 | 3,0 | 0,4 |
| 41,5 | 562.186 | 70,0 | 2.272 | 1,4 | 38.386 | 5,2 | 157.718 | 831.168 | 240.174 | 783.212 | 4.9 | 0,9 |
| 13,6 | 33.985 | 31,1 | 72 | 0,2 | 1.308 | 1,2 | 41.957 | 225.001 | 54.059 | 102.276 | 2.6 | 0,5 |
| 18,5 | 31.540 | 38,5 | 107 | 0,3 | 1.608 | 2,0 | 34.760 | 177.541 | 52.608 | 81.927 | 2,4 | 0,5 |
| 7,9 | 5.373 | 28,2 | — | — | — | — | 10.516 | 77.524 | 17.125 | 19.045 | 1,9 | 0,3 |
| 13,2 | 5.410 | 27,9 | 32 | 0,4 | 431 | 2,3 | 7.656 | 45.287 | 11.501 | 19.384 | 2,6 | 0,4 |
| 17,4 | 21.550 | 34,1 | 60 | 0,3 | 759 | 1,2 | 23.702 | 199.704 | 35,910 | 63.196 | 2,7 | 0,6 |
| 21,3 | 30.803 | 12,0 | 79 | 0,3 | 1.261 | 1,7 | 26 917 | 129.162 | 31 512 | 73.357 | 2,8 | 0,6 |
| 5,9 | 5.818 | 17,7 | 69 | 0,4 | 1.330 | 4,0 | 18.210 | 95.457 | 20.874 | 32.879 | 1,8 | 0,4 |
| 15,2 | 134.479 | 33,7 | 419 | 0,3 | 6.697 | 1,7 | 163.718 | 949.676 | 223.589 | 392.064 | 2,4 | 0,5 |
| 28.4 | 696.665 | 58,5 | 2.691 | 0,8 | 45.083 | 4,1 | 321.436 | 1.780.844 | 463.763 | 1.175.276 | 3.6 | 0.7 |

# საქართველოს მიწა 1926 წელს ათას დესიატ

| მაზრები | სამოსახლო | %% | ბაღი | %% | ვენახები | %% | ს ა ხ ნ ა ვ ი | | | | სათიბი | %% | სახალხო საბალნ/ ხოვები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | სარწყავი | %% | ურწყავი | %% | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| ტფილისის . . . . | 3,0 | 0,6 | 1,2 | 0,2 | 1,7 | 0,3 | 14,1 | 2,6 | 159,4 | 29,1 | 5,6 | 1,0 | 71,[illegible] |
| გორის . . . . . | 2,4 | 0,6 | 2,9 | 0,7 | 2,6 | 0,6 | 19,4 | 4,7 | 136,6 | 33,1 | 1,7 | 0,4 | 9,6 |
| დუშეთის . . . . . | 1,1 | 0,3 | 0,1 | — | 0,5 | 0,1 | 5,7 | 1,5 | 34,5 | 8,8 | 2,3 | 0,6 | 23,5 |
| თელავის . . . . | 3,0 | 0,7 | 0,2 | 0,1 | 6,1 | 1,5 | 2,5 | 0,7 | 54,5 | 13,4 | 1,7 | 0,4 | 15,[illegible] |
| სიღნაღის . . . . . | 7,8 | 1,4 | 0,5 | 0,1 | 5,4 | 1,0 | 10,6 | 2,0 | 104,6 | 19,3 | 10,0 | 1,8 | 83,3 |
| ბორჩალოს . . . . | 5,4 | 2,0 | 0,1 | — | 1,3 | 0,5 | 27,0 | 9,9 | 51,6 | 18,9 | 11,8 | 4,4 | 22,5 |
| ახალქალაქის . . . | 1,8 | 0,7 | 0,1 | 0,1 | — | — | 1,8 | 0,7 | 74,9 | 29,7 | 8,0 | 3,2 | 62,6 |
| ახალციხის . . . . | 0,9 | 0,4 | 1,4 | 0,6 | — | — | 3,1 | 1,3 | 37,9 | 15,5 | 3,2 | 1,3 | 25,8 |
| სულ აღმ. საქ. . . | 25,4 | 0,8 | 6,5 | 0,2 | 17,6 | 0,6 | 84,2 | 2,8 | 654,0 | 21,3 | 44,3 | 1,4 | 313,[illegible] |
| ქუთაისის . . . . | 13,1 | 4,1 | 0,2 | 0,1 | 4,2 | 1,3 | 14,5 | 4,5 | 74,3 | 23,2 | 0,2 | 0,1 | 25,[illegible] |
| შორაპნის . . . . | 7,4 | 3,0 | 0,1 | — | 5,6 | 2,2 | 5,0 | 2,0 | 46,8 | 18,1 | 0,1 | — | 31,[illegible] |
| რაჭის . . . . . | 2,4 | 1,1 | 0,1 | — | 1,3 | 0,6 | 2,4 | 1,1 | 10,9 | 5,0 | 1,8 | 0,9 | 0,[illegible] |
| ლეჩხუმის . . . . | 2,4 | 1,1 | 0,3 | 0,1 | 0,1 | — | 1,3 | 0,6 | 8,2 | 3,9 | 4,1 | 1,9 | 2,1 |
| სვანეთის . . . . . | 2,3 | 0,9 | — | — | — | — | — | — | 2,4 | 0,9 | 2,8 | 1,0 | 1,1 |
| სენაკის . . . . . | 11,0 | 5,9 | — | — | 0,1 | 0,1 | 2,0 | 1,1 | 41,7 | 22,5 | 0,1 | 0,1 | 9,4 |
| ზუგდიდის . . . . | 10,2 | 4,2 | 2,2 | 0,9 | 0,1 | 0,1 | 10,0 | 4,1 | 47,4 | 19,7 | 0,1 | 0,1 | 9,9 |
| ოზურგეთის . . . . | 9,5 | 4,9 | 0,9 | 0,4 | — | — | 4,4 | 2,4 | 17,5 | 9,1 | 0,1 | 0,1 | 18,7 |
| სულ დას. საქ. . . | 58,3 | 3,1 | 3,8 | 0,2 | 11,4 | 0,6 | 39,6 | 2,0 | 249,2 | 13,2 | 9,3 | 0,5 | 99,1 |
| სულ შიდა საქ. . . | 83,7 | 1,2 | 10,3 | 0,2 | 29,0 | 0,6 | 123,8 | 2,5 | 903,2 | 18,2 | 53,6 | 1,1 | 412,6 |
| აფხაზეთი . . . . | 6,8 | 0,9 | 1,9 | 0,2 | 2,4 | 0,3 | — | — | 96,8 | 17,6 | 1,1 | 0,1 | 21,0 |
| აჭარისტანი . . . . | 2,0 | 0,7 | 2,0 | 0,7 | — | — | — | — | 12,0 | 4,6 | 2,0 | 0,7 | 4,1 |
| სამხ.-ოსეთი . . . | 0,6 | 0,2 | 0,2 | — | 0,3 | 0,1 | 2,8 | 0,7 | 43,7 | 11,0 | 2,4 | 0,6 | — |
| სულ საქ. ს. ს. რესპ. | 93,1 | 1,5 | 14,4 | 0,2 | 31,7 | 0,5 | 126,6 | 2,0 | 1055,7 | 16,5 | 59,1 | 0,9 | 437,7 |

*) მიწად მოქმედების კომისარიატის ცნობებით.

## ტინებში (%% აღებულია მაზრის მთელი ტერიტორიისა)*)

| %% | სულ სასოფლო-სამეურნეო მიწა | %% | საძოვარი: საზაფხულო | %% | საზამთრო | %% | ტყე | %% | სახალხო ძველეულ-ბი და საცდ. მინდ. | %% | ქოლაქების მიწები | %% | უვარგისი მიწები | %% | სულ | %% |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |
| 13,2 | 256,1 | 47,0 | 34,0 | 6,2 | 38,6 | 7,2 | 162,7 | 30,0 | 2,1 | 0,4 | 6,0 | 0,1 | 47,7 | 9,1 | 547,2 | 100 |
| 2,4 | 175,2 | 42,5 | 22,5 | 5,5 | 5,5 | 1,3 | 164,5 | 40,0 | 11,0 | 2,7 | 2,8 | 0,7 | 30,4 | 7,3 | 411,9 | |
| 6,0 | 67,7 | 17,3 | 120,3 | 30,6 | — | — | 106,1 | 27,0 | 0,6 | 0,2 | 0,5 | 0,1 | 97,4 | 24,8 | 392,6 | |
| 3,7 | 83,1 | 20,5 | 39,0 | 9,6 | — | — | 207,9 | 51,3 | 9,1 | 2,2 | 0,1 | 0,3 | 65,8 | 16,3 | 405,2 | |
| 15,3 | 222,2 | 40,9 | 4,4 | 0,8 | 196,4 | 36,1 | 73,6 | 13,6 | 1,2 | 0,2 | 1,2 | 0,2 | 44,4 | 8,2 | 543,4 | |
| 8,2 | 119,7 | 43,9 | 36,4 | 13,4 | 18,7 | 6,8 | 72,7 | 26,6 | 1,3 | 0,5 | 0,2 | — | 23,9 | 8,8 | 272,9 | |
| 24,8 | 149,2 | 59,2 | 72,9 | 29,0 | — | — | 3,1 | 1,2 | — | | 0,8 | 0,3 | 25,9 | 10,3 | 251,9 | |
| 10,5 | 72,3 | 29,6 | 31,9 | 13,1 | — | — | 114,7 | 46,9 | 0,1 | — | 1,0 | 0,4 | 24,3 | 10,0 | 244,3 | |
| 10,2 | 1145,5 | 37,3 | 361,4 | 11,8 | 259,2 | 8,4 | 905,3 | 29,5 | 25,4 | 0,8 | 12,8 | 0,4 | 359,8 | 11,8 | 3069,4 | |
| 7,9 | 132,0 | 41,2 | 13,6 | 4,3 | — | — | 107,3 | 33,5 | 0,5 | 0,2 | 6,3 | 2,0 | 60,2 | 18,8 | 319,9 | |
| 12,7 | 96,9 | 38,6 | 3,5 | 1,4 | — | — | 83,7 | 33,4 | 0,1 | — | 0,4 | 0,1 | 66,3 | 26,5 | 250,9 | |
| 0,2 | 19,4 | 8,9 | 57,0 | 26,2 | — | — | 74,4 | 34,1 | — | — | 0,2 | 0,1 | 66,9 | 30,7 | 217,9 | |
| 1,0 | 18,5 | 8,6 | 48,3 | 22,1 | — | — | 90,5 | 42,3 | — | — | — | — | 56,3 | 26,4 | 213,6 | |
| 0,4 | 8,6 | 3,2 | 50,1 | 18,8 | — | — | 125,8 | 47,1 | — | — | — | — | 82,5 | 30,9 | 267,0 | |
| 5,0 | 64,3 | 34,7 | 10,4 | 5,6 | — | — | 53,1 | 28,7 | 0,1 | 0.1 | 1,7 | 0,9 | 55,6 | 30,0 | 185,2 | |
| 4,1 | 79,9 | 33,2 | 12,1 | 5,0 | — | — | 98,4 | 40,7 | 0,1 | 0,1 | 1,2 | 0,5 | 49,3 | 20,5 | 241,0 | |
| 9,7 | 51,1 | 26,6 | 12,4 | 6,4 | — | — | 78,9 | 41,1 | — | — | 1,0 | 0,5 | 48,8 | 25,4 | 192,2 | |
| 5,3 | 470.7 | 24,9 | 207,4 | 11,0 | — | — | 712,1 | 37,7 | 0,8 | — | 10,8 | 0,6 | 485,9 | 25,8 | 1887,7 | |
| 8,3 | 1616,2 | 32,6 | 568,8 | 11,5 | 259,2 | 5,2 | 1617,4 | 32,6 | 26,2 | 0,5 | 23,6 | 0,5 | 845,7 | 17,1 | 4957,1 | |
| 2,8 | 130,0 | 16,9 | 160.0 | 20,9 | — | — | 422,5 | 55,0 | — | — | 9,9 | 1,3 | 44,7 | 5,9 | 767.1 | |
| 1,6 | 22,1 | 8,3 | 35,0 | 13,6 | — | — | 131,6 | 50,9 | 8,5 | 3,3 | 0,6 | 0,2 | 61,1 | 23,7 | 258,9 | |
| — | 50,0 | 12,6 | 121,4 | 30.8 | — | — | 149,4 | 37,9 | — | — | 0,6 | 0,1 | 73,0 | 18,6 | 394,4 | |
| 6,9 | 1818,3 | 28.5 | 885,2 | 13,9 | 259,2 | 4,1 | 2320,9 | 36,4 | 34.7 | 0,5 | 34,7 | 0,5 | 1024,5 | 16,1 | 6377,5 | |

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მიწის რაოდენობა — 4.957,1 ათ. დესეტინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში 1926 წ. ასე ნაწილდებოდა:

| | | აღმოსავლეთი საქართველო | დასავლეთი საქართველო | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამოსახლო . . . . . | | 25,4 | 58,3 | 83,7 |
| 2. ბაღები . . . . . | | 6,5 | 3,8 | 10,3 |
| 3. ვენახები . . . . . | | 17,6 | 11,4 | 29,0 |
| 4. სახნავი | სარწყავი | 84,2 | 39,6 | 123,8 |
| | ურწყავი | 654,0 | 249,2 | 903,2 |
| 5. სათიბი . . . . . | | 44,3 | 9,3 | 53,6 |
| 6. სასოფლო საბალახოები | | 313,5 | 99,1 | 412,6 |
| 7. სულ სას. სამ. მნიშ. მიწა | | 1.145,5 | 470,7 | 1.616,2 |
| 8. საძოვრები | საზაფხ. | 361,4 | 207,4 | 568,8 |
| | საზამთ. | 259,2 | — | 259,2 |
| 9. ტყე . . . . . | | 905,3 | 712,1 | 1.617,4 |
| 10. სახალხო მამულები და საცდელი მინდვრები | | 25,4 | 0,8 | 26,2 |
| 11. ქალაქების მიწები . . . | | 12,8 | 10,8 | 23,6 |
| 12. უვარგისი მიწები . . . | | 359,8 | 485,9 | 845,7 |
| **სულ** . . . . . | | 3.069,4 | 1.887,7 | 4.957,1 |

დასავლეთ საქართველოში არ არის საზამთრო საძოვრები; ის ღარიბია აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით სახნავი მიწებით და სასოფლო საბალახოებით. აღმოსავლეთ საქართველოში მიწათმფლობელობა უფრო მსხვილია და მოსახლეობა საშუალოდ დასავლეთ საქართველოზე უფრო უზრუნველყოფილია მიწით.

# მელიორაცია.

ძველი აღმოსავლეთი ჯერ კიდევ აკვირვებს ახალ დასავლეთს თავისი ყოფილი მაღალი კულტურის ძეგლებით. ძველი საქართველო ამ მხრივაც არ ჩამოუვარდება უძველესი აღმოსავლეთის კულტურასან ერებს. უახლოესი, სამწუხაროდ, თითქმის ყველა შემთხვევითი აღმოჩენები მიწის წიაღში, უდაოდ ამტკიცებს საქართველოს კულტურული მეურნეობის უაღრესად მაღალ განვითარებას. ასეთია ძეგლები წყალთა მეურნეობისა, რომელიც 12 დან 16 საუკუნემდე ფრიად განვითარებული იყო საქართველოში. იქ, სადაც ამჟამად ხელისუფლებას გაყავს, ან სურს ახალი არხების გაყვანა, ამ შორეულ დროში ამჟამად არსებულ არხების გარდა, სხვა არხებიც არსებობდა. ასეთია არხები: ტირიფონის, დოღლაურის, ალაზნის, ყარაიას და სხვ.. სარწყავი არხები გაჰყავდათ მოსახლეობის ხარჯზე.

წყალთა სისტემის მდგომარეობაზე უზენაესი ზედამხედველობა უმაღლეს ხელისუფლებას ეკუთვნოდა. არხების მმართველობა იყო წყლის მოსარგებლეთა ხელში, რომელნიც ირჩევდენ წყლის ადმინისტრაციას. არსებობდა განსაკუთრებული შტატი ხელოსან-ტეხნიკებისა, რომელნიც თვალყურს ადევნებდენ არხების შეკეთებას და გაყვანას. ისინი სახელმწიფო ვალდებულებათა მხრივ ძალიან დიდი შეღავათებით სარგებლობდენ და ამიტომ ხელობის ცოდნა შთამომავლობაზე გადადიოდა.

მე-15-ე საუკუნის ბოლო და მე-16-ე საუკუნის დასაწყისი წყალთა მეურნეობის დაცემის ხანა იყო საქართველოში. შახ შახაბაზის მეთაურობით სპარსეთის ბარბაროსების შემოსევამ დაანგრია საქართველო, ხოლო ამის შემდგომმა მძიმე ისტორიულმა განსაცდელმა საქართველოს არ მისცა საშუალება თავისი წყალთა მეურნეობის აღდგენის და განვითარებისა. საქართველოს ნგრევის ამ გრძელ პერიოდში დაიღუპა და გაფუჭდა მისი უდიდესი არხები.

საქართველოზე მეფის რუსეთის ბატონობის ხანას, რომელიც 117 წელი გრძელდებოდა, თითქმის არ შეუცვლია წყალთა მეურნეო-

ბის საქმის მდგომარეობა, თუმცა, მართალია, მე-19-ე საუკუნის მე-40-ე წლებში დაწყებულ იქნა იორსკის არხის გაყვანა მარიენფელდის გერმანულ ახალშენისათვის. ის შენდებოდა თითქმის 15 წლის განმავლობაში და შენება დამთავრდა 1860 წელში, რის შემდეგ ის მალე დაინგრა. შემდეგ 1864--69 წლებში აშენებულ იქნა ყარაიას არხი, 16 ათასი დეს. მოსარწყავად, სადაც რუსის მთავრობა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოყვანილ რუსებს ასახლებდა. ქართული მოსახლეობისათვის არც ერთი არხი არ გაყვანილა.

არხების მოწყობას სერიოზული ყურადღება მიექცა მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ.

გასაბჭოების პირველ ორ წელში—1921—22 წ.წ. მოსახლეობის მიერ დაწყებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

**აღმოსავლეთ საქართველოში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლამი მისაქციელი | 3.000 | დეს. | მოსარწყავად. |
| 2. მარიენფელდი | 500 | „ | „ |
| 3. ტირიფონის არხი | 25.000 | „ | „ |
| 4. სკრა-ქარელი | 3.000 | „ | „ |
| 5. დოესი-გრაკალი | 2.000 | „ | „ |
| 6. მადჯიდის (ახ.-ქალაქ. მაზ.) | 1.600 | „ | „ |

**დასავლეთ საქართველოში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 7. მაშველი | 12.000 | „ | „ |
| 8. პირველი საბჭოთა არხი | 9.000 | „ | „ |
| 9. მათხოჯის არხი | 2.000 | „ | „ |
| 10. კულაში-ღანირი | 2.500 | „ | „ |
| 11. ხოხოულის ჭალები | 2.500 | „ | „ |
| 12. დიმი როკითი | 1.600 | „ | „ |
| 13. ვანი-ტობანიერი | 10.000 | „ | „ |

მუშაობა არხების გასაყვანად ყველგან ვერ მიმდინარეობდა წარმატებით და ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა არხი არ არის დამთავრებული. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება მაშველი (ჯერ-ჯერობით 12.000 დეს. ნაცვლად რწყავს მხოლოდ 3.000 დეს.), საბჭოთა I-ლი არხი, დიმი-როკითი, ხოხოულის ჭალები, ვანი-ტობანიერი, დოესი-გრაკალი, ლამი-მისაქციელი, მათხოჯის არხი და სკრა-ქარელი. ყველა ეს არხი მოითხოვს საგრძნობ ხარჯებს. ხელოვნური მორწყვა და ჭაობიანი ადგილების ამოშრობა აუცილებელია ჩვენში, როგორც სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის გაფართოვების და სა-

რწყავი მიწების მოსავლიანობის გადიდებისათვის, ისე მალარიახი რაიონების გაჯანსაღებისათვისაც.

აღმოსავლეთ საქართველოს უფრო მორწყვა ესაჭიროება, ხოლო დასავლეთ საქართველოს კი—შავი ზღვის ნაპირების ჭაობების ამოშრობა.

ჰიდროლოგიის მხრივ საქართველო იყოფა ორ ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულ რაიონად: დასავლეთი საქართველო შავი-ზღვიდან დაწყებული სურამის ქედამდე და აღმოსმვლეთი საქართველო—ყოფილი ტფილისის გუბერნიის ფარგლებში. დასავლეთ საქართველოში წლიური ატმოსფერული ნალექის რაოდენობა ირყევა 800-დან 2.000 მილიმეტრ. ზოგან 3.000 და მეტ მილიმეტრს აღწევს; აღმოსავლეთ საქართველოში—300-დან—600 მილიმეტრამდე.

საქართველოს საგეგმო კომისიის მოხსენებაში მელიორაციის შესახებ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი შემდეგ დახასიათებას ვპოულობთ:

„ატმოსფერული ნალექების წლის პერიოდებში განაწილების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში ატმოსფერული ნალექების უმცირესი რაოდენობა უმეტეს რაიონებში მოდის ვეგეტაციური პერიოდის პირველ ნახევარზე, აღმოსავლეთ საქართველოში კი—მეორე ნახევარზე, ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის შიგ ჩართვით. დასავლეთ საქართველოს დამახასიათებელია აგრეთვე ზაფხულობით ხშირი აღმოსავლეთის ქარი, რომელიც სწევს რა ბარომეტრულ წოლას, სწრაფად აშრობს ნიადაგს, რის გამო მცენარეები, თუ არ იქნა მორწყული, რამოდენიმე დღეში ყვითლდება და ხმება. ამიტომ დასავლეთ საქართველოში მოსახლეობა ხშირად ივნისამდე და თითქმის ივლისის ბოლომდე ვერ იწყებს თესვას გვალვიანი გაზაფხულისა გამო, ზაფხულობით კი მცენარეული ხშირად იღუპება ხშირი წვიმებისა და მაღლა შემდგარი წყლისა გამო, რომელიც ალპობს მცენარეულის ფესვებს.

აღმოსავლეთ საქართველოში თუმცა გაზაფხულის დიდი ნაწილი უმეტეს შემთხვევაში ნათესებისათვის ხელსაყრელია, მაგრამ მაისის დაწყებიდან ივნისის ბოლომდე ხშირი გვალვები და უწვიმობა ღუპავს ხორბლეულის კულტურას და სათიბებს, ხოლო მცირე რაოდენობა ზაფხულის ატმოსფერული ნალექებისა, ნიადაგის ძლიერი შრობის პირობებში, საზაფხულო კულტურების მოშენებას შეუძლებლად ხდის სარწყავი წყლის არსებობის გარეშე.

ამრიგად სარწყავი სისტემები აუცილებელია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში აუცილებლად საჭიროა 150 ათასი დეს. ჭაობების და ჭაობიანი ადგილების დაშრობა შავი ზღვის ნაპირებზე ბათომიდან დაწყებული სოხუმამდე.

სარწყავი სისტემების აუცილებლობას განსაკუთრებით გვიკარნახებს ქართველი გლეხობის მცირე მიწიანობა, რომლის ერთი კომლის საშუალო უზრუნველყოფა სას.-სამ. მნიშვნელობის მიწით უდრის 3,2 დეს., დასავლეთ საქართველოში კი კომლზე მოდის მხოლოდ 2,5 დესეტინა.

მიწის ასეთი სიმცირის პირობებში გლეხობის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის გადავა ინტენსიურ მეურნეობის წარმოებაზე, ეს კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება წყლით".

აქედან ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის არხების მოწყობას და ჭაობიანი ადგილების დაშრობას. განზრახულია მრავალ რაიონებში არხების გაყვანა და ფოთის ჭაობის დაშრობა. დასახული და ნაწილობრივ უკვე განხორციელებული მელიორატიული პროგრამის გატარება გაანაყოფიერებს 650.000 დესეტინა მიწას და გააჯანსაღებს ჩვენს ქვეყანას.

---

# გადასახლება და განსახლება.

გადასახლებას რუსის მთავრობა მუდამ პოლიტიკურ ხასიათს აძლევდა და ცდილობდა საქართველოს რუსიფიკაციას. ამიტომ თავისუფალ მიწაზე საქართველოში ის ასახლებდა არაქართულ ელემენტებს. ქართველი მოსახლეობა, რომელსაც ესაჭიროებოდა გადასახლება, მუდამ დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.

ამჟამად საქართველოს მთავრობა ცდილობს მოაწყოს მოჭარბებული მოსახლეობა.

საქართველოს შიგნით გადასახლების საკითხის გადაწყვეტის დროს გამოსავალი ფაქტია:

1) თავისუფალი მიწების არსებობა, 2) თავისუფალი მიწის გადასახლების საჭიროებისათვის რაციონალურად გამოყენება.

საქართველოს ბევრ რაიონს ახასიათებს: 1) უკიდურესი სიმცირე მიწისა, 2) სრული უვარგისობა ზოგიერთი მიწისა და მასზე მეურნეობის წარმოების შეუძლებლობა, 3) საერთო სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით ზოგიერთი ადგილების მოსახლეობისაგან განთავისუფლება.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბევრ რაიონში ჩვენი გლეხობა მოკლებულია მეურნეობის რაციონალურად წარმოებისათვის საჭირო მიწის რაოდენობას. *) (იხ. გვ. 40).

საქართველოში 140.000 გლეხურ მეურნეობას აქვს სახნავი და სათიბი კომლზე 1 დესეტინაზე ნაკლები და ბაღები და ძვირფასი კულტურები 0,1 დესეტინაზე ნაკლები. თუ აქედან გამოვრიცხავთ:

---

*) კრებული—„სოფლის მეურნეობა ა. „კავკასიაში 1924—25 წ.“

| მაზრები | I და II საგადასახადო ჯგუფის მეურნეობანი | სახნავი და სათიბი | | ბაღი და ძვირფასი კულტ. | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ამ ჯგუფებ. ყველა მეურნეობაზე მოდიოდა დესეტინა | ერთ მეურნეობაზე | ამ ჯგუფ. ყველა მეურნ. მოდიოდა დესეტინა | ერთ მეურნეობაზე |
| ახალქალაქის | 2.174 | 2.436 | 1,1 | — | 0,1 ნაკლები |
| ახალციხის | 3.666 | 3 328 | 0,9 | 162 | 0,1 |
| ბორჩალოს | 1.070 | 1.489 | 1,4 | 156 | 0,1 ნაკლები |
| გორის | 10.068 | 8.334 | 0,8 | 511 | 0,1 ნაკლები |
| დუშეთის | 1.457 [1 ჯგ.] | 1.192 | 0,8 | 56 | 0,1 „ |
| სიღნაღის | 12.424 | 7.665 | 0,6 | 2.474 | 0,1 |
| თელავის | 6.105 | 4.932 | 0,8 | 667 | 0,1 |
| ტფილისის | 672 [1 ჯგ.] | 657 | 0,9 | 93 | 0,2 |
| ზუგდის | 12.023 | 10.908 | 0,9 | 86 | 0,1 ნაკლები |
| სენაკის | 14.268 | 19.308 | 1,3 | 68 | 0,1 „ |
| ოზურგეთის | 13.571 | 18.729 | 1,3 | 209 | 0,1 „ |
| ქუთაისის | 27.076 | 21.001 | 0,8 | 1.338 | 0,1 „ |
| ლეჩხუმის | 5.260 | 3.380 | 0,6 | 209 | 0,1 „ |
| რაჭის | 8.074 | 6.870 | 0,8 | 788 | 0,1 „ |
| შორაპნის | 26.707 | 14.546 | 0,5 | 2.015 | 0,1 „ |
| | 144.514 | 124.775 | 0,9 | 8.812 | 0.1 ნაკლები |

გ) 35.000 კომლს დასავლეთ საქართველოდან, რომელსაც უზრუნველყოფს მიწებით ფოთის ჭაობების ამოშრობა და ამის შემდეგ თუ ვივარაუდებთ, რომ დანარჩენი 90.000 მცირე მიწიანი მეურნეობიდან ნახევარი სხვა სამუშაოს იშოვის მრეწველობისა და შინა-მრეწველობის შესაძლებელ განვითარებასათან დაკავშირებით, მაშინ მაინც დარჩება 45.000 კომლი, რომელიც მიწით არ იქნება უზრუნველყოფილი.

აი, ეს უმიწა-წყლობის გამო ზედმეტი მოსახლეობა უნდა გადასახლებულ იქნას და მოეწყოს საქართველოს სხვადასხვა რაიონში, შემდეგ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის პირნი, რომელნიც სისტემატიურად ზარალდებიან წყალდიდობით, მეწყერით და სხვ.,

ა) ახალქალაქის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრების მცირე მიწიან მეურნეობებს, რომელთა დაკმაყოფილება შესაძლებელია ამავე მაზრებში არსებული მიწის ფონდებით,

ბ) 2.000 გორის მაზრის მცირე მიწიან მეურნეობებს, რომელთა დაკმაყოფილება შესაძლებელია ტირიფონის ველის მორწყვით, ანუ ისეთი პირნი, რომელთა გადასახლებას მოითხოვს საერთო სახელმწიფო ინტერესები—მთავარი დაცვითი ტყეების განადგურებისაგან გადარჩენის მიზნით. სულ ასეთ პირთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 2.000 კომლს. ამრიგად საჭიროა 47.000 კომლის საქართველოს ერთ რაიონიდან მეორე რაიონში გადასახლება.

ამ ჟამად საქართველოში თითქმის არ მოიპოვება თავისუფალი მიწის ფონდი, სადაც შეიძლებოდეს გადასახლება უმიწა-წყლო გლეხობისა, გარდა ტფილისის მაზრაში არსებული 1.600 დეს. მიწისა (ყარაიაში), სადაც შესაძლებელია დასახლებულ იქნას დაახლოებით 400 კომლი. მაგრამ შესაძლებლობა მიწის ფონდის მიღებისა არის, მიწის ფონდის გადიდება უმთავრესად შესაძლებელია მელიორაციის საშუალებით.

საქართველოში მელიორაციას შეუძლია მოგვცეს 200.000 დეს. მეტი სრულიად ახალი მიწა. მაგრამ უდიდესი ნაწილი სამელიორაციო მიწებისა მდებარეობს მცირე მიწიან მეურნეობით ყქლად დასახლებულ რაიონებში და ამიტომ მელიორაციით მიღებული მიწის დიდი ნაწილი ამ მცირე მიწიან გლეხთა მიწით უზრუნველყოფას მოუნდება. გადასასახლებლად შეიძლება გამოყენება მხოლოდ იმ რაიონებისა, სადაც მეურნეობა შედარებით კარგათაა მიწით უზრუნველყოფილი. ასეთ მაზრად შეიძლება მიჩნეულ იქნას სიღნაღის და ნაწილობრივ ტფილისის (ყარაია, სამგორი) და გორის მაზრა (ტირიფონის ველი).

შემდეგი ცხრილი შეიცავს მელიორაციის ხუთ წლიან პერსპექტიულ გეგმას, რომელშიაც ნაჩვენებია იმ კომლთა რაოდენობა, რომელთა დასახლება შესაძლებელი გახდება მელიორაციით მიღებულ მიწაზე:

| მაზრები | 1925/26 წ. გაფართოება: მელიორაციის საშუალებით | 1925/26 წ. გაფართოება: აგრარ. რეფ. საშუალებით | რამდენი კომლის მოწყობა შეეძლებ-ა *) | 1926/27 წ. გაფართოება მელიორაც. საშუალებ. | 1926/27 წ. კომლთა რიცხვი | 1927/28 წ. გაფართოებ. მელიორაც. საშუალებ. | 1927/28 წ. კომლთა რიცხვი | 1928/29 წ. გაფართოება მელიორაც. საშუალებით | 1928/29 წ. კომლთა რიცხვი | 1929/30 წ. გაფართოება მელიორაც. საშუალებით | 1929/30 წ. კომლთა რიცხვი | 5 წლ. გაფართოება: მელიორაც. საშუალებით | 5 წლ. გაფართოება: აგრარულ-რეფორმის საშუალებით | 5 წლ. კომლთა რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისის . . . . | — | — | — | — | — | — | — | 5000 (სამ-გორი) | 1250 | 10.000 (ყარაიაზი და საღან) | 2500 | 15.000 | — | 3.750 |
| გორის . . . . . | 2.000 (ტირი-ფონი) | — | 700 | — | — | — | — | — | — | — | — | 2.000 | — | 700 |
| სიღნაღის . . . . . | 1.000 (ელდა-რი) | 900 | 400 | 5000 (ელდა-რი) | 1000 | 5000 (ალა-ზანი) | 1250 | — | — | — | — | 11.000 | 900 | 2.650 |
| ბორჩალოს . . . . | — | 9.200 | 1800 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 9200 | 1. 800 |
| ახალქალაქის . . . | — | 3.500 | 700 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 3500 | 700 |
| ს უ ლ . . | 3.000 | 13600 | 3600 | 5000 | 1000 | 5.000 | 1250 | 5000 | 1250 | 10.000 | 2500 | 28,000 | 13.600 | 9.600 |

*) კომლთა რიცხვი გამოთვლილია იმ ანგარიშით, რომ გადასახლებულებს მიეცემა შემდეგი ნორმა: ტფილისის მაზრაში—4 დეს. კომლს. გორის მაზრაში (ტირიფონის ველი) 3 დეს. სიღნაღის მაზრაში—5 დეს., ელდარზე და ალაზანში, 4—4 დეს.,ბორჩალოს მაზრაში—5 დეს., ახალქალაქის მაზრაში—5 დეს.

1925/26 წ, განმავლობაში გადასასახლებლად ნავარგისი მიწის რაოდენობა გადიდებულ იქნება 16.000 დესეტინით, ხოლო ხუთი წლის განმავლობაში—1925/26—1929/30 წ.წ. მიწის ფონდი მიაღწევს 40.000 დეს. და მიწაზე შეიძლება დასახლებული იქნას დაახლოვებით 10.000 კომლი.

---

# საძოვრები.

საქართველოში გვაქვს როგორც საზაფხულო, ის საზამთრო საძოვრები. საზაფხულო საძოვრები მდებარეობს ზღვის დონეზე— 6.000—12.000 ფუტით მაღლა, სადაც საკმაო სითბოს უქონლობის გამო, არ ხეირობს პურეული მცენარე და ვერ იზრდება ხე-ტყე, სამაგიეროდ, ზაფხულის თვეებში აქ ხეირობს ბალახეულობა, რომლითაც იკვებება საქონელი. ასეთი სახის საძოვრების სათიბათ გამოყენება უმეტეს ნაწილად შეუძლებელია და ეკონომიურად არახელსაყრელი. ასეთი ადგილების გამოყენება შეიძლება მხოლოდ საზაფხულო საძოვრებად, უმთავრესად ცხვარის საბალახოდ. საქართველოში საზაფხულო საძოვრები მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, ნაწილობრივ კი მცირე კავკასიის ჩრდილო ნაწილის შემადგენელ მთებზე.

საზამთრო საძოვრები მოიპოვება დაბლობ ველებზე და დაბალ გორაკებზე, სადაც ზაფხულობით არ იზრდება მცენარეული. ამ სასაძოვრებით სარგებლობას ხელს უწყობს რბილი და მცირე თოვლიანი ზამთარი. საზამთრო საძოვრები მდებარეობს მდინარე მტკვრის, ივრის და ალაზნის მიდამოებში.

1880 წელს ყოფილ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში საძოვრები მოსარგებლეთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ასე ნაწილდებოდა:

| სულ მოსახლეობის სარგებლობაში იყო: | მათ შორის სოფლის საზოგადოებათა ხელში: | ამხანაგობათა ხელში | ცალკე მეჯოგეთა ხელში: |
|---|---|---|---|
| | **საზაფხ. საძოვრები:** | | |
| 182.400 დეს. | 140.800 დეს. | 35.500 დეს. | 6.100 დეს. |
| | **საზამთრო საძოვრები:** | | |
| 264.800 დეს. | 160.000 დეს. | 90.800 დეს. | 13.900 დეს. |

რუსეთის მეფის მთავრობა საძოვრების სარგებლობისათვის პირველად აწესებდდა განსაზღვრულ ხარკს—„საბალახოს“ ნატურით, ჯოგის რაოდენობის მიხედვით, შემდეგ კი საძოვრების ქირა დაწესებულ იქნა ფულის სახით.

1884 წ. კი დაწესებულ იქნა ქირა დესეტინაზე. ტფილისის გუბერნიაში საზაფხულო საძოვრის დესეტინაზე დაწესებულ იქნა ხარისხის მიხედვით, ოთხნაირი ქირა—80, 50, 25 და 10 კ. საზაფხულო საძოვარზე კი—10 კაპ. გარდა ამისა, როგორც დროებითი ზომა, დატოვებულ იქნა საძოვრის ქირა საქონლის თავზე იქ, სადაც საძოვრის რაოდენობა გამოურკვეველი იყო.

რევოლიუციის შემდეგ საძოვრები ნაციონალიზაციაქმნილ იქნა, მაგრამ სარგებლობის პირობები მაინც ძველი დარჩა.

გასაბჭოების ხანაში მოხდა ზოგიერთი ტერიტორიალური ცვლილებები, სახელდობრ: 1) არდაგანის საძოვრები ოსმალეთს მიეკუთვნა, 2) ნაწილი საზამთრო საძოვრებისა კი—აზერბეიჯანს.

ამ ჟამად საძოვრები შემდეგნაირად ნაწილდება მაზრებს შორის: (იხ. ცხრ. გვ. 46)

ეს ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რომელი მაზრა როგორ არის უზრუნველყოფილი საძოვრებით.

საქართველოს საგეგმო კომისის სასოფლო-სამეურნეო სექცია მაზრის საძოვრებს შემდეგნაირად ახასიათებს:

**ახალქალაქის საძოვრები** მდებარეობს 6—11 ათას ფუტით ზღვის დონეზე მაღლა. საკვები მასალის მხრივ დაბლობი ადგილების საძოვრები გამოსადეგია, როგორც მსხვილი, ისე წვრილი ჯოგისათვის. ახალქალაქის საძოვრები, გარდა თრიალეთის რაიონისა, უზრუნველყოფილია წყლით. ბალახი ნამიანია, ხანდისხან მოდის სეტყვა, რომელიც ზიანს აყენებს როგორც ჯოგს, ისე მცენარეულობას.

საძოვრები წარმოადგენს პლატოს, რომელზედაც გადის საურმე და საცალფეხო გზები. ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა ახალქალაქის საძოვრებით სარგებლობენ ტფილისის, სიღნაღის, თელავის და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებნი. ამ მაზრების მეცხვარეები სარგებლობენ ახალქალაქის მაზრაში 56.067 დეს. საძოვრით, თითეულ დესეტინაზე ბალახობს 10—20 თავი ცხვარი. ადგილობრივი მეცხვარეების განკარგულებაში არის 22.845 დეს. საძოვარი და სათიბი და ამის გარდა 44.765 დეს. სახაზინო მიწა, სადაც აგრეთვე სძოვს საქონელი. 1924 წ. ერთ დესეტინაზე მოდიოდა 5 თავი ცხვარი ადგილობრივი მცხოვრებლებისა.

საძოვრების სივრცე დესეტინობით:

| მ ა ზ რ ე ბ ი: | საზაფხულო | საზამთრო: |
|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | 78.912,8 | — |
| 2. ბორჩალოს . | 45.000 | 25.000 |
| 3. სიღნაღის . . | 4.428 | 154.957 |
| 4. თელავის . . | 69.526 | — |
| 5. ტფილისის . | 30.083 | 36.816 |
| 6. გორის . . | 26.494 | 7.799 |
| 7. დუშეთის . . | 35.000 | 1.820 |
| 8. ახალციხის . | 37.536 | — |
| 9. ქუთაისის . | 15.650 | — |
| 10. შორაპნის . | 3.530 | — |
| 11. რაჭის . . . | 55.620 | — |
| 12. ლეჩხუმის . | 20.742 | — |
| 13. სენაკის . . | 10.428 | — |
| 14. ზუგდიდის . | 54.440 | 3.709 |
| 15. ოზურგეთის | 21.453 | — |
| ს უ ლ . . | 508.842,8 | 230.101 |

**ბორჩალოს მაზრის საძოვრები** საზღვრავს სომხეთის, ახალქალაქის და ტფილისის მაზრებს. სიმაღლე—4.500—9.000 ფუტამდე. ბალახი მაღალი ღირსებისაა. ადგილ-ადგილ გვხვდება სათიბები. ეს ნაწილი გამოსადეგია მსხვილი საქონლის შესანახად, რის გამო იქ მოწყობილია ყველის და კარაქის გასაკეთებელი ქარხნები. ახალქალაქის მოსაზღვრე საძოვრები კი უფრო წვრილ რქიან საქონლისათვისაა გამოსადეგი. ბორჩალოს საძოვრებით სარგებლობენ მუსულმანები იმავე ბორჩალოს და ნაწილობრივ ტფილისის მაზრის (ყარაია) მცხოვრებნი.

ბორჩალოს მაზრის საზამთრო საძოვრებიდან (25.000 დეს.) ყველაზე უფრო მაღალხარისხოვანია ილგუჯინის და ბაბაკიარის, ისინი განსაკუთრებით კარგია მსხვილი რქიანი საქონლისათვის. ადგილობრივი მეჯოგეები სწორედ ასეთი სახის მეჯოგეობას მისდევენ. საძოვრები აქ მდებარეობს 1.050—1.750 ფუტის სიმაღლეზე.

**სილნაღის მაზრის** საზაფხულო საძოვრები მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებზე. ისინი დაყოფილია ღრმა ხრამებით. ზოგან ადგილები ისე დაქანებულია ხრამისაკენ, რომ საქონლისათვის მიუწვდომელია. საძოვრების სიმაღლე 6.000—11.000 ფუტი. საძოვრებით სარგებლობა ასეთი სიმაღლის მიზეზით შესაძლებელი ხდება მხოლოდ თოვლის დადნობის შემდეგ, დაახლოვებით 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე. მისვლა-მოსვლა სწარმოებს მხოლოდ ბილიკების საშუალებით. უგზოობის გამო შორი ადგილებიდან იქ არ ერეკებიან საქონელს და ამიტომ ამ საძოვრებით სარგებლობენ მხოლოდ მახლობელი სოფლების მცხოვრებნი.

იმავე მაზრის საზამთრო საძოვრები, ე. ი. შირაქი და არამდარი, მცენარეულის ხარისხის მიხედვით, უმთავრესად ვარგა წვრილი ჯოგისათვის. ეს საძოვრები წყლით არ არის საკმაოდ უზრუნველყოფილი. აქა იქ გვხვდება მწარე-მარილიანი წყაროები. მშრალ ზამთრობით საქონლის ერთად-ერთი წყალ-დასალევი ადგილია მდინარე ივრი და ალაზანი. სიმაღლე — 224—2 500. შირაქით უმთავრესად სარგებლობენ მეცხვარე ქიზიყელები სილნაღის მაზრიდან, თუშები — თელავის მაზრიდან, ფშაველები — დუშეთისა და ტფილისის მაზრიდან.

**თელავის მაზრის** საზაფხულო საძოვრები მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობზე, 400—11.000 ფუტის სიმაღლეზე. ამ საძოვრებზე ხშირად გვხვდება მიუდგომელი კლდიანი ადგილები და როდოდენდრონების დიდი ზონები. ხშირია დიდი ქვების ჩამოვარდნის შემთხვევები, რომელიც სეზონის განმავლობაში ღუპავს დაახლოებით ჯოგის 3—4 %-ს.

მცენარეულის თვისების მიხედვით ეს საძოვრები გამოსადეგია მხოლოდ წვრილი რქიანი საქონლისათვის. ამ საძოვრებით სარგებლობს თუშების ჯოგი, რომელიც მიჩვეულია ადგილობრივ პირობებს. სხვა ადგილებიდან მორეკილი ჯოგი დიდად ზარალობს.

**ტფილისის მაზრის** საძოვრები მდებარეობს წალკის რაიონში 6.000 ფუტის სიმაღლეზე. საძოვრების ჩრდილო ფერდობი მცენარეულის თვისებით გამოსადეგია მსხვილი რქიანი საქონლისათვის. საძოვრების აღმოსავლეთი ფერდობი კი შეიძლება გამოყენებულ იქნას წვრილი რქიანი საქონლისათვის. საძოვრებით სარგებლობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც უმთავრესად მსხვილ მეჯოგეობას მისდევენ და აგრეთვე მომთაბარე მეცხვარეები. ტფილისის მაზრის საზამთრო საძოვრებია უმთავრესად ყარაიაში (სიმაღლე—1.000 —3.000 ფუტი). საძოვრები წყლით ნაკლებად არის უზრუნველყოფილი. სა-

ძოვრების მაღალი ნაწილი გამოსადეგია მსხვილი რქიანი საქონლისათვის, ხოლო დაბლობი ნაწილი—წვრილი საქონლისათვის. საძოვრებით სარგებლობენ ადგილობრივი მუსულმანები—ნახევრად მომთაბარენი. მათი ერთად-ერთი სამუშაოა—მეჯოგეობა.

**გორის მაზრის** საზაფხულო საძოვრები მდებარეობს ტფილისის და ახალქალაქის მაზრების მიჯნაზე. თავისი სიდიდით და ღირებულებით განირჩევა „ქცია" და „ნარიანი". საძოვრებს უკავია მდ. ქციას ახლოს მთაგორიანი ადგილი. ისინი მდიდარია სათიბებით, მაგრამ უგზოობისა გამო მათი სარგებლობა გაძნელებულია. ეს გარემოება იძულებულს ხდის მცხოვრებთ მოთიბული ბალახი იქვე დასტოვონ და ჯოგი მოაწყონ საზამთრო შენობებში. „ქცია" საკმაოდ უზრუნველყოფილია წყლით და მისი ერთი ნაწილი გამოსადეგია მსხვილი რქიანი საქონლისათვის. მდინარის გასწვრივ მდებარე საძოვრები გამოუსადეგარია, რადგანაც დაჭაობებული და მეტად ნამიანია და აქ ცხვარი ავადმყოფდება „პეპლით" (ჭიით). რაც შეეხება ამ რაიონის დანარჩენ საძოვრებს—ციციანის მთის სამხრეთი ნაწილი, „საჯავახო" და „სათარხნო", ისინი წარმოადგენენ მიწის ისეთ ნაჭრებს, რომლებიც ერთმანეთისაგან გაყოფილია გლეხების სახნავებით და ტყეებით. ისინი მცირე გამონაკლისის გარდა დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ. ეს ადგილები კლდიანი ადგილებია და მხოლოდ ცხვრებისათვისაა გამოსადეგი. აქა-იქ გვხვდება პატარ-პატარა, წყლით უზრუნველყოფილი მიწის ნაჭრები მაღალი ბალახით. გლეხები ამ ბალახს სთიბავენ და ზამთრისათვის ინახავენ. საძოვრებით სარგებლობენ უმთავრესად გორის ნაზრის მეცხვარეები და აგრეთვე სიღნაღისა და ტფილისის მაზრების მეცხვარეები.

**დუშეთის მაზრაში** (მასში შესულია წინანდელი თიონეთის მაზრის ნახევარი) საზაფხულო საძოვრები მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ფერდობებზე. ნიადაგი კლდიანია, ტყეებითაა მოფენილი და მზგავსად თელავის მაზრის საძოვრებისა, მდიდარია ხრამებით. გზები ცუდია. საძოვრებით სარგებლობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელნიც მისდევენ მსხვილ მეჯოგეობას.

**ახალციხის მაზრის** საძოვრები მდებარეობს მაზრის მთიან ნაწილში (სიმაღლე 5.000—9.500 ფუტი). საძოვრებით სარგებლობენ მახლობელ (1-2 ვერსის მანძილზე) სოფლების მცხოვრებნი.

**დასავლეთ საქართველოში** თითქმის მხოლოდ საზაფხულო საძოვრებია. მათი უდიდესი ნაწილი ადგილობრივი მნიშვნელობისაა. ზამთარში საქონელს კვებავენ სახნავ მიწებზე, ტყეში ან ჭაობიან ადგილებში (ფოთის რაიონი). შემოსავლის მხრივ დასავლეთ საქართვე-

ლოს საძოვრები საგრძნობლად ჩამოუარდება აღმოსავლეთ საქართველოს საძოვრებს

მოწესრიგებას მოითხოვს საძოვრებით სარგებლობის საკითხები, აგრეთვე საჭიროა ამ მეურნეობის რაციონალიზაცია. ეს საკითხი შეადგენს სპეციალისტების შესწავლის საგანს.

ხელისუფლებაც ამ საკითხს დიდი ყურადღებით ეპყრობა.

---

# სატყეო მეურნეობა.

საქართველოს ტყეების სივრცე სიზუსტით არ არის გაზომილი; არც ტყეა განიხრული, გარდა ზოგიერთი მცირე კუთხეებისა. მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენში მოიპოვება, საქართველოში ტყეებს ორ მილიონ ნახევარ დესეტინამდე სივრცე უჭირავს.

საბჭ. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებ შორის ტყეები ასეა განაწილებული:

| | | | | მთელი ტერიტორია. |
|---|---|---|---|---|
| აჭარისტანის ავტონ. რესპ. | 164.340 | დეს. | 26% | 620.000 დეს. |
| აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკა | 499.901 | „ | 65 „ | 768.000 „ |
| დასავლეთი საქართველო | 677.206 | 1,616 ათ. | | 33,5%*) |
| აღმოსავლეთი საქართველო | 938.978 | | | 4.900 000 „ |
| სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი | 237.750 | „ | 75% | 370.000 „ |
| ს უ ლ | 2.518.175 | დეს**). | | 6.310.000 დეს. |

2.518.175 დესიატანა მთლიანად არაა ტყით დაფარული. ამ რაოდენობიდან 400 ათასი დესეტინა ტყე მოსპობილია; ტყე ფარავს მხოლოდ 2.128.500 დესეტინას და ეს სივრცე საქართველოში ასეა განაწილებული:

| | |
|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში . . . | 720.494 |
| დასავლეთ საქართველოში . . . . | 506.070 |
| სამხრეთ ოსეთში . . . . . | 237.750 |
| აჭარაში . . . . . | 164.340 |
| აფხაზეთში . . . . . | 499.901 |
| სულ საქართველოში . . | 2.128.555 |

*) ფაქტიურად ნაკლებია, თანახმად მიწად მოქმედების კომ. ცნობებისა 25% არ უნდა აღემატებოდეს, რაც 1.226 ათ. დესეტ. შეადგენს.

**) Эконом. Вестник Закавказья № 1, 1924 стр. 26. „Леса Закавказья“ Виноградова—Никитина.

ამ რიცხვიდან დაახლოვებით 72,5%-მდე ფოთლოვანი ტყეა და 27.5%-დე წიწვოვანი.

ჯიშების მხრივ ტყე ასე ნაწილდება:

აფხაზეთში: წიფელა და რცხილა—60%, ნაძვი და სოჭი—30%, მუხა, იფნი (კოპიტი), წაბლი და სხ. 9%, ბზა და კაკალი (ნიგოზი) 1%.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში წიფელა—25% მურყანი—(თხმელა) 22%, ნაძვი და სოჭი—20%, ფიჭვი—4%, მუხა—19% და დანარჩენი ჯიში—10%.

სპეციალისტების აზრით საქართველოს ტყეებს წელიწადში დესეტინაზე 110 კუბ. ფუტი ემატება, რაციონალური მეურნეობა მოითხოვს, რომ იმდენი ტყე იჭრებოდეს, რამდენიც ტყეს ემატება ბუნებრივი ზრდით, ხოლო ნედლი ტყის მარაგის ძირითადი ციფრი უცვლელად უნდა რჩებოდეს.

მეურნეობის რაციონალურად წარმოების პირობებში შეიძლება საქართველოს ტყეებიდან წლიურად გაიცეს ხე-ტყის შემდეგი რაოდენობა:

| | | |
|---|---|---|
| აფხაზეთში . . . . . | 41.240.000 | კუბ. ფუტით |
| აჭარისტანში . . . . . | 20.240.000 | „ „ |
| აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში . . . . | 194.260.000 | „ „ |
| სულ . . . | 255.740.000 | „ „*) |
| | ან—1.172.000 | კუბ. საჟენი |

მათ შორის წიწვოვანი ხე 36.150.000 კუბ. ფუტი, ფოთლოვანი კი 200.000.000 კუბ. ფუტზე მეტი. ხოლო თუ ხე-ტყეს საალმშენებლო და სათბობ (შეშა, ნახშირი) მასალებათ დავყოფთ, მაშინ გასაცემად შესაძლებელი ხე-ტყის რაოდენობა შემდეგი ციფრებით გამოიხატება: 70.000.000 კუბ. ფუტზედ მეტი საალმშენებლო მასალა, ხოლო დაახლოვებით 180.000.000 კუბ. ფუტამდე კი სათბობი.

საალმშენებლოდ გამოსადეგი ხის ერთი კუბიკური ფუტი მინიმალურად 8 კაპიკი რომ ვიზნგარიშოთ, ხოლო კუბიკური საჟენი შეშის მოჭრის ადგილზედ სამ მანეთად, მივიღებთ შემდეგ ღირებულებას:

---

*) Эконом. Вестник Закавказья № 1, стр. 27 Зактрегер „Лесная промышленность Закавказья“ стр. 3.

| | |
|---|---|
| საალმშენებლო ხე დაახლოვებით | 6.000.000 მან. ოქროთი |
| სათბობი მასალა დაახლოებით | 2.000.000 „ „ |
| სულ მოჭრილ ადგილზე | 8.000.000 მან. ოქროთი |

ვინოგრადოვნიკიტინის ასეთ თეორეტიულ გამოანგარიშებას ქართველი სპეციალისტები არ ეთანხმებიან. მიწათ-მოქმედების და საგეგმო კომისიის შასალებით სრულიად საქართველოში მთავარი ტყეებიდან ტყის მასალის გამოტანა შეიძლება შემდეგი რაოდენობით*).

| | მოსახლეობისათვის | მრეწველობისათვის | სულ | ბზ |
|---|---|---|---|---|
| | კ უ ბ ი კ უ რ ი | ს ა ჟ ე ნ ი | | |
| 1925/26 წ. | 100.610 | 74.073 | 174.583 | 30.000 |
| 1926/27 წ. | 103.610 | 82.437 | 186.047 | 30.000 |

სრულიად საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან იმავე წყაროების მიხედვით წლიურად შეიძლება ტყის მასალის შემდეგი რაოდენობით გამოტანა:

| რაიონები | არე-დესეტ. | საშენი მასალა ფოთლოვანი | საშენი მასალა წიწვოვანი |
|---|---|---|---|
| | | | კუბიკური ფუტი |
| თელავის | 34.000 | 1.060 | — |
| სიღნაღის | 30.000 | 395 | — |
| დუშეთის | 27.000 | 1.074 | — |
| ჭიათურის | 22.000 | 961 | — |
| მარელისის | 24.000 | 501 | 40 |
| ქუთაისის და ლეჩხუმის | 88.000 | 320 | 320 |
| რაჭის | 45.000 | 220 | 470 |
| ბაღდადის | 36.000 | 730 | 880 |
| გურიის | 24 000 | 270 | 330 |
| სვანეთის | 33.000 | 1000 | 700 |
| ფოთის | 18.000 | 895 | — |
| მტკვარის | 112.000 | 300 | 600 |
| | | 7.726 | 3.340 |

*) საქ. საგ. კომისიის ხუთი წლის პერსპექტიული გეგმა.

| | | | |
|---|---|---|---|
| **აფხაზეთი** | | | |
| სოხუმის | 73.050 | 2.600 | 400 |
| კოდორის | 199.972 | 20.680 | 5.000 |
| გუდაუთის | 135.744 | 10.500 | 3.900 |
| გაგრის | 15.757 | 440 | 1.300 |
| სულ | | 34.220 | 10.600 |
| **აჭარა** | | | |
| ბათომის | 40.000 | 2.000 | 2.900 |
| აჭარის | 40.000 | | |
| სამხრეთ ოსეთი | 84.000 | 3.100 | 1.000 |

47.046 ათ. 17840 ათასი ფუტი.

ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმით*) სრულიად საქართველოში შეიძლება მოიჭრას ხე (კუბიკური საჟენი)

| | მოსახლეობის მოსახმარად | მრეწველობისათვის | სულ | ბზა |
|---|---|---|---|---|
| 1925/26 წ. | 100.610 | 74.073 | 174.583 | 30.000 |
| 1926/27 „ | 103.610 | 82.437 | 186.047 | 30.000 |
| 1927/28 „ | 107.610 | 111.019 | 218.629 | 30.000 |

საპერსპექტივო გეგმის მიხედვით დღევანდელ პირობებში აჭარაში და სამხრეთ ოსეთში სატყეო მეურნეობა ზარალს იძლევა. საქართველოში შემოსავლის 90% ისევ ტყეებს უნდება; მხოლოდ აფხაზეთის ტყეები ტოვებს შედარებით მნიშვნელოვან მოგებას სატყეო მეურნეობის შემოსავალ—გასავალი მთელ საქართველოში საპერსპექტივო გეგმით შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

*) საქართველოს საგ. კომისიის ხუთი წლის გეგმა.

| | 1925/26 წ. | | 1926/27 წ. | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა მასალის | შემოსავალი მანეთებში | რაოდენობა მასალის | შემოსავალი მანეთებში |
| 1. აღმოსავლეთ და დასავ. საქართველოში . | 30.583.095 | 786.928 | 32.783.095 | 911.228 |
| 2. აფხაზეთში . | 1.810.000 | 150.300 | 1.810.000 | 155.300 |
| 3. აჭარაში . . | 2.974.000 | 32.000 | 3.174.000 | 44.000 |
| 4. სამხრეთ ოსეთში . | 3.800.000 | 37.500 | 3.900.000 | 41.000 |
| სულ კუბ. ფუტი | 39.157.095 | 1006.728 | 41.667.000 | 1.152.028 |

ხარჯები ამავე გეგმით არის ნაანგარიშევი 1925/26 წ. 905.803 მან. და 1926/27 წ. 1.093.171 მან.

სახელმწიფო ტყეების შემოსავალ-გასავალი რევოლიუციამდე საშუალოდ წლიურად უდრიდა: შემოსავალი—180.200 ათას მან. ე. ი. დესეტინაზე მოდიოდა 20-25 კაპ. ცნობები კერძო მესაკუთრეების ტყეებიდან შემოსავლის შესახებ არ მოიპოვება. სახელმწიფო ტყეებიდან კი შემოსავალი თანდათან მატულობდა. 1909 წ. შემოსავალი უდრიდა 100—180.000 მან. ხოლო 1916 წ. კი 250.000 მან. მიაღწია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტყეების შემოსავალი უდრიდა 1922/23 წ. 360.000 მან. და 1923/24 წლ. 426.000 მან.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა სპეციალისტების მიერ სისწორით არაა გამორკვეული, მაგრამ გამოსადეგ ხეების რიცხვში, ურევია რამოდენიმე პროცენტი მეტად ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა ბზა და ურთხმელი, რომლებიც სახარატო წარმოებაში იხმარება, მეტად დიდი სიმაგრის მქონე ძელქვა, კაკლის ხე (ნიგვზის ხე), რომლიდანაც აკეთებენ მშვენიერ ავეჯეულზედ გადასაკვრელ სიფრიფანას (ფანერს) და სხვ. რეზონანსის მომცემი ფიჭვი, რომლიდანაც მუსიკალურ ინსტრუმენტებს ამზადებენ და სხვ.

ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან თავის თავად ცხადია, რომ სატყეო მეურნეობის რაციონალურად წარმოებას და ხე-ტყის მასალების დამზადების საქმის სათანადო დონეზე დაყენებას შეუძლია სა-

ქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში ხე-ტყის მრეწველობას მიეკუთვნოს ერთი უპირველესი ადგილთაგანი და აუარებელი მასალა და ნაწარმოები მიაწოდოს მსოფლიო ბაზარს.

სამწუხაროდ მეურნეობის არავითარი საღი წესი არ იყო დაცული საქართველოს ტყის ექსპლოატაციის საქმეში. ძვირფასი საალმშენებლო მასალა საწვავად იხმარებოდა—ამის მაგალითები მოყვანილი აქვს ვინოგრადოვ—ნიკიტინს: მცხეთის მახლობლად მყოფი **ფანქრის** ხეებისაგან შემდგარი ტყე გაიკაფა და **ნახშირად** გამოიწვა ტფილისისათვის; ტფილისის ბაზარზედ შეშად იყიდებოდა ძელქვის, იფნის და ნაკვერჩხლის ხეები. არც საალმშენებლო მასალების საქმე იყო უკედ დაყენებული: შპალებზედ (განძელებზე) იხარჯებოდა ძელქვა, ქუჩებში დასაგებად—კაკლის ხე, ამავე დროს კი ტფილისის ავეჯეულობის ქარხნებში ხმარობდნენ მურყანს, იაფ და მეტად ცუდი ღირსების ხეს; ძვირფასი ხეები ყველგან გაკაფულია, საიდანაც კი ადვილი იყო მათი გამოტანა. სადაც კი გამოტანა ძნელდებოდა, იქ სტოვებდნენ ადგილობრივ 70% ხის ნარჩენს და არავითარი ანგარიში არ ეწეოდა ნარჩენის დიდ ღირებულებას. ხანდისხან მხოლოდ მოჭრილი ხის ღეროს შუა ნაწილი გამოჰქონდათ ტყიდან და ადგილობრივ სტოვებდენ რამდენიმე საჟენს ღეროს ქვეითა ნაწილისას, მკვრივ მორს, რომელსაც ხის ნაწილებიდან ყველაზე მეტი ფასი აქვს. ამას იმიტომ სჩადიოდენ, რომ ეძნელებოდათ მძიმე მორის ტყიდან გამოტანა, ან არ იცოდენ, როგორ გამოეტანათ ის. მასალებს დიდხანს სტოვებდენ ტყეში, ხანდისხან მთელი წლობით, რის გამოც ის იგრიხებოდა და ლპებოდა. ცუდათ მოწყობილი სახერხი ქარხნები ვერ ამზადებდნენ გასატანად სავარგის მასალას. ცუდათ დამუშავებული საუცხოვო თვისების ხეც თავის ფასს ჰკარგავდა.

საქართველოში რომ რაციონალურად ეწარმოებინათ სატყეო მეურნეობა და წესიერად დაემუშავებინათ ხის მასალები, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ქაღალდის მსხვილ ფაბრიკების დაარსება, ხის ქიმიური დამუშავება, მისგან სამკურნალო საშუალებათა მიღება, მაგ. გვაიაკოლის, კრეაზოლის, თიაკოლის, მთრიმლავი ექსტრაქტების და სხვ. შეეძლოთ აგრეთვე სკიპიდარის, კანიფოლის და სხვა დამზადება.

აქ ჩვენ ჩამოვთვლით ისეთ ტყეებს, რომელნიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან:

1) გაგრის მხრის ტყე შეიცავს: 14.000 დესეტინას. სპეციალისტების გამოანგარიშებით გაგრის მხრის ტყეს 40 მილ. კუბიკ. ფუტამდე ხის მოცემა შეუძლია. ეს ტყე ხელუხლებელია და უმთავრესად ნაძვისა და ფიჭვისაგან შესდგება. ამ ცოტა ხნის წინად ფრანგი კა-

პიტალისტები აპირობდენ ამ ტყის საექსპლოატაციოთ დიდი წამოწყების დაარსებას. ტყე გაჭიმულია ზღვის ნაპირებამდის. მოჭრის შემდეგ ხეების ჩამოტანა ზღვის ნაპირებამდე შეიძლება დაცურებით.

2) დიდი ტყე არის იქ, სადაც მდინარე ბზიბი ზღვას ერთვის, იგი 118 ათას დესეტინას შეიცავს და გაგრის მხრის ტყის გაგრძელებას წარმოადგენს. ამ ტყის ზემო ნაწილში მრავლად არის წიწვოვანი ხეები, ქვემო ნაწილი კი დაფარულია ფოთლოვანი ტყით. ფიჭვისა და ნაძვის გარდა აქ იზრდება წაბლი (წლიურად 90.000 კუბ ფუტის გამოტანა შეიძლება), ურთხელი (წლიურად 15.000 კუბ. ფუტი) და კავკასიური ბზა, ეს უკანასკნელი მრავლად არის და ძვირფასი თვისებისაცაა. სარწმუნო ცნობებით კავკასიური ბზის დიამეტრი აქ 6—10 გოჯამდის აღწევს, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ბზას ექვს ათას დესეტინამდე სივრცე უჭირავს, ყოველწლიურად შეიძლება 40.000 ფუტი ბზის გატანა. ეს დიდი სიმდიდრეა. აქვე არის დიდძალი-მუხა და კოპიტი. წლიურად ამათი დამუშავება შეიძლება 800.000 კუბ. ფუტამდე. ნიადაგის სინოყიერის და თბილი ჰავის გამო ტყეს შეუჩერებლივ ემატება.

აქ შეხვდებით ისეთ იშვიათ ტყეებს, რომლებიც 300 წლისანი არიან და მაინც იზრდებიან, ჩვეულებრივ პირობებში კი ტყე ბერდება 80—100 წლის შემდეგ.

სამწუხაროდ, ამ შესანიშნავი ტყის ექსპლოატაცია არ სწარმოებს.

3) შემდეგ ძლიერ ხშირი ტყეა იქ, სადაც მდინარე კოდორი ერთვის ზღვას. ეს ტყე შეიცავს 80—90 ათას დესეტინას. იქაც ვხვდებით ბზას და წაბლს. მრავლად არის მუხა, წიფელა და რცხილა, ზემო ნაწილში კი არის სოჭი და ნაძვი.

4) სვანეთის ტყე შეიცავს 100 ათას დესეტინაზედ მეტს, აქედან 70 ათასამდე წიწვოვანი ტყეა—სოჭის, ფიჭვის და ნაძვისა. აქ შეიძლება შეხვედრა აგრეთვე რეზონანსის მომცემი ფიჭვისა.

5) ბაღდადის ტყე შეიცავს დაახლოვებითი ანგარიშით 55 ათას დესეტინას. აქაც მრავლად არის წიფელა, ფიჭვი, გვხდება აგრეთვე წაბლიც. ამ ტყის ექსპლოატაცია უფრო სწარმოებს, ვიდრე დანარჩენისა, იგი ძლიერ ახლოა რკინის გზის ლიანდაგთან.

6) სურების ტყის სივრცე 20—25 ათას დესეტინას უდრის. აქედან შესაძლებელია ხე ტყის გატანა მდინარე სუფსით, თუ უკანასკნელის კალაპოტი გაწმენდილ იქნება. ეს ხელშეუხებელი ტყე მეტათ მსხვილია და მდიდარი მაღალი ღირსების ხეებით. მეტ წილად ნაძვის და ფიჭვის ჯიშებია.

7) ახალციხის რაიონის ტყეს 120—130 ათასი დესეტინა უჭირავს, ამ რაიონში საკმაოდ კარგად არის შენახული ტყეები, მდინარე მტკვარით შეიძლება რკინის გზამდე ხეების ჩამოზიდვა.

8) საჩხერის ტყე 35 ათასი დესეტინაა. ამ ტყის ნაწილი რკინის გზის შპალებს (განძელებს) ხმარდება, აგზადებენ აგრეთვე საკასრე ფიცრებსაც.

9) ლენტეხის ტყის რაიონს 50 ათას დესეტინამდე უჭირავს. იქ უმეტესად წიწვოვან ხეების ჯიშებია, გვხდება აგრეთვე რეზონანსის მომცემი ფიჭვიც.

10) ბორჯომის ტყე 42 ათასი დესეტინაა. ეს ერთად ერთი ტყეა საქართველოში, სადაც წესიერად არის დაყენებული სატყეო მეურნეობა. გაყვანილია გზები და ტყის ცალკე რაიონები შეერთებულია ერთმანეთთან ტელეფონის ქსელით. ტყის ექსპლოატაცია კარგადაა მოწყობილი, აი ამიტომაა, რომ ბორჯომის ტყე ყოველთვის შემოსავალს იძლევა, რესპუბლიკის დანარჩენი ტყეები კი ან დეფიციტს იძლევა, ან უმნიშვნელო შემოსავალს, ასე, მაგალითად, ყოფილი ქუთაისის გუბერნიაში ტყის ერთი დესეტინა იძლეოდა 13 კაპიკს შემოსავალს წელიწადში, ბორჯომის ტყის ერთი დესეტინას კი მოქონდა 14 მანეთი შემოსავალი.

11) ბათომის რაიონის ტყეები მეტ წილად წიწვოვანი ჯიშებისაგან შესდგება: იქ არის ნაძვი, ფიჭვი, სოჭი და აგრეთვე წიფელა. ეს ტყეები მშვენივრად არის შენახული და ძვირფას მასალას წარმოადგენს ზღვის სიახლოვის გამო. საქართველოს აქვს კიდევ დიდი ტყეები სხვა და სხვა მხარეებში: გომის, ალაზნის, რაჭის და სხვა. რაჭის ტყე შეიცავს 50 ათასამდე დესეტინას, ამ ტყის ხეები მშვენიერი თვისებისაა: ტყის ტერიტორიას ისეთი მდინარეები რწყავენ, რომელთა წყალვარდნილებსაც დიდი ენერგიის მიწოდება შეუძლია ჰიდროელექტრონულ წამოწყებათათვის. ტყით დაბურულ რაიონის მთებში დიდი მინერალური სიმდიდრე მარხია და ბევრი სამკურნალო თვისების მქონე წყაროებიც გამოდის. მათი გამოყენება მჭიდროთ არის დაკავშირებული ტყის ექსპლოატაციის საკითხთან, სანამ ტყის მრეწველობა არ ჩადგება შესაფერ კალაპოტში, არ გაკეთდება გზები, მადნეულის და ტყის ექსპლოატაცია არ გაინაწილებენ აუცილებელ დიდ წინასწარ ხარჯებს, სანამ ეს რთული სამრეწველო საკითხი დიდ კაპიტალის საშუალებით რაციონალურად არ იქნება გადაჭრილი, მანამდე ტყის და მინერალურ სიმდიდრეთა ცალ-ცალკე ექსპლოატაციის მოწყობა შეუძლებელია ეკონომიურად ხელსაყრელ პირობებში.

ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, აფხაზეთში, სამეგრელოში და სვანეთში, სადაც მიწის წიაღში ჩამარხულია დიდი მინერალური სიმდიდრე, მისი ზედაპირი კი დაფარულია საექსპლოატაციოდ გამოსადეგი ტყით, ხოლო ეს ტყეები უმრავლეს შემთხვევაში მიუვალ მთებზე არის დღეს დღეობით.

საქართველოში ტყე დიდი სისწრაფით ნადგურდება, მრავალ ადგილას ისპობა. ზოგან ის კიდევაც მოისპო. ამ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს მრავალი მძიმე შედეგები.

ტყის განადგურების ერთი მთავარი მიზეზთაგანი არის ის, რომ მოსახლეობას არა აქვს საკმაო მიწა. აღმოსავლეთ საქართველოში სულზე მოდის მიწა—0,8 დეს. და დასავლეთ საქართველოში—0,5 დეს. აშკარაა, რომ მიწის ასეთი მეტად მცირე ნორმა და ისიც პრიმიტიული მეურნეობის პირობებში, მოსახლეობას ვერ გამოკვებავს.

მოსახლეობა მოკლებულია აგრეთვე საძოვრებს.

ასეთ პირობებში მოსახლეობა ცდილობს რაც შეიძლება ტყის მეტი ნაწილი სახნავ სათესათ აქციოს და ამავე დროს პირუტყვს ტყეში უშვებს და ამ რიგად ტყე სწრაფი ტემპით ნადგურდება.

ტყეების განადგურება-მოსპობა კი თავისთავად დიდი უბედურებაა. ტყეების განადგურება ცვლის ჰაერს; სადაც ქარი მოსახლეობას არ აწუხებდა, ტყის განადგურების შემდეგ იქ ქარი დიდ ზიანს აყენებს მეურნეობას, ზოგან წყალდიდობა და ზვავი მოსახლეობას დიდ განსაცდელში აგდებს, ყველაფერი ეს ტყის განადგურების შედეგია.

საქართველოს საუკეთესო აგარაკები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ტყეებთან. თუ ეს ტყეები მოისპო ან თავისი დღევანდელი მნიშვნელობა დაჰკარგა, მათთან ერთად ზოგიერთი აგარაკიც მოისპობა და დანარჩენი დაკარგავს თავის თვისებას და ჰაერი გამოიცვლება. თუ ტყეები გაჩეხილი იქნა, ასეთი ბედი შეიძლება ეწვიოს ისეთ აგარაკებს, როგორიცაა აბასთუმანი, ბახმარო, წაღვერი და სხ.

სამწუხაროდ სააგარაკო ტყეებიც არ არის სათანადოთ მოვლილი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთიან საქართველოში ტყეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მათ მოვლა—დაცვასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენი მრეწველობის სხვა დარგთა შორის ტყეების ექსპლოატაციამ ერთი უპირველესი ადგილთაგანი უნდა დაიჭიროს და მის ფაბრიკა—ქარხნების საშუალებით განვითარებამ საგარეო ვაჭრობისათვის მრავალ მილიონებად ღირებული საქონელი უნდა მისცეს საქართველოს.

ომის წინა დროსაც საკმაოდ დიდი მასშტაბით გაჰქონდათ საქართველოდან ხე-ტყე. მოქ. აბხაზის ცნობით ომის წინ უკანასკნელი

ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზედ გატანილია 66 ათასი ტონა ხის მასალა. ამ მასალათა შორის განსაკუთრებული ადგილი ბზას (კავკასიურ პალმას) ეჭირა. ომის შემდეგ საქართველოდან ევროპაში და ამერიკაში გაჰქონდათ კაკლის (ნიგვზის) ხე და ბზა.

ომის დაწყებამდე ყოველწლიურად საქართველოდან საშუალოდ გაჰქონდათ უმთავრესად შემდეგი ხის მასალები: *)

| | | |
|---|---|---|
| სხვადასხვა ნაირი მორი . . . . | 2.204 | ფუთი. |
| ლატნები და კოჭები . . . . | 53.848 | „ |
| ფიცრები და შპალები . . . . | 238.077 | „ |
| კაკლის (ნიგვზის) ხე . . . . . | 293.272 | „ |
| ბზა . . . . . | 48.662 | „ |
| საკასრე ფიცრები და სხვა ჯიში ხე | 42.048 | „ |
| სხვა მასალები . . . . . | 13.594 | „ |
| შეშა . . . . . | 77.689 | „ |

წლის განმავლობაში გატანილი სააღმშენებლო ხის მასალის რაოდენობა 742.005 ფუთს ან 12.164 ტონას უდრიდა, ხოლო შეშისა კი 77.689 ფუთს, ან 1.273 ტონას. მთლად ყოველგვარი ხის მასალის რაოდენობა კი 1909—1916 წ. საშუალოდ 13.437 ტონას შეადგენდა.

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობებით სახაზინო ტყეებიდან გამოჰქონდათ საშუალოდ წლიურად დაახლოვებით 65—70 ათასი კუბიკური საჟენი ხის მასალა, ანუ დესეტინიდან 0,08 კუბიკ. საჟენი. **).

**ომის შემდეგ გატანილია:**

| წელიწადი | სააღმშენებლო ხის მასალა | შ ე შ ა |
|---|---|---|
| 1919 | 7.591 ფუთი ან 124 ტონა | 3.000 ფუთი ან 49 ტონა |
| 1920 | 240.474 „ „ 3.942 „ | — — |
| 1921 ***) | 226.007 „ „ 3.704 „ | — — |
| 1924/24 | — 817 „ | — 152.400 |
| 1925/26 **) | — 2.607 „ | — 723.200 |

*) ცენტ. სტატ. სამმარ. კრებული 1923 წ. გვ. 69.
**) Перспект. пятилетний план лесн. хоз. ССР ГРУЗИИ
***) ცენტრ. სტატ. სამმართვ. კრებული 1923 წ. გვ. 64.
****) ა-კავ. სახ. ვაჭრობის მასალებიდან.

მთავარი რაიონები, სადაც ომამდე ხის მასალა მზადდებოდა ყოფილ აღმოსავლეთ საქართველოში: მტკვარის და მისი შტოების ნაპირები გორის და ახალციხის მაზრების ხეობებში, როგორიც არიან: ათენი, ცხინვალი, საციციანო, ბორჯომი, აწყური, წინაუბანი და კობლიანი. აქ უმთავრესად წიწვოვანი ხე იჭრებოდა—დაახლოვებით ორ მილიონ ნახევარი კუბიკური ფუტი მერქანი, შემდეგ ეს მასალა მუშავდებოდა ახალციხის, გორის და ბორჯომის სატყეო ქარხნებში და დიდი ნაწილი დამუშავებული მასალისა ტფილისში იგზავნებოდა.

დასავლეთ საქართველოში წიწვოვანი ჯიში უმთავრესად ცხენის-წყლის, ლენტეხის და კუბლაკ-ჩალურის რაიონებში მზადდებოდა წლიურად 500—800 კუბიკ. ფუტის რაოდენობით. წიწვოვან ტყეებში მუშაობა წარმოებდა აგრეთვე ინგურის სათავეში, ტეხირის, სუფსის რაიონში და წაბლარის ხეობაში. ინგურის რაიონიდან დამზადებული ხის მასალა საზღვარ-გარეთ იგზავნებოდა.

ტყეების დამუშავება უმთავრესად ფოთის რაიონში სწარმოებდა: ჭალადიდში, ხეთაში, ქვალონში, ლანჩხუთში, ნატანებში და სხ., მუშავდებოდა ფოთის ქარხნებში; ნაწილი აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, დანარჩენი იგზავნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ერევანში (სომხეთში), ბაქოში, ყარსში და სხ.; ტფილისისათვის შეშა მზადდებოდა უმთავრესად ტფილისის, ბორჩალოს, შორაპნის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში.

შავი ზღვის ნაპირებიდან გაჰქონდათ უმთავრესად ძვირფასი ხეები: ბზა, ნიგოზი, წრთელი ხე, სარეზონანსო ფიჭვი და მუხა.

აფხაზეთიდან გაჰქონდათ 100.000 ფუთამდე ნიგვზის კუნძები და 90.000 ფუთამდე ბზა.

ეს ძვირფასი ხეები მონარქიული მთავრობის დროს უმოწყალოდ ისპობოდა; თითქმის სავსებით განადგურდა ბზა ოზურგეთის, ზუგდიდის, შორაპნის და ქუთაისის მაზრებში, სადაც ბზას დიდი არე ეჭირა. შეშათ ხმარობდენ ძელქვას ქუთაისის მაზრაში. ასეთივე ბედი ეწვია სხვა მრავალი ძვირფასი ჯიშის ხეს, როგორიცაა მუხა, წაბლი და სხ. მოისპო შუხა ალაზნის და ივრის ველებზე და ყარაიაში. საუკეთესო ხეები მოიჭრა და შეთხელდა მუხის ტყეები შორაპნის და ქუთაისის მაზრებში: აჯამეთში, ჯვარის-ციხეში, რცხიდათში და სხ.; თითქმის სრულიად მოისპო წაბლის ტყეები ოზურგეთის და შორაპნის მაზრებში და დარჩა სვანეთში, რაჭაში და სიღნაღის მაზრაში და ისიც იქ, საიდანაც ხის გამოტანა მეტად ძნელი იყო.

საქართველოს ტყეები ძალიან განადგურდა ომის შემდეგ რევოლიუციის და გარდამავალ ხანაში. 1923—24 წლიდან უკვე ტყეების

დაცვას და მოწყობას მეტი ყურადღება ექცევა და უფრო სისტემატიური და მტკიცე ხასიათი აქვს *).

ამჟამად თითქმის შეჩერებულია ტყეების ექსპლოატაცია და ხის მასალა აღარ გააქვთ საზღვარ-გარეთ, მაგრამ თუ ტყეების ექსპლოატაცია სათანადოთ იქნა დაყენებული და შესაფერისად მოწყობილ სახერხმა ქარხნებმა დაამზადა ხე-ტყის ისეთი მასალა, რომელიც საზღვარ-გარეთელ ბაზრებს ესაჭიროება დასამუშავებლად, ექსპორტი უეჭველად გამოცოცხლდება და დიდათ გადააჭარბებს ომის წინა დროის ექსპორტს. თუ რამდენი ხის მასალის გატანა იქნება შესაძლებელი ისე, რომ საქართველოს სატყეო მეურნეობას არავითარი ზარალი არ მიადგეს, ან როგორი და რომელი ჯიშის ხეების გატანა იქნება უმჯობესი, ეს უკვე ზევით გვქონდა ნაჩვენები, დაუმატებთ მხოლოდ, რომ უცხოეთის ბაზრებმა იციან საქართველოს ტყის თვისება და ხის ისეთ ჯიშებზე, რიგორიცაა: ბზა, ძელქვა, კაკალი (ნიგვზის ხე), ურთხელი და წიფელა, სოჭი და რეზონანსის მომცემი ფიჭვი—ყოველთვის იქნება მოთხოვნილება დასავლეთ ევროპაშიაც და საბჭოთა რესპუბლიკებშიაც; საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და კაპიტალის ჩადება.

მრავალი მაღალ წყალვარდნილიანი მდინარეები ჩამოდიან საქართველოს ტყეებში და მათ ჰიდრავლიურ ძალას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ტყეების ექსპლოატაციის საქმეში. ელექტროფიკაციაქმნილი მსუბუქი ტიპის რკინისგზები, სახერხი ქარხნები, მოწყობილი საშრობები და სხვ.—აი, ის საშუალებანი, რომელთაც შეუძლიანთ საქართველოს ჯერ ხელუხლებელი და მიუდგომელი ტყეები—ეს ბუნებრივი და მკვდარი მარაგი—მომავალში გადააქციონ ცოცხალ და მზრუნავ კაპიტალად რამდენიმე ასი ათას მშრომელთათვის.

საქართველოს ყველა ტყეს არა აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. მაგ. სააგარაკო ადგილებში მდებარე ტყეები: ბორჯომის, აბასთუმნის, ბახმაროს და სხვ. შენახულ უნდა იქნას, რომ ამ სამკურნალო აგარაკების ჰავა არ შეიცვალოს და მათ არ დაკარგონ თავიანთი სამკურნალო თვისებანი.

ხელუხლებლად უნდა დარჩეს ციცაბო კლდეებზედ მყოფი ტყეები, რადგან ისინი იფარავენ კლდეებს ჩამოქცევისაგან, საძოვრებს გზებს და ქვემოდ გაშენებულ სოფლებს წალეკვისა და სხვა უბედურებისაგან. დიდ საქმეთ უნდა ჩაითვალოს საფუძვლიანი შესწავლა

---

*) საქართველოს საგეგმო კომისიის გამოუცემელი შრომები. Пятилетний перспективный план по лесному хозяйству ССР Грузии

ტყეებისა, მათი მდებარეობისა და საწარმოვო უნარიანობისა. საქართველოს ტყეებიდან 8%-ი მეტი არ არის შესწავლილი, დანარჩენი შეუსწავლელია და მოუწყობელი. ცხადია, რომ სწორი მეურნეობა მაშინ არის შესაძლებელი, როცა ტყეები შესწავლილი, მოწყობილი და კარგად დაცული იქნება.

უნდა გამომუშავდეს ტყეების საექსპლოატაციო ორი გეგმა. ერთი—მახლობელ 2-3 წლისათვის, როცა არ შეგვეძლება სატყეო მრეწველობის სრულად გაშლა სათანადო სახსრების უქონლობის გამო, ე. ი. როცა არ გვაქვს საშუალება ვაწარმოვოთ რთული აღმშენებლობა, გავიყვანოთ რკინისგზის ხაზები, დაკიდებული გზები, გავწმინდოთ მდინარეები, რუები, მოვაწყოთ ტყის საზიდავი გზები, ნავთსადგურები და სხვა. ყველა ეს მეორე ხანასთვის უნდა გადაიდოს. ტყეების საექსპლოატაციო პირველ გეგმაში უნდა შევიტანოთ სახერხი ქარხნების მუშაობის განახლება: ანაკლიაში, რედუტ-კალეში, ფოთში და სხვა ადგილებში. მათთან ახლო მყოფ ტყეებში მუშაობა ან არ სწარმოებს და თუ სწარმოებს—იგი მეტად უმნიშვნელოა და უსიცოცხლო. ახლავე რომ იქნეს გამოყენებული ეს ტყეები და ქარხნები, ჩვენი მხარე სულ მოკლე დროს განმავლობაში მიიღებს მრავალ სავალიუტო საქონელს.

შემდეგში, როდესაც მსხვილი კაპიტალი შემოვა ჩვენს ქვეყანაში, ან საკუთარი სახსრები გვექნება, მაშინ უნდა შეუდგეთ ფაბრიკა-ქარხნების აშენებას, რომ შევიძლოთ ხის ნაწარმოებით და საალმშენებლო მასალით ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამას გარდა, რომ საზღვარ-გარეთ გავიტანოთ განსაზღვრული რაოდენობა დამუშავებულ სიფრიფანისა (ფანერისა), პარკეტისა, ტყის მატყლისა, ცელლიულოზისა, წიფლის და სხვა ხეების ავეჯეულობისა და ქიმიურათ დამუშავებული ხის ნაწარმოებისა.

მენშევიკების მთავრობის დროს და გასაბჭოების დასაწყისში აზრათა ჰქონდათ ასეთ წამოწყებების მოწყობა ბზიბის და ჩუბიხევის ტყეებში, რომელთა სივრცეც 250 ათასამდე დესეტინას უდრის.

ამ ტყეებში მრავლად არის დროგადასული ხეები, ამიტომ განზრახული იყო ბზიბის და ჩუბიხევის ტყეების გასაახლებლად თითეულ ტყიდან წელიწადში 100 ათასი კუბ. მეტრი ხე გაეცათ.

ორივე ტყეს საკონცესიო წესით მსხვილ კაპიტალის მქონე საზოგადოებას უპირებდენ გადაცემას, რომ უფრო მეტი სარგებლობა მოეტანა მათ ექსპლოატაციას, ვინაიდან ამ მხარეში რამოდენიმე ხის დამმუშავებელი წამოწყება დაარსდებოდა. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს სია იმ ფაბრიკა-ქარხნებისა, რომლებიც უნდა დაეარსებინათ კონცესიონერებს ბზიბის და ჩუბიხევის ტყეებში.

1) დიდი ძალის მქონე ჰიდრო-ელექტრონული სადგური;

2) შპალების (განძელების) და საკასრე ფიცრების დამამზადებელი სახერხი ქარხანა;

3) რონოდების, იატაკის, ჭერის, კარების, ჩარჩოების და სხვა ფიცრის დასამუშავებელი ფაბრიკა;

4) პარკეტის ფაბრიკა;

5) ტყის მატყლის დასამუშავებები ფაბრიკა;

6) წიფლის ავეჯის და სიფრიფანის (ფანერის) დასამზადებელი ფაბრიკა;

7) მუხის, კაკლისა (ნიგვზის ხისა) და სხვა სიფრიფანის დამამზადებელი, წიფლის და სოჭის ხისაგან საალმშენებლო და გარსისთვის საჭირო მასალების დამამზადებელი ფაბრიკა;

8) ცელლიულოზის ფაბრიკა და სხვა.

ახლანდელ მსოფლიო პირობების გამო სასურველია, რომ საქართველოს ტყეების ექსპლოატაცია ერთი საზოგადოების ან ტრესტის ხელში იყოს მოქცეული. ტყეების ერთი ორგანიზაციის ხელში მოქცევა შეუძლებლად გახდის მსოფლიო ბაზარზედ საქართველოს ტყეების საქონლის ურთიერთ შორის კონკურენციას, შეამოკლებს ადმინისტრაციის და მთავარ სპეციალისტების შესანახ ხარჯებს და სხვ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აქვს მოწყობილი სატყეო ტრესტი, რომელიც აწარმოებს ტყის დამზადება-ექსპლოატაციას მთელს საქართველოში.

---

# პურეულის მეურნეობა.

საქართველოში ხორბლეულის მეურნეობა მეურნეობის ყველა დანარჩენ სახეს სჭარბობს და სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის საერთო რიცხვის 80 პროც.-ს (81-დან—84-მდე) სოფლის მოსახლეობა შეადგენს*).

მიწით სარგებლობის სხვადასხვა სახეები შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

| | | |
|---|---|---|
| სამოსახლო . . . . . | 61.036 | დესეტ. |
| ნათესები . . . . . | 631·811 | „ |
| სათიბები . . . . . | 71.379 | „ |
| ბაღები . . . . . | 4.345 | „ |
| ვენახები . . . . . | 34·313 | „ |
| ბაღები და ვენახები . . | 6.167 | „ |
| სულ | 809.051 | დესეტინა. |

1917 წლის აღწერის თანახმად ნათესებს ვარგისი მიწიდან ეკავა:

| | (% %-ში) |
|---|---|
| დასავლეთ საქართველოში აჭარით . . | 48,9 |
| აღმოსავლეთ საქართველოში . . . . | 49,6 |
| აფხაზეთის ს. ს. რ. . . . . | 59,7 |

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობები ბაღ-ვენახებით დაკავებული სივრცის შესახებ სწორ წარმოდგენას არ იძლევა. მათ გაცილებით მეტი სივრცე ეჭირა, ვიდრე ამ ცხრილშია ნაჩვენები. ვენახებს ომამდე ეჭირა დაახლოვებით 60.000 დეს. და ხეწილის ბაღს კი მარტო გორის მაზრაში ეჭირა 8-დან 10 ათასი დე-

*) ამ ნაწილისათვის, გარდა სხვადასხვა სტატისტიკური მასალებისა, ჩვენ ვისარგებლეთ საქართვ. საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის საპერსპექტივო გეგმით და ლ. კარბელაშვილის გამოუცემელი შრომით.

სეტინა. მთელს საქართველოში კი ხეხილის ბაღების სივრცე ოც ათას დესეტინამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს განსხვავება საერთო სურათს მაინც არ ყცვლის და ხორბლეულით ნათესი სივრცე სამოსახლოებზე და სხვა კულტურულად დამუშავებულ მიწებზე უეჭველად ბევრად მეტია. ნათესების საერთო სივრცე 1906 წ.—1913 წლამდე ირყეოდა დაახლოებით 735 ათას დეს. სხვადასხვა რაიონებში სათესი არე შემდეგნაირად მატულობდა, თუ არ ვიანგარიშებთ ბათომის ოლქს:

**ათას დესეტინებში:**

| | 1906—10 | % % | 1909—13 | % % | 1920 |
|---|---|---|---|---|---|
| აღმოსავლ. საქართვ. . | 252,7 | 40,6 | 337,9 | 49,8 | 282,1 |
| დასავლეთი „ | 224,1 | 36,0 | 253,8 | 36,8 | 287,6 |
| აფხაზეთის ს. ს. რ. . | 114,9 | 23,3 | 91,7 | 13,4 | 46,6 |
| | 621,7 | — | 683,4 | — | 616,3 |

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ომამდე სათესი სივრცე ძალიან სწრაფად იზრდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, თითქმის ერთ დონეზე იდგა დასავლეთ საქართველოში, ხოლო აფხაზეთში კი ძლიერ შემცირდა.

ყოფილი ბათომის ოლქის სათესი სივრცე, ჩვენი წყაროებით, უდრიდა:

(საშუალოდ ათას დესეტინებში):

| 1906—10 წ. | 1909—13 წ. | 1917 წ. |
|---|---|---|
| 113 დ. | 52 დ. | 8 დ. |

რასაკვირველია, ამ ციფრებს ჩვენ არ შეგვიძლია ეჭვის თვალით არ შევხედოთ, მას ჩვენ ვერ დავეყრდნობით და ამიტომ სათესი მიწის სივრცეს საქართველოში ჩვენ ვიხილავთ ბათომის ოლქის გამოკლებით.

ომის პირობების ზეგავლენით საქართველოში სათესი სივრცე შედარებით 1909—13 წ.წ. 1916 წელს შემცირდა 329 ათას დესეტინით. ანუ 48 პროც.-ით, მაგრამ 1917 წელში ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში მოხდა გადატეხა. ომიდან დაბრუნებულმა გლეხებმა სათესი სივრცე ომამდე დამუშავებულ სივრცის 64,4 პროც.-დე

დაამუშავეს, ხოლო 1920 წელს კი სათესი სივრცე თითქმის გაუთანასწორდა ომის წინა დროინდელ სივრცეს და 90 პროც.-დე მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ბორჩალოს მაზრის ნაწილი უკვე არ შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

ხორბლეული მეურნეობის გავრცელება და განვითარება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთი ტემპით არ მიმდინარეობდა.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს საქართველოს სხვადასხვა ნაწილში სიმინდის და პურეულის სხვა სახეების გავრცელებას:

| | 1909—1913 წ.*) | | | | 1920 წ. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აღმოს. საქართ. | დასავლ. საქართ. | აფხაზეთი | ს ულ | აღმოს. საქართ. | დასავ. საქართ. | აფხაზეთი | ს ულ |
| ყველა სახის ხორბლეული გარდა სიმინდისა . . . . | 317,2 | 32,452 | 0,5 | 350,0 | 242,0 | 19,5 | 0,3 | 271,8 |
| სიმინდი . . | 20,7 | 221,355 | 91,1 | 333,2 | 40,0 | 268,1 | 46,3 | 354,5 |
| ს ულ . . | 337,9 | 253.787 | 91,6 | 683,2 | 282,0 | 287,6 | 46,6 | 616,3 |

ამ ცნობებიდან ვხედავთ, რომ ომამდე სიმინდს შედარებით ძალიან დიდი სივრცე ეჭირა.

1917 წლის ცნობებით დასავლეთ საქართველოში სიმინდს ეჭირა ხორბლეულით დათესილ მიწის 88.4 პროც. და აფხაზეთ-აჭარაში 98,5 პროც., აღმოსავლეთ საქართველოში—6,4 პროც., ხოლო ხორბლეულს—აღმოსავლეთ საქართველოში—93,6 პროც. და საქართველოს დანარჩენ ნაწილებში—13,1 პროც.

დასავლეთ საქართველოში ხორბლეულობა ითესება უფრო მთიან მაზრებში, სადაც 1917 წლის მასალების თანახმად ხორბლეულს ეკავა დათესილი მიწების:

*) ეს ცხრილი ცოტათი განსხვავდება მიწად-მოქმედების კომისარიატის და საგეგმო კომისიის ცხრილიდან: ამ უკანასკნელში 1909-13 წლ. 683,2 ათ. დესეტ. მაგიერ არის 655,5 ათ. დეს. და 1920 წ.—616,3 ათ. დეს. მაგიერ—634,9 ათ. დეს. ამ უკანასკნელი წყაროთი 1913 წ. პურეულობით იყო დათესილი 526,2 ათას დესეტინა.

[% %-ში]

| | |
|---|---|
| რაჭაში . . . | 39% |
| ლეჩხუმში . . . | 29,5% |
| შორაპანში . . . | 10,1% |

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილებში და მათ შორის აფხაზეთში და აჭარაში ხორბლეულობას უჭირავს მხოლოდ 0,5 პროც.

1919 და 20 წლებში სიმინდს 354 ათასი დესეტინა ეკავა მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენ ხორბლეულს, ერთად აღებულს, ეკავა მხოლოდ 262 ათ. დეს., ამ რიგად სიმინდის ნათესის სივრცე გაიზარდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და პირიქით, სხვა ხორბლეულის ნათესების არე შემცირდა საქართველოს ორივე ნაწილში; გამონაკლისს შეადგენს აფხაზეთი, სადაც სიმინდის ნათესის სივრცე 50 პროც.-ზე უფრო შემცირდა, რაც იმით აიხსნება, რომ 1918 წლიდან 1921 წლამდე აფხაზეთი სასტიკი ბრძოლის ასპარეზი იყო.

საქართველოში პურის ნათესის შემცირების ტენდენცია არ არის ბუნებრივი მოვლენა.

ომამდე საწინააღმდეგო ტენდენცია იყო: სიმინდის ნათესის სივრცე კლებულობდა, პურისა კი მატულობდა, რასაც თვალსაჩინოდ ყოფს შემდეგი ციფრები:

**ნათესილი მიწა ათას დესეტინებში:**

| წ ლ ე ბ ი: | სიმინდით | % | ხორბალით | % |
|---|---|---|---|---|
| 1906—10 . . | 359,7 | 100 | 176,6 | 100 |
| 1909—13 . . | 333,3 | 93 | 237,6 | 135 |

პურის ნათესის ასეთი სწრაფი ზრდა და სიმინდის ნათესის სივრცის საგრძნობლად შემცირება გვიჩვენებს მოსახლეობის შესაძლებლობას და სურვილს, რომ პურის პროდუქცია გაადიდოს და პურის ფქვილის იმპორტი შეამციროს.

პურის ნათესის შემცირება და სიმინდის ნათესის სივრცის გაფართოება აიხსნება ომით და რევოლიუციით. შექმნილ პირობებით სიმინდის მოწევა უფრო ადვილია და სიმინდი პურზე მეტ

მოსავალს იძლევა: დესეტინაზე სიმინდი დაახლოვებით იძლევა 80 ფ., პური, შვრია და ქერი—50 ფ.

ამ პირობებში აღმოსავლეთ საქართველომ პური სიმინდზე შეცვალა, მაგრამ ეს მოვლენა გარდამავალი და არა ნორმალურ დროისაა. თუ მივიღებთ მხედველობაში უფრო ნორმალურ დროს და საქართველოს ნიადაგს და კლიმატიურ პირობებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პურის ნათესის სივრცე კვლავ გაიზრდება, მაგრამ ამავე დროს უნდა გაიზარდოს მოსავალი დესეტინიდანაც, რომელიც ნიადაგის ცუდი დამუშავებისა და მორწყვის სინაკლულის გამო ძლიერ მცირეა, როგორც ამას სხვადასხვა ქვეყნების საშუალო მოსავლის ცხრილი გვიჩვენებს: (ფუთები).

| | ხორბალი | სიმინდი |
|---|---|---|
| საქართველო . . . . | 51 | 82 |
| უნგრეთი . . . . . | 82 | 114 |
| გერმანია . . . . . | 139 | — |
| დიდი ბრიტანეთი . . | 148 | — |
| შვეიცარია . . . . . | 148 | — |
| შვეცია . . . . . | 143 | — |
| ჰოლანდია . . . . . | 162 | — |
| ბელგია . . . . . | 164 | — |
| არგენტინა . . . . . | — | 106 |
| ავსტრალია . . . . . | — | 120 |
| ჩრ. ამერ. შეერთ. შტატ. | — | 117 |

ეს ციფრები თვალსაჩინოთ ყოფს იმ გარემოებას, რომ თუ საქართველოში რაციონალურად ვაწარმოებთ მეურნეობას, ჩვენ შეგვიძლია სამჯერ მეტი პურის მოსავალი მივიღოთ, ვიდრე დღეს ვიღებთ. ყველა ზემო-ჩამოთვლილ სახელმწიფოში, საქართველოს და უნგრეთის გამოკლებით, ხორბლით დათესილი დესეტინა მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე სიმინდით დათესილი.

რომ საქართველოში მოდიოდეს იმდენი მოსავალი, რომელსაც ევროპაში იღებენ, ე. ი. საშუალოდ დესეტინიდან 140 ფუთი, ჩვენ, გარდა სიმინდისა, 1909—13 წლებში საშუალოდ წლიურად გვექნებოდა დაახლოვებით 50 მილიონი ფუთი ხორბლეული. (350 ათ. დესეტინა ×140 ფუთზე), ნაცვლად 17,5 მილიონი ფუთის და სიმინდიც 33 მილიონი ფუთი – 27,6 მილ. ფუთის ნაცვლად, სულ კი გვექნებოდა 83 მილ. ფუთი პურეული – 43 მილ. ფუთის ნაცვლად.

1909 წ.—1913 წლამდე წლიური საშუალო მოსავალი უდრიდა: სიმინდის, ბათომის ოლქის გამოკლებით—27,3 მილ. ფუთს, ბათომის ოლქის ჩათვლით-კი—30,7 მილ. ფუთს; დანარჩენი ხორბლის კი 17,9 მილ. და 18,4 მილ. ფუთს. მთელმა მოსავალმა ბათომის ოლქის ჩათვლით მ. აღწია 49,1 მილ. ფუთს, ბათომის ოლქის გამოკლებით კი—45,2 მილ. ფ.

მაგრამ რამდენად აკმაყოფილებს საქართველოს ხორბლის ეს რაოდენობა?

საქართველოს მოსახლეობა 2,4 მილ. სულს უდრის. სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად ირკვევს პურის იმ რაოდენობას, რომელსაც წლიურად ხარჯავს ერთი სული საშუალოდ, მაგრამ ყველა ცნობა ირყევა სულზე 17,3—19,2 ფუთს მარცვლეულის და 14.4—15,7 ფუთ ფქვილის შუა. საქართველოს მიმართ უნდა ავიღოთ მაქსიმალური ნორმა, ვინაიდან სიმინდი ნაკლებად ნოყიერია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც სიმინდით იკვებება, ამიტომ საქართველოსათვის სულზე 19 ფუთი ნორმალურ რაოდენობად უნდა ჩაითვალოს. წელიწადში 19 ფუთი მარცვალი, დღეში კი სულზე მოდის 1,7 გირ. ცოტა მეტი, ეს რაოდენობა არ შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს. მეჯოგეების გარდა, ჩვენი მოსახლეობა უმთავრესად პურით იკვებება და ამიტომ მას ამერიკულ ან ევროპიულ მუშაზე და გლეხზე მეტი პური სჭირდება.

თუ ნორმათ მივიღებთ, 19 ფ., მაშინ 2,4 მილ. სულს დასჭირდება 45,8 მილ. ფუთი, ხოლო თუ ამას დავარგვალებთ, მივიღებთ 46 მილ. ფუთს. საშუალოდ წლიური მოსავალი 1909-დან 1913 წლამდე უდრიდა 49 მილიონ ფუთს, ამნაირად, მოსახლეობის აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილების გარდა, უნდა დარჩენილ იყო კიდევ თავისუფლად სამი მილიონი ფუთი. მაგრამ ყოველწლიურად სათესლედ ჩვენ დაახლოვებით 5,33 მილიონი ფუთი გვჭირია, მაშასადამე, ჩვენ ყოველწლიურად საშუალოდ გვაკლდებოდა 2,33 მილიონი ფუთი სათესლე, სათესლეს გარდა, ხორბლეული აუცილებელია საქონლისა და ფრინველისათვის; თუ რამდენი ფ. ხორბალი სჭირდებოდა საქონელს და შინაურ ფრინველს, ჩვენ ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ამის გამოკვლევა შეიძლება შემდეგი გზით: საშუალოდ საქართველოდან გაჰქონდათ 7 მილიონ ფუთზედ მეტი ხორბალი. ამ რიცხვიდან 5,3 მილ. ფუთს სიმინდი შეადგენდა და 800.000 ფუთს ხორბალი. იმავე დროს საქართველოში შემოქონდათ 11 მილიონი ფუთი ფქვილი, ამათში, დაახლოვე-

ბით 8 მილიონი ფუთი ხორბალი, 200.000 ფუთზედ მეტი სიმინდი, 1,5 მილ. ფუთზედ მეტი ქერი და შვრია იყო.

შემოდიოდა ხორბლეული 4 მილიონი ფუთით მეტი, ვინემ ის საქართველოდან გადიოდა. ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ მოსახლეობას სათესად არ ყოფნიდა 2,33 მილ. ფუთი მარცვალი. მაგრამ, მეორე მხრივ გადამეტება გატანილზე შემოტანილ რაოდენობის შეადგენს 4 მილიონ ფუთს; ეს რაოდენობა აკმაყოფილებდა იმ დანაკლისს, რომელიც ჩვენ გვქონდა სათესლე მასალის სახით (2,33 მილ. ფუთი) და რჩებოდა კიდევ 1,67 მილ. ფუთი. ეს 1,67 მილ. ფუთი ანუ, დაახლოვებით, 2 მილ. ფუთამდე «შესაძლებელია ვივარაუდოთ» საქონლის და ფრინველის გამოსაკვებათ მიდიოდა. რასაკვირველია, 2 მილ. ფუთი ძლიერ ცოტაა მათ გამოსაკვებათ და სინამდვილეში უთუოდ მეტი იხარჯება, მაგრამ საშუალოდ და დაახლოვებით 2 მილ. ფუთის ვარაუდი თამამად შეიძლება.

რომ მიწის დამუშავების ტეხნიკა გაუმჯობესდეს და ჩვენში მიწის დამუშავება მოხდეს ევროპიულად, მაშინ ომამდე არსებულ სათეს სივრცეზე ჩვენ მივიღებდით 50 მილიონ ფუთის ნაცვლად 80 მილიონ ფუთზე მეტს. საქართველოს შეუძლია და უნდა შეესძლოს ამ შედეგის მიღწევა სათესი სივრცის გაუფართოებლად, საკმარისია სათესი სივრცის დამუშავების მარტო ტეხნიკის გაუმჯობესება.

თანამედროვე პირობებშიაც, თუ მიწის დამუშავების ტეხნიკას ცოტათი მაინც გავაუმჯობესებთ, პურის მოსავალი საქართველოში 49 მილ. ფუთიდან ადვილად მიაღწევს 53 მილ. ფუთს და საქართველოს კი პურის ეს რაოდენობა საკმაოდ ეყოფა, რადგანაც მას საშუალოდ წლიურად შემოაქვს 4 მილ. ფუთი პური.

ამიტომ მართალი არ არის ის, ვინც ამტკიცებს, რომ თითქოს საქართველოს არ შეეძლოს იარსებოს, თუ მან საზღვარგარეთიდან პური არ შემოიტანა; საქართველოს შეუძლია და უნდა დაკმაყოფილდეს თავისი საკუთარი პურით. ამ მიზანს საქართველო მიაღწევს მეურნეობის განვითარებით, რომელსაც არ შეუძლია არ იაროს წარმატების გზით. მიწის დამუშავების უფრო რაციონალურად დაყენება, ეჭვს გარეშეა, მოსავალს დესიატინიდან მიიყვანს ევროპის (დესიატინაზე) მოსავლის დონემდე, რომელიც თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე დესიატინის მოსავალი საქართველოში. პურის მოსავლის გადიდებით კი მოისპობა ერთ ერთი ელემენტი საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტიანობისა.

1913 წლის ფასებით 1909—1913 წლებში წლიურად საშუალოდ საქართველოში შემოტანილი და გატანილი ხორბლეულობის ღირებულება გამოიხატება მილიონ მანეთებში:

| | |
|---|---|
| შემოდიოდა . . . . . | 13,1 |
| გადიოდა . . . . . | 6,1 |
| პასივი . . . . | 7,0 |

ეს 7 მილიონი მანეთი, მიწად-მოქმედების კულტურის ოდნავ აწევით, ადვილი გასაძევებელი იყო ჩვენი სავაჭრო ბალანსიდან. ეს ამოცანა, უნდა ვიფიქროთ, რომ დადებითად იქნება გადაწყვეტილი მახლობელ წლებში, რის თავდებია საორგანიზაციო მუშაობის დიდი მასშტაბით წარმოება, რომელიც ბევრ ალაგას უკვე შესრულებულია და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კეთდება დღეს მეტად მნიშვნელოვანი არხები.

ომამდე და დღესაც საქართველოს მრავალ ნაწილში პურეულის მოსავალი მოსახლეობის მოთხოვნილებას შესამჩნევად აღემატება. საშუალოდ წლიურად 1909—13 წლ. ეს ჭარბობა მთელი პროდუქციის მიმართ პროცენტულად შეადგენდა:

აღმოსავლეთ საქართველოში:

| | | |
|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | მაზრაში | — 59,8 |
| 2. ბორჩალოს | „ | — 49,2 |
| 3. გორის | „ | — 11,2 |
| 4. სიღნაღის | „ | — 7,4 |

დასავლეთ საქართველოში:

| | | |
|---|---|---|
| 1. სენაკის | მაზრაში | — 33,7 |
| 2. ზუგდიდის | „ | — 23,8 |
| 3. ქუთაისის | „ | — 3,5 |
| 4. ოზურგეთის | „ | — 2,8 |
| 5. აფხაზეთში | „ | — 8,8 |

დიდ ზედმეტ მოსავალს იძლევა აღმოსავლეთ საქართველოში ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები და დასავლეთ საქართველოში—სენაკის და ზუგდიდის მაზრები.

საქართველოს, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, არ ყოფნის პურეულობის საკუთარი მოსავალი და მისი დეფიციტი უდრის 3—4 მილ. ფუთს, რომლის ღირებულება 7—7,4 მილ. მანეთით გამოიხატება.

1909—13 წლებში საქართველოში და საქართველოდან პურეულობის ექსპორტი და იმპორტი წლიურად საშუალოდ გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებში:

| ექსპორტი: | | | იმპორტი: | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა ათ. ფუთობ. | ღირებულება ათას მანეთ. | | რაოდენობა ათ. ფუთობ. | ღირებულება ათ. მანეთ. |
| სიმინდი . . | 5.196 | 2.079 | ხორბალი— | 7. 234 | 8.898 |
| ხორბლეულობა | 738 | 874 | ქერი და | | |
| | 5.934 | 2.953 | სიმინდი — | 445 | 961 |
| | | | ქატო — | 417 | 650 |
| | | | სხვა პურეული . . . . | 1.450 | 867 |
| | | | | 9.546 | 10.376 |

ბალანსი იძლევა დეფიციტს — 7.423 ათას. მანეთს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არის მიღებული მთელი რიგი ზომებისა, რომელიც აფართოვებს სახნავ-სათესი მიწის სივრცეს, გამოსადეგად ხდის უვარგის მიწებს, აუმჯობესებს ნიადაგს და მიწის დამუშავების ტეხნიკას. ყველა ამ ფაქტორების ზეგავლენით, საპერსპექტივო გეგმის თანახმად, ომამდე არსებულ სივრცესთან შედარებით 1930 წელს სახნავ-სათესი მიწის სივრცემ საერთოდ და კერძოდ პურეულობით დათესილ მიწის სივრცემ უნდა მოიმატოს პროცენტებში:

(ომამდე არსებული დონე აღებულია 100 პროცენტად).

| | სახნავ-სათესი მიწის სივრცემ საერთოდ | | კერძოდ პურეულობით დათესილ მიწის სივრცემ. |
|---|---|---|---|
| აღმოსავლ. საქართვ. . | 115 % | — | 92 % |
| დასავლეთ „ | 112 % | — | 110 % |
| აფხაზეთში | 100 % | — | 90 % |

ამავე დროს პურეულის პროდუქციამ უნდა იმატოს ომამდე არსებულ პროდუქციასთან შედარებით:

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში | — | 5 % |
| დასავლეთ „ | — | 12 % |
| აფხაზეთში | — | მიაღწევს ომამდე არსებულ დონეს. |

ეს ზრდა აბსოლუტურ ციფრებში ასე გამოიხატება:

| | ფუთი | | ფასი | | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| აღმოსავ. საქართვ. | 960.000 | — | 1 | — | 960.000 |
| დასავლეთ „ | 2076.000 | — | 0,6 | — | 1.245.000 |
| | 3.036.000 | | | — | 2.205.000 |

მელიორატიული ზომები, რომელნიც ხუთი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს—გააფართოვებს ვარგისი მიწების სივრცეს:

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში | — | 124.500 დეს. |
| დასავლეთ „ | — | 130.000 „ |
| აჭარაში „ | — | 5.000 „ |
| აფხაზეთში | — | 5.000 „ |
| სულ . . | — | 265.500 დეს. |

ამ სივრციდან 133.000 დესიატინაზე დაითესება პურეული:

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში | — | 62.250 დეს. |
| დასავლეთ „ (ამ ანგარიშში შედის აფხაზეთი და აჭარა) . . . . . | — | 70.500 დეს. |
| | | 132.750 დეს. |

გაუმჯობესებულ ნიადაგზე მოსავალიც მეტი იქნება და საერთოდ ნიადაგის გაუმჯობესებით და სათესი მიწის სივრცის გადიდებით 1909—1913 წლ. წლ. საშუალო მოსავალთან შედარებით 1930 წელს მოსავალი იქნება მეტი და მიაღწევს:

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში | — | 25.160.000 ფ. |
| დასავლეთ „ და აფხაზეთ-აჭარაში . . . . | — | 33.722 000 ფ. |
| სულ: . . | — | 58.882.000 ფ. |

წინანდელ მოსავალს მომავალი მოსავალი გადაამეტებს 10—16 მილიონი ფუთით, რომლის ღირებულება უდრის 8—12 მილ. მანეთს ე. ი. ჩვენი პურის პასიური ბალანსი გარდაიქმნება აქტივურ ბალანსათ.

ასეთია ჩვენი სოფლის მეურნეობის ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დარგის მომავალი, რომლის მოახლოვების და განხორციელების მიზნით სახელმწიფო იღებს მრავალ საჭირო და სერიოზულ ზომებს.

# მესაქონლეობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მესაქონლეობას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ჯერ კიდევ იმ დროში, რომელსაც ეკუთვნის გადმოკემა არგონავტების კოლხიდაში მოგზაურობის შესახებ (XII საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე) ბერძნების ისტორიკოსების ცნობებით საქართველოში აყვავებული იყო მეჯოგეობა და პურეულის მოყვანა. ისინი ამბობენ, რომ საქართველოში მოიპოვება ხარები, ცხვრები და გუთანი. ქსენოფონტეს აღწერილი აქვს (431—354 წ. ქრისტეს დაბადებამდე), თუ როგორი დიდი რაოდენობით აწოდებდენ მას კოლხები ცხვრის, თხის, ხბოს, ღორის ხორცს, ქათმებს და ცხენებს; აპოლონ როდოსიელი (200—250 წ. ქრისტეს დაბადებამდე) მოგვითხრობს, რომ „კოლხიდის მეფის სასახლეში არგონავტებს უნახავთ ოთხი შადრევანი, ამავე დროს ერთი შადრევანიდან მოდიოდა რძე, მეორედან ღვინო და სხვ.

ვახუშტი მოგვითხრობს, რომ ლორის რაიონში, გარდა აქლემისა, აუარებელი საქონელია, „ტაშირში (ბორჯომის ხეობაში) ჯოგის სიჭარბეა". პანავარის ტბის მიდამოებში ზაფხულობით აუარებელი ცხვრის, ცხენის და მსხვილი რქიანი საქონლის ჯოგი ბალახობს, დიღომის ველზე ზამთრობით მრავალი ცხვარი და ძროხა სძოვს. მდიდარი საზამთრო საძოვრები არის აგიანის ველზე (მუხრანის ველი), სადაც ყოველგვარი საქონელი სძოვს აქლემის გარდა... მთიულეთში და გველეთში უდუმო კუდიანი ცხვრებია „და სხვ...

მოყავს რა მესაქონლეობის 5 წლიანი (1925-1930 წ. წ.) პერსპექტიული გეგმის ავტორს—პროფ. ჯანდიერს ეს ისტორიული ცნობები, ის ამბობს: „უძველეს დროში მესაქონლეობას საქართველოში მეტად საპატიო ადგილი ეჭირა; ამ ჟამად მდგომარეობა შეცვლილია განსაკუთრებით თვისობრივად. კლიმატიური, ბუნებრივ-ისტორიული და ტოპოგრაფიული პირობების სხვადასხვაობა საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა საქონლის შენახვისა—კამეჩების, ცხვრების, ცხენების, ძროხების, ღორების—სხვადასხვა სიმაღლეზე", რადგანაც საქართველოში მიწები მდებარეობს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | —2000 | ფუტამდე | ზღვის | დონეზე | მაღლა | —16.450 კვ. ვერსი |
| 2.000 | —4000 | „ | „ | „ | „ | —12.563 „ |
| 4.000 | —6000 | „ | „ | „ | „ | —12.850 „ |
| 6.000 | 10.000 | „ | „ | „ | „ | 10.705 „ |
| 10.000 | —12.000 | „ | „ | „ | „ | — 1.020 „ |
| | | | | | | 53.588 კვ. ვერსი |

53.588 კვ. ვერსი უდრის 5.626.740 დესეტინას. ამ სივრცის ტოპოგრაფია, ამბობს შემდეგ პროფ. „ჯანდერი“ „გარდა სხვა ეკონომიური ხასიათის პირობებისა და მეურნეობის მიზანშეწონილად წარმოებისა, განსაზღვრავდა და ამ ჟამადაც განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში მესაქონლეობის უფრო მეტად განვითარებას, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისა, რასაკვირველია, არ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ზოგიერთ რაიონში მოსახლეობის არსებობის ფითქმის ერთადერთ საფუძველს მესაქონლეობა შეადგენს“.

4. 371.636 დეს. სახმარად ვარგისი მიწიდან 25% უკავია საძოვარ და სათიბავ მიწებს, მათ შორის სათიბი უდრის—87.370 დესეტინას და საძოვარი.—1.287.047 დესეტინას.

არსებული სტატისტიკური ცნობებით შინაური საქონლის რაოდენობა საქართველოში 1913, 1917 და 1923 წ. წ. აღწევდა.

| | 1913 წ. | 1917 წ. | 1923 წ. | 1925 წ. |
|---|---|---|---|---|
| ცხენი . . . . . | 120.508 | 88.296 | 74.305 | |
| ვირი . . . . . | 32.049 | 17.062 | 14.713 | |
| აქლემი . . . . | 454 | 905 | 225 | |
| მსხვილი რქიანი საქონელი . . . . | 1.144.991 | 1.041.648 | 1.003.712 | |
| კამეჩი . . . | 156.679 | 144.814 | 138.490 | |
| ცხვარი . . . . | 1.663.488 | 1.414.445 | 872.882 | 1.400.000 |
| თხა . . . . . | 190.867 | 196.771 | 141.621 | |
| ღორი . . . . . | 264.254 | 856.722 | 390.854* | |
| შინაური ფრინველი . . . | — | — | 3.426.059 | — |

*) მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში—97569, დასავლეთ საქართველოში—246 339, აფხაზეთში—46.670, აჭარაში—266.

ომისა და რევოლიუციის ხანაში ყველა სახის საქონლის რაოდენობა შემცირდა, გარდა ღორებისა, რომელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ძროხების რიცხვის შემცირება უფრო ძლიერი იყო აღმოსავლეთ საქართველოში (14,2%), აფხაზეთში (13,5%) და შედარებით ნაკლები დასავლეთ საქართველოში (5,7%), მაგრამ თუ ამ საკითხს მაზრობრივ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ძროხების რიცხვი 1917 წ. ცნობებთან შედარებით 1923 წლისათვის გაზრდილა სიღნაღის მაზრაში 22,7%-ით, ოზურგეთის მაზრაში—11,15%-ით, სენაკის მაზრაში—6,8%-ით და ქუთაისის მაზრაში—4,5%-ით. აბსოლუტურ რიცხვებში კი 1917 წელში საქართველოში იყო—331.559 თავი ძროხა, ხოლო 1923 წ.—318.091 თავი.

ძროხების რიცხვის შემცირებასთან პარალელურად მოდის მუშა-საქონლის რიცხვის გადიდება. 1917 წ. იყო ხარი—316.129 თავი 1923 წ. კი 331.347 თავი.

მსხვილი და წვრილი რქიანი-საქონელი სოფლის მოსახლეობის ას სულზე და ერთ მეურნეობაზე მოდიოდა:

| | მსხვილი რქიანი საქონელი: | | | | | | წვრილი რქიანი საქონელი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კამეჩები | | ხარები | | ძროხები | | ცხვრები | | თხები | | ღორები | |
| | 1917 | 1923 | 1917 | 1923 | 1917 | 1923 | 1917 | 1923 | 1917 | 1923 | 1917 | 1923 |
| სოფ. მოს. 100 სულზე | 5,75 | 5,23 | 17,01 | 16.99 | 17,84 | 16,31 | 75,23 | 4477 | 9,61 | — | — | — |
| ერთ მეურნეობაზე | 0,33 | 0,26 | 0,99 | 0,85 | 1,04 | 0,82 | 4,40 | 2,25 | 0,56 | 0.36 | 1,12 | 1,01 |

საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით უთანასწოროდაა განაწილებული კამეჩები და ცხვრები. 100 სულზე აღმოსავლეთ საქართველოში კამეჩი მოდიოდა 1917 წ. 8,53 თავი, 1923 წ. 8,34 თავი, ცხვარი-კი 154,81 და 92,68, ერთ მეურნეობაზე-კი იმავე აღმოსავლეთ საქართველოში მოდიოდა კამეჩი 1917 წ. 2,04, ცხვარი-კი 1917 წ. 9,54 და 1923 წ. 4,61.

საერთოდ საქართველოს რესპუბლიკა საქონლით ასე თუ ისე უზრუნველყოფილია. კაპიტალი, რომელიც მხოლოდ საქართველოს საქონელშია ჩადებული—150 მილიონ მანეთს აღწევს; ეს თანხა, თუ გავითვალისწინებთ მეურნეობის დღევანდელ ფორმებს, დაბანდებულია სოფლის მეურნეობის ნაკლებად ხელსაყრელ და თითქმის საზა-

რალო დარგში — მესაქონლეობაში. რომ არსებობდეს შესაფერი პირობები, რომლის დროს შესაძლებელი იყოს დახარჯული კაპიტალში წლიური 5%-ის მიღება, მაშინ სახალხო მეურნეობის ეს დარგი წლიურად მოგვცემდა $7^1/_2$ მილ. მანეთს. მაგრამ ეს ასე არ არის. პირიქით, სწორი გამოანგარიშებით, მესაქონლეობა, სამეურნეო ეკონომიურის თვალსაზრისით საზარალოა საქართველოს მოსახლეობისათვის, ამავე დროს მესაქონლეობის საქმე რომ ხეირიანად და სწორად იყოს დაყენებული (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქარხნებს, რომელიც ადიდებს ჩვენი მემინდვრეობის ბუნებრივ პროდუქციას) ჩვენ გვექნებოდა დაუშრეტელი წყარო რძისა, ხორცისა, მატყლისა და მექანიკური მუშაობისა. მესაქონლეობაში შეიძლება გვექნეს ჩვენშივე შესანიშნავი ბაზარი გასასაღებლად და გადასამმუშავებლად შედარებით ნაკლებ ღირებულების მემინდვრეობის პროდუქტებისა — უხეშ და ხორბლეულ საკვებისა, — ამავე დროს, როგორც მეცნიერების, ისე რაციონალური პრაქტიკის მიერ დამტკიცებულია, რომ საქონელი ამ საკვებს ანაზღაურებს მეტად უხვად, რასაკვირველია, თუ მისი აღზრდის, კვებისა და მოვლის საქმე სწორად არის დაყენებული. სულ მცირედი გაუმჯობესებანი ამ მიმართულებით მაშინათვე დადებით შედეგებს იძლევა და არა ერთ მილიონ მანეთს ჰმატებს სახალხო მეურნეობის ბიუჯეტს. მაგრამ საქონელი, რომელსაც ასეთი სიკეთის მოცემა შეუძლია, ჯერ-ჯერობილ თავს გვაბეზრებს და მრავალ ადგილას გადაშენების გზაზეა დამდგარი. ადგილობრივი ძროხის წველა არ აღემატება 26 — 30 ფ. წელიწადში. საქართველოში მესაქონლეობის გასაუმჯობესებელ და განსავითარებელ სხვადასხვა მთელ რიგ ღონისძიებათა შორის სდგას კითხვა საქონლის კვების შესახებ, რომლის ძირითად პრობლემას შეადგენს საძოვართა საკითხის სწორი გადაჭრა *).

## მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ა

საქართველოს მესაქონლეობაში მეცხვარეობას დიდი ადგილი უკავია. მას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. მეცხვარეობას მისდევს 3.000 ოჯახზე მეტი. არა სრული სტატისტიკური ცნობებით 1902 წ. საქართველოში (ბათომის ოლქიანად) ითვლებოდა სამ მილიონამდე თავი ცხვარი (2.883.000). 1913 წ. კავკასიის კალენდრის ცნობით ცხვრების რიცხვი 1.664.000-დე შემცირდა. ხოლო 1917 წ.-კი შემცირდა 1.414.000 თავამდე). დაახ-

*) იხ. თავი „საძოვრები".

ლოვებითი ცხობებით 1925 წ. საქართველოში ითვლებოდა 1.400.000 ცხვარი. საძოვრების მოუწესრიგებლობის მიზეზით 1910/11 წ.წ. საზამთრო საკვების უქონლობისა გამო, ჩვენმა მეცხვარეებმა დაჰკარგეს 150.000 თავამდე ცხვარი. მეცხვარეობას ანადგურებს აგრეთვე ეპიზოტია, რომელიც ყოველ-წლიურად მეორდება. განსაკუთრებით დიდ-ძალი ცხვარი დაიღუპა საერთაშორისო ომისა და მის შემდეგ მომხდარი რევოლუციის დროს. წესრიგის შესუსტებისა და სწორად მოწყობილ შინა დაცვის უქონლობისა გამო დიდად დაზარალდა საქართველოს მეცხვარეობა ჩრდილოეთ მთიულების და აზერბეიჯანის თურქების დაცემით. ასე, მაგალითად, დუშეთის მეცხვარეებს ომამდე ჰყავდათ 300 ათასი ცხვარი, მაგრამ დაცემებისა გამო 1922 წელში მათ ჰყავდათ არა უმეტეს 50 ათასი თავი ცხვარისა. დაცემას აწარმოებდენ ინგუშები, რომელნიც თიანეთის მაზრიდან და კახეთიდან ცხვრებს მიერეკებოდენ თერგის ოლქში; ძარცვავდენ და ცხვრებს მიერეკებოდენ აზერბეიჯანელი თურქები სიღნაღის და განჯის მაზრის საზღვრებზე. ძარცვას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ტფილისის ახლოსაც. დაცემას ამ ჟამათაც აქვს ადგილი. ამ მიზეზების გარდა მეცხვარეობის შემცირებაზე უშუალო გავლენა მოახდინა ომმა, რომელმაც გაადიდა მოთხოვნილება საქონელზე. მსხვილ საქონელს ლასაკლავად ყიდულობდენ სხვადასხვა ორგანიზაციები ჯარისათვის და ამ გარემოებამ გაადიდა ცხვრების დაკვლა სახორცედ. ტფილისის ქალაქის სასაკლაოზე დაკლულ იქნა 1897 წ.—110.469 თავი ცხვარი, 1900 წ. 16.524 თავი ცხვარი, 1913 წ.—157.784 ცხვარი, ხოლო 1915 წელს 230.392 ცხვარი. ცხვრის ხორცზე მოთხოვნილების გადიდებამ გამოიწვია ცხვრის ფასის გადიდებაც, რამაც ძარცვისა და საძოვრების საკითხის გაძნელების პირობებში გამოიწვია მეცხვარეების მიერ მათი ცხვრების გაძლიერებული გაყიდვა.

ცხვრების რაოდენობის შემცირებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ნაწილი იმ საძოვრებისა, რომელზედაც საქართველოს ცხვარი სძოვდა, ა.-კავკასიაში ცალკე რესპუბლიკების შექმნის შემდეგ, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლების გარედ დარჩა. მაგ. სიღნაღის მაზრის საზამთრო საძოვრების ნაწალი გადავიდა აზერბეიჯანის ხელში, ხოლო ყარსის ოლქის საზაფხულო საძოვრები სომხეთში მოექცა. ომამდე საქართველოდან ცხვარი ირეკებოდა თერგის ოლქში მოზდოკისა და ყიზლიარის საძოვრებზე, აგრეთვე დაღესტანში—პეტროვსკის საძოვრებზე.

1884 წ. 29 ივნისის კანონის საფუძველზე ხდებოდა საძოვრების პერიოდულად გადანაწილება მოსახლეობის შორის ნამდვილ

საჭიროების მიხედვით, ე. ი. ჯოგის მიხედვით. აგრონომი ტიმოფეევი ა.-კავკასიის რესპუბლიკების მიწად-მოქმედების კომისარიატების ყრილობაზე (1924 წ. 30 მარტი) ტფილისში საძოვრების საკითხის შესახებ შემდეგ ახსნას იძლევა: საძოვრების მოწესრიგების საკითხი უნდა შეეხოს მის გადანაწილებას მშრომელი მოსახლეობის შორის, მათი ნამდვილი საჭიროების მიხედვით, მიუხედავად იმისა, - სახაზინოა თუ სანადელო საძოვარი, რომლის სახნავ მიწათ გადაქცევა შეუძლებელია, ამავე დროს მომხმარებლებისათვის უნდა დაწესდეს საერთო ნორმები. გარდა წმინდა მომთაბარე მოსახლეობისა, რომლის მიწით მოწყობა ვერ დამთავრდა მეფის რეჟიმის დროს, საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით სარგებლობს ისეთი მოსახლეობა, რომელიც ნახევრად მომთაბარე, საკვები მასალით არა უზრუნველყოფილ, მეჯოგეობას მისდევს.

აქვს რა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სოფლებში და მისდევს რა ხორბლეულ მეურნეობას, ეს მოსახლეობა არ ამზადებს ჯოგისათვის და განსაკუთრებით ცხვრებისათვის საკმაო საკვებ მასალას და იმედი აქვს საზამთრო და საზაფხულო საძოვრების.

„შუა გაზაფხულში იწყება სიცხეები, რომლის დროს მოებზე მცენარეულობა ხმება, ადამიანი და ჯოგი კი ავადმყოფდება (მალარიით პიროპლაზმოზით), ამიტომ მეჯოგეები თავიანთი ჯოგებით მიისწრაფიან საზაფხულო საძოვრებზე და გზაზე ჩერდებიან მხოლოდ ჯოგის გამოსაკვებად. ზაფხულის ბოლოს ისევ დაბლობზე ჩამოდიან საზამთრო საძოვრებზე. იმის გამო, რომ საძოვრები უსწორ-მასწოროთ იყო განაწილებული, ეს სეზონური გადასახლება ხანდისხან ხდებოდა ერთი გუბერნიიდან მეორეში, მესამეში და მას (გადასახლებას) თან სდევდა გადაბალახება, რის გამო ხშირად სისხლიანი შეტაკებები ხდებოდა მეცხვარეებსა და სოფლის მეურნეთა შორის“.

ამიტომ საძოვრების საკითხი მეტად რთული და მტკივნეული იყო და არის ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

შემდეგ ტიმოფეევი აღნიშნავს, რომ „უკანასკნელ წლებში ზოგან როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრები დახნულ ხქნა, ანუ გათელილი და წყლის მიერ გაფუჭებული, რაც იწვევს საძოვრების ხელ-ახლა აღრიცხვის საჭიროებას“.

ჩვენი საძოვრები ნაკლებადაა გამოკვლეული და ამიტომ არ მოგვეპოება დამაკმაყოფილებელი ცნობები მათი საერთო სივრცისა და ღირსების შესახებ. ერთი კი ცხადია: ჩვენი საძოვრების 70%-ი მიუალია მსხვილი რქიანი საქონლისათვის და მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ წვრილი რქიანი საქონლისათვის.

არა სრული ცნობებით საქართველოში საძოვრების საერთო სივრცე უდრიდა (ათას დესიატინებში):

| | საზაფხულო | საზამთრო | სულ |
|---|---|---|---|
| ომამდე | 760 | 500 დე | 1.260-დე |
| 1924 წ. | 600 | 450 | 1.050 *) |

ასეთია დაახლოვებით სივრცე საძოვრებისა, რომლითაც იკვებება საქართველოს საქონელი. საქართველოში შემცირდა, როგორც საზაფხულო (სომხეთის ხელში გადავიდა ლორის რაიონი), ისე საზამთრო საძოვრების სივრცე (აზერბეიჯანში მოექცა ნაწილი ჩვენი საზამთრო საძოვრებისა). ამრიგად, მიუხედავად ცხვრების რაოდენობის შემცირებისა, მისი საზაფხულო საძოვრებით უზრუნველყოფა გაუარესდა და ამ გარემოებამ მეტის მეტად დამღუპველად იმოქმედა საქართველოს მეცხვარეობაზე.

ამ ფაქტების გარდა, საქართველოს მეცხვარეობაზე ცუდ გავლენას ახდენდა სხვა გარემოებებიც; ასე მაგ., სასურსათო პურეულის ნაკლებობამ და გაძვირებამ ხელი შეუწყო მეცხვარეობის შემცირებას. ამ გარემოებამ გამოიწვია ზოგიერთი საძოვრების დახვნა-დათესა და ის გლეხები, რომელთაც ცხვარი არ ჰყავდათ, თავიანთ სოფლებში სხვებს უკრძალავდენ ცხვრების შენახვას.

ზემოთ აღნიშნულმა პირობებმა გამოიწვია ის კრიზისი, რომელსაც ამ ჟამად განიცდის ჩვენში მეცხვარეობა.

1902 წ. ცხვრების რიცხვი სამ მილიონამდე აღწევდა 1917 წ. ის 1.414.000-დე დაეცა, ხოლო 1925 წ. 1.400.000 არ აღემატება.

მეცხვარეობის ასეთი დაცემა ჩვენი ქვეყნისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენს, ვინაიდან ის ანადგურებს არა მარტო მეცხვარეებს, არამედ ჩვენს სახალხო ეკონომიკაში ჰქმნის მძიმე სამეურნეო დაბრკოლებებს და არ აძლევს მოსახლეობას საშუალებას გამოიყენოს ის სიმდიდრე, რომლის გამოყენება მას შეუძლია მხოლოდ მეცხვარეობის ფართოდ განვითარების პირობებში.

მეცხვარეობის წყალობით საქართველოს მოსახლეობა იღებს ქალაქებში და სოფლებში დიდ დოვლათს მატლის, ხორცის და რძის სახით, მოსახლეობის დიდი ნაწილი ატარებს ცხვრის მატყლისაგან გაკეთებულ ტანისამოსს, ხმარობს 150—200 ათას ფუთს ცხვრის ყველს და აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრეს ხორცეულს ცხვრის

*) საქართველოს საგეგმო კომისიის ცნობებით კი 1.287.047 დესეტ.

ხორცი შეადგენს. ჩვენის აზრით, დიდი ხნის განმავლობაში არ შეიძლება საქართველოს მოსახლეობისათვის შეცვლა ამ პროდუქტებისა შემოტანილი საქონლით. ცხადია, რომ საქართველოს სინამდვილის პირობებში, მეცხვარეობა ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან და აუცილებელ დარგს წარმოადგენს და ამიტომ შეუძლებელია ფიქრი იმაზე, რომ მეცხვარეობა შეცვლილ იქნას მეურნეობის სხვა რომელიმე ფორმით.

## მეცხვარეობის პროდუქცია.

როგორც ვიცით, მეცხვარეობა აძლევს მოსახლეობას: მატყლს, ხორცს, ტყავს, ყველს და ქონს. სწორი ცნობები მეცხვარეობის პროდუქციის შესახებ არ მოიპოვება. რკინის გზის ცნობებით ომამდე დღევანდელი საქართველოს საზღვრებიდან იზიდებოდა 143.000 ფ. ცხვრის მატყლი. აქედან 100.000 ფუთამდე, ანუ დაახლოვებით 70% იზიდებოდა ბათომის ნავთსადგურით, ხოლო 37,000, ანუ 26%—რკინის გზით—რუსეთში. სავსებით სწორად აღნიშნავს პროფ. ჯანდიერი, რომ 143.000 ფუთი შეადგენს ჩვენი მეცხვარეობიდან მიღებული მატყლის მხოლოდ ნაწილს. „საგრძნობი ნაწილი პროდუქციისა რჩებოდა მეცხვარეების მეურნეობათა დასაკმაყოფილებლად, ნაწილი აგრეთვე მიდიოდა შინა მრეწველობის საჭიროებისათვის და ამის აღრიცხვას არავინ აწარმოებდა“. „913 წელში საქართველოში მატყლის საერთო რაოდენობა უდრიდა დაახლოვებით 250.000 ფუთს, ეს ანგარიში შემდეგ ცნობებზეა დამყარებული: 1913 წ. საქართველოში ითვლებოდა 1.664.000 თავამდე ცხვარი. ერთი ცხვარი გაკრეჭის დროს საშუალოდ იძლევა 6 გირვანქა მატყლს, აქედან 1.664.000 ცხვარი დაახლოვებით მოგვცემდა 250.000 ფუთ მატყლს. თუ ვიანგარიშებთ ფუთზე 10 მან., მაშინ მთელი მატყლის პროდუქციის საერთო შემოსავალი დაახლოვებით გამოიხატება 2.500 000 მან. მეცხვარეობა იძლევა მაღალი ხარისხის ხორცს. 1913 წ. მხოლოდ ტფილისის სასაკლაოზე დაკლულ იქნა 158.000 დე ცხვარი, მთელს საქართველოში კი, საქართველოს საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, იმავე წელში უნდა ვიანგარიშოთ დაკლულად 250.000 ცხვარი. თუ დაუშვებთ, რომ ყოველწლიურად საშუალოდ იკვლებოდა 250.000 ცხვარი, ხოლო დაკლული ცხვარი საშუალოდ იწონიდა 30 გირვანქას, მაშინ მივიღებთ, რომ ყოველწლიურად ცხვრის ხორცის პროდუქცია უდრიდა 187.000 ფუთს. ფუთი ცხვრის ხორცის საშუალო ფასი უდრის 6 მან. ცხადია, 187.000 ფ. ხორცის ღირებულება გამოიხატება 1·250.000 მანეთში.

შემდეგ ყველის პროდუქცია. თუ ვიანგარიშებთ თითო ცხვარზე 6 გირვ. ყველს, ხოლო ყველის მომცემად ცხვრების საერთო რიცხვიდან 60%-ს, ანუ 1.000.000 ცხვარს, მაშინ მივიღებთ 150.000 ფუთ ყველს. ფუთი ცხვრის ყველის საშუალო ფასი—6 მან., ყველის პროდუქციის ღირებულება—900.000 მან.

ამ რიგად მეცხვარეობის პროდუქციის საერთო ღირებულება გამოიხატება 4.600.000 მან.

საქართველოს საგეგმო კომისიის პერსპექტიული გეგმა მეცხვარეობის განვითარების შესახებ აღნიშნავს, რომ „მეცხვარეობას იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ მასში ჩაბმულია 7.000 მეცხვარე და ის სამუშაოს აძლევს და კვებავს 40.000 სულს. სოფლის მოსახლეობის 60.000 მცხოვრებამდე ზამთრობით შინა-მრეწველობის წესით ამუშავებს მატყლს და მისგან აწარმოებს სხვადასხვა საქონელს, როგორიცაა: მატყლის მატერიები, ფარდაგი,ნაბადი, ქუდები და სხვ., საერთო ღირებულებით 4.248.000 მან.

1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებში მატყლის შინა-მრეწველობითი წესით გადამუშავება საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა:

| შინა-მრეწველობის სახეები | წარმოებაში მყოფ მეურნ. რიცხვი | მომუშავეთა რიცხვი | დაახლოებითი ღირებულება საერთო პროდუქციისა | ერთი მომუშავის წილი საერთო ღ-ებულებაში |
|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი მაუდისშალის წარმოება | 27.674 | 50.000 | 3.000'000 | 60 |
| ხალიჩების წარმოება | 3.384 | 6.000 | 288.000 | 48 |
| ქეჩას წარმოება . . . | 1.765 | 3.000 | 960.000 | 320 |
| სულ . . . | 32.823 | 59.000 | 4.248.000 | 72 |

ამ რიგად, მიუხედავად მეურნეობის უაღრესად პრიმიტიულ პირობებში წარმოებისა, საქართველოდან მატყლის ექსპორტი შეადგენდა მთელი პროდუქციის 55%-ს. აგრეთვე მიუხედავად იმ კრიზისისა,რომელსაც მეცხვარეობა განიცდიდა ჩვენში მე-20-ე საუკუნის პირველ მეოთხედში (1902 წ. საქართველოში იყო 2,9 მილ. ცხვარი, 1925 წ.—1.4 მილ. ცხვარი, ესე იგი შემცირდა ორჯერ), ჩვენი მეცხვარეობის საერთო პროდუქცია 5 მილ. მანეთს აღემატება წლიურად. საქარ-

თველოში არსებობს რამოდენიმე ჯიშის ცხვარი, მაგრამ მათ შორის უფრო დიდი სამრეწველო ხასიათი აქვს თუშურ ცხვარს, რომელიც შეადგენს საქართველოს მთელი ცხვარის 80%-ს. ცხვარის ამ ჯიშს ასე ახასიათებს პროფ. ჯანდიერი: „თუშური ცხვარი მაგარია, იძლევა კარგს, ნახევრად უხეშ მატყლს, გემრიელ ხორცს, რომელსაც არ აქვს სპეციალური „ვერძის“ ხორცის სუნი და საკმაო რაოდენობით იძლევა აგრეთვე რძესაც. ცოცხალი ცხვარი იწონის 2—2½ ფუთს, ვერძი—3—3½ ფუთს“.

ჩვენი ქვეყნის ამოცანას შეადგენს გაუმჯობესება თუშური ცხვარის ჯიშისა. მიწად-მოქმედების კომისარიატის და საგეგმო კომისიის მიერ მთელი რიგი ღონისძიებანია დასახული სახალხო მეურნეობის ამ დარგის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად, მაგრამ მეცხვარეობის კრიზისი ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი. განსაკუთრებით მწვავედ სდგას საძოვრებისა და მატყლის ექსპორტის საკითხი. საძოვრების საკითხის ა/კ. ფარგლებში სწორი გადაჭრა, მეცხვარეობის განვითარება და მეურნეობის ამ დარგის რაციონალიზაცია ჩვენი ეკონომიური სინამდვილის პირობებში და ამავე დროს შექმნა უკეთესი პირობებისა მატყლის შესყიდვის, ექსპორტის და მისი ჩვენს საქსოვ ქარხნებში გამოყენებისა,—აი ის პრობლემები, რომელიც დადებით გადაწყვეტას ელიან ახლო მომავალში.

## ყ ვ ე ლ ი.

ყველის კეთებას საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

1912 წ. ცნობების თანახმად საქართველოში იყო:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისის | გუბ. | 790 | ათასი | მსხვ. | რქ. | 1.700 ათასი | წვრ. რქ. საქონ. |
| ქუთაისის | „ | 318 | „ | „ | | 140 „ | „ |
| ბათომის | ოლქში | 82,4 | „ | „ | | 86 „ | „ |
| სოხუმის | „ | 83 | „ | „ | | 82 „ | „ |
| ზაქათალას | „ | 82,3 | „ | „ | | 77 „ | „ |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბათომის, სოხუმის და ზაქათალას ოლქებში თითქმის თანასწორად იყო მსხვილი და წვრილი რქიანი საქონელი.

ქუთაისის და ტფილისის გუბერნიაში საქონელი სხვადასხვანაირად იყო განაწილებული: ტფილისის გუბერნიაში წვრილი რქიანი საქონელი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე მსხვილი, ქუთაისის გუბერნიაში-კი პირიქით,—მსხვილი ორჯერ მეტი იყო წვრილ რქიან საქო-

ნელზე, საერთოდ კი მესაქონლეობა ტფილისის გუბერნიაში უფრო იყო განვითარებული, ვიდრე ქუთაისისაში. 100 სულ მცხოვრებზე მოდიოდა: ტფილისის გუბერნიაში 60 თავი მსხვილი რქიანი საქონელი და 120 წვრილი, ქუთაისისაში-კი 32 თავი მსხვილი საქონელი და 14 თავი წვრილი.

ზემოდ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ რძის მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით მეტად არის განვითარებული, ვიდრე დასავლეთისაში.

როგორც ზემოდ დავინახეთ, 1913 წლის შემდეგ საქონლის რიცხვი ძალიან შემცირდა. დიდ ძალი მსხვილი რქიანი საქონელი დაკლულ იქნა ომის დროს ჯარის საჭიროებისათვის, საგრძნობი რაოდენობა გარეკილ იქნა მტრის მიერ და დაიღუპა პოლიტიკური გადატრიალების დროს. ყველა ამ გარემოებებმა შეამცირა საქონლის რაოდენობა საქართველოში და რძის მეურნეობას დიდი ზიანი მიაყენა. მაგრამ ამ პირობებმა ვერ შესძლეს რძის მეურნეობის სავსებით მოსპობა, რადგანაც ამ საქმეს ხელს უწყობს თვით ბუნებრივი პირობები. ალპიური და სუბტროპიკული საძოვრები საუცხოვო საკვებ მასალას წარმოადგენს და ამიტომ ის საქონელი, რომელიც ასეთი კარგი საძოვრით იკვებება, იძლევა მეტად მაღალი ხარისხის რძეს.

აღმოსავლეთი საქართველო მთელს ა-კავკასიაში განირჩევა თავისი რძის პროდუქტებით. კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო ა-კავკასიის რძის მეურნეობაში გაკეთებულ შვეიცარული ყველის გამოსაკვლევად (1896 წ. ტფილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა) დაადასტურა, რომ ა-კავკასიის რძის მეურნეობისა და კერძოდ საქართველოს რძის მეურნეობის მიერ დამზადებული შვეიცარული ყველი მაღალი ღირსებისაა. კომისიამ აღიარა, რომ ა-კავკასიაში დამზადებული შვეიცარული ყველი უკეთესია რუსეთის გუბერნიებში დამზადებულ ასეთივე ყველზე. ადგილობრივი შვეიცარული ყველი უფრო სქელი კონსისტენციისაა, უფრო მეტ ცხიმს შეიცავს და უკეთესი გემო და სურნელება აქვს. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ საქართველოს ზოგიერთ ადგილში ყველის დამზადების პირობები არაფრით არ ჩამოუარდება შვეიცარიის პირობებს. ასეთმა კარგმა პირობებმა მიიპყრო უცხოელების ყურადღება და 1850-1860 წ.წ. შვეიცარიელების ხელმძღვანელობით ჩვენში დაარსდა სარძეო მეურნეობები შვეიცარული ყველის გასაკეთებლად.

1858 წ. პრუსიის ოფიცერმა კუჩენბახმა იყიდა მამული ბორჩალოს მაზრაში, ბაშკიჩეთის რაიონში, თრიალეთის ტბების ახლოს,

სადაც სუბტროპიკული საძოვრები იყო. ამ ადგილს თავისი ფლორით ბევრ რამ ჰქონდა საერთო შვეიცარიასთან. კუჩენბახმა გააშენა ქარხანა ყველის გასაკეთებლად და ხელოსნები გამოიწერა შვეიცარიიდან.

ბარონი კუჩენბახი შეიძლება ჩაითვალოს შვეიცარული ყველის გაკეთების პიონერად კავკასიაში. ამ საქმისათვის მან ხაზინიდან მიიღო სესხის სახით 60.000 მან., რომელიც შემდეგში ჩამოწერილ იქნა მისგან.

1864 წ. ისევ ალექსანდერგილფის კოლონისტ გერმანელებმა დაარსეს ყველის გასაკეთებელი ქარხანა ხაზინიდან მიღებული სესხის საშუალებით (ამ უკანასკნელთა სესხი კუჩენბახის სესხზე ნაკლები იყო). ამ ორი ქარხნის წარმოება ძლივს აღწევდა 5.000 ფუთამდე წლიურად. 1880 წლამდე მათ ამ დარგში მიმდევრები არ აღმოჩენიათ; 1880 წელს კი კუჩენბახის ყოფილ ხელოსნებმა - ძმებმა ამეტერებმა ააშენეს ყველის გასაკეთებელი დიდი ქარხანა. 1882 წლისათვის გაიხსნა ნიდიგერის ქარხნები და რუს დუხობორების პირველი ქარხანა დუხობორ კერიგანის ინიციატივით. ყველა ეს ქარხნები მდებარეობს ბაშკიჩეთის რაიონში ან მის მახლობლად. ოთხმოცდა-ათიან წლის ბოლოში ყველა ამ ქარხნების პროდუქცია უდრიდა 12.000 ფუთ ყველს წლიურად, ხოლო 1911 წელს მათმა პროდუქციამ 60.000 ფუთამდე მიაღწია. თუ რამდენად კარგი ღირსების ყველი მზადდებოდა იქიდან სჩანს, რომ უცხოეთიდან შვეიცარული ყველის შემოზიდვა 15.000 ფუთიდან 4.000 ფუთამდე დავიდა, ხოლო შვეიცარული ყველის მოხმარებამ იმატა*).

ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ყველი იხარჯებოდა საქართველოში, არ მოიპოვება, მაგრამ სამაგიეროდ არის ცნობები იმის შესახებ, რომ 1911 წლისთვის საქართველოდან რუსეთში იზიდებოდა 55.000 ფუთზე მეტი ყველი.

ფუთი ყველი ღირდა 12 მან. 50 კაპ., ასე რომ, საქართველოდან რუსეთში გატანილ ყველის ღირებულება 600.000 მანეთამდე ადიოდა, რაც მნიშვნელოვანი თანხაა საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის. მსხვილი რქიანი საქონლის ჯირმა 1912 წ. შეამცირა ძროხების რიცხვი და ამ გარემოებამ გამოიწვია ყველის წარმოების შემცირებაც.

1913 წ. ყველის დამზადება შემდეგ ციფრებში გამოიხატა:

---

*) ლაპარაკია შემოზიდვაზე ყოფილ რუსეთის იმპერიაში.

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | ქარხნების რაოდენობა | რძის რაოდენობა ფუთებში | დამზადებულ იქნა შვეიცარული ყველი (ფუთ.) |
|---|---|---|---|
| ბორჩალოს მაზრა, თრიალეთის რაიონი, . . . | 16 | 280.744 | 21.470 |
| ახალქალაქის მაზრა . . . | 3 | 45.000 | 3.575 |
| **სულ** . . . . . | 19 | 325.744 | 25.045 |

საუკეთესო ხარისხის ყველი მზადდებოდა გერმანელების ქარხნებში, რომელთაც დიდ-ძალი ძროხები ჰყავდათ. ძმებ ამეტერებს ჰყავდათ 1.300 თავი, კუჩენბახს—400, გრაააფს—400 და სხვ.

გარდა აღნიშნულ ქარხნებისა, დაარსებულ იქნა რამოდენიმე ქარხანა ამხანაგობების მიერ, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ 1912 წ. დაარსებული ამხანაგობის ქარხანა. ამ ამხანაგობას ჰყავდა 338 ძროხა და რძეს ყიდიდა ტფილისში, გარდა ამისა, ამ ამხანაგობის მიერ დამზადებულ და გაყიდულ იქნა ყველი:

1912 წ. — 1.400 ფ.
1913 წ. — 2.660 ფ.
1914 წ, — 3.480 ფ.

ომმა დაანგრია ყველის დამზადების საქმე საქართველოში და გასაბჭოების წინ ყველის პროდუქცია ძლის აღწევდა ომამდე არსებულ პროდუქციის 10%-ს.

ერთის მხრივ ძროხების რიცხვის შემცირებამ, ხოლო მეორეს მხრით ყველის გატანის საქმის გაძნელებამ მინიმუმამდე შეამცირა ყველის წარმოება.

1924 წ. ზოგიერომა მსხვილმა მეპატრონეებმა შესძლეს თავიანთი რძის მეურნეობის ნაწილობრივ აღდგენა. ასეთია მდგომარეობა ძმებ ამეტერების, რომელთაც მოახერხეს თავისი ძროხებისათვის მიწის მიღება. კუჩენბახის ქარხნები კი ჩაიბარა ტფილისის ერთიან მუშათა კოოპერატივმა, ხოლო ყოფილი მეპატრონე დარჩა მმართველად. ომამდე ამხანაგობების ქარხნები მეორე ხარისხოვან

როლს თამაშობდენ, რადგანაც შენაკრები რძე დაბალი ხარისხისა გამოდიოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ჟამად ამხანაგობები გამოდიან რძის მეურნეობის აღმდგენის როლში. 1924 წელში მათ მიიღეს კრედიტები ცენტროკავშირიდან და სრულიად რუსეთის კოოპერატიულ ბანკიდან. კრედიტების მიწოდების მეოხებით ყველის დამზადებამ ფართო ხასიათი მიიღო ვორონცოვის რაიონში და მან ბაშკიჩეთის რაიონს გაუსწრო.

უკანასკნელ წლებში დამზადებული ყველის შესახებ შემდეგი ცნობა მოიპოვება:

| | 1922 წ. | 1923 წ. |
|---|---|---|
| ვორონცოვის რაიონი . . | 5.000 ფ. | 6.552 ფ. |
| ბაშკიჩეთის და წალკის რაიონი . . . . . | 3.000 ფ. | 3.300 ფ. |

შვეიცარული ყველი საქართველოში მუდამ საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენდა. საქართველოში მასიურად იხმარებოდა და ამ ჟამადაც იხმარება უმთავრესად სხვადასხვა სახელის და ხარისხის თეთრი ყველი, ასეთია, მაგ. თუშური ყველი, კობის ყველი, ტრუსოვის და ბაშკიჩეთის ყველი აღმოსავლეთ საქართველოში და იმერული „სულგუნი“ და სხვ. დასავლეთ საქართველოში. ზოგიერთი ამ ყველთაგანი მაღალი ღირსებისაა და შეიძლება საექსპორტო პროდუქტათაც გამოდგეს.

ყველის კეთებას საქართველოში საუცხოვო მომავალი აქვს. ამ ჟამად არსებობს 19 სხვადასხვა ძალის ქარხანა, მაგრამ ყველა ისინი შესაკეთებელია, ხოლო ზოგიერთი გასადიდებელი. ამ მიზნისათვის საჭიროა რამოდენიმე ათეული ათასი მანეთის კრედიტი.

მთავრობას განზრახული აქვს ამ საქმისათვის საჭირო კრედიტების გაღება და ყველის წარმოების საქმე უთუოდ ჯანსაღ ნიადაგზე დადგება.

## ᲪᲔᲪᲮᲔᲜᲔᲚᲝᲑᲐ.

საქართველოს ბუნებრივი პირობები არ უწყობენ ხელს ყველგან კამეჩების გამოყენებას სასოფლო - სამეურნეო საქმიანობაში. იქ, სადაც ძლიერი, წყნარი, დინჯი და ამტანი კამეჩი ვერ ახერხებს მუშაობას, მოსახლეობა იყენებს ცხენის ძალას.

საქართველოს ზოგიერთ მთიან ადგილებში, როგორიცაა ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და სხვ., ცხენს გლეხის მეურნეობაში პირველი ადგილი უკავია. მთიანი ადგილების მოთხოვნილებების მიხედვით გამომუშავდა მაგარი ჩლიქიანი, დაბალი ტანიანი და ფართო მკერდიანი სამთო ცხენის ჯიში. ქართული მთის პირობებს შეგუებული. ცხენის სიმაღლე ორ არშინს ვერ აღწევს და ხშირად გვხდება 1 არშინი და 12 გოჯის სიმაღლე ცხენი, რომელიც ვიწრო ბილიკებზე მშვენივრად ეზიდება ხუთიდან 8 ფუთამდე ტვირთს.

იმ მაზრებში, სადაც ფეხი მოიკიდეს კოლონისტ-გერმანელებმა, რუსებმა, მალაკნებმა, დუხობორებმა, გვხდება უფრო დიდ ტანიანი ჯიშის ცხენები. ცხენის ასეთი ჯიშის მოშენებას ხელს უწყობდა კოლონიებში კარგი საგრილობელი პუნქტების არსებობა და სხვ.

კარგი მოსიარულე, ამტანი და საშუალო ტანის ცხენები იზრდებოდა სამეგრელო-აფხაზეთში, სადაც წინეთ კარგად იყო განვითარებული ცხენოსნობა.

1902 წლიდან ცხენთა რიცხვი საქართველოში თანდათან ეცვ-მა, უარესდება აგრეთვე ცხენთა თვისებაც. ეს მოვლენა იმ გარემოებით აიხსნება, რომ საკმაო რაოდენობით არ იყო საკვები მასალა. გლეხობას ყავდა მცირე რაოდენობით და ისიც ცუდი ხარისხის საშენი ცხენები.

საბიეთლო სამმართველოს ცნობებით 1902 წ. საქართველოში ითვლებოდა 135.000 თავი ცხენი, 1923 წ. კი მხოლოდ 71.710;

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ცხენების განაწილებას საქართველოს მაზრებს შორის 1913, 16 17 და 23 წლებში:

| რ ა ი ო ნ ე ბ ი: | 1913 | 1916 | 1917 | 1923 |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო | 76.250 | 45.351 | 51.440 | 40.793 |
| დასავლეთი „ | 24.048 | 17.562 | 18.207 | 20.210 |
| საბჭოთა აჭარისტანი . . . | 5.872 | — | 2.945 | 1.707 |
| საბჭოთა აფხაზეთი . . . . . | 14.338 | 14.277 | 15.704 | 10.000 |
| სულ საქართველოში: | 120.508 | 77.190 | 88.296 | 71.710 |

ზოგიერთ მაზრაში 1923 წ. ცხენთა რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე 1913 წ.

| მ ა ზ რ ე ბ ი: | 1913 | 1916 | 1917 | 1923 |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქის . . . . . | 4.236 | 6.148 | 7.810 | 4.600 |
| თელავის . . . . . | 2.717 | 2.264 | 2.012 | 5.914 |
| ოზურგეთის . . . . . | 1.740 | 1.544 | 1.912 | 2.504 |
| სენაკის . . . . . | 3 549 | 3.080 | 3.047 | 3.757 |

ზოგიერთ მაზრაში ცხენთა რაოდენობა 1913 წ. ცნობებთან შედარებით 1923 წლისთვის ორჯერ მეტად შემცირდა:

| მ ა ზ რ ე ბ ი: | 1913 | 1916 | 1917 | 1923 |
|---|---|---|---|---|
| ლეჩხუმის . . . . . | 2.056 | 1.345 | 1.863 | 1.013 |
| შორაპნის . . . . . | 2.140 | 859 | 678 | 343 |
| გორის . . . . . | 7.461 | 4.099 | 3.447 | 1.793 |
| ახალქალაქის . . . . . | 8.234 | 2.068 | 2.168 | 729 |
| სიღნაღის . . . . . | 18.727 | 6.868 | 7.448 | 9.298 |

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ომამდე საქართველოში იყო 120.000-ზე მეტი ცხენი, ე. ი. 1902 წლიდან ცხენთა რაოდენობა შემცირდა 15.000 თავი ცხენით ანუ 11,5 პროც შემდეგ ომის საჭიროებისათვის ცხენების წაყვანამ კიდევ უფრო შეამცირა ცხენების რიცხვი და 1916 წ. ის 77.000 თავამდე დავიდა, ე. ი. 1913 წ. რაოდენობასთან შედარებით 35 პროც. შემცირდა. შემდეგ 1917 წ. ცხენების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ნაწილობრივ დაშლილი ჯარების ცხენების ანგარიშზე. რევოლიუციის დროს ცხენთა რაოდენობა კვლავ დაეცა და 1923 წ. ითვლებოდა სულ 71.710 თავი ცხენი.

## ცხენების რაოდენობა საქართველოში *).

| მაზრები და ავტონომიური რესპუბლიკები: | წ ლ ე ბ ი. | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1913 | 1916 | 1917 | 1923 |
| 1. ახალქალაქის | 4.236 | 6.148 | 7.810 | 4.600 |
| 2. ახალციხის | 8.234 | 2.068 | 2.168 | 729 |
| 3. ბორჩალოს | 16.163 | 9.409 | 8.469 | 4.546 |
| 4. გორის | 7.461 | 4.099 | 3.447 | 1.793 |
| 5. დუშეთის | 4.830 | 4.568 | 4.142 | 3.149 |
| 6. ტფილისის | 9.682 | 7.648 | 8.795 | 7.991 |
| 7. თელავის | 2.717 | 2.264 | 2.012 | 5.914 |
| 8. თიონეთის | 4.200 | 2.279 | 7.149 | 2.773 |
| 9. სიღნაღის | 18.727 | 6.868 | 7.448 | 9.298 |
| სულ: აღმოს. საქ. | 76.250 | 45.351 | 51.440 | 40.793 |
| 10. ზუგდიდის | 9.346 | 5.919 | 5.874 | 5.424 |
| 11. ლეჩხუმის | 2.056 | 1.345 | 1.863 | 1.013 |
| 12. ოზურგეთის | 1.740 | 1.544 | 1.912 | 2.504 |
| 13. რაჭის | 1.630 | 1.631 | 1.430 | 984 |
| 14. სენაკის | 3.549 | 3.080 | 3.048 | 3.757 |
| 15. ქუთაისის | 3.587 | 3.184 | 3.403 | 3.185 |
| 16. შორაპნის | 2.140 | 859 | 678 | 343 |
| სულ: დასავლ. საქ. | 24.048 | 17.562 | 18.207 | 20.210 |
| აჭარისტანში | 5.872 | — | 2.945 | 1.707 |
| აფხაზეთში | 14.338 | 14.277 | 15.704 | 10.710-დე |
| სულ საქართველოში: | 120.508 | 77.190 | 88.296 | 71.710 |

*) ც. ს. ს. ცნობები. 1923 წ. გამოცემული კრებული გვ. 26 და საქ. მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობები.

ცხენთა ჯიშის გასაუმჯობესებლად და მათი გასამრავლებლად საჭიროა სახელმწიფო ცხენთ-საშენის მოწყობა ცალ-ცალკე რაიონებში, ამავე დროს ცხენთსაშენის დარაიონების მიზნით საჭიროა დეტალურად შესწავლილ იქნას ცხენის მოშენების საკითხი საქართველოში. დღემდე მკვლევართა მთელი ყურადღება მიქცეული იყო მსხვილი და წვრილი საქონლის შესწავლისაკენ, ცხენებს კი ეთმობოდა უკანასკნელი ადგილი.

ამ ჟამად სახელმწიფოს ცხენთსაშენი იმყოფება ბორჩალოს მაზრაში, კულარის მამულში. ამ ადგილას ჰავა არ არის ხელსაყრელი არც ადამიანისა, და არც ცხენებისათვის. ზაფხულობით ადამიანი იქ იტანჯება მალარიით, ცხენები კი პიროპლოზმოზით (ეს ავადმყოფობა სიმპტომების მიხედვით ადამიანის მალარიას ჰგავს და სიკვდილიანობის დიდ პროცენტს იძლევა). გარდა ამისა, ქ. ტფილისში არის მოწყობილი საქარხნო საჯინიბო ადგილობრივი ცხენების ჯიშის გაუმჯობესების მიზნით. მთავრობას სხვა ღონისძიებათა შორის გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს სათანადო ადგილებში ცხენის მოსაშენებელი საცდელი ქარხნები ადგილობრივი საუკეთესო ჯაკების შემადგენლობით. ამ ჯაკების დამაკება უნდა სწარმოებდეს სახელმწიფოს ცხენთსაშენის საშუალებით. ცხენთსაშენის ქარხნებიდან მხოლოდ მაშინ გამოიშვება ცხენები, როცა დამყარდება გარკვეული გაუმჯობესებული ცხენის ჯიში. ჩვენს მეტად ხელსაყრელ პირობებში მეცხენეობამ უნდა მოგვცეს დადებითი გაუმჯობესებული ცხენის ჯიში.

## ჯ ა გ ა რ ი

მოთხოვნილება ღორის ჯაგარზე მუდამ დიდი იყო და მისი გასაღება ყოველთვის უზრუნველყოფილია. ძნელია მითითება ვაჭრობის სხვა რომელიმე დარგზე, რომ ჯაგარზე მეტ მოგებას იძლეოდეს. საქართველოში ბევრი ჯაგარი გროვდება. სწორი ცნობები საქართველოს ტერიტორიაზე შეკრებილ ჯაგრის შესახებ, სამწუხაროდ, არ მოიპოვება, მაგრამ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით საქართველო დახლოვებით ყოველ წლივ იძლევა—4.000 ფ. ჯაგარს.

აქაური ჯაგარი თავისი ღირსებით ედრება სხვადასხვა ქვეყნებიდან ინგლისის, ამერიკის და სხ. ბაზრებზე მიტანილ საუკეთესო ხარისხის ჯაგარს; კარგი ხარისხის ჯაგარი უნდა იყოს გრძელი, უდრეკი და მკვრივი. ერთნაირი ღირსების დროს უპირატესობა ეძლევა თეთრ გახლეჩილ თავიან ჯაგარს. ეს უკანასკნელი უკეთ იღებს საღებავს და რადგანაც ის უდრეკია, სწორად ღებავს საგანს.

საუკეთესო ხარისხის ღორები იძლევიან ცოტა და იმავე დროს ცუდი ხარისხის ჯავარს. ჯაგარის ღირსებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე კლიმატიური პირობები. ადგილობრივი ჯაგარი ყველა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს: ის საკმაოდ გრძელი, უდრეკი და მკვრივია. ლეჩხუმის და რაჭის მაზრები იძლევიან თეთრ ჯაგარს, ჭიათურა—საჩხერეს რაიონები—თეთრ გამჭვირვალე ჯაგარს.

კახეთის ჯაგარი თავისი სიგრძითა და სისქით გარეული ღორის ჯაგარს ჰგავს.

აღმოსავლეთ საქართველოს ჯაგარი გროვდება ტფილისში, დასავლეთ საქართველოსი—ქუთაისში. მყიდველები ამ ცენტრებში აწარმოებენ ჯაგრის დახარისხებას: ჯაგარი საექსპორტო საქონელია, რომელზედაც მუდამ დიდი მოთხოვნილებაა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, როდესაც ლონდონში ფუთი ჯაგარი 20 გირვ. სტერლინგად იყიდებოდა, ადგილობრივად ამისი ფასი 3 გირვ. სტერლინგამდე ვერ აღწევდა, როგორადაც არ უნდა აწიოს ჯაგრის ფასი მისმა დახარისხებამ, მაინც ასეთი განსხვავება მეტის მეტად უნდა ჩაითვალოს. ეს ციფრები გვიჩვენებენ იმ დიდ მოგებას, რომელსაც იღებენ ჯაგრის მეექსპორტენი. ასეთ პირობებში ფრიად სასურველია სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის ჩარევა ჯაგრის დამზადებისა და რეალიზაციის საქმეში ჯაგრის ბაზრის მოწესრიგების მიზნით.

## მეფრინველეობა

ჩვენი ქვეყნის კლიმატიური პირობები საშუალებას იძლევა ვიყოლიოთ არა მარტო უბრალო ქათმები, იხვები და ბატები, არამედ უფრო ნაზი ფრინველებიც, როგორიცაა ხოხობი, ინდოური, ციცარი და სხვ. შინაურ ფრინველთა საერთო რიცხვი 1923 წ. ნაანგარიშევი იყო 3.426,059 ცალი. მეფრინველეობას საქართველოში სამრეწველო ხასიათი არ ჰქონია. აღსანიშნავია მხოლოდ ქათმის კვერცხის გატანა საქართველოდან.

კვერცხის გატანა ომამდე 5 წლის განმავლობაში —1909-13 წ. წ. წლიურად გამოიხატებოდა:

| | |
|---|---|
| დასავლეთ საქართველოდან | —37.824 ფუთი. |
| აღმოსავლეთ საქართველოდან— | 5.150 „ |
| სულ: | 42.974 ფუთი |

თუ ფუთ კვერცხში საშუალოდ ვიანგარიშებთ 200 ცალს, მაშინ მივიღებთ, რომ საქართველოდან ყოველწლიურად გადიოდა საშუა-

ლოდ 8.600.000 ცალი კვერცხი. ამ რაოდენობიდან ბათუმის საბაჟოს საშუალებით გადიოდა 4.236.000 ცალი კვერცხი. ომამდე 100 კვერცხის ღირებულება 1 მან. 50 კ.—2 მან. ფარგლებში ირყეოდა. თუ ვიანგარიშებთ 1.50 კ., მაშინ გამოვა, რომ საქართველოს საზღვრებიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ დაახლოვებით 130.000 მან. კვერცხი. 1914 წლიდან კვერცხის გატანის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

წინანდელ დროში საქართველოში არსებობდა რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მეფრინველეობის საზოგადოების განყოფილება, რომელსაც ჰქონდა ჯიშიანი ფრინველების გამავრცელებელი პუნქტი. ამ დაწესებულებამ იარსება 1918 წლამდე. 1922 წ. ტფილისის აღმასკომმა მოაწყო ჯიშიანი ფრინველების გამავრცელებელი პუნქტი და აღადგინა ორგანიზაციული დახმარება სოფლის მეფრინველეობისთვის.

## მეფუტკრეობა

მეფუტკრეობა წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და იმავე დროს მნიშვნელოვან დარგს ჩვენი სახალხო მეურნეობისა. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ჩვენში მეფუტკრეობა ძლიერ ფართოდ იყო განვითარებული და მისი პროდუქტებით ვაჭრობა სწარმოებდა არა მარტო შიგნით, არამედ იზიდებოდა საქართველოს ფარგლების გარეთ და თვით მეფუტკრეობა თითქმის საგადასახადო ობიექტს წარმოადგენდა. მეფუტკრეობის განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სანთელი დიდი რაოდენობით იხმარებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ფრიად კარგი ბუნებრივი პირობები არსებობდა მეფუტკრეობის განვითარებისათვის და ერთ დროს ჩვენი მთიანი ადგილების ნაკრის ფერი ფუტკარი მსოფლიო მასშტაბით იყო ცნობილი, მიუხედავად ამისა საქართველოში მეფუტკრეობა ძლიერ დაეცა. ამ გარემოებამ აიძულა ტფილისის მეაბრეშუმეობის სადგური 1913/14 წლებში აღეძრა საკითხი სადგურთან მეფუტკრეობის ორგანიზაციის დაარსების შესახებ, მაგრამ ეს აზრი ნაწილობრივ განხორციელებულ იქნა მხოლოდ 1922 წ. მიწად-მოქმედების კომისარიატთან მეფუტკრეობის ინსტრუქტორის თანამდებობის დაარსებით, რომელიც 1923 წ. ბოლოში მეფუტკრეობის ბიუროდ გადაკეთდა.

ომამდე მთელს საქართველოში არსებობდა 100 ათასამდე ფუტკრის ოჯახი, რომლიდან 15% იყო ჩარჩოიანი სკა. მათი მოვლა სრულიად არარაციონალურად სწარმოებდა. განსაკუთრებით მთიან ად-

ბილებში შემოღებული იყო ეგრეთ წოდებული ცარცვითი სისტემა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ იჭერდენ ფუტკრის ნაყარს და ართმევდენ მას თაფლს, რაც წლიდან წლამდე ამცირებდა ფუტკრის რაოდენობას. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა მეფუტკრეობას ომმა და რევოლიუციამ, რომელმაც გამოიწვია მეფუტკრეობის 25—30% შემცირება, თუმცა იმავე მიზეზებმა შემდეგ არა პირდაპირი გზით გამოიწვიეს მეფუტკრეობის აწევა. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის დაცემამ და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ზრდამ და რუსული შაქრის მრეწველობის უშუალო კრიზისმა იმავე დროს გამოიწვია თაფლის, როგორც შაქრის სუროგატის, ფასის აწევა.

ზემოთ-აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით გაიზარდა ინტერესი მეფუტკრეობის მიმართ და პირველ რიგში დადგა მეფუტკრეობის საორგანიზაციო კითხვები. 1923/24 წ. ადგილებზე ეწყობოდა სამაზრო თათბირები მეფუტკრეობის შესახებ. მოწყობილ იქნა 7 სამაზრო მეფუტკრეობის კოოპერაცია და რამოდენიმე ამხანაგობ და საზოგადო საფუტკრეები. 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერისა, ცნობებისა და საქართველოს საგეგმო კომისიის პერსპექტიული გეგმის თანახმად საქართველოში არსებობდა 70.000 სკა, აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე მოდიოდა 30.000, დასავლეთ საქართველოზე—20.000, აფხაზეთზე—14.000, აჭარისტანზე—5.000 და სამხრეთ ოსეთზე—1.000. 70,000 სკიდან პრიმიტიულ მდგომარეობაში იყო 57.300, ხოლო ჩარჩოებში—12.700, ე. ი. 25%, მაგრამ კეთილად მოწყობილი ჩარჩოიანი სკა არის საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 8—10%. მეფუტკრეობა უკეთ დაყენებულია აღმოსავლეთ საქართველოში. მეფუტკრეობის მდგომარეობის და გლეხის მეურნეობაში მისი შედარებითი როლის მიხედვით, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს მაზრები შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს: 1) ახალქალაქის, გორის, ტფილისის, და ბორჩალოსი; 2) ახალციხის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის, ქუთაისის, შორაპნის და რაჭის; 3) ზუგდიდის, ოზურგეთის, ლეჩხუმის და სენაკის.

მთიანი რაიონები იძლევა საუკეთესო თაფლს და იქ უფრო მეტია საფუტკრეები. დაახლოვებითი გამოანგარიშებით საქართველოში გროვდება 13,3 ათასამდე ფუთი თაფლი, დაახლოვებით 132.000 მანეთის ღირებულების და თაფლის სანოელი 2,2 ათ. ფუთი—85 ათასი მან. ღირებულების. სულ მეფუტკრეობა იძლევა 220.000 მანეთამდე

---

# მევენახეობა და მეღვინეობა.

საქართველოში მეღვინეობას ათასი წლების ისტორია აქვს და ის ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. ჩვენში მეღვინეობას ომამდე 113.000 კომლამდე (ანუ—560.000 სული) მისდევდა, მაგრამ მევენახეობით და მეღვინეობით საქართველოში მოსახლეობის ერთი მესამედი იკვებებოდა, თუ ვიან გარიშებთ ყველა იმათ, ვინც მეურნეობის დარგში მუშაობდა.[1]).

ომამდე საქართველოში 58.000 დესიატინამდე ვენახი იყო და მოსავალი უდრიდა 11,8 მილიონ ფუთს, ვენახის მთელი ღირებულება 150 მილ. ოქროს მან. შეადგენდა (ინვენტარის და მოწყობილობის თან ჩართვით) ეს თანხა შემდეგი ციფრებისაგან შესდგება: ერთი დესეტინა ვენახის დამუშავება და მოშენება საშუალოდ 2.000 მან. ჯდება. სავენახე მიწა დესეტინა ღირს 500—1000 მანეთამდე. ამ რიგად მოსავლის მოსაცემად გამზადებული ერთი დესეტინა ვენახის ღირებულება გამოიხატება 2.500—3.000 მან. ანუ საშუალოდ 2.750 მანეთში.

ომის განმავლობაში ვენახის სივრცე საგრძნობლად შემცირდა. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ცნობებით[2]) 1917 წლისათვის ვენახის სივრცე უდრიდა 37.522 დეს. ზოგიერთი სპეციალისტების აზრით კი, რაც ჩვენ უფრო სწორად მიგვაჩნია, 43, 44 ათას დესეტინას.

ამ რაოდენობიდან 5 პროც., ანუ 2.180 დესეტინა მიტოვებულია დ. არ. მუშავდება. [3])

58.000 დესეტინიდან (ომამდე) სახელმწიფო აწარმოებდა მხოლოდ 370—400 დესეტინას, დანარჩენი სივრცე ვენახებისა კერძო

---

[1]) ა) Шахназаров. Закон о виноградом вине.

ბ) Обзор отраслей промышленности Закавказского Края за 1913 г.

[2]) ცესუს კრებული. 1923 წ. გვ. 37.

[3]) Козловский „Налоговые рессурсы Грузии“ 1920 წ. გამოც. გვ. 64; ბიბილაშვილი—დასკვნა ვენახების აღდგენის საპერსპექ. გეგმის შესახებ.

პირთა ხელში იყო და მათ მიერ მუშავდებოდა. ამ ჟამად სახელმწიფოს ხელშია 500 დესეტინა ვენახი, ხოლო 43.000 დესეტინა კერძო მოქალაქეთა ხელში. [4])

ერთი დესეტინა ვენახის დამუშავებას წლიურად საშუალოდ უნდება 200—300 მანეთი. იმავე დროს ერთი დესეტინა ვენახი იძლევა საერთოდ 500—800 მან. პროდუქციას.

ამ რიგად ერთი დესეტინა ვენახი საშუალოდ იძლევა 400 მან. შემოსავალს; 58.000 დეს. კი იძლეოდა 23 მილ. მანეთზე მეტს.

აგრონ. სოლ. ჩოლოყაშვილი (თანახმად «обзора отраслей промышленности Закавказского Края за 1913 г.) ერთი ფუთი ღვინის ფასს ვარაუდობს 1 მ. 50 კ., მოსავალს—11,8 მილიონ ფუთს და საერთო ღირებულებას—17.7 მილიონ მანეთს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მასალებით 1909 წელს სამი სადგურიდან: ტფილისი, ყვირილა და ნავთლუღიდან გასულა 1.013.000 ვედრო ღვინო; თუ ამ რაოდენობას მიუმატებთ სხვა სადგურებიდან, სამხედრო გზით და ზღვით გატანილ ღვინოს, მაშინ საქართველოდან გატანილი ღვინის მთელი რაოდენობა დაახლოვებით შეადგენს 1.500.000 ვედროს.

მაზრების მიხედვით ყურძნის მოსავალი და იქიდან მიღებული ღვინის რაოდენობა შემდეგ ციფრებში გამოიხატება წლიურად: (იხ. ცხრ. გვ. 97).

აქ მოყვანილი 45.000 დეს. 1909—13 წ.წ. არ გამოხატავს სინამდვილეს, რადგანაც სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს არ მოეპოვებოდა ცნობები ზოგიერთი ადგილების შესახებ და უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს ომამდე არსებული სივრცე ვენახებისა 58 ათასი დეს. რაოდენობით.

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ვხედავთ, რომ ვენახის სივრცე საქართველოში 1917 წლისთვის ომის წინა დროსთან შედარებით 37 პროც. დაეცა. ვენახის სივრცის ზრდას ჰქონდა ადგილი მხოლოდ რამოდენიმე რაიონში (აფხაზეთში, შორაპნის, ქუთაისის, ახალციხის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში) დანარჩენ მაზრებში ვენახის სივრცე საგრძნობლად შემცირდა, ზოგიერთ მათგანში შემცირება ნახევარზე მეტს უდრის (მაგალ. დუშეთის, ლეჩხუმის და ოზურგეთის

---

[4]) ბიბილაშვილი—„დასკვნა“ და სხვ.

| მაზრები და ავტონომიური რესპუბ. | წლები | ვენახ. სივრცე (დესეტ.) | ყურძნის საერთო მოსავალი ფუთებში. | მოსავ. 1 დეს. (ფუთ) | გამოსულ ღვინის რაოდენობა (ვედრ.) |
|---|---|---|---|---|---|
| I. ალმ საქართველო: | 1909—13 | 21.020 | 3.936.772 | 187 | 3.204.490 |
| | 1917 | 17.087 | 1.969.048 | 115 | 1.586.642 |
| 1. ახალქალაქის მაზრა | 1909—13 | 24 | 1.262 | 53 | 792 |
| | 1917 | 16 | 480 | 30 | 304 |
| 2. ახალციხის „ | 1909—13 | 2 | 55 | 27 | — |
| | 1917 | 89 | 3.115 | 35 | — |
| 3. ბორჩალოს „ | 1909—13 | 1.405 | 468.365 | 333 | 399.869 |
| | 1917 | 1.349 | 404.700 | 300 | 306.223 |
| 4. გორის „ | 1909—13 | 3.439 | 403.754 | 117 | 264.818 |
| | 1917 | 2.823 | 112.920 | 40 | 79.044 |
| 5. დუშეთის „ | 1909—13 | 1.385 | 239.133 | 172 | 184.315 |
| | 1917 | 428 | 33.812 | 79 | 26.108 |
| 6. ტფილისის „ | 1909—13 | 2.413 | 559.018 | 228 | 425.572 |
| | 1917 | 2.171 | 143.286 | 66 | 101.721 |
| 7. თელავის „ | 1909—13 | 6.493 | 1.360.186 | 210 | 1.157.311 |
| | 1917 | 5.039 | 493.822 | 98 | 418.237 |
| 8. ბორჩალოეთის „ | 1909—13 | 296 | 78.796 | 266 | 65.974 |
| | 1917 | 201 | 41.205 | 205 | 34.572 |
| 9. სიღნაღის „ | 1909—13 | 5.563 | 825.573 | 148 | 685.839 |
| | 1917 | 4.971 | 735.708 | 148 | 611.433 |
| II. დასავლეთი საქ. | 1909—13 | 19.658 | 4.630.311 | 236 | 3.766.650 |
| | 1917 | 16.761 | 3.547.671 | 212 | 2.905.806 |
| 10. ზუგდიდის მაზ. | 1909—13 | 89 | 23.458 | 264 | 14.684 |
| | 1917 | 248 | 31.496 | 127 | 19.592 |
| 11. ლეჩხუმის „ | 1909—13 | 1.639 | 439.798 | 268 | 365.222 |
| | 1917 | 499 | 73.353 | 147 | 60.878 |
| 12. ოზურგეთის „ | 1909—13 | 4.739 | 358.194 | 76 | 230,271 |
| | 1917 | 467 | 63.979 | 137 | 41.096 |
| 13. რაჭის „ | 1909—13 | 1.635 | 138.964 | 85 | 113.650 |
| | 1917 | 1.474 | 578.818 | 257 | 303.644 |
| 14. ქუთაისის „ | 1909—13 | 4.712 | 1.400.499 | 297 | 1.167.513 |
| | 1917 | 5.865 | 1.319.625 | 225 | 1.102.620 |
| 15. სენაკის „ | 1909—13 | 187 | 46.462 | 248 | 34.475 |
| | 1917 | 212 | 25.228 | 119 | 18.656 |
| 16. შორაპნის „ | 1909—13 | 6.657 | 2.223.026 | 334 | 1.840.840 |
| | 1917 | 7.996 | 1.655.172 | 207 | 1.359.320 |
| III. აჭარისტანის ავტ. რესპ. | 1909—13 | 1.469 | 48.162 | 33 | 7.287 |
| | 1917 | — | — | — | — |
| 4. აფხაზეთის ავტ. რესპ. | 1909—13 | 3.096 | 798.326 | 258 | 523,336 |
| | 1917 | 3.674 | 367.400 | 100 | 242.484 |
| სულ საქართველოში | 1909—13 | 45.243 | 9.413.571 | 208 | 7.501.768 |
| | 1917 | 37.522 | 5.884.119 | 157 | 4.734.932 |

მაზრებში) ომის და რეოლიუციით შექმნილი პირობების *) გარდა ვენახის სივრცის და თითოეულ დესეტინიდან მოსავლის შემცირების მიზეზი იყო ფილოქსერის გაძლიერება და მასთან ბრძოლის შეუძლებლობა წამლების უქონლობის გამო. ამ ჟამად კი ფილოქსერის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს ცნობებით დღეს ვენახებს საქართველოში უჭირავს 30.070 დესეტინა და ეს ციფრი ცნობილ აგრონომ, ს. ჩოლოყაშვილს რეალურად მიაჩნია. ძალიან დიდი ზიანი ვენახებს მიაყენა 1924/25 წ. არა ჩვეულებრივ სასტიკ ზამთარმა. ამ ზამთარმა დაღუპა დიდ-ძალი ვენახი ათენში, ხიდისთავში, მუხრანში და სხ. ამნაირად ვენახებს საქართველოში 46—47 პროც. ნაკლები სივრცე უკავია შედარებით იმასთან, რაც ომამდე იყო. ს. ჩოლოყაშვილი ამბობს: პროდუქციაც თანაბრად 11,6 მილიონიდან 6 მილიონ ფუთამდე შემცირდა და ღირებულებაც 17,7 მილ. მანეთიდან—9 მილიონ მანეთამდე.

აღსადგენია საქართველოში 20 ათასი დესეტინაზე მეტი საჭვენახე და ს. ჩოლოყაშვილი ფიქრობს, რომ წლიურად 1,5 ათასი დესეტინაზე მეტის აღდგენას სახელმწიფო ვერ შესძლებს.

საქართველოში არსებობს მეღვინეთა ამხანაგობები და კავშირები. ყველაზე უფრო დიდი გაერთიანება იყო საზ. „კახეთი“, რომელიც აერთიანებდა 200-დე მევენახეს 700 დესეტინა ვენახით და რომლის ღვინო ცნობილია თავისი კარგი თვისებებით. ცნობილია აგრეთვე „კავშირთა-კავშირი“, რომელიც აერთიანებს 8 ორგანიზაციას 11000 წევრით და 9.000 დესეტინა ვენახით. მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოება „ხვანჭკარა“, რომელიც შეიქმნა ქ. ქუთაისში და რომელსაც ეკუთვნის ყოფ. პრინც ოლდენბურგის საუკეთესოდ მოწყობილი ქარხანა. ყველა ეს ორგანიზაციები „კახეთი“-ს გამოკლებით (1894 წ.) შედარებით დიდი ხანი არ არის რაც მოეწყო. ისინი ცდილობენ მეღვინეობა ასწიონ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არის დასავლეთ ევროპაში. ამ ორგანიზაციების ხელშია აგრეთვე მთელი ღვინის ექსპორტის 1/7 ნაწილი.

---

*) რევოლიუციის დროს მრავალი საუკეთესო ვენახი და ბაღი აიკაფა, ზოგ ალაგას დაწილდა, გლეხობამ აკაფა და პურეულობა დათესა. მთავარი მოტივი ასეთი მოქმედებისა იყო, რომ ძველი მემამულე ყოველ ღონეს ხმარობდა მამულის დასაბრუნებლად, თუ მამული თავის სახეს და მნიშვნელობას არ დაკარგავდა; მისი უკან დაბრუნება ძნელი იყო. ბევრ ადგილას. სადაც ვენახი და ხილეულობა იყო, გლეხობამ სიმინდი დათესა.

1921 წლიდან მიწად-მოქმედების კომისარიატის ხელში გადავიდა ყველა კულტურული ღირებულების მეურნეობანი, რომელნიც წინეთ საუფლისწულო უწყებას და ზოგიერთ კერძო პირებს ეკუთვნოდა. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ვენახის კულტურა სახელმწიფო მამულებში გაცილებით უკეთ არის დაყენებული, ვინემ მშრომელ გლეხობის მეურნეობაში. ყურძნის მოსავალი სახელმწიფო მამულებში უფრო დიდია, ვინემ კერძო მამულებში; ღვინის დამზადება სახელმწიფო მამულებში უკეთაა მოწყობილი, ვინემ კერძო მეღვინეთა მამულებში, ამიტომ სახელმწიფო მამულებში დამზადებული ღვინის ექსპორტი უფრო მოსახერხებელია, ვინემ კერძო მეღვინეთა ღვინოსი, რადგანაც სახელმწიფო მამულების ღვინო უკეთაა დამზადებული და ბაზარზე მეტად ფასობს. ომამდე სახელმწიფო მამულები არ კმაყოფილდებოდენ მარტო თავიანთი ყურძნიდან ღვინოს დამზადებით და ისინი ადგილობრივი გლეხებისაგან ყიდულობდენ ყურძენს და მისგან ამზადებდნენ ღვინოს; ასე დამზადებული ღვინო ბაზარზე 50%—100%-დე უფრო მეტად ფასობდა, ვინემ გლეხობის მიერ დამზადებული ღვინო. ამ წესით მზადდებოდა ღვინო აგრეთვე „ვარციხეში“ (ქუთაისის მაზრაშია), რომელიც ეკუთვნოდა მსხვილ მეღვინე ანანოვს. ანანოვის მამულში გარდა ჩვეულებრივი ღვინოსი მზადდებოდა გამაგრებული ღვინოები, შამპანიური და კონიაკი. ანანოვის შამპანიურმა და კონიაკმა კავკასიაში სახელი გაითქვა.

სახელმწიფო მამულებში კარგი ღვინის დაყენებას ხელს უწყობდა მამულების კარგი მოწყობილობა,—ღვინის დასაყენებელი გაუმჯობესებული მარნები და სათანადო მეღვინე სპეციალისტების შტატი. ქვემოდ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სახელმწიფო მამულების მოწყობილობის ღირებულება (მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობებით). (იხ. ცხრ. გვ. 100).

ამრიგად სახელმწიფო მამულებს, რომელთა მეურნეობის უმთავრეს დარგს მეღვინეობა შეადგენს, აქვთ 259.660 მან. ღირებული მოწყობილობა და 1.111.460 მან ღირებული სარდაფი და მათ შეუძლიათ დაამზადოს 766.000 ვედრო ღვინო წელიწადში. გასაბჭოების შემდეგ სახელმწიფო მამულები კმაყოფილდებოდენ თავიანთი ყურძნის დამზადებით და მხოლოდ 1923 წ. შეუდგნენ გლეხებისაგან ყურძნის შესყიდვას—„ვარციხეში“ და კარდანახში; გადამუშავებული იქნა—პირველში—14 ათ. ვედრა და მეორეში—3.000 ვედრა ღვინო, აქედან ნაწილი პორტვეინის სახის ღვინო. ვარციხის მამულში მოწყობილია ახალი სარეკტიფიკაციო ქარხანა, რომლის წარმოებითი უნარი უდრის 1.200.000 გრად. სპირტს.

| მამულების დასახელება | ინვენტარის ღირებულება ოქროს მან. | სარდაფების ღირებულება ოქროს მან. | ს უ ლ | დამზადების უნარიანობა წელიწადში ვედრობით. |
|---|---|---|---|---|
| მუკუზანი ტ. ზეგანი | 40.270 | 45.065 | 85.335 | 60.000 |
| ნაფარეული . . . | 45.661 | 78.000 | 123.661 | 70.050 |
| ვარციხე . . . . | 50.512 | 279.690 | 330.202 | 150.000 |
| წინანდალი . . . | 42.000 | 368.825 | 410.825 | 300.000 |
| ვაჩევი . . . . . | 6.595 | 4.000 | 10.595 | 6.000 |
| საქარა და არგვეთი | 3.622 | 15.880 | 19.502 | 10.000 |
| ტფილისის სარდაფი | 46.000 | 290.000 | 336.000 | 150.000 |
| კარდანახი . . . . | 25.000 | 30.000 | 55.000 | 20.000 |
| ს უ ლ . . | 259.660 | 1.111.460 | 1.371.120 | 766.000 |

1924 წ. სახალხო მამულები აწარმოებდნენ ადგილობრივი გლეხობისაგან ყურძნის შესყიდვას. ეს გლეხობას საშუალებას აძლევდა და აძლევს თავისი მეურნეობის მახლობლად გაასაღოს თავისი პროდუქცია, ეს გარემოება კი ხელს უწყობს გლეხური მეურნეობის გაუმჯობესებას მეღვინეობის დარგში.

იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ ხელთ გვქონდა, საქართველოში ღვინის საერთო მოსავალი (ბათუმის ოლქის გამოკლებით) იყო:

| | | |
|---|---|---|
| 1908 წ. . . . . | 9.049.454 | ვედრო |
| 1909 „ . . . . . | 6.431.725 | „ |
| 1910 „ . . . . . | 7.701.171 | „ |
| 1911 „ . . . . . | 6.259.259 | „ |
| 1912 „ . . . . . | 7.027.092 | „ |
| 1913 „ . . . . . | 10.053.159 | „ |
| 1914 „ . . . . . | 8.122.573 | „ |

7 წლის განმავლობაში (1908—1914) წლიურად მოდიოდა დაახლოვებით 8 მილიონ ვედრო ღვინო. აქედან სახელმწიფო მამულებში მზადდებოდა მხოლოდ 120 ათ. ვედრო ღვინო, დანარჩენ ღვინოს კი კერძო მეღვინეები აყენებდნენ. საქართველოს ღვინოების დიდი ნაწილი უმაღლესი ღირსებისაა. ზოგიერთი კერძო მეღვინეთა ღვინო არ ჩამოუვარდება სახელმწიფო მამულების ღვინოს და მას მეტოქეობას უწევს; მაგრამ მეტად დიდი განსხვავებაა ყურძნის მოსავალ-

ში ითთო. დესეტინიდან სახელმწიფო და კერძო ვენახებს შორის. ერთი დესეტინა სახელმწიფო ვენახისა იძლევა 270—430 ვედროს, საშუალოდ 350 ვედროს მაშინ, როდესაც კერძო მეღვინეთა მოსავალი დესიატინიდან 140—170 ვედროს არ აღემატება, ე. ი. $2^1/_2$ ჯერ ნაკლებია. ასეთ განსხვავებას ქმნის ვენახის მოშენების და ღვინის დაყენების გაუმჯობესებული წესების გამოყენება.

მაგრამ ყურძნის მოსავალი სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა ნაირია და ამ სხვადასხვაობას იწვევს: მორწყვა, ნიადაგის სხვაობა, ატმოსფერული ნალექის რაოდენობა და სხვ. ასე, ბორჩალოს მაზრაში, სადაც გერმანელების ახალშენების ყველა ვენახი ირწყვება, დესიატინა საშუალოდ იძლეოდა 1909—13 წ.წ. 333 ფ. და 1917 წ.—300 ფ. თელავის მაზრაში იმავე ხანებში დესიატინა იძლეოდა 210 ფ. და 98 ფ. ხოლო ტფილისის მაზრაში 228 ფ. და 66 ფ. ცხადია, რომ 1917 წ. ყურძნის მოსავალი ყველგან შემცირებულა, მაგრამ ბორჩალოს მაზრაში, სადაც ვენახები ირწყვება, შემცირება $^1/_{10}$ გამოიხატება, თელავის მაზრაში $^2/_3$, ტფილისის მაზრაში კი 70%-ით.

ბორჩალოს მაზრის გარდა 1909—13 და 1917 წ.წ. მაქსიმალური მოსავალი მოვიდა შორაპნის მაზრაში 334 და 207 ფ. ლეჩხუმის—268 და 147 და ზუგდიდის მაზრაში—264 და 127 ფ. მინიმალური მოსავალი იყო ახალქალაქის მაზრაში: 1909—13 წ.—53 ფ., 1917 წ.—40 ფ. ახალციხის მაზრაში—27 და 35 და აჭარისტანში—1909—13 წ.— 33 ფ.

ამრიგად ომამდე საქართველოს ტერიტორია იძლეოდა სულ 8 მილიონამდე ვედრო ღვინოს. უმცირესი ფასი ვედრო ღვინოსი დამზადების ადგილზე იყო 1 მ. 50 კ. უდიდესი კი 3 მან. საშუალოდ 8 მილ. ვედრო ღვინის ღირებულება უდრიდა 16 მილ. მანეთს.

ომის შემდეგ საქართველოში მეღვინეობა, როგორც დავინახეთ, ძალიან დაეცა, მრავალი საუკეთესო სავენახეები განადგურდა ჩვენი წინდაუხედაობის და უმთავრესად უსახსრობის გამო.

თუ ომის წინა წლებში ვენახის სივრცე საქართველოში უდრიდა 58 ათას დესუტ. დღეს ეს სივრცე 40 ათას დესეტინამდე ვერ აღწევს. აი ცნობები ვენახის სივრცის და ღვინის მოსავლის შესახებ ომის შემდეგ:

| | სივრცე | მოსავალი |
|---|---|---|
| 1917 წ. | 37.522 დეს. | 4.734.932 ვედრო. |
| 1923 „ | 29.079 „ | — |
| 1924 „ | 35.723 „ | — |
| 1925 „ | 34.223 „ | 5.206.000 ვედრო. |

ეს ციფრები სრული არ არის, მაგრამ ეს ცნობები ნათელ ჰყოფს, რომ მევენახეობა-მეღვინეობა უდიდეს კრიზისს განიცდის და ის ჯერ ძალიან შორსაა მისი ძველი დონედან, როდესაც ვენახის სივრცე საქართველოში 58 ათას დესეტინას აღწევდა.

საქართველოს ღვინის მთავარი გარე ბაზარი იყო, არის და იქნება რუსეთი, რომელიც საკუთარ ღვინოს სრულიად მოკლებულია. ღვინის საშუალო მოსავალი საქართველოში ომამდე უდრიდა 8 მილიონ ვედროს, ამ რაოდენობიდან 30 პროც. ადგილობრივად იხმარებოდა, 40 პროც. იგზავნებოდა შინა ბაზარზე (ტფილისი, ქუთაისი, ბათომი) და 30 პროც. იზიდებოდა რუსეთში, აზერბეიჯანში და თურქესტანში, 1919—20 წლ. სტამბოლშიაც.

სახელმწიფო მამულების ღვინოს გამოკლებით, საქართველოს ღვინოები, მიუხედავათ მათი ხარისხისა, ისე პრიმიტიულადაა დამზადებული, რომ შორ გზაზე გადატანის დროს ფუჭდება და იმავე დროს არაა ევროპიულ მომხმარებლის გემოზე დამზადებული. ღვინოები უნდა მზადდებოდეს სხვა უფრო გაუმჯობესებული წესით; ამ საკითხზე მუშაობს ისეთი გაერთიანებები, როგორიცაა „კახეთი", „კავშირთა-კავშირი" და იმუშავებს ახლად დაარსებული მეღვინეთა ტრესტი; დღემდე კი პოლიტიკური პირობები ხელს უშლიდა მეღვინეობაში საჭირო კაპიტალის მიზიდვას ღვინის დამზადების წესის გასაუმჯობესებლად. ახლა უნდა ვიმედოვნოთ, რომ მეღვინეობა მიიზიდავს საჭირო კაპიტალს და საქართველოში დამზადდება მაღალი ხარისხის ღვინო, რომელიც ადვილად გაუძლებს შორ ქვეყნებში გადაზიდვას.

რაც შეეხება სახელმწიფო მამულებში დამზადებულ ღვინოებს, მათ ადვილად შეუძლიათ შეედარონ დასავლეთ ევროპის საუკეთესო ღვინოებს და უეჭველად იპოვნიან მომხმარებლებს ევროპის ბაზრებზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოს ღვინოს 30% ანუ ორ მილიონ ვედროზე მეტი იზიდებოდა საქართველოს საზღვრების გარეთ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საზღვარ-გარეთ გააქვთ კარგი ხარისხის ღვინო (3 მ. ვედრო), გატანილ ღვინის ღირებულება 6—7 მილ. მანეთში გამოიხატება. აქ აღვნიშნავთ, რომ რუსეთი მუდამ იქნება საქართველოს ღვინის მომხმარებელი.

ღვინის გაზიდვა საქართველოდან ომის შემდეგ უდრიდა: *)

---

*) ცესუს კრებული 1923 წ. გამოც. გვ. 64.

| | | |
|---|---|---|
| 1918 წ. . . . . | 6.946 | ფუთ. |
| 1919 „ . . . . . | 309.340 | „ |
| 1920 „ . . . . . | 20.362 | „ |
| 1921 „ . . . . . | 23.030 | „ |

1924/25 წ. 612.800 ფ.

1925/26 წ.—851 ათ. ფ.

### ღვინის სპირტი, კონიაკი და შამპანიური.

საქართველოში ყურძნის ჭაჭიდან დიდძალი ღვინის სპირტი მზადდება. ერთი ვედრო ღვინოს ჭაჭა დაახლოვებით ორ გრადუს სპირტს იძლევა. თუ ღვინოს მოსავალს ვიანგარიშებთ 8 მილ. ვედროს, მაშინ ყურძნის ჭაჭიდან მისაღები სპირტის რაოდენობა 16 მილიონი გრადუსი იქნება. სინამდვილეში, რასაკვირველია, ამაზე ნაკლები სპირტი მზადდება. ოფიციალური ცნობებით საქართველოში სხვადასხვა მასალიდან მზადდებოდა სპირტი:

| | | |
|---|---|---|
| 1910 . . . . | 7.222.285 | გრადუსი. |
| 1911 . . . . | 7.614.528 | „ |
| 1912 . . . . | 8.230.666 | „ |
| 1913 . . . . | 11.631.602 | „ |
| 1914 . . . . | 8.635.995 | „ |
| ს უ ლ . | 43.335.076 | გრადუსი. |

ამ ოფიციალური ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ 5 წლის განმავლობაში—1910—1914 წ.წ. საშუალოდ ყოველ წლიურად სხვადასხვა მასალიდან მზადდებოდა 8.667.015 გრ. სპირტი.

ეს ოფიციალური რეგისტრაციის ცნობები არაა სავსებით სწორი, რადგანაც ის აქციზის ცნობებზეა დაყრდნობილი. სპეციალისტ-აგრონომების დაკვირვებით და ცნობებით საქართველოში მზადდება არა ნაკლებ 10 მილ. გრად. სპირტისა, რომლის ღირებულება 1.200 ათას მანეთს უდრის.

ამრიგად მეღვინეობა და სპირტის დამზადება იძლევა:

8 მილ. ვედრო ღვინოს ანუ 16 მილ. მან.; 10 მილიონ გრადუს სპირტს, ანუ 1,2 მილ. მან., ე. ი. დაშზადების ადგილზე ეს მეურეობა იძლევა სულ 17,2 მილ. მან.

საქართველოდან გადიოდა 2 მილ. ვედროზე მეტი ღვინო 6—7 მილ. მანეთად ღირებული და 50 ათ. ვედრო სპირტი 600 ათ. მან. ღირებული. გარდა ჭაჭის, ჰურის, ხეხილის და სხვ. მასალის სპირტისა, საქართველოში ღვინოდან მზადდებოდა კონიაკის სპირტი.

კონიაკის სპირტის რაოდენობა უდრიდა:

| | | |
|---|---|---|
| 1910 . . . . . | 23.352 | გრად. |
| 1911 . . . . . | 376.009 | „ |
| 1912 . . . . . | 94.974 | „ |
| 1913 . . . . . | 468.084 | „ |
| 1914 . . . . . | 819.729 | „ |

კონიაკის სამშობლო—საფრანგეთია. მსოფლიოში საუკეთესო კონიაკი მზადდება შარანტის დეპარტამენტში ქ. კონიაკის მიდამოებში.

საქართველოში მრავალი ადგილები წააგავს ნიადაგით და ჰაერით საფრანგეთის ამ ნაწილს. ამიტომ არის, რომ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ საქართველოში წარმატებით შეიძლება განვითარდეს კონიაკის წარმოება.

საქართველოდან რუსეთში გაიზიდა 1914 წ. 1.337.844 გრ. ანუ 13.378 ვედრო სპირტი (ე. ი. 30 ათ. ვედრო კონიაკი). ნიადაგი და კლიმატიური პირობები ხელს უწყობენ ჩვენში აგრეთვე შამპანიურის წარმოების განვითარებას. ასეთი ადგილებია: შორაპნის მაზრა, განსაკუთრებით კი დაბა ბაღდადი, რაჭა, კახეთი, ქართლი და ქუთაისის მაზრა.

როგორც დავინახეთ, ღვინოს ჩვენს სახალხო მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. სამწუხაროდ, უკანასკელ ხანებში ჩვენი მეურნეობის ამ მთავარი დარგის პროდუქციის რეალიზაციის საქმე მეტად მძიმე პირობებში იმყოფება. ღვინის გასაღების კრიზისს ხელს უწყობს: მაღალი აქციზი, რკინის გზის მაღალი ტარიფი, რუსეთში 40% არყის გამოშვება და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფილოქსერას, რომელიც ანადგურებს ჩვენს ვენახებს.

ღვინის დამზადების საქმეც არა ჯეროვან ნიადაგზე დაყენებული. საქართველომ უნდა სძლიოს ფილოქსერა, გააუმჯობესოს ვენახის მოვლა და ღვინის მომზადება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოს ღვინოები მაღალი ხარისხისაა: საქართველოს ღვინისაგან შეიძლება კარგი ხარისხის შამპანიურის დამზადებაც.

მაგრამ ხალხი ვენახს ვერ უვლის, ღვინოს ვერ ამზადებს ისევ როგორც ეს საქმე არის ევროპაში დაყენებული, უსახსრობის გამო ვენახისათვის საჭირო წამალსაც დროზე და საკმაო რაოდენობით ვერ პოულობს.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ეს მდგომარეობა გამოკეთდება და აგრეთვე ისეთ მდგომარეობასაც არ ექნება ადგილი, როდესაც ქართველი გლეხის ვენახის დესეტინა ძლივს იძლევა 150 ვედრო ღვინოს. გერმანელების ახალშენების დესეტინა კი ბორჩალოში—333 ვედროს და სახელმწიფოს მამულში დესეტინა—430 ვედროს.

თითო დესეტინიდან ღვინის მოსავალის რაოდენობა ინტენსიურ კულტურამ ყველგან უნდა ასწიოს და გლეხის დესეტინაც უნდა იძლეოდეს არა ნაკლებ 400 ვედროსი. უნდა შეიქმნას ღვინის დამზადების ისეთი პირობები, რომ გლეხის ყურძენიც ისეთ ღვინოს გვაძლევდეს, როგორსაც გვაძლევს სახელმწიფო მამულების ყურძენი.

აქ მიუწდომელი არაფერია. ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს.

საქართველოს ვენახი ახლო მომავალში დაიკავებს თავისი ძველი ტერიტორიის რაოდენობას არა ნაკლები 58 ათასი დესეტინისა. დესეტინა მოგვცემს არა ნაკლებ 300—400 ვედროსი. გლეხას ღვინის ღირსება იქნება ისეთი, როგორი ღირსებისაც არის სახელმწიფოს ღვინო, რომლის ღირებულება შედარებით გლეხის ღვინოსთან ორსამჯერ მეტია. ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს თანხას და შესაფერ ორგანიზაციას, რომელიც კარგი საქმისათვის ყოველთვის მოიპოვება.

აი ამ პირობებში საქართველოში დამზადდება არა ნაკლები 20 მილ. ვედროსი (58.000 დეს. × 350 ვედროზე— 20.000:000 ვედრო) შიგ საქართველოში იხარჯებოდა და დაიხარჯება დაახლოვებით 6 მილ. ვედრო. დანარჩენი 14 მილ. ვედრომდე კარგი ღირსების ღვინო შეიძლება გატანილი იქნეს საქართველოს საზღვრებიდან, რადგან გატანილი ღვინო კარგი ხარისხის იქნება, ვედროს ფასი იქნება არა ნაკლებ 2—3 მანეთისა. ამნაირად საქართველოს ექნება საექსპორტო ღვინო დღევანდელ ღირებულებით არა ნაკლები 40—50 მილ. მანეთისა. ასეთი ღირებულება მომავალშიც არ შემცირდება, ვინაიდან საექსპორტო ღვინის ერთი ბოთლი 20 კაპეიკზე ნაკლები, რასაკვირველია, არ ეღირება.

ასეთია მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობა საქართველოსათვის და აი ამიტომ მისი აღდგენა-გაუმჯობესებას საქართველოს ეკო-

ნომიურად აღორძინებისათვის, ჩვენი საგაჭრო ბალანსის აქტივობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

აი ამ საფუძვლით, ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა აღვადგინოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომელნიც იყვნენ და კიდევ დიდხანს იქნებიან ჩვენი ხალხის კეთილდღეობის დედა-ბოძებიჰ; საქართველოს ეკონომიური წარმატების ერთი ასეთი დედა-ბოძია მევენახეობა-მეღვინეობა.

# მეგალეოგა.

საქართველო მდიდარია ხეხილით. ჩვენს მებაღეობას სამრეწველო ხასიათი აქვს. დასავლეთ საქართველოში გვაქვს ზეთის ხილი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი. მანდარინის პლანტაციები გარდა აჭარისტანისა გავრცელებულია აგრეთვე ოზურგეთის და მის მეზობელ მაზრებში. მაგრამ აქამდე ამ რაიონში უმთავრესად განვითარებული იყო ვაშლის, კაკლის, მსხლის, ქლიავის, ატმების, ბალის, ქვიშნის და ჭერამის კულტურები.

სათანადო ცნობების უქონლობისა გამო შეუძლებელია სწორედ გამორკვევა მებაღეობის სივრცისა საქართველოში, მაგრამ ერთი კარგი მცოდნე აგრონომი—გ. წინამძღვარიშვილი ერთ თავის მიმოხილვაში (რომელიც მან მე გადმომცა ჯერ კიდევ 1922 წ.), აღნიშნავდა რომ გორის მაზრაში 5.000 კომლს აქვს 8—10 ათას დესეტინამდე საუკეთესო ხარისხის ხეხილით გაშენებული მიწა. იქ არის უცხოეთის ჯიშის ვაშლები: კანადის რენეტი, ორლეანის რენეტი, შამპანიური რენეტი, „კიურე“, „კეთილი გლეხი“, შაფრანი, თეთრი კავლილი, ოქროს პარმენი, თეთრი რაზმარინი, წითელი რაზმარინი, ლაგოდეხის რენეტი, და სხვ. ადგილობრივი ჯიშის: თურაშაური, სირმა, კიტრა და სხვ. იქვე, გორის მაზრაშივე, არის უმაღლესი ხარისხის უცხოეთის ჯიშის მსხალი, ბერ-დილი, ბერ-ალექსანდრე, ბერ არდონან ვილიამე, სენ ჟერმენ, კიურე და სხვ. ადგილობრივი: გულაბა, თეთრი მსხალი, შავი მსხალი, თაფლიანი მსხალი და სხვ. სპეციალისტების აზრით გორის მაზრის ხილს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს დასავლეთ ევროპის საუკეთესო ხარისხის ხილებს.

სხვა რაიონების შესახებ ცნობების უქონლობისა გამო ჩვენ უმთავრესად შევჩერდებით ცნობებზე გორის მაზრის შესახებ. ეს ცნობები დამახასიათებელია სხვა ერთგვარი ბუნებრივი პირობების მქონე მაზრებისათვისაც. გორის მებაღეობას ერთ-ერთი დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს სოფლის მეურნეობაში, როგორც რაოდენობით, ისე თვისებითაც.

ერთი დესეტინა ხილის ბაღი გორში იძლევა საშუალოდ 2.000 მან. აქედან 10.000-დე დეს. ბაღის ღირებულება შეადგენს დაახლოვებით 20 მილ. მანეთს. ეს მაზრა ყოველწლიურად აძლევს ბაზარს 1.500.000 ფ. საუკეთესო ხარისხის ევროპიულ ხილს. ერთი ფუთი ევროპიული ჯიშის გორის ხილი ადგილზე ფასობს 3—7 მანეთამდე, ხოლო ადგილობრივი—1 მ. 50 კ.—2 მ. 40 კ. ამრიგად, თუ საშუალოდ ფუთ ხილს ვიანგარიშებთ 3 მანეთად, მთელი ხილი, რომელსაც გორის მაზრა იძლევა, ეღირება 3—4 მილ. მანეთამდე. ერთ დესეტინაზე საშუალოდ მოდის 225 ძირამდე ვაშლი, ან 300 ძირი მსხალი. სრულ ნაყოფს ვაშლი იძლევა მე-8-ე წელზე, ხოლო მსხალი მე-7-ე წელზე.

საქართველოს ბაღების სივრცე 1900—1917 წ. შეადგენდა (დესეტინობით):

| | 1900 წ. | 1913 წ. | 1917 წ. |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო | 2.775 | 2.110 | 2.079 (1.487) |
| დასავლეთი საქართველო | — | — | 1.766 (1.513) |
| აფხაზეთი . . . . . | — | — . | 500 (3.167) |
| აჭარისტანი. . . . . | — | 421 | 1.097 — |
| სულ. . | 2.775 | 2.696 | 5.442 (6.167) |

ფრჩხილებში ჩასმულია სივრცე შერეული ხეხილ-ვენახის ბაღებისა.

უფრო სწორ ცნობებს იძლევა 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა. ამ აღწერით ხილის მთლიანი (сплошной) ბაღების სივრცე უდრიდა 8,477 დესეტინას, რომელიც ნაწილდებოდა 31.032 მეურნეობათა შორის. გარდა ამისა, აღნიშნული აღწერით აღრიცხულია 2.367.000 ძირი ხეხილი და 532 ათასი ბუჩქი თხილი, რაც დესეტინაზე გადაყვანით (დესეტინაზე ვანგარიშობთ 300 ძირ ხეს და 300 ბუჩქ თხილს) იძლევა 9.690 დესეტინა ბაღს.

ამრიგად მთლიან ბაღების და ბაღების გარეშე გაშენებული ხეხილის საერთო სივრცე 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით 18.137 დეს. უდრის, თუმცა სპეციალისტების აზრით, ხეხილის სივრცე მეტი უნდა იყოს.

ზემოთ აღნიშნული სივრცე ბაღებისა რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

| რაიონები | მთლიანი ბაღები | მთლიანი ბაღ. გარეშე გაშენ. ხეხილი | თხილი | ბაღ. გარეშე გაშენ. ხეხ. და თხილის ბუჩქების ჯამი | ჯამი | %% |
|---|---|---|---|---|---|---|
| აღმ. საქართველო . | 3.218 | 2.055 | 60 | 2115 | 5333 | 29,4 |
| დას. საქართველო . | 2.255 | 4.893 | 1460 | 6352 | 8607 | 47,5 |
| აფხაზეთი . . . . . | 1.894 | 458 | 203 | 662 | 2556 | 14,1 |
| აჭარისტანი . . . . | 972 | 397 | 46 | 443 | 1414 | 7,8 |
| სამხრეთ-ოსეთი . . . | 138 | 88 | — | 88 | 226 | 1,2 |
| | 8,477 | 7.891 | 1769 | 9660 | 18136 | 100 |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში ხეხილის საერთო სივრცე საგრძნობლად მეტია აღმოსავლეთ საქართველოსაზე: 8,6 ათ. დეს. 5,3 ათ. დეს. წინააღმდეგ, მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ მთლიანი ბაღის გარეშე გაშენებულ ხეხილს გაცილებით ნაკლები სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთლიან ბაღებს. მთლიანი ბაღებით უფრო მდიდარია აღმოსავლეთი საქართველო, მაგ., როგორც ზემოდ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, მთლიანი ბაღებია:

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში . | 3.218 | დეს. | 38% |
| დასავლეთ საკართველოში . . | 2.255 | „ | 26,6% |
| აფხაზეთში . . . . . | 1.894 | „ | 22,3% |
| აჭარისტანში . . . . . | 972 | „ | 11,5% |
| სამხრეთ ოსეთში . . . . . | 138 | „ | 1,6% |

მაგრამ თუ საქართველოს თავისი ბუნებრივი ისტორიული საფუძვლების მიხედვით ორ ნაწილად გავყოფთ: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში იქნება მთლიანი ბაღი—3.356 დეს., ხოლო დასავლეთ საქართველოში—5.420 დეს, ანუ მეტი, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

ხეხილის მქონე მეურნეობათა საერთო რიცხვი 388.500 უდრის, მაგრამ ამ რაოდენობიდან მთლიანი ბაღი აქვს მხოლოდ 31.032 მეურნეობას, ანუ 8%.

1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით იმ მეურნეობათა რაოდენობა, რომელთაც მთლიანი ბაღის ნაშენები აქვთ, საქართველოს რაიონებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება:

| რ ა ი ო ნ ე ბ ი | ბეურნეობათა საერთო რიცხვი | ბაღის მქონე მეურნეობათა რიცხვი | % მეურნეობის საერთო რიცხვთან | % ბაღის საერთო ჯამის მიმართ. |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო | 159.516 | 14.829 | 9,3 | 47,8 |
| დასავლეთი საქართველო | 174.281 | 9.782 | 5,6 | 31,5 |
| აფხაზეთი | 30.901 | 4.157 | 13,5 | 13,4 |
| აჭარისტანი | 11.131 | 1.649 | 14,8 | 5,3 |
| სამხრეთ-ოსეთი | 12.651 | 615 | 4,9 | 2,0 |
| სულ რესპუბლიკაში | 388.480 | 31.032 | 8,0 | 100,0 |

მთლიანი ბაღების მქონე მეურნეობათა რიცხვის უდიდესი ნაწილი მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე (47,8%), დასავლეთ საქართველოზე მოდის 31,5%, აფხაზეთზე—13,4%, აჭარისტანზე—5,3% და სამხრეთ-ოსეთზე—2%; თუ კითხვას განვიხილავთ მთლიანი ბაღების მქონე მეურნეობათა პროცენტული მიმართების მიხედვით რაიონში არსებულ მეურნეობათა საერთო რიცხვის მიმართ, მივიღებთ, რომ ამ მხრივ აჭარისტანს პირველი ადგილი უკავია (14,8%), მეორე—აფხაზეთს—(13,5%), მესამე—აღმოსავლეთ საქართველოს—(9,3%), მეოთხე—დასავლეთ საქართველოს—(5,6%) და უკანასკნელი კი—სამხრეთ ოსეთს—(4,9%). მთლიანი ბაღის ხეხილი საშუალოდ ამ მეურნეობაზე მოდის: აჭარისტანში—0,59 დეს., აფხაზეთში—0,46 დეს., აღმოსავლეთ საქართველოში—0,22 დეს., დასავლეთ საქართველოში 0,23 დეს. და სამხრეთ-ოსეთში 0,22 დეს. ბაღის მთლიანი ნაშენების სივრცის გამორკვევა ვერ სწყვეტს საკითხს ამა თუ იმ რაიონში მეხილეობის სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ. ამ კითხვის გადაწყვეტისათვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის რაოდენობას და იმას, თუ რამდენ ხილს აძლევს ბაზარს ადგილობრივი მებაღეობა, უკანასკნელი კითხვის გამოსარკვევად ჩვენ არ მოგვეპოვება საჭირო მასალები და ამიტომ ვხელმძღვანელობთ რკინის გზის და ნავთსადგურების გადაზიდვის ცნობე-

ბით, უფრო სწორ და დაწვრილებით ცნობებს იძლევა რკინის გზის მასალები. ნავთსადგურების მასალები უფრო ნაკლებ საიმედო ცნობებს იძლევა ტვირთის დანიშნულების უკანასკნელი პუნქტის შესახებ და ამატომ ამ მასალებით ძნელი ხდება ჩვენი ხილის ბაზრის სისწორით გამორკვევა. გარდა ამისა, ნავთსადგურების ცნობებში არაა გაყოფილი ხილისა და ბოსტნეულის ტვირთ-ბრუნვა. ამიტომ ქვემოდ ჩვენი ცნობები შეეხება რკინის გზის ტვირთ-ბრუნვას. ცნობები არკვევენ იმ ხილის რაოდენობას, რომელიც იგზავნება საქართველოს რკინის გზის სადგურებიდან.

გაიგზავნა ყოველი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს რკინის გზის სადგურებიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1890—1894 წ. . . . | 897.000 | ფუთი | 100% |
| 1900—1904 „ . . . | 1.180.000 | „ | 131,5% |
| 1909—1913 „ . . . | 3.953.000 | „ | 440,8% |

ეს ციფრები მოწმობენ, თუ რა ენერგიულად ვითარდებოდა ჩვენი მეხილეობა, ანუ, უფრო სწორად, თუ რა ენერგიულად იზრდებოდა ჩვენი მებაღეობის პროდუქციის საქონლიანობა.

ეს ზრდა საქართველოს ცალკე რაიონების მიხედვით შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა ათას ფუთებში (ხუთ წლობით და პროცენტულად):

| | 1890—94 | % | 1900—1904 | % | 1909—1913 | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| აღმ. საქართვ. | 399 | 100 | 590,3 | 148 | 2.014,9 | 505,1 |
| დასავ. „ | 272 | 100 | 347,7 | 127,9 | 1.516,6 | 557,7 |
| აჭარისტანი | 226 | 100 | 241,5 | 106,8 | 422,0 | 186,6 |
| | 897 | | 1.179,5 | | 3,953,5 | |

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, მთლიანი და ბაღის გარეშე გაშენებული ხეხილების რაოდენობა უკეთ გამოხატავს ცალკე რაიონში მებაღეობის ეკონომიურ მნიშვნელობას.

ტვირთ-ბრუნვა დასავლეთ საქართველოში უფრო ჩქარა იზრდება და საგრძნობლად უახლოვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტვირთ-ბრუნვას. თუ წინეთ (1890—1894 წ.) პირველის ჩამორჩენა 47% უდრიდა, სამაგიეროდ, 1909—1913 წ. მისი ჩამორჩენა გამოიხატება მხოლოდ 33%-ით.

კაბოტაჟური გადაზიდვის ცნობებიც ადასტურებენ დასავლეთ საქართველოს მეხილეობის მსხვილ საბაზრო მნიშვნელობას. მართა-

ლია, ეს ცნობები შეეხება არა მარტო ხილს, არამედ ის ბოსტნეულ-საც შეიცავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის (ცნობები) მაინც გვი-ჩვენებს ხილის დიდი რაოდენობით გადაზიდვას. 1909—1913 წ. სა-ქართველოს ნავთსადგურებიდან ხილისა და ბოსტნეულის კაბოტა-ჟური გადაზიდვა უდრიდა 8.327.345 ფუთს; ამ რაოდენობიდან აფ-ხაზეთის ნავთსადგურებით აღნიშნული ხნის განმავლობაში გაგზავნი-ლა 864.025 ფ., დანარჩენ რაოდენობას—7.463.320 ფ. უნდა გამო-აკლდეს დაახლოებით 2.600.000 ფ. ხილი და ბოსტნეული, რომელიც აღნიშნული ხუთი წლის განმავლობაში მივიდა ფოთში ზღვით გადა-საგზავნად. დანარჩენი 4.860.000 ფუთი უნდა ჩაეთვალოს დასავლეთ საქართველოს. ამ რაოდენობიდან 3.240.000 ფ. შეადგენდა მებაღე-ობის პროდუქტს. შემდეგ იმავე ხუთი წლის განმავლობაში რკინის გზით გაიგზავნა 676.410 ფ. თხილი.

ამ რიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დასავლეთ საქარ-თველოს (აჭარისტანის და აფხაზეთის შიგ ჩართვით) მებაღეობის პროდუქტის შარა-გზებით გადაზიდვას და ადგილობრივ ბაზარზე ბრუნვას, მაშინ მივიღებთ, რომ დასავლეთ საქართველომ 1909-1913 წლის განმავლობაში ბაზარს მიაწოდა 5.855 ათ. ფ. მებაღეობის პროდუქტი, სულ მთელი საქართველოს მებაღეობამ კი 7.870 ათ. ფ.

მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ შარა-გზებით გადაზიდ-ვას და ადგილობრივი ბაზრების ბრუნვას, მაშინ ეს ციფრი უნდა გადიდდეს. ამიტომ მას ვარგვალებთ და ვღებულობთ 8 მილიონ ფუთს, რაც ჩვენის აზრით, უფრო გამოხატავს სინამდვილეს.

ხილის სხვადასხვა სახის ზრდისა და ტვირთ-ბრუნვაში მონა-წილეობის გამოსარკვევად ჩვენ შემდეგ დავეყრდნობით მხოლოდ რკი-ნის გზის ცნობებს.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ხილის სხვადასხვა სახის რკინის გზის სადგურებიდან გაგზავნას (ხუთწლეული ჯამები ათას ფუთობით). (იხ. ცხრ. გვ. 113).

უდიდესი სიჩქარით იზრდება ყურძნის საქონლიანობა (1.234,5%) შემდეგ „დანარჩენი ხილის“ (614,7%), შემდეგ მიდის ვაშლი (344,6) მსხალი (245,2%) და ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი (192%).

შეიძლება ამ ცნობებმა ერთის მხრივ გაუგებრობა დაბადოს; შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ საქონლიანობის ზრდასთან, გაგზავ-ნის არა ჩვეულებრივ გადიდებასთან ერთად პროპორციულად იზრ-დებოდა ამა თუ იმ სახის ხილის მონაწილეობა გაგზავნაში. სინამდ-ვილეში ეს ასე არ იყო, პირიქით, სულ საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი, როგორც ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი.

| | 1890-94 | % | 1900-04 | % | 1909-13 | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშლი . . . . | 603,1 | 100 | 623,5 | 103 | 2078,6 | 344,6 |
| მსხალი . . . | — | — | 184,3 | 100 | 451,9 | 245,2 |
| ყურძენი . . . | 7,9 | 100 | 14,5 | 182,8 | 97,9 | 1.234,5 |
| ფორთოხალი ლიმ. მანდარინი | 104,6 | 100 | 169,4 | 162,0 | 210,8 | 192,0 |
| დანარჩენი ხილი | 181,3 | 100 | 187,8 | 103,5 | 1.114,3 | 614,7 |
| | 896,9 | 100 | 1179,5 | 131,5 | 3.953,5 | 440.8 |

ცალკე გაგზავნა საქართველოს რკინის გზის სადგურებიდან 5 წლობით (%%-ში):

| | 1890-94 | 1900-04 | 1909-13 |
|---|---|---|---|
| 1. ვაშლი . . . . . | 62,7 | 52,9 | 52,9 |
| 2. მსხალი . . . . . | — | 15,6 | 11,4 |
| 3. ყურძენი . . . . . | 0,9 | 1,2 | 2,5 |
| 4. ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი . . . . . | 11,7 | 14,4 | 5,3 |
| 5. დანარჩენი . . . . . | 20,2 | 15,9 | 28,2 |
| | 100 | 100 | 100 |

მიუხედავათ გადაგზავნილი ყურძნის რაოდენობის არა ჩვეულებრივი ზრდისა, მისი მონაწილეობა გაგზავნილი ხილის საერთო ჯამში ძალიან ნელის ტემპით იზრდება: 20 წ. განმავლობაში ის გაიზარდა 0,9%-დან 2,5%-დე, როცა იმავე ხნის განმავლობაში გაგზავნილი ყურძნის რაოდენობა 100%-დან 1.234,5%-დე გაიზარდა.

ფორთოხლის, მანდარინის და ლიმონის მონაწილეობის % შემცირდა 11,7%-დან 5.3 პრც. მსხლის 15,6 პროც. 11,4 პროც. ვაშლის— 67,2 პროც. 52.6 პროცენტამდე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცხრილში მოყვანილი საქარ. რკინის გზის სადგურებიდან გაგზავნის ცნობები წარმოადგენს ბაღების პროდუქციის ნაწილს· გარდა რკინის გზისა ხილი მოხმარების ადგილზე იგზავნებოდა შარა-გზებითაც, ამავე დროს მოხმარების ადგილზე შარა-გზებით უფრო მეტი იგზავნებოდა, ვიდრე რკინის გზით. მოყავს რა ეს უკანასკნელი მოსაზრებანი, საქართველოს საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექცია აღნიშნავს: „მაგ. დუშეთის და ბორჩალოს მაზრებში რკინის გზით გადაგზავნა იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული რაიონის მებაღეობის პროდუქცია უფრო შორეულ ფართო ბაზარს პოულობს და ამრიგად რკინის გზის ტვირთ ბრუნვის ზრდა მაჩვენებელია ხილის საქონლიანობის გადიდებისა. ამავე დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მებაღეობის პროდუქტების გარეშე ბაზრებზე გასვლა. რკინის გზის და ნავთსადგურების ტვირთ-ბრუნვა ხილის დარგში აშკარად გვიჩვენებს ხილის საშინაო და საგარეო ბაზარზე გაზიდვის თანდათანი ზრდას“. შემდეგი ცხრილი ადასტურებს ამ დებულების სისწორეს (ყველა სახის ხილის გადაზიდვის ჯამი ხუთ წლობით საგარეო და საშინაო ბაზრებზე):

| წლები: | საგარეო ბაზარი | | საშინაო ბაზარი | | ს უ ლ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ფუთები | % | ფუთები | % | ფუთები | % |
| 1890—94 | 95.000 | 100,0 | 802.000 | 100,0 | 897.000 | 100,0 |
| 1900—04 | 375.000 | 394,0 | 717.000 | 89,4 | 1.180.000 | 131,5 |
| 1909—13 | 2.311.370 | 2.434.0 | 1.642.000 | 204,8 | 3.953.000 | 440,8 |

ამ ცხრილიდან იგივე სექცია შემდეგ დასკვნას აკეთებს: „გარდა საგარეო ბაზრებზე ხილის გაზიდვის აბსოლიუტური დიდი ზრდისა, შესამჩნევი ხდება ამ გადაზიდვის შედარებითი ზრდაც შინაურ ბაზარზე გადაზიდვასთან შედარებით. თუ 1890—94 წ. საგარეო ბაზარზე გაზიდული ხილი შეადგენდა მებაღეობის მთელი პროდუქტის 10,6 პრც. 1909-13 წ. ეს პროცენტი 58,5-დე გაიზარდა, ე. ი. 1909-13 წ. საგარეო ბაზრებზე გატანილ იქნა მებაღეობის მთელი პროდუქციის 58,5 პროც. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ

ჩვენი შინა ბაზრის ტევადობა ხილის მიმართ მეტად მცირეა და ჩვენში მებაღეობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ჩვენს ხილს გასავალი ექნება საგარეო ბაზრებზე".

როგორც ზემოთ დავინახეთ, საგარეო ბაზარზე გატანა 1890-94 წლიდან 1909-13 წ. 10,6 პროცენტიდან 58,5%-დე გაიზარდა, ხოლო შინაურ ბაზარზე იმავე ხნის განმავლობაში 89,4 პროც.—41,5 პროცენტამდე შემცირდა ხილის გადაზიდვა.

რაც შეეხება ხილის ცალკე სახეების შორეულ ბაზარზე გატანას და უმთავრესად საგარეო ბაზარზე ექსპორტს, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ როგორაა მოწყობილი ხილის გადატანის საქმე და როგორ უძლებს შორ ტრანსპორტს ესა თუ ის ხილი.

ხილის ცალკე სახეების გადაზიდვას საგარეო და საშინაო ბაზარზე შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

| წლები | ვ ა შ ლ ი | | | | | მ ს ხ ა ლ ი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საგარეო | | საშინაო | | აბსოლ. ჯამი | საგარეო | | საშინაო | | აბსოლ. ჯამი |
| | აბ-სოლ. ათ. ფ. | % % | აბ-სოლ. ათ. ფ. | % % | | აბ-სოლ. ათ. ფ | % % | აბ-სოლ ათ.ფ | %% | |
| 1890—94 | 64,1 | 100 | 539 | 100 | 603,1 | — | — | — | — | — |
| 1900—04 | 197,4 | 308,0 | 426,1 | 79,1 | 623,5 | 65,5 | 100 | 93,6 | — | 184,3 |
| 1909—13 | 1.415,5 | 2207.9 | 663,1 | 123,6 | 2078,6 | 244.0 | 372,6 | 1578 | 1686 | 451,8 |

| წლები | ყ უ რ ძ ე ნ ი | | | | | ლიმონი-მანდარინი-ფორთოხალი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საგარეო | | საშინაო | | აბსოლ. ჯამი | საგარეო | | საშინაო | | აბსოლ. ჯამი |
| | აბ-სოლ ათ.ფ | %% | აბ-სოლ. ათ. ფ | % % | | აბ-სოლ. ათ. ფ. | % % | აბ-სოლ ათ.ფ | %% | |
| 1890—94 | 0,25 | 100 | 7,78 | 100 | 7,9 | 26,8 | 100 | 77,8 | — | 104,6 |
| 1900—04 | 0,20 | 520 | 12,98 | 168,9 | 14,5 | 70,0 | 261,2 | 78,7 | 1006 | 139,4 |
| 1909—13 | 6,30 | 2522 | 91,64 | 1192,6 | 97,9 | 135,4 | 505,4 | 75,3 | 96,8 | 200,8 |

| წლები | დანარჩენი ხილეული | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | საგარეო | | საშინაო | | აბსოლ. ჯამი |
| | აბსოლ. ათ. ფ. | % % | აბსოლ. ათ. ფ. | % % | |
| 1890—94 | 3,8 | — | 177,4 | — | 181,3 |
| 1900—04 | 39,9 | 1052,9 | 105,8 | 59,6 | 187,8 |
| 1909—13 | 460,1 | 12123,1 | 654,2 | 368,6 | 1114,3 |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ყურძნის, მსხლის და ციტრუსების ექსპორტი საგარეო ბაზარზე თუმცა გაიზარდა და მეტად იზრდება, ვინემ საშინაო ბაზარზე, მაგრამ მათი ექსპორტი საგარეო ბაზარზე შედარებით მაინც მცირეა, რაც ცუდი სატრანსპორტო პირობებით და ვაჭრობის მოუწყობლობით უნდა აიხსნას. ამ ჟამად სერიოზულ ღონისძიებებს იღებენ აღნიშნულ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს %-ში, თუ როგორ ვითარდებოდა ხილეულის გაგზავნა რკინის გზით გარეშე და შინაურ ბაზრებზე (% ნაანგარიშევია გაგზავნის საერთო ჯამის მიმართ):

| წლები | ვაშლი | | მსხალი | | ყურძენი | | ლიმონი, ფორთოხალი, მანდ. | | დანარჩენი ხილეული | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გარ. ბაზ. | შინა ბაზ. | გარ. ბაზ. | შინა ბაზ. | გარ. ბაზ. | შინა ბაზ. | გარ. ბაზ. | შინა ბაზ. | გარ. ბაზ. | შინა ბაზ. |
| 1890—94 | 10,6 | 89,4 | — | — | 3,2 | 96,8 | 25,6 | 74,4 | 2,1 | 97,9 |
| 1900—04 | 31,7 | 68,3 | 35,5 | 50,8 | 9,0 | 89,5 | 41,3 | 46,2 | 21,3 | 56,4 |
| 1909—13 | 68,1 | 31,9 | 54,0 | 34,9 | 6,4 | 93,6 | 67,5 | 37,5 | 41,3 | 58,7 |

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ მებაღეობის პროდუქტების საერთო ჯამში საგარეო ბაზრების წილი იზრდება, ხოლო შინაური ბაზრების წილი მცირდება.

საქართველოდან ხილეულის გატანის შესახებ სწორი ცნობები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ არ მოგვეპოვება. იმ ცნობე-

ის მიხედვით, რომელიც ჩვენს განკარგულებაში არის, საქართველოს ავთსადგურებიდან ყოველწლიურად საშუალოდ იზიდებოდა 1909—1913 წ. დაახლოვებით 1.664.470 ფუთი ხილი და ბოსტნეული. ამ რაოდენობიდან 300.000 ფუთამდე ბათომით და ფოთით ხელახლა იგზავნებოდა კაბოტაჟის საშუალებით, დანარჩენი რაოდენობა—1.330.000 ფუთი ხილი გადიოდა საქართველოს ფარგლებიდან.

რკინის გზის ცნობებით საქართველოს რკინის გზის სადგურებიდან 1909—1913 წ. განმავლობაში ყოველ წლიურად იგზავნებოდა საშუალოდ 790.710 ფ. ხილი. აქედან: ვაშლი—415.724 ფ. (52,6%), ჭერამი—137.356 ფ. (17,4%), მსხალი—90.371 ფ. (11,4%), მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი—42.159 ფ. (5,3%), ყურძენი—19.589 ფ. (2,5%), დანარჩენი ხილი—85.510 ფ. (10,8%). საქართველოს რკინის გზით გადაზიდული (790.710 ფ.) ხილიდან 1909—1913 წ. ხანაში საშუალოდ ყოველ-წლიურად საქართველოს გარეგ გაჰქონდათ 462.274 (58.5%). ამ რაოდენობიდან ვაშლი გაჰქონდათ—283.106 ფ. (61,2%), მსხალი—58.804 ფ. (12,7%), ჭერამი—52.249 ფ. (11,4%), დანარჩენი მოდიოდა სხვა სახის ხილეულზე, მათ შორის ყურძენზე—1.200 ფ.; ხილეული უმთავრესად გაჰქონდათ რუსეთში—279.246 ფ. (60,4%), აზერბეიჯანში—121.402 ფ. (26,3%), სომხეთში—60.535 ფ. (13,1%) და 1.000 ფ. სპარსეთში.

რუსეთში გაზიდულ ხილეულში პირველი ადგილი ვაშლს ეჭირა—240.187 ფ. (სულ საქართველოს საზღვრებიდან კი გადიოდა 233.108 ფ. ვაშლი). ექსპორტში მონაწილეობას ღებულობდა უმთავრესად საზამთრო ვაშლები, რომლებიც ადვილად იტანდა შენახვას და გადაზიდვას. უფრო ძვირი ხილი: მსხალი, ჭერამი და სხვა რუსეთში შედარებით ცოტა გაჰქონდათ; ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ტრანსპორტი არ იყო მოწყობილ-შეგუებული ისეთი ხილის გადასატანად, რომელიც გზაში ადვილად ფუჭდება. ასეთი ხილი უმთავრესად იზიდებოდა აზერბეიჯანში და სომხეთში.

დღეს არსებულ ხილის შენახვის და გადაზიდვის პირობებში შორს გაგზავნა შეიძლება მხოლოდ საზამთრო ვაშლის, დანარჩენი ხილი, რომელიც ადვილად ფუჭდება, ადგილობრივად უნდა იქნას გადამუშავებული კონსერვებში.

ხილის ექსპორტში თითქმის ერთნაირად ღებულობდა მონაწილეობას აღმოსავლეთი საქართველო (403.000 ფ.) და დასავლეთი საქართველო—(388.000 ფ.).

აღმოსავლეთ საქართველოდან ვაშლს იძლეოდა უმთავრესად გორის და ახალციხის მაზრები—323.062 ფ. (80,4%), იგივე მაზრები იძლეოდა ჭერამს—36.435 ფ. (9,0%), მსხალს—26.435 ფ. და სხვ.

283.106 ფ. ვაშლიდან, რომელიც საზღვარ-გარეთ იზიდებოდა, აღმოსავლეთი საქართველო იძლეოდა საშუალოდ ყოველწლიურად— 201.022 ფ. (88,1%).

1909—1913 წ. დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად საშუალოდ რკინის გზით იგზავნებოდა 303.309 ფ. ხილი, აქედან 100.863 ფ. (33,3%) შეადგენდა ჭერამი, შემდეგ მოდიოდა მსხალი— 63.893 ფ. (21,0%), ვაშლი—51.122 ფ. (16,9%) და სხვ.

დასავლეთ საქართველოდან რკინის გზით გადაზიდულ 303.309 ფ. ხილიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიზიდა—152.084 ფ. (50,2%), აქედან: ჭერამი—41,2 ათ. ფ. (27,1%), ვაშლი—41,1 ათ. ფ. (27,1%), მსხალი—39,1 ათ. ფ. (25,7%) და დანარჩენი ხილეული—26 ათ. ფ. (17,1%).

ყურადღებას იპყრობს აჭარისტანის ხილის ექსპორტი. აჭარისტანიდან 84.405 ფ. ხილიდან საქართველოს საზღვრების გარეთ გადიოდა 67.756 ფ. ხილი (80,3%). აჭარისტანი ბაზარს უმთავრესად აწვდიდა ვაშლს—41.540 ფ. (48,5%) და ფორთოხალს და მანდარინს—40.967 ფ. (48,0%). აჭარისტანიდან საქართველოს გარეთ გადიოდა 41 ათ. ფუთი ვაშლი (60,5%) და ფორთოხალი და ლიმონი— 26.441 ფ. (39,0%).

1909—13 წ. საქართველოდან საშუალოდ ყოველწლიურად იგზავნებოდა 135.282 ფ. თხილი, აქედან შინა ბაზარზე—20.207 ფ. (14,9%) და გარეშე ბაზარზე—115.075 ფ. (85,1%). ასეთია ცნობები საქართველოს მებაღეობის შესახებ ომამდე. ამ ცნობების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლის პერსპექტივების გამომუშავების დროს.

ომის შემდგომი ხანის შესახებ ცნობები მეტად მცირეა. მებაღეობა, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, ომისა და რევოლიუციის ხანაში ძლიერ დაზარალდა. ბაღების საერთო სივრცე და მოსავალი შემცირდა დაახლოვებით 15 დან 25%-დე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხილის რაოდენობა საქართველოში მეტად დიდია. შინაურ ბაზარზე გამოდის აუარებელი სხვა და სხვა სახის ხილი, მაგრამ სწორი განსაზღვრა ხილის რაოდენობისა შინა ბაზარზე მოუხერხებელია. დიდძალი ხილი იღუპება ჩვენში ტრანსპორტის მოუწესრიგებლობისა და კონსერვების წარმოების მოუწყობლობისა გამო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველო მდიდარია ხილეულით, მაგრამ სანამ არ მოეწყობა ტრანსპორტის საქმე და საკონსერვო ქარხნები, მანამ ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ამ დიდ სიმდიდრეს.

საქართველოში არ მოიპოვება მებაღეობის სადგურები, მათი მოწყობის საქმე ხელისუფლებას დღის წესრიგში აქვს დასმული. თუმცა ომამდე საქართველოში არსებობდა 33-დე სანერგე. სახალხო მამულების ტრესტის ცნობით სანერგეების სივრცე 155 დესეტინამდე აღწევდა და ყოველ წლიურად 600-1.000.000 ცალი ნერგს იძლეოდა.

უდიდესი რაოდენობა სანერგეებისა—11 (500.000—650.000 ცალი ნერგის მომცემი) მოდიოდა გორის მაზრაზე; შემდეგ მიდის ტფილისის მაზრა—5 სანერგე—55.000-დან—75.000 ცალ ნერგის ნაყოფიერებით, შემდეგ ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრები 4-4 სანერგე (7.000—10.000 ცალის ნაყოფიერებით), სიღნაღისა და შორაპნის მაზრები—ორ-ორი სანერგე (5.000—7.000-დე ცალი ნერგის მომცემი). დუშეთის მაზრა—ორი სანერგით (6.000 ცალამდე ნერგის ნაყოფიერებით) და ბოლოს თელავის,—ახალციხის და ზუგდიდის მაზრები, თითო სანერგით—3.000 ცალამდე ნერგის, ნაყოფიერებით წლიურად. გარდა ამ სანერგეებისა, არსებობდა გლეხების წვრილი სანერგეები, არსებობდა აგრეთვე მსხვილი სანერგეებიც: ქ. ბათომის ბოტანიკური ბაღის, ართვინის სახაზინო, სუხუმის საცდელი სადგური „სინოპი“ და სხვ., რომელნიც ყოველწლიურად რამოდენიმე ათეულ ათას ნერგს იძლეოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოწყობილ იქნა 8 ახალი სანერგე, 4 გორის მაზრაში, ორი დუშეთის მაზრაში და თითო ზუგდიდის და სენაკის მაზრაში.

ამ ჟამად საქართველოს ხეხილის მთელი სივრცე 18.000 დეს. უდრის, მაგრამ ეს ხეხილი 1914 წლის აქეთ არ განახლებულა და ამიტომ დიდ თანხებს მოითხოვს მისი აღდგენა. სპეციალისტების გამოანგარიშებით ჩვენი ხეხილის აღდგენისათვის ათი წლის განმავლობაში ყოველწლიურად საჭირო იქნება 343.000 ნერგი, მაგრამ განახლებისა და აღდგენის გარდა საჭიროა ხეხილის სივრცის გაფართოვება. სპეციალისტებს მხედველობაში აქვთ მიღებული მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება ხილზე და ის დასკვნა გამოყავთ, რომ ბაღების სივრცის გასაფართოვებლად ყოველწლიურად საჭირო იქნება 1.343.000 ცალი ნერგი. ამ საჭიროების მიხედვით უნდა იქნას გადიდებული სანერგეების რაოდენობა.

მეხილეობის რაციონალურად დაყენებისა და მისი პროდუქტების რაციონალურად გამოყენებისათვის აუცილებელია ხილის შესანახი სარდაფის აშენება და ხილის მექანიკურად გადამუშავების მოწყობა. ხილის შესანახი სარდაფის უქონლობისა გამო 1923/24 წ. ამხ.

„ლიახვს“ 68.000 ფ. ხილიდან 19.200 ფუთი გაეყინა, ხოლო ამხ. „ქართლს“—79.730 ფ. ხილიდან—23.730 ფ.

ხილის ადგილობრივად გადამუშავებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მებაღეობის განვითარებისათვის. პირველყოფილი წესით გახმობილი, გაჭუჭყიანებული ხილი ომამდე ღირდა 80 კ.—2 მანეთამდე, ეს მაშინ, როცა უცხოეთის გამხმარი ხილი ფუთი—10-12 მან. ფასობდა. გამხმარი ხილის თვითღირებულება 4-5 მან. არ აღემატება, აშკარაა, წმინდა მოგება ერთი ფუთიდან უდრის დაახლოვებით 6 მანეთს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ მოგებას მიიღებს საქართველოს სახალხო მეურნეობა ჩვენი ხილის მექანიკურად გადამუშავების სწორ და ფართო ნიადაგზე დაყენებით.

ამ უაღრესად დიდი ეკონომიური მნიშვნელობის საკითხის გადაჭრას ნაწილობრივ უკვე შეუდგა მთავრობა.

---

# მეგოსტნეობა.

საქართველოში მებოსტნეობა მნიშვნელოვნად არის განვითარებული, განსაკუთრებით ქალაქების მახლობელ რაიონებში და დასავლეთ საქართველოში, სადაც სხვა რაიონებზე ერთი თვით ადრე გამოდის ბაზარზე ბოსტნეული. 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცნობებით ბოსტნეულის საერთო სივრცე რესპუბლიკაში 4.853 დეს. უდრის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1923 წ. აღწერის ცნობები არაა სავსებით სრული, რადგანაც, როგორც ცნობილია, გლეხი აღწერის დროს საგადასახადო მოსაზრებებით არ აძლევს ამწერს სრულ ცნობებს.

ომამდე მებოსტნეობა საქართველოში ძალიან სწრაფად იზრდებოდა; რკინის გზის ცნობებით მებოსტნეობის პროდუქტის ბრუნვა 1890—1894 წლის განმავლობაში (5 წელში) უდრიდა 1.850.500 ფ. ხოლო 1909—1913 წ. 5.541.760 ფ. მიაღწია.

ცხრილი შემდეგი გვიჩვენებს ბოსტნეულის შინა და გარეშე ბაზრებზე გაგზავნას თითოეულ 5 წელში (ფუთობით):

| | საგარეო ბაზარი | საშინაო ბაზარი | ს უ ლ |
|---|---|---|---|
| 1890—1894 . . . . . | 52 204 | 1.722.163 | 1.774.367 |
| 1900—1904 . . . . . | 411.634 | 2.080.543 | 3.492.177 |
| 1909—1913 . . . . . | 2.146.970 | 3.494 795 | 5.641.765 |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ბოსტნეულის საგარეო ბაზრებზე გატანა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მისი შინა ბაზარზე გადაზიდვა. 1890—1894 წლიდან 1909—1913 წლამდე ბოსტნეულის საგარეო ბაზრებზე გატანა გაიზარდა 41 ჯერ, ხოლო შინა ბაზარზე —ორჯერ.

ბოსტნეულის პროდუქტის ყოველწლიური საშუალო გაგზავნა საგარეო და საშინაო ბაზრებზე შეადგენდა (ფუთებში):

| | საგარეო ბაზარი | საშინაო ბაზარი | სულ |
|---|---|---|---|
| 1890—1894 . . . . . | 10.440 | 344.432 | 354.872 |
| 1909—1913 . . . . . | 429.393 | 698.959 | 1.128.352 |

ბაზრებზე გასაგზავნი ბოსტნეულის შორის უმთავრეს როლს თამაშობდა კომბოსტო საზამთრო, ნესვი, ქართოფილი და ხახვი.

რკინის გზის სადგურებიდან ბოსტნეულის ცალკე სახეების გაგზავნას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს (ფუთებში):

| | 1890—1894 წ. | 1909—1913 წ. |
|---|---|---|
| კომბოსტო . . . . . | 109.400 | 373.175 |
| ხახვი . . . . . | 23.400 | 59.008 |
| კიტრი . . . . . | 3,0 | 16.152 |
| ქართობილი . . . . . | 120.100 | 168.800 |
| ჭარხალი . . . . . | 1.060 | 32.000 |
| საზამთრო და ნესვი . . . . . | 79.720 | 284.408 |
| დანარჩენი . . . . . | 20.740 | 194.809 |
| | 344.370 | 1.128.352 |

შედარებით და აბსოლუტურადაც პირველი ადგილი კომბოსტოს ეკუთვნის, შემდეგ მიდის საზამთრო და ნესვი, შემდეგ ქართობილი, ხახვი და სხვა.

საგარეო ბაზარზე უმთავრესად კომბოსტო იზიდებოდა—373.000 ფუთიდან 172.000 ფ. ხახვი—59.000 ფუთიდან—25.000 ფ., საზამთრო და ნესვი—194.000 ფუთიდან—56.000 ფ., ბოსტნეულის სწრაფი ზრდა ომამდე იმის მაჩვენებელია, რომ შესაძლებელია მეურნეობის ამ დარგის ფართო განვითარება. ეს დარგი მოითხოვს ისეთივე ღონისძიებებს, რომელიც ჩვენ დავსახეთ მებაღეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. მებოსტნეობისა და მებაღეობის განვითარების პერსპექტივები და გზები ერთგვარია.

# მეთამბაქოობა.

მეთამბაქოობა საქართველოში ჩაისახა მეჩვიდმეტე საუკუნეში, მაგრამ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მას ჩვენს მეურნეობაში სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდა, და ამავე დროს დაბალი ხარისხის თამბაქო მუშავდებოდა.

გასულ საუკუნის 40—50 წლებში მეთამბაქოობა განვითარდა სამეგრელოში, ზუგდიდის მაზრაში, სოფ. წალენჯიხაში და „წალენჯიხის თამბაქო“ უკვე ყურადღებას იქცევს.

მეთამბაქოობის განვითარებას საქართველოში ძალიან ხელი შეუწყეს ბერძნებმა, რომელნიც წარსულ საუკუნეში აფხაზეთში დასახლდნენ. შავი ზღვის ნაპირის ნიადაგი და ჰავა ხელს უწყობდა თამბაქოს კულტურას. წარსული საუკუნის დამდეგს და მდგომარე საუკუნის პირველ ათ წელს მეთამბაქოობა გავრცელდა აჭარისტანში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებში. საქართველოს საგეგმო კომისიის საპერსპექტივო გეგმაში მეთამბაქოობის განვითარების შესახებ შემდეგი ცნობები არის მოყვანილი (წლიური საშუალო მოსავალი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1860 | წლებში | იყო | მოსავალი | 20.000 | ფუთი | წლიურად. |
| 1870 | „ | „ | „ | 40.000 | „ | „ |
| 1880 | „ | „ | „ | 80.000 | „ | „ |
| 1890 | „ | „ | „ | 180.000 | „ | „ |

მეთამბაქოობის განვითარებას საქართველოში ხელი შეუწყო შემოტანილ თამბაქოზე ბაჟების გადიდებამ (1872 წ.).

მეთამბაქოობა უფრო გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად აფხაზეთში. თანახმად 1917 წლის აღწერისა მეთამბაქოობა შემდეგ-ნაირად იყო საქართველოში გავრცელებული (პროცენტული შეფარდება თამბაქოს პლანტაციების საერთო სივრცის ყველა დათესილ მიწების სივრცესთან).

1. შავი ზღვის ნაპირები:

ა) აფხაზეთი—გუმისტინის მაზრა—25,9
გუდაუთის „ —25,1
კოდორის „ —23,5
სამურზაყანოს „ — 6,4

საშუალო . . . . . 20,3

ბ) აჭარა თანამედროვე საზღვრებში 4,9

2. დასავლეთი საქართველო:

ოზურგეთის (ჩოხატაურის რაიონი) 1,6
ზუგდიდის . . . . . 0,6
ქუთაისის . . . . . 0,1

3. აღმოსავლეთი საქართველო:

სიღნაღის . . . . . 4,8
(ლაგოდეხი და ქიზიყი)
თელავის . . . . . 0,4
ახალციხის . . . . . 0,2

1914 წელს თამბაქოს საერთო მოსავალმა მთელ საქართველოში—800.000 ფუთს მიაღწია.

მოგვყავს ცხრილა, რომელიც გვიჩვენებს მეთამბაქოობის განვითარებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში:

| ხუთი წლები | აფხაზეთი | | ბათომის და ართ. ოლქი | | სიღნაღ. მაზრა | | ოზურგეთის მაზრა | | ქუთაისის მაზრა | | ზუგდიდის მაზრა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სივრცე ათ. დეს. | მოსავ. ათ. ფ. | სივრცე ათ. დეს. | მოსავ. ათ. ფ. | სივრცე ათ. დეს. | მოსავ. ათ. ფ. | სივრცე ათ. დეს. | მოსავ. ათ. ფ. | სივრცე ათ. დეს. | მოსავ. ათ. ფ. | სივრცე ათ. დეს. | მოსავ. ათ. ფ. |
| 1895—99 | 2,14 | 118,5 | 0,37 | 18,8 | 0,37 | 31,1 | 0,23 | 0,01 | 0,01 | 0,53 | 0,029 | 0,63 |
| 1900—04 | 3,34 | 193,3 | 0,54 | 26,9 | 0,63 | 51,2 | 0,19 | 7,8 | 0,01 | 0,46 | 0,015 | 0,48 |
| 1905—09 | 4,82 | 291,8 | 0,45 | 25,5 | 0,55 | 45,0 | 0,12 | 4,9 | 0,1 | 0,60 | 0,012 | 0,35 |
| 1910—14 | 8,96 | 488,6 | 0,63 | 47,5 | 0,87 | 66,9 | 0,28 | 13,6 | 0,3 | 0,39 | 0,015 | 0,51 |
| | | | | | | | დასავლეთ საქართველოში უაფხაზეთოთ და უაჭარისტანოთ. | | | | | |
| | | | | | | | სივრცე | | | | მოსავალი | |
| 1914 | 13,10 | 602,7 | 1,04 | 68,5 | 1,35 | 107,4 | 0,43 | | | | 22,0 | |

საშუალო მოსავალი თამბაქოსი 1910—14 წლებში იყო 617 ათასი ფუთი, მაგრამ 1914 წლის მოსავალმა ამ საშუალოს გადააჭარბა და მიაღწია—800 ათას ფუთამდე; პლანტაციების საერთო სივრცე უდრიდა 8,960 დესეტინას, პროცენტულად ეს სივრცე სხვადასხვა რაიონებთა შორის ასე ნაწილდებოდა (1910—1914 წ.).

| | |
|---|---|
| აფხაზეთი . . . . . | 87,3 % |
| დასავლეთ საქართვ. რაიონი . | 3,3 % |
| აღმოსავ. საქართვ. რაიონი . | 9,4 % |

აქედანა სჩანს, რომ მეთამბაქოობა საქართველოს სახალხო მეურნეობაში ძალიან დიდ როლს თამაშობდა. ეს კიდევ ცოტაა. როდესაც ამიერ-კავკასიის მეთამბაქოობას იხსენიებენ, იგულისხმება თითქმის მარტო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია. მოგვყავს ცხრილა, რომელიც გვიჩვენებს ყოველწლიურ მოსავალს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში 1910-დან 1914 წლამდე. ანგარიშში მიღებული არ არის პატარა პლანტაციები, სივრცით 50 კვად. საჟენზე ნაკლები: ამ პლანტაციების მთელი მოსავალი ამიერ-კავკასიაში 2.000—3.000 ფუთს არ აღემატება.

თამბაქოს მოსავალი ათას ფუთობით:

| წლები | მთელ ა/კავკასიაში საქართველოსთან ერთად | საქართველოში | ა/კავკასიაში უსაქართველოდ |
|---|---|---|---|
| 1910 | 710,3 | 675,9 | 32,2 |
| 1911 | 637,7 | 615,8 | 22,5 |
| 1912 | 540,4 | 501,1 | 39,3 |
| 1913 | 588,5 | 555,4 | 33,1 |
| 1914 | 858,0 | 800,6 | 57,4 |

ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ მეთამბაქოობის საქმეში საქართველო განსაკუთრებულ მდგომარეობაშია და რომ მას მოეპოვება დიდძალი თამბაქო, რომელსაც შეუძლიან დიდი როლი ითამაშოს მსოფლიო ბაზარზე.

საქართველო ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავდება იმ სივრცითაც, რომელიც თამბაქოს პლანტაციებს უჭირავთ.

თამბაქოს პლანტაციების სივრცე დესეტინობით:

| წლები | მთელ ა/კავ-კასიაში | საქართველ-ლოში | ა/კავკასიაში უსაქართ. |
|---|---|---|---|
| 1910 | 10.871 | 10.400 | 471 |
| 1911 | 9.980 | 9.625 | 355 |
| 1912 | 9.598 | 8.946 | 652 |
| 1913 | 10.114 | 9.650 | 464 |
| 1914 | 16.610 | 15.882 | 728 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საქართველოში აქვს მეთამბაქოობას ფრიად დიდი მნიშვნელობა; სომხეთ-აზერბაიჯანში მეთამბაქოობა სამრეწველო მნიშვნელობას მოკლებულია.

მეთამბაქოობამ საქართველოში ღრმა ფესვები გაიდგა, იგი ფართოდ გავრცელდა. მაგრამ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში იგი ერთნაირად არ ვრცელდება. საქართველოს ძველ კუთხეს, მეთამბაქოობის აკვანს, შავი ზღვის ნაპირს, მეთამბაქოობის საქმეში ისეთი ადგილი უჭირავს, როგორიც—საქართველოს ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის უკავია.

შავი ზღვის ნაპირი იძლევა საუკეთესო ხარისხის და ხუთჯერ მეტ თამბაქოს, ვიდრე დანარჩენი საქართველო.

თამბაქოს მოსავალი საქართველოში:

| წლები | შავი ზღვის ნაპირებზე | დანარჩენ საქართველოში |
|---|---|---|
| 1910 | 576.654 | 104.302 |
| 1911 | 490.949 | 124.739 |
| 1912 | 445.482 | 72.872 |
| 1913 | 496.152 | 72.273 |
| 1914 | 671.188 | 165.078 |

1910 წლიდან 1914 წლამდე მეთამბაქოობა საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში ასე ვითარდებოდა (აქ არ შედის აჭარა).

| წლები | აფხაზეთი | | დასავ. საქარ. | | აღმოსავ. საქარ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სივრცე დესეტინ. | მოსავალი ფუთობ. | სივრცე დესეტინ. | მოსავალი ფუთობ. | სივრცე დესეტინ. | მოსავალი ფუთობ. |
| 1910 | 8.458 | 544.240 | 366 | 18.342 | 983 | 65.430 |
| 1911 | 7.525 | 444.770 | 277 | 12.806 | 1.055 | 83.689 |
| 1912 | 7.675 | 408.589 | 369 | 17.289 | 779 | 49.589 |
| 1913 | 8.037 | 442.830 | 238 | 10.245 | 706 | 47.989 |
| 1914 | 13.104 | 602.672 | 426 | 21.852 | 1.315 | 107.389 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მეთამბაქოობა საქართველოს ყველა ნაწილებში ვითარდებოდა, მაგრამ აფხაზეთში და აღმოსავლეთ საქართველოში ის უფრო სწრაფად იზრდებოდა. ზოგიერთ წლებში თამბაქოს პლანტაციების შემცირება იყო შედეგი წინა წლებში ბაზარზე თამბაქოს ფასის საგრძნობლად დაცემის. 1906 წ. აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციები შემცირდა 1905 წელთან შედარებით 1,100 დესეტინით, ე. ი. 23,1 პროც., რაც მოჰყვა 1905 წლ. ფუთ თამბაქოზე 5—6 მან. ე. ი. 35—38 პროც-ით ფასის დაცემა, პირიქით, 1913 წელს შედარებით წინა წლებთან ფასები გაიზარდა 50—53 პროც-ით და ამას 1914 წ. მოჰყვა პლანტაციების სივრცის გადიდება 63 პროცენტით.

ამ ცნობებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: ფასების დაცემა, ან აწევა არ იწვევს თამბაქოს პლანტაციების სივრცის პროპორციონალურად შემცირებას ან გადიდებას.

შავი ზღვის ნაპირებზე მოჰყავდათ უმაღლესი ხარისხის თამბაქო, ოსმალეთის ჯიშის „სამსონი“ და „ტრაპიზონი“. ეს თამბაქო გაჰქონდათ რუსეთსა და ეგვიპეტში. ეგვიპეტში ხდებოდა მისი დამუშავება განსაკუთრებული საშუალებით და შემდეგ გაჰქონდათ იგი ევროპის ბაზარზე, როგორც ეგვიპტეს თამბაქო. „სამსონის“ და „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ხარობს, მაგრამ მათი ღირსება შავი ზღვისაზე დაბალია. ეს თამბაქო ნაწილობრივ კიდევ ბაქოსა და რუსეთში გადის.

ტაბულა, რომელიც აქვე მოგვყავს, გვიჩვენებს, რომ საქართველოში უმთავრესად უმაღლესი ხარისხის თამბაქოს კულტურას მისდევენ.

| რაიონები: | წლები | უმაღლესი ხარისხის | დაბალი ხარის. |
|---|---|---|---|
| 1. აღმ. საქართვ. | 1909/13 | — | 59.321 |
| | 1913 | — | 47.989 |
| | 1914 | — | 107.389 |
| | 1915 | 3.925 | 397 |
| | 1916 | 126.355 | — |
| | 1917 | — | — |
| | 1918 | 17.233 | — |
| 2. დასავლეთი საქართველო | 1909/13 | 14.086 | 572 |
| | 1913 | 10.453 | 793 |
| | 1914 | 23.194 | 567 |
| | 1915 | 18.711 | 330 |
| | 1916 | 15.664 | 2.377 |
| | 1917 | — | — |
| | 1918 | — | — |
| 3. აჭარისტანი | 1909/13 | 38.606 | — |
| | 1913 | 53.332 | — |
| | 1914 | 68.512 | — |
| | 1915 | 7.950 | — |
| | 1916 | 11.170 | — |
| | 1917 | — | — |
| | 1918 | — | — |
| 4. აფხაზეთი: | 1909/13 | 455.943 | — |
| | 1913 | 442.830 | — |
| | 1914 | 602.676 | — |
| | 1915 | 425.400 | — |
| | 1916 | 357.834 | — |
| | 1917 | — | — |
| | 1918 | 97.826 | — |
| მთელ საქართველოში: | 1909/13 | 508.635 | 59.893 |
| | 1913 | 506.615 | 48.782 |
| | 1914 | 694.382 | 107.952 |
| | 1915 | 455.986 | — |
| | 1916 | 711.023 | 727 |
| | 1917 | — | 2.377 |
| | 1918 | 115.059 | — |

**მეთამბაქოობის თანამედროვე მდგომარეობა სხვადასხვა რაიონში.** მეთამბაქოობის მხრივ საქართველო ორ ძირითად რაიონად იყოფა: შავი ზღვის სანაპირო და მთელი დანარჩენი საქართველო.

აფხაზეთს პირველი ადგილი უჭირავს როგორც დათესილი მოედნის სივრცით, ისე თამბაქოს რაოდენობით. სპეციალისტების აზრით, აფხაზეთის თამბაქოს საუცხოვო სურნელება და გემო აქვს. მასზე დიდი მოთხოვნილებაა უცხოეთის ბაზარზე. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მეთამბაქოობა აფხაზეთში სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგზე მაღლა სდგას. წარსული საუკუნის დამლევს აფხაზეთი იძლეოდა სულ 120.000 ფუთ თამბაქოს, 1914 წელს-კი აფხაზეთში 600.000 ფუთი მოვიდა.

მეორე ადგილი მოსავლის მხრივ უჭირავს სიღნაღის მაზრას, სადაც 1914 წელს დაითესა 1.350 დეს. და მოიკრიფა 107.000 ფუთი. მაგრამ ღირსებით სიღნაღის მაზრის თამბაქო ბევრად დაბლა სდგას შავი ზღვის ნაპირის და, განსაკუთრებით, აფხაზეთის თამბაქოზე.

მეთამბაქოობა ვითარდება აგრეთვე თელავის მაზრაში, სადაც მას უკვე სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. სიღნაღის და თელავის მაზრაში მეთამბაქოობა ფეხს იკიდებს ალაზნის ნაპირებზე, უმთავრესად კი ლაგოდეხის მახლობლად, (სიღნ. მაზრა). ომამდე თამბაქოს პლანტაციების სივრცე 1.500 დესეტინამდე აღწევდა, ხოლო, მეურნეების რიცხვი—2.000-მდე. ლაგოდეხის რაიონში მოდის „ტრაპიზონის“ ჯიშის თამბაქო. ერთი დესეტინა იძლევა 80—90 ფუთს.

ბოლო დროს მეთამბაქოობას ხელი მიჰყვეს ახალციხის მაზრაშიაც. იქ მოდის „სამსონი“. ამ მაზრაში მეთამბაქოობას ჯერ-ჯეროობით სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს.

დასავლეთ საქართველოში (უაფხაზეთოთ და უაჭარისტანოთ) მეთამბაქოობა უფრო დაბლა სდგას, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. იქ გლეხობა უმთავრესად სთესავს „სამსონს“ და „ვირგინიას“ („სამსონისაგან“ წარმომდგარს). უფრო განვითარებულია მეთამბაქოობა გურიაში, სადაც მას სამრეწველო ხასიათი აქვს. მეთამბაქოობას მისდევენ აგრეთვე ზუგდიდის, ქუთაისის და, ბოლოს, სენაკის მაზრებში. ბოლო დროს მეთამბაქოობას ხელი მიჰყვეს შორაპნის მაზრაშიაც.

საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში (უაფხაზეთოთ და უაჭარისტანოთ) 1924 წ. 3.100 პლანტაცია იყო, სულ 1,034 დესეტინა. მოვიდა 70.200 ფუთი ყვითელი თამბაქო, „სამსონის“ ჯიშისა. ცალ-ცალკე დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ასეთ სურათს იძლევა:

| | აღმოს. საქ. | დასავლ. საქ. | მთელ საქართვ. |
|---|---|---|---|
| პლანტაცია | 2.464 | 636 | 3.100 |
| სივრცე | 982 | 66 | 1.048 |
| მოსავალი | 66.400 | 3.800 | 70.200 |

ნ. ღამბარაშვილის მიერ შედგენილი ტაბულების მიხედვით, ეს ციფრები მაზრებზე ასე ნაწილდება (1924 წ.):

აღმოსავლეთი საქართველო

| მაზრები | სოფ. რიცხვი | პლანტ. რიც. | სივრცე | მოსავ. ფ. |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქის | 8 | 23 | 2,5 | 138 |
| ახალციხის | 32 | 348 | 49,8 | 2.293 |
| თელავის | 4 | 143 | 47,4 | 3.071 |
| სიღნაღის | 51 | 1.950 | 882,3 | 60.817 |
| სულ | 95 | 2.464 | 982,0 | 66.419 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სენაკის | 1 | 1 | 0,7 | 35 |
| ზუგდიდის | 3 | 18 | 3,4 | 161 |
| ოზურგეთის | 26 | 564 | 55,9 | 3.363 |
| ქუთაისის | 7 | 48 | 5,8 | 254 |
| | 37 | 636 | 65,8 | 3.793 |

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ მეთამბაქოობას დიდი მნიშვნელობა, აფხაზეთის შემდეგ, სიღნაღის მაზრაში აქვს. ამ მაზრას მისდევენ, ძალიან დაშორებულად, ოზურგეთის, თელავის და ახალციხის მაზრები.

რაც შეეხება აჭარისტანს, ამ რესპუბლიკის საუკეთესო სათამბაქოვე ადგილები ოსმალეთის ხელში გადავიდა და ამჟამად აჭარისტანის მეთამბაქოობას მნიშვნელობა არა აქვს.

**თამბაქოს ფასი ომამდე.** ფოთიღლი თამბაქოს ფასი აფხაზეთის პლანტაციებში 1913 წელს იყო:

| | გუდაუთის „სამსონის“ | სოხუმის „სამსონის“ | „ტრაპიზონის“ |
|---|---|---|---|
| 1 ხარისხის . . . | 25-37 მ. | 18-23 მ. | |
| 2 „ . . . | 18-26 „ | | |
| 3 „ . . . | 11-15 „ | | |
| 4 „ . . . | 7-8 „ | 6-7 „ | 12-17 ნარევი |

გუდაუთის და სოხუმის „სამსონის“ პირველი ორი ხარისხის ნარევი ფასობდა ფუთი 28 მანეთად, გუდაუთის „სამსონი“ 13 მ. და სოხუმის „ტრაპიზონის“ ნარევი—14 მ.

1914 წელს იმავე ხარისხების თამბაქოს ფასებმა აიწიეს 20 პროც.-ით. ოჩამჩირის „სამსონის“ ფასი იგივე იყო, რაც სოხუმის „ტრაპიზონისა“.

საქართველოს სხვა რაიონების თამბაქოს ფასი საშუალოდ იყო: 1917 წელს—7 მ.. 1914 წელს—10 მ.

თუ ამ ფასებს დავეყრდნობით, შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ საექსპორტო თამბაქოს ღირებულება 1913 და 1914 წლებში. 1913 წელს იგი შეადგენდა 14,6 მილიონ მანეთს, ხოლო 1914 წელს—16,8 მილიონ მანეთს.

**თამბაქოს ექსპორტი ომამდე.** საზღვარ-გარედ გაჰქონდათ დაუმუშავებელი თამბაქო, ფოთლად.

მოგვყავს ტაბულა, რომელიც გვიჩვენებს 1909—1914 წლებში საქართველოდან გატანილ თამბაქოს რაოდენობას:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **ბ ა ტ ა ნ ი ლ ი ა** | | | |
| წლები | გატან. სულ | რუსეთში | % გატან. ჯამ. მიმარ. | საზღვარ გარეთ | % გატ. ჯამ მიმ. | ა/კ-ში | % გატ ჯამ. მიმ. |
| 1909 | 353220 | 303008 | 85,5 | 19.361 | 5,5 | 30.851 | 2,0 |
| 1910 | 477086 | 376642 | 78,9 | 59.919 | 12,4 | 41.525 | 8,7 |
| 1911 | 495634 | 394095 | 79,5 | 56.277 | 11,3 | 45.262 | 9,2 |
| 1912 | 465618 | 368296 | 79,1 | 70.895 | 15,4 | 26.427 | 5,5 |
| 1913 | 558813 | 425360 | 76,1 | 8.636 | 14,4 | 52.807 | 9,5 |
| 1914 | 551389 | 530569 | 96,22 | | 20.820 | | 3,77 |

ეს ტაბულა გვიჩვენებს, რომ დიდი ნაწილი თამბაქოსი მიდიოდა რუსეთში, შემდეგ ეგვიპტეში, რომელიც მსოფლიო ბაზარს აწვდიდა ქართულ თამბაქოს საუკეთესო ხარისხებს. თამბაქოს ექსპორტი თანდათან მატულობდა.

რუსეთში გატანილ თამბაქოს 49% მიჰქონდათ ლენინგრადის ქარხნებში; დანარჩენი 51% მიდიოდა შავიზღვის ნაპირას მდებარე გუბერნიებში.

საზღვარ გარეთ უმთავრესად შავიზღვის ნაპირის თამბაქო გადიოდა, განსაკუთრებით აფხაზეთიდან. ყველაზე მეტი ეგვიპტეს გა-

ჰქონდა: 1910 წ. 55,6 ათ. ფ., 1911 წ.—45,2 ათ. ფ., 1912 წ.—63,4 ათ. ფ., და 1913 წ —54,3 ათ. ფ.,

1913 წ. გერმანიამ გაიტანა 19,7 ათ. ფ. და დანარჩენ ქვეყნებმა—4 ათას ფუთამდე.

ომის წინ, საქართველოს უკანასკნელ წლებში რუსეთსა და საზღვარ გარედ გაჰქონდა 500.000 ფუთამდე თამბაქო 12 მილიონ მანეთის ღირებულებისა (ოქროთი). ასე იყო ომის დაწყებამდე. მაგრამ ომის დროს და მის შემდეგ მდგომარეობა ძალზე შეიცვალა. ომის გამოცხადებამ გამოიწვია მეთამბაქოობაში ჩაბმული მუშების რიცხვის შემცირება.

ამიერ-კავკასიაში ქართული თამბაქოს მთავარი ბაზარი იყო ტფილისი და ბაქო. შავი ზღვის ნაპირის თამბაქო მოიხმარა 1912 წლ. ტფილისმა 13,8 ათ. ფ. და ბაქომ 9,8 ათ. ფ.; ლაგოდეხის თამბაქოს მთავარი ბაზარი ტფილისი იყო.

უცხოელი ფირმები მეთამბაქოებს ფინანსიურ დახმარებას უწევდენ, აძლევდენ მათ სესხს, აგრეთვე მარტო აფხაზეთში სხვადასხვა ფირმებს 60 დე თამბაქოს საწყობები ჰქონდათ.

თამბაქოს ექსპორტი ომამდე მოუწესრიგებელი იყო; საექსპორტო თამბაქო სათანადოთ არ ხარისხდებოდა და ამიტომ ქართული თამბაქო საზღვარ გარედ შესაფერ ფასებში არ იყიდებოდა

ქართული თამბაქო, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად გადიოდა რუსეთსა და ეგვიპტეში: რუსეთის მრეწველობის მოშლამ, საზღვრების დახურვამ, ხოლო მეორე მხრით დასავლეთ ევროპასთან, მცირე აზიასთან, ეგვიპტესთან და ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შემდეგ მენშევიკების მთავრობის უნაყოფო ცდამ სახელმწიფო-მონოპოლიის დანერგვის საქმეში ხელი შეუშალეს მეთამბაქოობის დაცემას საქართველოში. ეს კრიზისი ჯერ კიდევ არ არის აცილებული. ეკონომიური აპარატი დარღვეული იყო, შედეგად კი ყველა ამას მოჰყვა თამბაქოს ნათესების შემცირება

**თამბაქოს პლანტაციების სივრცის შემცირება.** ომის პირველ სამ წელიწადს თამბაქოს მოსავალი თითქმის ნორმალური იყო. მაგრამ რუსეთის ბაზართან კავშირის შეწყვეტამ მაშინ, როცა ურთიერთობა სხვა ბაზრებთან ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, მძიმე ლახვარი ჩასცა საქართველოს მეთამბაქოობას. ქვემოდ მოყვანილი ცხრილა გვიჩვენებს იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა თამბაქოს პლანტაციების და მოსავლის რაოდენობაში.

| წლები | ნათესი დესეტინობით | | | | | მოსავალი ფუთობით | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აღმოს. საქ. | დასავ. საქარ. | აჭარის ტანი | აფხაზეთი | სულ | აღმოს. საქარ. | დასავ. საქარ. | აჭარის ტანი | აფხაზეთი | სულ |
| 1909-13 | 826 | 311 | 505 | 7665 | 9297 | 59438 | 14657 | 38603 | 455943 | 568941 |
| 1913 | 7[illegible]8 | 2[illegible]5 | 652 | 8073 | 9652 | 48073 | 11246 | 53332 | 442830 | 555481 |
| 1914 | 1316 | 466 | 1014 | 13104 | 15880 | 107470 | 23761 | 2851 | 602676 | 80[illegible]419 |
| 1915 | 1343 | 383 | 65 | 8825 | 10616 | 110931 | 19041 | 7950 | 425000 | 5629[illegible]2 |
| 1916 | 1527 | 302 | 247 | 9084 | 12673 | 126355 | 18041 | 11170 | 557834 | 713400 |
| 1917 | 1687 | 431 | 344 | 8444 | 10757 | — | — | — | — | — |
| 1918 | 154 | 86 | | 1806 | 2046 | 17233 | 4852 | | 97826 | 119911 |
| 1919 | 156 | 117 | | 2323 | 2596 | 11372 | 6219 | | 127800 | 145391 |
| 1920 | 170 | 87 | | 2000 | 2257 | 10000 | 6634 | 15000 | 100000 | 131634 |
| 1921 | | | | 40 | 100 | | | | | 50000 |
| 1922 | 210 | | | 100 | 310 | | | | 5000 | 30000 |
| 1923 | 619 | 52 | 57 | 4000 | 4759 | 66420 | 3800 | | 200000 | 359000 |
| 1924 | 982 | 66 | | 3000 | 4048 | | | | 150000 | 220000 |
| 1925 | 1106 | 560 | 50 | 7500 | 9216 | | | | | 500000 |
| 1926 | | | | 11.764 | | | | | | |

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, 1918 წლიდან მეთამბაქოობა მეტად საგრძნობლად ეცემა და 1923 წელს იგი დავიდა წინა დროის (1914 წ.) ნათესის 1/110-დე და მოსავლის 1/16-დე, მაგრამ 1923 წ. მეთამბაქოობას კვლავ დაეწყო გამოცოცხლება: ამ წელს ნათესის და მოსავლის რაოდენობამ სამჯერ გადააჭარბა 1918 წლისას; 1925 წელს კი თამბაქოს მდგომარეობამ თითქმის ომის წინა დროინდელ მდგომარეობას მიაღწია.

**ექსპორტი ომის შემდეგ.** რაც შეეხება ექსპორტს, შავი ზღვის სანაპიროს თამბაქოს მაღალი ღირსების გამო და იმის წყალობით, რომ ევროპის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო ამ თამბაქოზე და მისი რუსეთში გატანაც მოისპო 1918 წელს, ამ წლიდან დაიწყო გატანა დასავლეთ ევროპასა, ეგვიპტესა და ამერიკაში.

ომამდე საშუალოდ წელიწადში საქართველოდან გაჰქონდათ: რუსეთში — 437 ათასი ფუთი, ეგვიპტეში — 47 ათასი ფუთი და სხვა ქვეყნებში 8 ათასი ფუთი, სულ 492 ათასი ფ.

ომის დროს მოისპო თამბაქოს გაზიდვა დას. ევროპასა, ეგვიპტესა და ამერიკაში და იგი გაჰქონდათ მხოლოდ რუსეთში, სადაც გატანილ იქნა:

| | |
|---|---|
| 1915 წელს | 314.000 ფ. |
| 1916 „ | 400.000 „ |
| 1917 „ | 347.000 „ |
| 1918 „ | 1.500 „ |

შემდეგ მოისპო თამბაქოს გატანა რუსეთში და დაიწყო მისი ექსპორტი ევროპასა, ამერიკასა და ეგვიპტეში.

**ფ ა ს ე ბ ი.** თამბაქოს ფასები სხვადასხვა პერიოდში დიდ მერყეობას განიცდიდა. პერიოდების მიხედვით ფასები იყო დაბალი შემოდგომაზე და უფრო დიდი გაზაფხულზე და ზაფხულზე

სოხუმში 1913 წ. თამბაქოს ფოთოლს „სამსონ"-ს პლანტატორები ყიდიდენ: *)

| წლის პერიოდები | ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| | ფ ა ს ე ბ ი მ ა ნ ე თ ე ბ შ ი | | | |
| პირველი მესამედი | 23,5 | 17,5 | 11,5 | 6,75 |
| მეორე „ | 25,5 | 18,0 | 12,0 | 7,00 |
| მესამე „ | 37,0 | 26,0 | 15,0 | 7,75 |

შემოდგომაზე ფასების დაწევას იწვევს ორი გარემოება:

1. პლანტატორებს ახალი მოსავლით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად სასწრაფოდ დიდი თანხა სჭირდებათ და 2) ახალი მოსავლის ღირსება შედარებით დაბალია და ნაკლებ ფასებში იყიდება; პირიქით: გასული წლის თამბაქო გაზაფხულზე უკვე სავსებით მომწიფებული და დამდგარია და მისი ფასიც ახალ თამბაქოზე მაღლა დგას.

საქართველოს სხვადასხვა ნაწილების თამბაქოთა 1913 წ. ფასების ერთი მეორესთან ხარისხების მიხედვით შედარება შემდეგ სურათს გვაძლევს:

*) 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

| რაიონები | ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| | ფასი ფუთის, მანეთებში | | | |
| ზღვის ნაპირი | 25,5 | 18,0 | 12,0 | 7,0 |
| დასავ. საქართვ. | 9,0 | 6,5 | 4,0 | — |
| აღმოსავ. „ | — | 12,0—8,0 | — | |

საზღვარ გარეთ მიდიოდა მაღალი ხარისხის თამბაქო მხოლოდ შავი ზღვის ნაპირიდან და, მაშასადამე, უცხოეთში გატანილი თამბაქოს ფუთი ღირდა არა ნაკლებ 22-23 მანეთისა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ომის წინა წლებში საზღვარ გარეთ გადიოდა 500.000 ფუთი და მეტიც, მაშინ აშკარა ხდება, რომ თამბაქოს ექსპორტი საქართველოს აძლევდა არა ნაკლებ 11-12 მილ. ოქროს მანეთისა.

გატანილ იქნა

| | | |
|---|---|---|
| 1918 წელს . . . . . | 164.000 | ფ |
| 1919 „ . . . . . | 265.000 | „ |
| 1920 „ . . . . . | 431.400 | „ |
| 1921 „ . . . . . | 34.600 | „ მარტამდე |

ქართულ თამბაქოს თავისი კარგი ღირსების გამო დიდი გასავალი აქვს როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე დას. ევროპასა, ეგვიპტესა და ამერიკაში, სადაც ძალიან კარგათ იცნობენ მას.

**თამბაქოს წარმოება.** თამბაქოს მრეწველობას საქართველოში ფრიად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. საშუალო თვიური ღირებულება იმ საწარმოთა პროდუქციისა, რომლებიც ჩვენი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაშია 1922 წელს უდრიდა 556.000 მანეთს (ჩერვონულ) 1923 წელს—778.000 მინ. აქედან თამბაქოს მრეწველობაზე მოდიოდა—1922 წელს—181.500 მ. ან 33%, 1923 წ. 387.000 მ. ან 50%.

თამბაქოს ქარხნების ტეხნიკური მოწყობილობა ისეთია, რომ ამ ქარხნებს შეუძლიანთ დააკმაყოფილონ ადგილობრივი მოთხოვნი-

ლებაც და საგრძნობი ნაწილი ნაწარმოებისა სხვა ბაზრებსაც მიაწოდონ.

საქართველოს თამბაქოს ქარხნების ნაყოფიერება შემდეგი ციფრებით გამოიხატება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1915 | წელს | 1.072 | ათასი პაპირ. |
| 1916 | „ | 1.672 | „ |
| 1917 | „ | 1.021 | „ |
| 1918 | „ | 703 | „ |
| 1919 | „ | 612 | „ |
| 1920 | „ | 480 | „ |

საქართველოს თამბაქოს ტრესტის ცნობებით თუ ავიღებთ ტფილისში მომქმედ სამ ქარხანას და მათ პროდუქციას შევადარებთ 1913 წლის პროდუქციას, რომელიც 100 პროცენტად არის ნაგულისხმევი, მივიღებთ შემდეგ სურათს:

| წლები | თამბაქო (გირ.) | მიმართების % | პაპირ. (ათას ც.) |
|---|---|---|---|
| 1913 | 782.335 | 100,0 | 843.973 |
| 1921—22 | 319.050 | 40,8 | 267.915 |
| 1922—23 | 534.221 | 68,3 | 409.727 |
| 1923—24 | 250.226 | 32,0 | 519.323 |
| 1924—25 | 217.600 | | 986.200 |
| 1925—26 | 168.567 | | 1.403.200 |

თამბაქოს ტრესტი აღნიშნავს თამბაქოს ქარხნების პროდუქციის შემცირებას. 1923—24 წელს პაპიროსის პროდუქცია უდრიდა 1913 წლის პროდუქციის მხოლოდ 61%-ს. ასეთი შემცირება იმავე ტრესტის ანგარიშით აიხსნება მანქანების გაცვეთით, შრომის დაცვის პირობებით და ნედლეულის და გამსაღებელი ბაზრების კონიუნქტურის შეცვლით. 1924—25 წელს ქარხნები ცოტა უკეთ მოეწყო, წარმოება გაიზარდა და პაპიროსების დამზადებამ გადააჭარბა 1913 წლის პროდუქციას 16%-ით, ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ ამ მიღწევას მტკიცე საფუძველი არა აქვს, რადგან ჩვენი ქარხნები ტეხნიკურად ნეტად ჩამორჩენილია შედარებით არამც თუ ევროპის, რუსეთის ქარხნებიდანაც კი. ჩვენს ქარხნებში წარმოების სხვადასხვა პროცესები ერთი მეორეზე არაა გადაბმული, დიდი ადგილი ხელით მუშაობას უჭირავს. ევროპაში კი პროდუქციის ყველა მოშენტები ერთი მეორეზე გადაბმულია რთული მანქანის საშვალებით და იქ პაპიროსის დამზადება რამდენიმეჯერ უფრო სწრაფად ხდება (არა ნაკლებ

6—8 ჯერ). აქედან ნათელია, რომ ჩვენი ქარხნები წარმოება-ვაჭრობის თავისუფალ პირობებში კონკურენციას ვერ გაუძლებენ.

ამ მთავარ მიზეზების შემდეგ ჩვენი თამბაქოს მრეწველობის კრიზისის ძირითად მიზეზებათ ეჭვი არ არის, უნდა ჩაითვალოს პროდუქტის მაღალი თვითღირებულება და დიდი აქციზი, რომელიც არ შეესაბამება წარმოების და ბაზრის პირობებს.

საჭიროა ჩვენი ქარხნების არა მარტო განახლება, მათი გაფართოებაც პროდუქციის გასაიაფებლად. შემდეგ, ჩვენს ქარხნებში უნდა გადამუშავდეს არა მარტო უმაღლესი ხარისხის, არამედ დაბალი ხარისხის თამბაქოც, რითაც შესაძლებელი გახდება მთელი ჩვენი მოსავლის რეალიზაცია. თამბაქოს მრეწველობის ასეთ ნიადაგზე დაყენება გააფართოვებს ქართული თამბაქოს ბაზარს. მხოლოდ ამით შეიძლება გადარჩენა ჩვენი მეურნეობის ამ მთავარი დარგისა, რომელიც დღეს კონკურენციას ვერც კი უწევს მეზობელ რესპუბლიკებს, სადაც დასამუშავებელი თამბაქო საქართველოდან გააქვთ. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ ქარხნები ტეხნიკურად უკეთ არის მოწყობილი და უფრო მძლავრიცაა. ასეთ პირობებში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში თამბაქო ბლომად მოდის და ის მაღალი ხარისხისაა, ჩვენი ქარხნები რუსეთის ქარხნებს კონკურენციას ვერ უწევენ, თუმცა იქ თამბაქო ცოტაა და იმავე დროს დაბალი ხარისხის.

ამ ჟამად საქართველოს თამბაქოს ტრესტი ამზადებს მხოლოდ მაღალი ხარისხის (პირველი და მეორე ხარისხის) თამბაქოს. დამზადებულ იქნა 1923—1924 და 1924—25 წელს:

| | 1923/24 | 1924/25 | 1923/24 | 1924/25 |
|---|---|---|---|---|
| | | 986.200 | | 217.600 |
| | | ჯაპიროსი ათასი | | თამბაქო გირვ. |
| უმაღლესი ხარისხის | | 5.760 | | |
| პირველი | „ | 313.497 | | 66.808 |
| მეორე | „ | 200.067 | | 180.418 |
| სულ | | 519.323 | | 250.226 |

თამბაქოს საქმეში ასეთი არისტოკრატიზმი, თუ იგი დიდხანს გაგრძელდა, დაღუპავს თამბაქოს მრეწველობას. ამიტომ შეცვლილ უნდა იქნას ეს კურსი და გაფართოებულ და გაუმჯობესებულ ქარხნებში უნდა მზადდებოდეს როგორც ძვირფასიანი, ისე იაფფასიანი თამბაქო.

იაფი ხარისხის თამბაქოს გამომუშავება იმისთვის არის კიდევ საჭირო, რომ დიდძალ თამბაქოს, რომელიც უმაღლეს ხარისხებზე არ მადის, ჩვენ პირობებში ფასი ეკარგება. ამ გარემოებას-კი მრავალი უარყოფითი შედეგი მოსდევს:

1. გლეხობა თამბაქოს პლანტაციებიდან ვერ იღებს თავის ხარჯის სრულ ეკვივალენტს;

2. იგი კარგავს ხალისს თამბაქოს მეურნეობისადმი, რომელიც ზარალს იძლევა;

3. დაბალ ხარისხის თამბაქოს გამოუყენებლობის გამო, ძვირდება მაღალი ხარისხის თამბაქო, რაც ბაზრის შემოკლებას იწვევს და

4. იმ გარემოებას, რომ ქარხნები დაბალი ხარისხის თამბაქოს არ იძენენ, შედეგად მოსდევს არალეგალური ვაჭრობა.

როგორც სამართლიანად შენიშნავენ გლეხთა კომიტეტები და სააქციზო უწყების ხელმძღვანელი (ამის შესახებ არის საინტერესო მოხსენება ნ. ღამბარაშვილისა), ქარხნები, ე. ი. თამბაქოს მყიდველები, მოვალენი არ არიან იყიდონ გლეხებისაგან დაბალი ხარისხის თამბაქოს მთელი მოსავალი, მაშინ როცა გლეხი მოვალეა მაღალი ხარისხის თამბაქოს მთელი მოსავალი მიჰყიდოს მათ. გლეხს ხელზე რჩება დაბალი ხარისხის თამბაქო და იგი იძულებული ხდება არალეგალურად გაასაღოს ეს თამბაქო, რადგან კანონის ძალით თამბქოს შესყიდვა შეუძლიანთ მხოლოდ ქარხნებს და საწყობების პატრონებს, ესენი-კი დაბალ ხარისხებს არ საჭიროებენ. ამრიგად, გლეხი დილემის წინაშე სდგას: ან დაემორჩილოს კანონს და იზარალოს, ან გვერდი აუხვიოს კანონს. გლეხობამ ეს მეორე გზა აირჩია: იგი საიდუმლო ვაჭრობას მისდევს. მაგრამ დაბალი ხარისხის თამბაქოს გაყიდვა ძნელია, თუ შიგ მაღალი ხარისხის თამბაქო არ შეერია, ამიტომ გლეხობა სცდილობს თავისი მაღალი ხარისხის თამბაქოს ნაწილი დამალოს ლეგალური გაყიდვის დროს, რომ იგი დაბალი თამბაქოს შეურიოს და შემდეგ არალეგალური გზით გაასაღოს.

დღევანდელ პირობებში ასეთი არალეგალური ვაჭრობა აუცილებელია და ადმინისტრატიული სასჯელით მისი ამოფხვრა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია ადმინისტრატიული ზომებით ფულის სისტემიდან ოქროს ვალიუტის განდევნა, მაგრამ რაიმე ზომის მიღება არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ მაინც საჭიროა რადი-

ალურ ზომად კი ამ შემთხვევაში იქნება ქარხნების მიერ მაღალი ხარისხის თამბაქოსთან ერთად დაბალი ხარისხის თამბაქოს გამოყენება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ ღონისძიების განსახორციელებლად.

ჯერ-ჯერობით-კი თამბაქოს არალეგალურ ვაჭრობას ორი უარყოფითი შედეგი მოსდევს:

1. ომამდე პაპიროსი და თამბაქო ერთნაირი რაოდენობისა მზადდებოდა, დღეს-კი თამბაქო $2^1/_2$ ჯერ ნაკლები მზადდება, ვიდრე პაპიროსი. მოსაწევ თამბაქოს მოთხოვნილებას თითქმის სრულად აკმაყოფილებს არალეგალური ვაჭრობა;

2. სახელმწიფო, არალეგალური ვაჭრობის განვითარების გამო, აქციზზე დიდ თანხას ჰკარგავს.

**ბაზარი.** როგორც საქართველოს თამბაქოს ტრესტის ანგარიშებიც აღნიშნავენ, საქართველოს თამბაქოს ტრესტის ნაწარმოები შემდეგნაირად ნაწილდება: 60% ვრცელდება ამიერ-კავკასიაში, 20% რუსეთში და ამდენიც—სპარსეთში. ამ ჟამად ამიერ-კავკასიის გარეშე მდებარე ბაზრები ჯერ-ჯერობით ჩვენთვის დაკარგულია, მაგრამ არის ცდა, რომ ჩვენი ქარხნების ნაწარმოები თურქესტანსა და უკრაინაში გავრცელდეს. ეს ცდა უნაყოფო იქნება იმ დრომდე, ვიდრე იგი მტკიცე წარმოებით საფუძველს არ დაეყრდნობა. როგორც ზემოდაც აღნიშნეთ, ჩვენი თამბაქოს მრეწველობა არა სდგას დღეს ისეთ დონეზე, რომ ჩვენმა თამბაქომ, თავისი კარგი ღირსების მიუხედავად, მეტოქეობა გაუწიოს ისეთ რესპუბლიკებსაც-კი, რომელნიც თამბაქოს, ე. ი. დასამუშავებელ თამბაქოს, საქართველოში იძენენ.

**აქციზი.** საქართველო მეთამბაქოობის ქვეყანაა, საქართველოში თამბაქოს მრეწველობა უნდა განვითარდეს,—აი, ორი უდავო დებულება, რომელიც აუცილებლად მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას აქციზის საკითხის განხილვის დროს.

საქართველო, მდიდარი თამბაქოთი, ღარიბია თამბაქოს ქარხნებით. სამაგიეროთ თამბაქოთი ღარიბი ჩრდილოეთის რესპუბლიკები მდიდარნი არიან ქარხნებით. მაგრამ, რადგან უდაოა ის დებულება, რომ საქართველოში თამბაქოს მრეწველობა უნდა განვითარდეს, უდაო ხდება მეორე დებულებაც: აუცილებლად საჭიროა ისეთი საქციზო და სხვა პირობების შექმნა, რომელნიც შესაძლებელს გახდიან თამბაქოს მრეწველობის განვითარებას საქართველოში. მერე, მივდივართ-კი ჩვენ ამ გზით?

ი რას გვეუბნებიან ციფრები.

## საააქციზო განაკვეთები:

| | 1 კილოგრ. მოსაწევ თამბაქოზე | | მატება, შემცირება % |
|---|---|---|---|
| | 1914 წელს | 1924 წელს | |
| უმაღლესი ხარ. ა | 6 მ. 25 კ. | 7 მ. 60 კ. | +21,6 |
| „ „ ბ | 5 მ. — | — | — |
| „ „ გ | 3 მ. 75 კ. | — | — |
| პირველი ხარ. ა | 2 მ. 95 კ. | 5 მ. 70 კ. | +96,5 |
| „ „ ბ | — | 5 მ. 50 კ. | — |
| მეორე ხარისხი ა | 2 მ. — | 3 მ. 30 კ. | +65,0 |
| „ „ ბ | — | 2 მ. 30 კ. | — |
| მესამე ხარისხი ა | 1 მ. 20 კ. | — | — |
| „ „ ბ | — 95,5 კ. | — | — |

| | 100 ცალ პაპიროსზე: | | მატება, შემცირება. % |
|---|---|---|---|
| | 1914 წელს | 1924 წელს | |
| უმაღლესი ხარ. ა | 3 მ. 60 კ. | 6 მ. 45 კ. | +79,2 |
| „ „ ბ | 3 მ. — | — | — |
| პირველი ხარ. ა | 2 მ. 50 კ. | 4 მ. 80 კ. | +72,0 |
| „ „ ბ | — | 3 მ. 60 კ. | — |
| მეორე ხარისხი ა | 1 მ. 80 კ. | 2 მ. 05 კ. | +13,9 |
| „ „ ბ | — | 1 მ. 40 კ. | — |
| მესამე ხარისხი ა | 1 მ. 40 კ. | — | — |
| „ „ ბ | 1 მ. 20 კ. | — | — |

ამ ტაბულებში ნებაუნებურად თვალში გეცემა აქციზის სიდიდე 1924 წ. 1914 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, საააქციზო შემოსავალი მაინც მცირეა: 1914 წელს საქართველოში ეს შემოსავალი იყო 1.533.323 მან., 1923—24 წელს კი—956.499 მან.

**დასკვნა.** სააქციზო შემოსავლის ასეთი დაკლება თამბაქოს ნაწარმოებზე გამოწვეულია მრავალი მიზეზით, რომელთაგან აღვნიშნავთ შემდეგს: 1. პროდუქციის შემცირება; 2. დიდი სააქციზო განაკვეთები; 3. შესყიდვა და გადამუშავება მხოლოდ მაღალი ხარისხებისა და 4. არალეგალური ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმოებით.

როგორც სხვადასხვა ცნობებიდან სჩანს, თამბაქოს ქარხნების ნაყოფიერება 1921 წლისთვის ძალზე დაეცა, მაგრამ 1922 წლიდან იგი კვლავ იზრდება. არა ნაკლების სისწრაფით ხდება თვით მეთამბაქოობის აღდგენა. 1914 წელს თამბაქოს ნათესს ეჭირა 16.000 დესეტინა, 1921 წელს ეს სივრცე 100 დესეტინამდე დავიდა, მაგრამ 1922 წლიდან კვლავ იზრდება ნათესი და 1922 წელს მას ეჭირა 310 დეს., 1923 წელს—4759 დეს., 1924 წელს—4.048 დეს. ხოლო 1925 წ.—9.216 დეს. ამრიგად, 1923 წ. ნათესის სივრცე უკვე შეადგენდა 1924 წლის ნათესის სივრცის 40 პროც. 1914 წლის მოსავალი 836 ათას ფუთს უდრიდა, 1922 წლის მოსავალი 50 ათას ფ. არ აღემატებოდა, მაგრამ 1923 წელს მან უკვე 360 ათას ფუთს მიაღწია; 1924 წელს დაიკლო და მოსავალმა მხოლოდ 220 ათასი ფუთი მოგვცა, მაგრამ 1925 წ. უკვე ისევ აიწია 500.000 ფუთამდე.

1924 წელს იმ პოლიტიკური ამბების გამო, რომელიც მახლობელ აღმოსავლეთში მოხდა, დაიწყო ანატოლიიდან და აფხაზეთიდან ბერძნების გადასახლება საბერძნეთში. აფხაზეთიდან საბერძნეთში გადასახლდა ორ ათასამდე ბერძნის ოჯახი, რომელნიც მეთამბაქოობას მისდევდნენ. საბერძნეთში დღეს სწრაფად იზრდება მეთამბაქოობა. ბერძნების ადგილს აფხაზეთში სამეგრელოდან გადასახლებული მეთამბაქოე ქართველები იჭერენ; მიუხედავად ამისა, მეთამბაქოობა აფხაზეთში დიდ კრიზისს გახიცდის. საქართველოს მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს მეთამბაქოობის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკაში და მიიღოს საჭირო ზომები აფხაზეთის მეთამბაქოობის არა მარტო შემდგომი დაცემისაგან გადასარჩენად, არამედ, შესაფერი პირობების შექმნით მის გასამაგრებლად და განსავითარებლად.

ამ ზომებთან ერთად საჭიროა სხვა ზომებიც, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ მის ტეხნიკურად გაუმჯობესებას და გამაგრებას, საჭიროა საფაბრიკო წარმოების ცენტრალიზაცია, დაბალი ხარისხის და იაფ-ფასიანი თამბაქოს გამომუშავება და ახლავე სააქციზო განაკვეთების დაკლება, ურომლისოდაც ჩვენი თამბაქოს მრეწველობა წელში ვერ გაიმართება.

---

# მეგამგეობა.

ა/კავკასიაში მებამბეობა უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მისი აღმოცენის დრო ეკუთვნის სპარსელების ბატონობის ხანას, როდესაც აზიიდან შემოტანილ იქნა აზიური ბამბა. საქართველოში ადგილობრივი ბამბა აკმაყოფილებდა ადგილობრივ საჭიროებებს, მაგრამ მე-19-ე საუკუნის მეორე მესამედში საქართველოში იაფი ბამბეული ნაქსოვის შემოტანამ საგრძნობლად შეამცირა საქართველოს მებამბეობა, შემდეგ ჩრდილო-ამერიკაში სამოქალაქო ომის განმავლობაში (1861—1865 წ.) სავსებით შესწყდა ამერიკის ბამბის შემოტანა ევროპაში, და ფუთ ბამბის ფასმა 20—21 მან. აიწია.

ა/კავკასია დიდ ბამბის სიმცირეს განიცდიდა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ბამბის პლანტაციების სივრცის გაფართოვებას, მაგრამ ჩრდილო-ამერიკაში ომის შეწყვეტისთანავე ბამბის ფასი დაეცა და ა/კავკასიაში მებამბეობა ხელ-ახლა შემცირდა, 1870—80 წ.წ. რუსეთის ბამბეულის საფეიქრო მრეწველობის მსხვილმა წარმომადგენლებმა, როგორიც იყვნენ: მოროზოვი, ალექსეევი, პოზნანსკი, ხელი შეუწყვეს მებამბეობის განვითარებას ა/კავკასიაში. მათი შემწეობით აქ შემოტანილ იქნა ამერიკული ბამბის თესლი. მათ დადგეს აგრეთვე ბამბის საწმენდი მანქანები და სატკეცი და დიდი გავლენა იქონიეს ჩვენში მებამბეობის განვითარებაზე.

ა/კავკასიის მებამბეობის განვითარებას 1910 წ. წინ ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ბამბაზე ფასების აწევასთან დაკავშირებით ევროპის სახელმწიფოებმა ჩრდილო-ამერიკის შტატებთან დასდევს ხელშეკრულება, რომლის ძალით რუსეთი მოკლებულ იქნა საშუალებას ამერიკული ბამბის შემოტანისა.

საერთაშორისო ომის დაწყებამდე—1914 წლამდე მებამბეობა არა ჩვეულებრივ სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ომმა შეაჩერა ეს ზრდა და გამოიწვია მებამბეობის თანდათანი დაცემა.

ომამდე მებამბეობას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ა/კავკასიის სხვადასხვა კუთხეში, ხოლო საქართველოს მებამბეობას განვითარების მხრივ ა/კავკასიაში მხოლოდ მესამე ადგილი უკავია.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მებამბეობის მდგომარეობას ა.-კავკასიის სამ რესპუბლიკაში 6 წლის განმავლობაში—1909—1914 წ.წ.

| | 1909 | 1910 | 1911 | 1912 | 1913 | 1914 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სომხეთი** | | | | | | |
| სივრცე დესეტინ. | 29.000 | 33.500 | 40 440 | 36.200 | 38.300 | 44.000 |
| მოსავალი ფუთობ. | 520.000 | 600.000 | 670.000 | 601.300 | 618.500 | 710.000 |
| **აზერბეიჯანი** | | | | | | |
| 1) ბაქოს გუბ. | | | | | | |
| სივრცე დესეტინ. | 5.600 | 12.200 | 23.200 | 21.450 | 30.900 | 40.000 |
| მოსავალი ფუთ. | 73.500 | 182.000 | 309.000 | 289.500 | 417.000 | 560.000 |
| 2) განჯის გუბერ. | | | | | | |
| სივრცე დესეტინ. | 14.200 | 26.600 | 53.300 | 46.650 | 50.000 | 53.000 |
| მოსავალი ფუთ. | 215.660 | 530.000 | 746.000 | 676.300 | 661.000 | 745.000 |
| სულ აზერბეიჯანში | | | | | | |
| სივრცე დესეტინობ. | 19.800 | 38.800 | 76.900 | 68.100 | 81.700 | 923.000 |
| მოს-ვალი ფუთობ. | 289.160 | 712.000 | 1.055.000 | 965.800 | 1.178.100 | 1.305.000 |
| **საქართველო** | | | | | | |
| 1) აღმოს. საქართ. | | | | | | |
| სივრცე დესეტინ. | 520 | 1.600 | 5.000 | 5.370 | 5.100 | 8.200 |
| მოსავალი ფუთობ. | 7.800 | 27.000 | 68.000 | 80.800 | 91.400 | 122.600 |
| 2) დასავლ. საქარ. | | | | | | |
| სივრცე დესეტინ. | 850 | 1.900 | 2.750 | 2.780 | 2.400 | 3.700 |
| მოსავალი ფუთობ. | 8.500 | 28.700 | 22,000 | 18.100 | 11.500 | 29.500 |
| სულ საქართველოში | | | | | | |
| სივრცე დესეტინ. | 1.370 | 3.500 | 7.750 | 8.150 | 7.500 | 11.900 |
| მოსავალი ფუთობ. | 16.300 | 55.700 | 90.000 | 98.000 | 102.900 | 152.100 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ ბამბის კულტურა საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე ა/კავკასიის სხვა კუთხეებში. განსაკუთრებით სწრაფი იყო მებამბეობის განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში, ომამდე ექვსი წლის განმავლობაში ბამბის ნათესი და მოსავალი გაიზარდა:

| | ა რ ე | მოსავალი |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველოში | 16 ჯერ | 15,7 ჯერ |
| დასავლეთ საქართველოში | 4 „ | 3,5 „ |
| აზერბეიჯანში | 5 „ | 4 „ |
| სომხეთში | 1,5 „ | 1,4 „ |

ტეხნიკურ საშუალებათა და წყლის ნაკლებობის გამო მოსავალი ერთ დესეტინიდან ა/კავკასიაში გაცილებით დაბალია, ვიდრე თურქესტანში, სადაც ბამბის პლანტაციებს გაცილებით უფრო კარგი მოვლა აქვს. სომხეთში, აზერბეიჯანში და საქაროველოში დესეტინიდან გაწმენდილი ბამბის მოსავალი შემდეგ ციფრებში გამოიხატება (ფუთობით):

| წლები | სომხეთი | აზერბეიჯანი | | საქართველო | |
|---|---|---|---|---|---|
| | | განჯის გ. | ბაქოს გ. | აღმოს. საქ. | დასავ. საქ. |
| 1909 | 17,4 | 15,2 | 13,1 | 15,0 | 10,0 |
| 1910 | 16,9 | 19,9 | 14,9 | 16,9 | 15,1 |
| 1911 | 16,5 | 13,9 | 13,0 | 13,6 | 8,0 |
| 1912 | 16,6 | 12,3 | 13,5 | 15,0 | 6,5 |
| 1913 | 16,0 | 13,0 | 13,1 | 17,9 | 13,1 |
| 1914 | 16.1 | 14,0 | 14,0 | 14,9 | 14,0 |
| საშუალო 6 წ. | 16,6 | 14,4 | 13,6 | 15,5 | 11,1 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ გაწმენდილი ბამბის მოსავალი ერთ დესეტინიდან აღმოსავლეთ საქართველოში 13,6 ფ. და 18 ფ. შუა ირყეოდა ზრდის ტენდენციით, რასაც უფრო ნათლად გვიჩვენებს თითეული 3 წლედის საშუალო ციფრები:

| წ ლ ე ბ ი | სომხეთი | განჯის გუბ. | აღმოსავ. საქართ. |
|---|---|---|---|
| 1909—1911 | 16,9 | 16,3 | 15,1 |
| 1912—1914 | 16,2 | 13,1 | 15,9 |

მაშინ, როცა სომხეთში და აზერბეიჯანში გაწმენდილი ბამბის მოსავალს ერთი დესეტინიდან შემცირების ტენდენცია ახასიათებდა, საქართველოში ისეთივე ბამბის მოსავალი ზრდას გვიჩვენებს.

ეს ფაქტი გვიჩვენებს საქართველოს მებამბეობის შედარებით პროგრესიულად ზრდას. აღმოსავლეთ საქართველოს ბუნება და ნიადაგი ხელს უწყობს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას. მოქ. ტი-

ბოფეევი ხაზს უსვამს ამ გარემოებას და აღნიშნავს: „ყარაიას საცდელი მინდვრის, რომელმაც ერთი დესეტინიდან მოგვცა გაწმენდილი ბამბის მოსავალი 30 ფ. რაოდენობით, ცნობებიდან სჩანს, თუ რის მიღწევა არის შესაძლებელი, თუ მებამბეობა სწორად იქნება დაყენებული, სათესლე მასალა კარგად იქნება შერჩეული და პლანტაციებს კარგი მოვლა ექნება“.

მებამბეების ყრილობამ, რომელიც 1912 წელს მოხდა, აღიარა, რომ ბამბის წარმოებამ შეიძლება კავკასიაში 8,5 მილიონ ფუთამდე მიაღწიოს. აქედან საქართველოს შეუძლია 500.000 ფუთი ბამბის მოცემაო. საქართველოში ბამბის შესაძლებელი მოსავლის გამოანგარიშების დროს ორი ვარაუდიდან გამოდიოდენ: 1) რამდენი ფუთი ბამბის მოცემა შეუძლია საქართველოს ყარაიას მორწყვის პროექტის განუხორციელებლად და 2) რამდენი შეუძლია მოგვცეს ყარაიას მორწყვის განხორციელების შემდეგ. პირველ შემთხვევაში შესაძლებლად იქნა ცნობილი ბამბის არის გადიდება 20.000 დესეტინამდე, მეორე შემთხვევაში კი—30.000 დესეტინამდე. მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა ადგილების ნიადაგი ნაკლებადაა შესწავლილი და არაფერი არ გაკეთებულა სხვადასხვა დარგს შორის მიწის განაწილების საქმეში ერთის მხრით, ხოლო, მეორეს მხრით, კარგად დაყენებულმა საქმემ ყარაიაში 1 დესეტინიდან 30 ფუთზე მეტი მოგვცა, არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ ვარაუდს, რომ საქართველოს არ შეეძლოს 500 000 ფუთზე მეტი გაწმენდილი ბამბის მოცემა, როგორც ამას 1912 წლის ყრილობა ვარაუდობს.

ყრილობა ეყრდნობა ორ მოსაზრებას: 1) ბამბის პლანტაციების არე შეიძლება გადიდებულ იქნას—30.000 დესეტინამდე და 2) მოსავალი დესეტინიდან შეიძლება აყვანილ იქნას 16,7 ფ., მაგრამ ეს ისეთი მოსავალია, როგორსაც აღმოსავლეთი საქართველო ომამდე იძლეოდა მებამბეების მხრით რაიმე ღონისძიების მიღების გარეშე, ხოლო 1917 წ. აღმოსავლეთ საქართველოში დესეტინა იძლეოდა 24 ფ., ცხადია, რომ მომავლისათვის, რომლის შესახებ ლაპარაკია ყრილობის მასალებში, 16,7 ფ. არ შეიძლება მაქსიმალურ მოსავლათ ჩაითვალოს. ეს ციფრი აწეულ უნდა იქნას ყარაიას (საცდელ მინდორში) ერთი დესეტინის მოსავლის ციფრამდე—30 ფუთამდე. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მებამბეობა რაციონალურად მოეწყობა, ეჭვი არ შეიძლება შეტანილ იქნას იმაში, რომ სოფლის მეურნეობის დარგის პროგრესი შესაძლებელს გახდის ბამბის არის გადიდებას 30.000 დესეტინაზე-ზევით.

ამ რიგად 500.000 ფ. მოსავალი და ერთი მილიონი ფუთი თესლი არ შეიძლება საქართველოსათვის ჩაითვალოს მაქსიმალურ ციფრად და დროთა ვითარებაში ეს ციფრები შეიძლება გაორებულ იქნას.

მებამბეობის განვითარება დიდათაა დამოკიდებული იმ შემოსავალზე, რომელსაც იგი იძლევა. ამ მხრივ მებამბეების მდგომარეობა არ არის სახარბიელო. აგრ. ტიმოფეევის დაახლოვებითი გამოანგარიშებით, რომელიც 1912 წელს ეკუთვნის, ბამბის კულტურა იძლეოდა (დესეტინობით):

| ადგილები: | ნედლი ბამბის საერთო მოს. ფუთი 1 დესეტ. | საერთო შემოსავალი მანეთებში. | ხარჯები მანეთებში. | წმინდა მოგება მანეთებში. |
|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 50—60 | 150—180 | 80—100 | 70—80 |
| აზერბეიჯანი: | | | | |
| განჯის გუბერნია | 45—60 | 145—190 | 80—114 | 65—76 |
| ბაქოს „ | | | | |
| ადგილობ. მცხოვ. | 40 | 120 | 70 | 50 |
| კოლონისტებს | 50—60 | 160—190 | 85 | 75—105 |
| აღმოსავ. საქართ. | | | | |
| ყარაიაზი . . . | 60 | 170—190 | 80—140 | 90 |
| ბორჩალოს მაზრა | 50 | 160 | 80—100 | 60—80 |
| დასავლეთი საქართველო . | 50 | 140 | 80 | 60 |

ბამბის კულტურიდან მიღებულ მოგებაზე პლანტაციებზე მუშაობის პირობების გარდა სხვა ფაქტორებსაც ჰქონდა გავლენა. ამ ფაქტორებს შორის უმთავრესი იყო: კრედიტების სრულიად ან საკმაო რაოდენობით უქონლობა, ბაზრისთვის საქონლის უშუალოდ მიწოდების შეუძლებლობა და შუამავლებისაგან დამოკიდებულება. ნედლი ბამბის გასაღება აგენტ-შუამავლების ხელში იყო, რომლებიც წინდაწინ ურიგებდენ მებამბეებს ბეს ფულის, ან საქონლის სახით იმ პირობით, რომ ბამბის განსაზღვრული რაოდენობა მათთვის მიეყიდნათ წინასწარ დაწესებულ, ან ბაზრის ფასებში, ამავე დროს მი-

ცემულ ბეზე ანგარიშობდენ დიდ პროცენტებს, რაც ხშირად ფუთ ნედლ ბამბაზე 40—60 კ. აღწევდა. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1) ბეს სახით მიცემული საქონელი აწეულ ფასებში ეძლეოდათ გლეხებს, 2) ბამბას იძენდენ დაკლებულ ფასებში, 3) წვრილ მებამბეებს ატყუებდენ წონაში და ბეს აძლევდენ ერთ წელზე ნაკლები ვადით, უნდა ვიფიქროთ, რომ მებამბეები ყველა ამ ოპერაციებზე ბეზე დარიცხულ პროცენტებზე (40—60 კაპ. ფუთზე) მეტს ზარალობდენ. ეს ზარალი მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა მებამბეებს. ფუთი ბამბის საშუალო ფასი იყო 3 მან. 50 კაპ.

5 წლის განმავლობაში ომამდე ფუთი ბამბის ფასი იყო:

| | 1911—12 წ. | 1912—13 წ. | 1913—14 წ. |
|---|---|---|---|
| სომხეთი | 2 მ. 80 კ. | 3 მ. 10 კ. | 3 მ. 80 კ. |
| აზერბაიჯანი | 4 მ. 50 კ. | 4 მ. 50 კ. | 4 მ. 60 კ. |
| ა) განჯის გუბ. | — | 3 მ. 40 კ.—4 მ. 40 კ. | 4 მ. — 4 მ. 60 კ. |
| ბ) ბაქოს გუბ. | 3 მ. 50 კ. | 4 მ. — 3 მ. 60 კ. | 3 მ. 60 კ. |
| მულანი | 4 მ. 50 კ. | 5 მ. | 4 მ. 70 კ. |
| აღმოს. საქართვ. | 3 მ.—5 მ. | 4 მ. — 4 მ. 30 კ. | 4 მ. — 4 მ. 80 კ. |
| დასავ. საქართვ. | — | 2 მ. 40 კ. 3 მ. 30 კ. | 3 მ. — 4 მ. 50 კ. |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბამბის ფასს ა/კავკასიაში პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო დასავლეთ საქართველოს ბამბის ფასები თავისუფლად შეეტოლება ა/კავკასიის სხვა კუთხეების ბამბის ფასებს. ადგილობრივი ნედლი ბამბის ფასი აღმოსავლეთ საქართველოში იყო 4 მან. ფუთზე, თესლისაგან გაწმენდილი ფუთი ბამბის ფასი 1910—1914 წ.წ. 10 და 15 მანეთს შუა ირყეოდა, მოსკოვში კი ა/კავკასიის ფუთი ბამბა 14—17 მანეთამდე ფასობდა. თუ ფუთი გაწმენდილი ბამბის საშუალო ფასად მივიღებთ 15 მანეთს, მაშინ 1912—14 წლების საშუალო წლიური მოსავლის— 118, 000 ფ. ბამბის ღირებულება 1.800.000 ოქროს მანეთით გამოიხატება. მაგრამ ნედლი ბამბიდან გარდა წმინდა ბამბისა ვიღებთ ბამბის თესლს, რომელიც აგრეთვე რეალურ ღირებულებას წარმოადგენს. ნედლი ბამბა იძლევა 30 პროც. გაწმენდილ ბამბას და 60 პროც. თესლს, 1913 წ. ადგილობრივ ერთი ფუთი თესლი ღირდა 50—70 კაპ., ხოლო ფრანკო ბათუმი—75—80 კაპ.

საქართველო ჯერ-ჯერობით, როგორც მთელი ა/კავკასია, ნედლეულის ქვეყანაა. მას ბამბა მოჰყავს, მაგრამ არ მოეპოვება არა თუ ბამბის ნაქსოვად გადასამუშავებელი მანქანები, არამედ ხეირიანად

მოწყობილი ბამბის საწმენდი ქარხნებიც. ტფილისში არსებობდა მხოლოდ ერთი ფაბრიკა, რომელიც ბამბისაგან უმნიშვნელო რაოდენობის ძაფს აკეთებდა. ბამბის უდიდესი ნაწილი რუსეთში მიდიოდა ბათომით და ფოთით.

აგრეთვე ბამბის უმნიშვნელო ნაწილს იყენებდა ტფილისში არსებული 3 ზეთის სახდელი ქარხანა: 1) ზეთის სახდელი, საპნის და სანთლის ქარხნების აქციონერული საზოგადოება, 2) ძმებ კარლინსკების და 3) კასენცევის ზეთის სახდელი პატარა ქარხნები. ყველა ეს ქარხნები ამუშავებდენ რამოდენიმე ასი ათას ფუთ ბამბის თესლს და ამზადებდენ ათეული ათას ფუთობით ბამბის ზეთს და 100—200 ათ. ფუთ კოპტონს. დაბალი ხარისხის ზეთი იხმარებოდა საპნის გასაკეთებლად.

საქართველოში არსებობდა ბამბის რამოდენიმე საწმენდი ქარხანა. აღმოსავლეთ საქართველოში მათი რიცხვი ცხრამდე აღწევდა. მათ შორის ცოტათ თუ ბევრად კეთილად მოწყობილი მხოლოდ 6 იყო:

| | |
|---|---|
| ყარაიაში . . . . . | 1 ქარხანა, |
| ტფილისში . . . . . | 3 „ |
| ბორჩალოს მაზ. . . . . | 2 „ |

დასავლეთ საქართველოში იყო 12-დე ცუდათ მოწყობილი ბამბის საწმენდი ქარხანა.

ომამდე და რევოლიუციამდე საქართველოში არსებობდა ორი საცდელი დაწესებულება: ყარაიას საცდელი სადგური და ქუთაისის საცდელი მინდორი. ყარაიას საცდელი სადგური მხოლოდ და მხოლოდ მებამბეობის საკითხებზე მუშაობდა.

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ დამუშავებული მასალებით ნედლი ბამბის მოსავალი დესეტინიდან რაიონების მიხედვით ომამდე შეადგენდა: ტფილისის მაზრაში (ყარაიაში)—60 ფ., ბორჩალოს—50 ფ. და დასავლეთ საქართველოში 40 ფ. ნედლი ბამბიდან წმინდა ბამბის გამოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენდა 30 პროც., დასავლეთ საქართველოში კი (ადგილობრივი ხარისხი)—27 პროც. ერთ დესეტინაზე მოდის გაწმენდილი ბამბა აღმოსავლეთ საქართველოში—14—17 ფ., დასავლეთ საქართველოში—10-12 ფ. ამ ცნობების საფუძველზე მოქ. ტიმოფეევის გამოანგარიშებით საერთო შემოსავალი ერთი დესეტინიდან ომამდე უდრიდა. აღმოსავლეთ საქართველოში—170 მან., დასავლეთ საქართველოში—140 მანეთი. ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით კი ერთ დესე-

ტინა ბამბის კულტურას სჭირდება საშუალოდ 116 სამუშაო დღე, აღმოსავლეთ საქართველოში დღიური სამუშაო ქირა ნაანგარიშევია 1 მან. 46 კაპ., დასავლეთ საქართველოში— 1 მან. 30 კაპ.

ომმა და რევოლიუციამ თითქმის სავსებით გაანადგურა საქართველოს მებამბეობა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს მებამბეობის მოძრაობის სურათს 1914—1926 წლის განმავლობაში:

| წლები: | აღმოს. საქართველო | | დასავლ. საქართვ. | | სულ საქართველ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | არე დესიატინ. | გაწმენდ. ბამბის მოსავალ. ფუთობ. | არე დესიატინ. | გაწმენდ. ბამბის მოსავალ. ფუთობ. | არე დესიატინ. | გაწმენდ. ბამბის მოსავალ. ფუთობ. |
| 1914 | 8.200 | 122.600 | 3.700 | 29.500 | 11.900 | 152.100 |
| 1915 | 4.100 | 41.000 | 1.800 | 16.000 | 5.900 | 57.000 |
| 1916 | 1.000 | 19.000 | 1.500 | 27.000 | 2.500 | 46.000 |
| 1917 | 200 | 4.800 | 1.000 | 11.900 | 1.200 | 15.000 |
| 1923 | 400 | 500 | 500 | 6.000 | 900 | 11.000 |
| 1924 | 3.800 | — | 200 | — | 5.500 | — |
| 1925 | 3.800 | — | — | — | 6.960 | — |
| 1926 | — | — | — | — | 8.187 | — |

1923 წ. მებამბეობა დაადგა აღდგენის გზას, რაც უმთავრესად უნდა მიეწეროს მებამბეებისათვის კრედიტების მიწოდების საქმის მოწესრიგებას.

ბამბით დათესილი არე 1923 წ. აღწევს 900 დეს. 1924 წ. 5.500 დ. 1925 წ. 6.960 დ. 1926 წ. კი 8.187 დეს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მებამბეობა მაინც კრიზისს განიცდიდა სარწყავი წყლის ნაკლებობის, ძველი საირიგაციო ქსელის ცუდი მდგომარეობისა და დაბალი ფასების გამო, მაგრამ ადვილია ორივე ამ მიზეზის თავიდან აცილება. მთავრობა უკვე იღებს ზომებს ამ მიზეზების მოსასპობად.

საქართველოს საგეგმო კომისია საინტერესო ცნობებს იძლევა იმ ხარჯების შესახებ, რომლისგან შესდგებოდა მოსკოვში ეროი ფუთი გაწმენდილი ბამბის თვითღირებულება 1913 და 1924 წლებში.

| | 1913 წ. | 1924 წ. |
|---|---|---|
| 1) საშუალო ღირებულება ერთი ფუთი ნედლი ბამბისა | 4 მ. | 4 მ. 75 კ. |
| 2) მიტანა ქარხანაში | 10 კ. | 15 კ. |
| 3) კაპიტალის ბროკ., ტომრების ამორტიზაცია, ბეს დაკარგვა | — | 20 კ. |
| 4) შუამავალნი | 3 კ. | 12 კ. |
| 6) დაზღვევა | 2 კ. | 1,5 კ. |
| 6) მოგება | | 2 კ. |
| სულ 1 ფ. ნედლ ბამბაზე | 4 მ. 15 კ. | 5 მ. 25 კ. |

თუ მხედველობაში მივიღებთ საკურსო განსხვავებას, არ შეიძლება იმის თქმა, რომ 1924 წ. ხარჯები 1913 წლისაზე მეტი იყოს.

გაწმენდილი ფუთი ბამბის თვითღირებულება მოსკოვში, თუ ვიანგარიშებთ, რომ 3 ფ. 12 გირ. ნედლი ბამბიდან ერთი ფუთი გაწმენდილი ბამბა გამოდის, შემდეგ ციფრებს მივიღებთ:

| | 1913 წ. | 1924 წ. |
|---|---|---|
| 1. გაწმენდილი ბამბის ფუთი | 13 მ. 69 კ. | 17 მ. 34 კ. |
| 2. გაწმენდა საამორტიზაც. ხარჯებით. | 30 კ. | 76 კ. |
| 3. დატკეცვა | 7 კ. | |
| 4. ტარის ღირებულება | 16 კ. | 38 კ. |
| 5. რკინის გზამდე მიტანა | 10 კ. | 2 კ. |
| 6. ადმინისტრატიული ხარჯები | 52 კ. | — |
| ა) ხარჯები ქარხ. და შემსყიდვ. პუნქტ. | — | 70 კ. |
| ბ) განყოფილ. ადმინისტრაც. ხარჯები. | — | 90 კ. |
| გ) ცენტრის ადმინისტრაც. ხარჯები | — | 15 კ. |
| 7. მოსკოვამდე გადასაზიდი ხარჯები | 75 კ. | 1 მ. 21 კ. |
| 8. ხარჯები მოსკოვში | 30 კ. | 90 კ. |
| სულ გაწმენდილი ბამბის ფუთი | 16 მ. 14 კ. | 21 მ. 85 კ. |

ამ თანხას გამოაკლდება:

| | | |
|---|---|---|
| 10 გირ. თესლის ღირებულება | 1 მ. 35 კ. | 1 მ. 1 კ. |
| 3/4 გირ. ლინტარული ბამბის ღირებ. | 15 კ. | 14 კ. |
| სულ: | 1 მ. 50 კ. | 1 მ. 15 კ. |

ამ რიგად ფუთი გაწმენდილი ბამბის თვითღირებულება მოსკოვში გამოიხატებოდა:

| | |
|---|---|
| 1913 წ. (16 მ. 14 კ. — 1 მ. 50 კ.) | 14 მან. 64 კაპ. |
| 1924 წ. (21 მ. 85 კ. — 1 მ. 15 კ.) | 20 მან. 70 კაპ. |

ბაბების მეურნეობის რაციონალურად დაყენების მეშვეობა, ცხადია, ზენანდები ხარჯები ბენეფრიციად ნაკლებად დაენებიდ მეშვ-ცხრდება.

საქართველოში ბაბების მეურნეობის შესაძლებელ განვითარებ-ბის სფერის მეშვეობა ცხრილი გვიხატავს:

**საქართველოს საგეგმო კომისიის საპერსპექტივო გეგმით.**

| რაიონები და მოურწყვის სისტემა | 1925/26 წ. | | 1926/27 წ. | | 1927/28 წ. | | 1928/29 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სივრცე დესეტინ. | მოსავალი | სივრცე დესეტინ. | მოსავალი | სივრცე დესეტინ. | მოსავალი | სივრცე დესეტინ. | მოსავალი |
| **I. ბორჩალო:** | | | | | | | | |
| ა) ძველი სისტემა . . | 5.000 | 208.000 | 7.000 | 315.000 | 9.000 | 423.000 | 11.000 | 550.000 |
| ბ) ახალი სისტემა . . | — | — | — | — | — | — | — | — |
| **II. ყარაია:** | | | | | | | | |
| ა) ძველი სისტემა . . | 2.500 | 100.000 | 3.000 | 126.000 | 3.500 | 157.500 | 4.000 | 200.000 |
| ბ) ახალი სისტემა . . | — | — | 1.000 | 42.000 | 1.500 | 67.500 | 2.000 | 100.000 |
| **III. კახეთი:** | | | | | | | | |
| ა) მოურწყავად (ალაზნის იქითა მხარე) | 500 | 15.000 | 1.000 | 30.000 | 1.000 | 30.000 | 1.000 | 30.000 |
| ბ) ძველი სისტემა (იორა-მუღანლო . . . | 300 | 12.000 | 350 | 14.700 | 400 | 18.000 | 450 | 20.050 |
| გ) ახალი სისტემა (ალაზნის ველი) . . . | — | — | 4.000 | 180.000 | 7.000 | 315.000 | 10.000 | 450.000 |
| დ) ელდარი . . . . . | — | — | 1.000 | 45.000 | 1.500 | 67.500 | 2.000 | 90.000 |
| **IV. დასავლეთი საქართვ.** | | | | | | | | |
| ა) აფზაზეთი . . . . . | 1.000 | 35.000 | 1.000 | 35.000 | 2.000 | 70.000 | 3.000 | 105.000 |
| ბ) მოურწყავად . . . | 1.000 | 25.000 | 3.000 | 75.000 | 4.000 | 100.000 | 5.000 | 125.000 |
| გ) ძველი სისტემა<br>დ) ახალი სისტემა | 3.000 | 105.000 | 4.000 | 140.000 | 5.000 | 175.000 | 7.000 | 280.000 |
| | 13.500 | 500.000 | 25.000 | 1.002.700 | 34.900 | 1.423.500 | 45.450 | 1.950.250 |

საქართველოს მთავრობა სათანადო ყურადღებას აქცევს მეგამბეობის განვითარებას და მიღებული ზომების წყალობით მეგამბეობა ჩვენში უკვე სწრაფი ტემპით ვითარდება და ის შეიძლება გახდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის და კეთილ-დღეობის ერთ-ერთ მსხვილ ფაქტორად.

ომამდე საქართველოს ბამბის საერთო ღირებულება 1.800.000 მანეთს უდრიდა ოქროთი. ბამბის პლანტაციების აღდგენის გეგმის თანახმად 1928—29 წ. დათესილი უნდა იქნეს 45.000 დეს. მოსარწყავი მიწა, თითო დესეტინამ უნდა მოგვცეს 40 ფ. ნედლი ბამბა. 1928—29 წ. მოსავალმა 2.000.000 ფუთამდე უნდა მიაღწიოს, ხოლო გაწმენდილი ბამბის მოსავალმა—570.000 ფუთამდე, რაც 1924 წ. მოსკოვის ფასებში შეადგენს 12 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1913 წ. ფასებში—8,6 მილ. მან. ოქროთი. მეურნეობის ამ დარგს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის და იგი ღირსია განსაკუთრებული ყურადღების მიქცევისა, რათა ჩვენში შეიქმნას საფეიქრო მრეწველობის ბაზა.

---

# ჩაი.

ჩაის პლანტაციები ისეთ რაიონებში ხეირობს, სადაც ტროპიკული და სუბტროპიკული ნამიანი ჰავაა და საშუალო წლიური ტემპერატურა 12—14°C შუა ქანაობს, ხოლო იანვარში საშუალო ტემპერატურა არ არის 0°C დაბლა და ზამთრის სიცივეები მცირე ხნით აღწევს 10°C. ამ პირობებში წლიური ატმოსფერული ნალექები 1200—1500 მილიმეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ადგილი არ უნდა ჰქონდეს გაზაფხულისა და ზაფხულის გვალვებს. ასეთ პირობებს საქართველოში შემდეგი რაიონები აკმაყოფილებს: ზღვის ნაპირების ზოლი აჭარისტანში, ოზურგეთის მაზრის შუა და სამხრეთი ნაწილები და სენაკის, ზუგდიდის და სამურზაყანოს მაზრების შუა ნაწილების გორაკოვანი ზოლი. ნიადაგისა და კლიმატის გამოკვლევის საფუძველზე მიღებული ცნობებით ჩაის რაიონების საერთო სივრცე 360 ათ. დეს. უდრის, აქედან ჩაის ბუჩქებისათვის შეიძლება გამოყოფილ იქნას 120.000 დესეტინამდე, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

| | | |
|---|---|---|
| სამურზაყანოს | მაზრა (აფხაზეთი) . | 5.500 დეს. |
| ზუგდიდის | „ . . . . . | 35.000 „ |
| სენაკის | „ . . . . . | 22.000 „ |
| ოზურგეთის | „ . . . . . | 33.000 „ |
| აჭარისტანი | „ . . . . . | 24.000 „ |
| | სულ . . . . | 120.000 დეს. |

თუ დესტინიდან ვიანგარიშებთ 600-დან 800-გირვანქამდე, ანუ საშუალოდ 700 გირ. ხმელ ჩაის, მაშინ 120.000 დესეტინას შეუძლია მოგვცეს ჩაი 80 მილიონ გირვანქაზე მეტი, ანუ 2 მილ. ფუთზე მეტი, ე. ი. დაახლოვებით იმდენი, რამდენიც ომამდე რუსეთს სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდა, (100 მილ. მანეთის ჩაი). მიუხედავად ასეთი დიდი შესაძლებლობისა და ჩაის საქმის უდიდესი მნიშვნელობისა საქართველოს ნაციონალური მეურნეობისათვის, ჩაის

მეურნეობა საქართველოში მეტათ ნელის ტემპით ვითარდებოდა.
ჩაის პლანტაციების საერთო სივრცე 1916 წ. უდრიდა:

ბათომის სანაპიროები:

| | |
|---|---|
| საუფლისწულო უწყების . . | 500 დეს. |
| პოპოვის . . . . . | 140 „ |
| წვრილი პლანტაციების . . | 105 „ |

ოზურგეთის და სხვა მაზრებში:

| | |
|---|---|
| ოზურგეთის საცდელი სადგურის . . . | 3,5 დეს. |
| ნაკაშიძის . . . . . | 10 „ |
| წვრილი მეპატრონეების . . . . . | 57 „ |

არა საგადასახადო შემოსავლის ყოფილი სამმართველოს ცნობებით ჩაის პლანტაციების ზრდა შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა:

| წლები: | პლანტაციები დესიატინობით | პროდუქციის ზრდა (ხმელი ჩაი გირვანქობით). |
|---|---|---|
| 1897 . . . . | 45 | 1.200 |
| 1900 . . . . | 204 | 5.930 |
| 1905 . . . | 387 | 158.546 |
| 1910 . . . . | 695 | 241.797 |
| 1911 . . . | 664 | 213.593 |
| 1912 . . . . | 737 | 271.861 |
| 1913 . . . . | 818 | 319.299 |
| 1914 . . . . | 839 | 334.204 |

1913 წელში ხმელი ჩაის საერთო ღირებულება 444.000 მან. გამოიხატებოდა. ამ ჟამად ჩაის პლანტაციების სივრცემ 1916 წლის დონეს მიაღწია. ბათომის ნაპირებზე ჩაის სივრცე 845 დეს. შეადგენს, ოზურგეთის მაზრაში—70 დეს., სულ 915 დეს. ყველა პლანტაციებიდან ხმელი ჩაის საერთო მოსავალი 750 ათას გირვანქას აღწევს.

1917 წლიდან იწყება ჩაის სივრცის და მოსავლის სწრაფი შემცირება, მაგრამ 1919 წლიდან ჩაის პლანტაციების სივრცე და ხმელი ჩაის მოსავალი კვლავ იწყებს ზრდას. 1924 წელში—978 დესეტინიდან მიღებულ იქნა 376 ათასი გირვანქა ხმელი ჩაი.

1898 წ. ჩაქვის მამულში აშენებულ იქნა ჩაის ფაბრიკა ჩაის ფურცლისაგან ჩაის დასამზადებლად. ამ ფაბრიკის მანქანების მოწყობილობის ღირებულება, ბინისა და სხვა ინვენტარის ანგარიშში

მიუღებლად, გამოანგარიშებულია 77 ათ. მან., ფაბრიკა 350—400 დეს. ჩაის პლანტაციაზე იყო ნაანგარიშევი. ამ ჟამად კი ეს ფაბრიკა ემსახურება 600 დეს. პლანტაციას. ფაბრიკის მანქანები მოძრაობაში მოჰყავს 214 ცხენის ძალიან ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ენერგიას. ეს ჰიდრო-ელექტრონული სადგური აშენებულია 1915 წელში. ამ სადგურის საერთო ღირებულება 300.000 მან. გამოიხატება.

1923 წლის ოფიციალური ცნობებით ჩაქვის მამულის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა:

**უძრავი ქონება:**

| | |
|---|---|
| 1) მიწა | 2.890.000 მან. |
| 2) კულტურული ნერგები და მიწები | 1.662.000 მან. |
| შენობები | 527.000 მან. |
| | 5.079.000 მან. |

**მოძრავი ქონება:**

| | |
|---|---|
| 1) მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვ. | 406 ათ. მან. |
| 2) ცოცხალი ინვენტარი | 276 ათ. მან. |
| | 682 ათ. მან. |

სულ მოძრავი და უძრავი ქონება—5.761.000 მან.

ჩაქვის ამ მსხვილ მეურნეობას აქვს სხვადასხვა დარგები და უჭირავს 13 ათასი დესიატინა, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

| | | |
|---|---|---|
| ჩაის პლანტაციები | 540 | დეს. |
| ბამბუკის ნაშენი | 33 | „ |
| მანდარინის | 29 | „ |
| ლიმონის | 6 | „ |
| ხეხილის | 40 | „ |
| ლაქის ხე, ევკალიტები და საქაფურო დაფნა | 20 | „ |
| სახნავი | 226 | „ |
| სათიბი და საძოვარი | 512 | „ |
| ბოსტანი | 3 | „ |
| სამოსახლო | 12 | „ |
| ტყე | 11.414 | „ |
| გზები და უვარგისი მიწები | 337 | „ |
| სულ | 13.173 | დეს. |

მეურნეობის ყველა ამ დარგთა შორის განსაკუთრებული მნიშვენლობა ჩაის საქმეს აქვს.

ჩაქვის მამულის ანგარიშით 1908—1913 წ. ხანაში გირვანქა ხმელი ჩაის საშუალო თვითღირებულება 80 კ. უდრიდა. მიწად-მოქმედების კომისარიატის მოხსენების თანახმად ხმელი ჩაის საშუალო საბაზრო ფასების—1 მან. 5 კაპ. პირობებში გირვანქა ჩაი 24 კაპ. წმინდა მოგებას იძლევა, ხოლო დესეტინა საშუალოდ (მოსავალი 700 გირვ.)—168 მან.

გარდა ჩაქვის ჩაის პლანტაციებისა არსებობს კიდევ სალიბაურო-კაპრიშუმსკის ჩაის პლანტაციები 105 დეს. სივრცით და ჩაის ფაბრიკით და აგრეთვე წვრილი პლანტაციები 110 დეს. საერთო სივრცით, სულ 213 დეს. ჩაის ამ არეს შეუძლია მოცემა 150.000 გირგანქა ხმელი ჩაის ანუ 36.000 მან. წმინდა მოგების.

გარდა ზემო აღნიშნული პლანტაციებისა 1923 წლამდე ჩაის პლანტაციები იყო აჭარისტანში 90 დეს. და ოზურგეთის მაზრაში—60 დეს.

საქართველოს მიწად-მოქმედების კომისარიატის აზრით ჩაის ღირსებას განსაზღვრავს: 1) ტეინი (კოფეინი), 2) ეფირის ზეთი და 3) ტანინი. „თავისი შემადგენლობითა და თვისებით ჩაქვის ჩაი განირჩევა ინდოეთისა და ცეილონის ჩაისაგან (ჩაქვის ჩაი შეიცავს მთრიმლავი ნივთიერების და ტეინის ნაკლებ რაოდენობას) და უახლოვდება ჩინეთის უმაღლესი ხარისხის ჩაის“ (საქართველოს მ/გ. ინსპექციის ინსტრუქტორების მოხსენებიდან).

ჩაქვის ჩაის ფასი ომამდე და 1924 წ. იყო:

| | ომამდე: | 1924 წ. |
|---|---|---|
| უმაღლესი ხარისხი | 2 მ. 40 კ. | 3 მან. |
| პირველი ხარისხი | 1 მ. 60 კ. | 2 მან. 60 კაპ. |
| მეორე ხარისხი | 1 მ. 20 კ. | 2 მან. |

ბითუმად შეკვეთის დროს შემკვეთელს ეძლეოდა შეღავათი 30-დან 32,5 პროც.-დე, 1924 წელს კი—17—18 პროც.-დე.

ჩაქვის ჩაის ბაზარი მუდამ იყო ძ ამ ჟამადაც რუსეთი არის. საქართველოში ჩაის საქმეს ფრიად დიდი მომავალი აქვს და ჩაის მეურნეობაზე უკვე მიქცეულია სათანადო ყურადღება. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ გარემოებას, რომ ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ჩვენ მოგვეპოვება 120 ათ. დესეტინამდე მიწა, არამედ იმას, რომ ეს მიწა სხვა კულტურისათვის უვარგისია.

ამ პირობებში ეს მიწები აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას ჩაის პლანტაციებისათვის-

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დესეტინა იძლევა საშუალოდ 700 გირვანქა ხმელ ჩაის. თუ ჩაის საქმე უკეთ იქნება დაყენებული და გაუმჯობესდება ჩაის წარმოების ტეხნიკა, ჩაის მოსავალი დესეტინიდან უეჭველად გაიზრდება, წარმოება გაიაფდება და ჩაის ღირსება გაუმჯობესდება. ამიტომ ცხადია, რომ დროთა ვითარებაში ჩაის მეურნეობა ჩვენში განვითარდება, ის მოეწყობა რაციონალურად და ჩაის პლანტაციებისათვის გამოყენებული იქნება მთელი ჩაისთვის ვარგისი მიწის სივრცე—120 ათ. დეს. და ჩვენი ქვეყანა წლიურად მიიღებს 100 მილ. მანეთს საერთო შემოსავლისას და 14—15 მილიონ მან. წმინდა მოგების სახით. ჩაის მრეწველობის განსავითარებლად საჭირო მუშა-ხელით საქართველო უზრუნველყოფილია. ჩაის ბუჩქებს მოაშენებენ უმთავრესად გლეხები თავის ნორმაზე და იჯარით აღებულ მიწებზე მთავრობის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. მაგრამ ჩაის კულტურების განვითარება მოითხოვს ფაბრიკების მოწყობას და პლანტატორებისათვის კრედიტების მიწოდებას. სახელმწიფო უკვე მუშაობს ჩვენში ჩაის მეურნეობის დიდი მასშტაბით განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად და ჩაქვის მამულში ამ ჟამად უკვე ჩადებულია ოთხ მილიონ მანეთამდე, ხოლო მიწის ღირებულებიანათ—5,7 მილ. მან. ჩაის ნაწარმოების აწევისა და ფართო მასშტაბით განვითარების მიზნით უკვე მოწყობილია განსაკუთრებული სამმართველო, რომელიც ამ ჟამად ხელმძღვანელობს ჩაის საქმეს საქართველოში.

# სუბტროპიკული კულტურები.

სპეციალისტების ცნობებით საქართველოს შავი-ზღვის ნაპირების კლიმატიური პირობები ძალიან უახლოვდება იაპონიის არქიპელაგის შუა ნაწილების და განსაკუთრებით კუნძულ ნიპონის ასეთივე პირობებს, მათი კლიმატიური პირობების შორის თითქმის იგივეობა არის. შავი-ზღვის ნაპირები ითვლება ქვე-ტროპიკული ოლქების რიცხვში, სადაც წარმატებით ხეირობს ჩაი, ფორთოხალი, მანდარინი, ქინაქინის ხე, კაუჩუკის ხე, ბამბუკი, ზეთის ხილის ხე, ლაქის ხე, და სხვ.

ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ შავი ზღვის ნაპირებზე ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში იზრდებოდა სუბტროპიკული მცენარეები: მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი და სხვ. ჯერ კიდევ 1878 წ. არსებობდა ფორთოხლის და მანდარინის ბუჩქები შავი-ზღვის მთელ ნაპირებზე ქობულეთიდან დაწყებული ლიმანამდე და ამ ნაშენებს სამრეწველო ხასიათი ჰქონდა მდ. ჭოროხიდან ოსმალეთის საზღვრებამდე შემდეგ სოფლებში: გონიაში, სარფისში მაკრისლისში, ლიმანში, მანელ-ოღლში საველისში და უგ-კარდაშში. იმ ხანებში მთელი ამ ზონიდან ყოველ-წლიურად იკრიბებოდა 1 მილ. ცალამდე მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი. შავი-ზღვის ნაპირების ალმოსავლეთ ნაწილებში მცხოვრებთა ოსმალეთში გადასახლებისა გამო ციტრუსიული მცენარეული დაიღუპა გარდა სოფ. ბაბოკვათის და დაგვასი, სადაც მოსახლეობას ლიმონი ჰქონდა გაშენებული.

მე-XIX-ე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდა-ათიანი წლების დასაწყისში გამოწერილ იქნა მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი სიცილიიდან, იტალიიდან, ოსმალეთიდან და ალჟირიდან, მაგრამ ამ ადგილებიდან მოტანილი ნერგები ჩვენში არ გამოდგა; ჩვენს ზღვის ნაპირების ჰავას უფრო შეეგუა ალმოსავლეთის სუბტროპიკული რაიონებიდან მოტანილი ნერგები. მეტეოროლოგიური ცნობები გვიჩვენებს, რომ ჩვენი ზღვის ნაპირების ჰაერი სავსებით გამოსადეგია სუბტროპიკული მცენარეებისათვის.

საქართველოს საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექცია სუბტროპიკული მცენარეების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: კლიმატიური პირობები იცვლება ოსმალეთის საზღვრებიდან სოხუმის მიმართულებით. ასე რომ, ბათომში ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობა არის 2.530 მილიმეტრი, სოხუმში—1.290 მილ., ტემპერატურის ასეთივე რყევას ვამჩნევთ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით; თბილ ზამთრებს უმეტესად ვამჩნევთ ბათომის ნაპირებზე. სოხუმის ჩრდილოეთით საეჭვოა ბევრი ძვირფასი სუბტროპიკული კულტურის არსებობა. საშუალო წლიური ტემპერატურა ბათომსა და სოხუმს შუა 14° C არ აღემატება. იანვარ-თებერვალში საშუალო ტემპერატურა 5—6,4° C შუა ირყევა, ამავე დროს ყინვა ღია ადგილებზე არ აღემატება 7-8° C, ხოლო დაცულ ადგილებზე ტემპერატურა იშვიათად ეცემა 3-4° C დაბლა. ზღვის ნაპირების ერთ-ერთ არა ხელსაყრელ კლიმატიურ პირობას წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები. ამ ქარების წყალობით იშვიათ წლებში ტემპერატურა ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ ციფრებზე დაბლა ეცემა. ასი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ზამთარი იყო მხოლოდ ოთხჯერ, იმავე დროს მხოლოდ 1874 და 1925 წ.წ. ზამთარს მოჰყვა სუბტროპიკული მცენარეულის ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი დაზიანება. რაც შეეხება 1829 და 1911 წ.წ. ზამთარს, მან. გავლენა იქონია მხოლოდ შემდეგი ორი წლის მოსავალზე. ამ რიგად, მკაცრ ზამთრებს შავი-ზღვის ნაპირებზე ადგილი ჰქონდა 25 წელში ერთხელ, ხოლო ზამთარი, რომელსაც თან სდევდა სუბტროპიკული მცენარეულის საგრძნობლად დაღუპვა-დაზარალება, მეორდებოდა ყოველ 50 წელში. ამიტომ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ სუბტროპიკული მცენარეულის უმრავლესობა ჩვენს მხარეში საზარალო იყოს. შემოსავლიანობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული ხეხილის მხოლოდ ამორტიზაციის ვადა 25-35 წ. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ხელსაყრელი პირობებისა ჩვენს შავი-ზღვის ნაპირებზე მხოლოდ რამოდენიმე სუბტროპიკული მცენარე არის გაშენებული. ჩაის შემდეგ შავი-ზღვის ნაპირებზე უმეტესად გავრცელებულია ციტრუსული მცენარეები, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ აჭარისტანის, გურიის, აფხაზეთის და სამეგრელოს სახალხო მეურნეობისათვის. მათ შორის შესანიშნავი ადგილი უჭირავს იაპონურ მანდარინს, რომელიც იტალიურ მანდარინაზე უფრო ტკბილია და მსხვილი, მაგრამ სურნელებით იტალიურისაზე უვარესია და იტალიურ მანდარინზე ექვსი კვირით ადრე მწიფდება.

მანდარინის სივრცე აჭარისტანში 1912 წ.—250 დეს. უდრიდა, 1901 წ.—მანდარინს იქ ერთი დესეტინაც კი არ ეჭირა. მანდარინის კულტურა მეტად სწრაფად ვითარდება; 1907 წლიდან დაწყებული 1924/25 წლამდე ციტრუსების საერთო სივრცე იმდენივე იყო, რამდენიც 1915 წ., ე. ი. 450 დეს.

ერთი დესეტინა მანდარინის მოშენება და ოთხი წლის განმავლობაში მისი მოვლის ხარჯი ნაანგარიშევია 3.840 მან. მეხუთე წლიდან დაწყებული ყოველწლიურად წმინდა შემოსავალი ერთი დესეტინა მანდარინიდან გამოიხატება 540 მან. 1000 ცალის—15 მანეთ. გაყიდვის პირობებში. საერთო შემოსავალი, კი 1920 მანეთს უდრის, ხოლო ყოველწლიური საშუალო ხარჯი დესიატინაზე 1340 მან.

საქართველოს მანდარინს და ფორთოხალს მეტად ფართო ბაზარი აქვს. 1912 წელში რუსეთში უცხოეთიდან შემოტანილ იქნა 3,4 მილ. ფუთი და 4,5 მილ. მანეთის ღირებული მანდარინი და ფორთოხალი. შინაური პროდუქცია იმავე წელში მხოლოდ 200.000 ფუთს აღწევდა. საბჭოთა კავშირის მოთხოვნის სავსებით დასაკმაყოფილებლად ციტრუსების სივრცე საქართველოში მიყვანილ უნდა იქნას 5.500 დესეტინამდე 650 ფუთის საშუალო მოსავალით თითო დესეტინიდან. ჩვენი მანდარინი ადვილად იპოვის ბაზარს საბჭოთა კავშირის ფარგლების გარეშეც. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ რუსეთის მსხვილ ქალაქებში მანდარინი და ფორთოხალი ფუთი 40 მან. ნაკლებად არ ფასობს, ზემოდ აღნიშნული ფასი მანდარინისა—15 მანეთი, მეტად მცირეა. ამ პროდუქტების შენახვის, ტრანსპორტის და რეალიზაციის სწორად მოწყობა საგრძნობლად გაადიდებს ჩვენი ქვეყნის შემოსავალს ციტრუსების პლანტაციებიდან.

## დაფნის ფოთოლი.

შავი-ზღვის ნაპირებზე იზრდება ეგრეედ წოდებული კეთილშობილი დაფნა. მის ექსპლოატაციას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში. დაფნის ფოთოლი უმთავრესად იზრდება ურთას მთის სამხრეთ-დასავლეთის ფერდობზე, სოფ. ხეთა და ცაიშში, რომლებიც იძლევიან საქართველოს მთელი დაფნის პროდუქციის 90 პროც. დაფნის ფოთოლი განსაკუთრებით გაჭ-ქონდათ რუსეთში, 30.000 ფუთამდე. ომამდე ერთ ფუთ პირველ ხარისხის დაფნის ფოთოლის ფასები 4—7 მან. შუა ირყეოდა, ხოლო მეორე ხარისხის 2,5—4 მან. შუა. ომამდე დაფნის მოშენება სამეგრელოში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მოსახლეობა არ კმაყოფილ-

დებოდა ურთას მთის ფერდობზე დაფნის ფოთოლის შეგროვებით და გაძლიერებულად მუშაობდა დაფნის პლანტაციების გასაშენებლად, მაგრამ ომმა და რუსეთის ბაზრის დაკარგვამ მძიმე ლახვარი ჩასცა სოფლის მეურნეობის ამ დარგს. არც ამჟამადაა დაფნის ფოთოლის გასაღების საქმე ხეირიან მდგომარეობაში. მაგრამ თუ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები დაფნის ფოთოლის რეალიზაციისათვის, მაშინ ეს კულტურა ძალიან დიდი სისწრაფით განვითარდება ჩვენში.

# სამკურნალო მცენარეული.*)

ამ ჟამად ჩვენში ცნობილია 300-დე სამკურნალო მცენარე, 50-მდე ტეხნიკური და 40-მდე—ტროპიკული. ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ამის მესამედიც არ მოიპოვება. ჩვენი ქვეყნის ბუნება ამ მხრივათაც ფართო პერსპექტივებს გვიშლის, მაგრამ ხსენებული მცენარეული მოკლებულია რაციონალურ გამოყენებას და მოვლას; ის თანდათან ნადგურდება.

1925 წ. სახმედვაჭრობამ თავის ლაბორატორიებისა და აფთიაქებისათვის გამოიწერა შროშანის ყვავილი, კატა-ბალახა და გიჟუნას ფოთოლი მოსკოვიდან მაშინ, როდესაც ეს მცენარეები ჩვენს ქვეყანაში უხვად მოიპოვება, ხოლო სათანადო აპარატის უქონლობის გამო მისი ადგილობრივად დაგროვება არ ხერხდება.

აქ დავასახელებთ ზოგიერთ ძვირფას მცენარეებს, რომელნიც იზრდება საქართველოში და რომელთაც წამლების დამზადებაში დიდი მნიშვნელობა აქვს:

1. **შროშანას ყვავილი** (Conval. Mayalis). იხმარება გულის ნევროზისა და საზოგადოთ გულის ავადმყოფობის წინააღმდეგ. ამ ყვავილს აქვს დიდი მოთხოვნილება და დიდი ღირებულებაც. იგი უხვად იზრდება კახეთში, გორის და სურამის რაიონებში, ბაკურიანში და აჭარისტანში. მისი დაგროვება შეიძლება წლიურად 200 ფუთამდე.

2. **კატაბალახას ძირი** (Radix Valerian). იხმარება როგორც ალმგზნები და გამამაგრებელი საშვალება მრავალ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, როგორიც არიან მაგალითად: ისტერია, იპოხონდრია, ნერვების ავადმყოფობა, პირთაღება და სხვა. ეს მცენარე იზრდება ჩვენში ველურად, მაგრამ საუკეთესო ჯიშის, გაცილებით უკეთესი გერმანიის მცენარეზედ; ძლიერ გავრცელებულია ბორჯომის რაიონში, თბილისის მაზრაში და აჭარისტანში. შეიძლება შეგროვილ იქნეს წლიურად 200-300 ფუთი, მაგრამ ამ მცენარის ძირზე მოთხოვ-

*) საქართველოს სახმედვაჭრობის მასალებიდან.

ფილება მარტო საკავშირო რესპუბლიკებში უდრის წლიურად 10.000 ფუთს, ამიტომ მისი კულტურა აუცილებლათ საჭიროა.

3. **გიჟუნ „შმაგა“** (Atr. Belladon) მრავალ მომქმედ ნივთიერებათა შორის, რომელთაც შეიცავს ეს მცენარე, პირველი ადგილი უჭირავს ატროპინს. მისგან მზადდება აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი წამლებისა: ალკოლოიდები, ნაყენი, ნაქენჯი, პლასტირები და სხვა. იხმარება მრავალ ავადმყოფობათა წინააღმდეგ, როგორც მაგალითად: ნერვების, ბნედის, ყელის ნევროზის და სხვა. ველურად იზრდება თიონეთის, თბილისის და გორის მაზრაში; დასავლეთ საქართველოში: ქუთაისის და შორაპნის მაზრაში, ს. ს. მუხურში, საჩხერეში, მოლითაში და ბარელისში; რაჭაში: ს.ს. უწერაში, ონში, შქმერში, ცესსში, ნიკორწმინდაში და სადმელში; აფხაზეთში, აჭარისტანში და სხვაგან. შესაძლოა დაგროვდეს წლიურად 4.000 ფუთამდე. ეს მცენარე ითვლება სავალიუტო საქონლათ და ამიტომ მასზედ დიდი მოთხოვნილება არსებობს.

4. **ლენცოფა** (Hyociamus). ამ მცენარისაგან მზადდება ზეთი და მალამო, ძლიერ გავრცელებულია საქართველოს ყოველ კუთხეში და იმყოფება ველურად მოზარდ მდგომარეობაში. საჭიროა მხოლოთ მისი დაგროვება.

5. **სათითურა** (Fol. Digitalis). ეს მცენარე თუმცა კარგათ შესწავლილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ მისგან შეიძლება დამზადდეს დიგალენი, რომელიც უებარ საშუალებას წარმოადგენს ტიფით ავათმყოფის დროს გულის სისუსტის წინააღმდეგ. ბლომათ იზრდება ბორჯომის ხეობაში და სვანეთში. შეიძლება დაგროვდეს 1.000 ფუთამდე.

6. **ჟოლო, მარწყვი, მოცვი** და **კუნელა**, დიდი მოთხოვნილება აქვთ. შეიძლება დაგროვდეს 1.000 ფუთამდე.

7. (Adonis Flameus). მოქმედობს ისევე როგორც დიგალენი. დიდი მოთხოვნილება აქვს და უხვად იზრდება თბილისის და გორის მაზრებში. შეგროვება შეიძლება 300 ფუთამდე წელიწადში.

8. **ტკიპა, გენა-გერჩაქი** (Ricinus Communis). ამ მცენარესაგან მზადდება ცნობილი სასაქმებელი ზეთი. მისი თესლის მოთხოვნილება ბაზარზედ 3.000.000 ფუთს აღემატება, მაგრამ ველურად არ იზრდება, და რადგან ჩვენს ნიადაგზე კარგათ ხარობს, საჭიროა მისი მოშენება.

9. **გვიმრა** (Filix mas). ამ მცენარის ძირისაგან მზადდება უებარი წამალი სოლიტერის წინააღმდეგ, ბლომად იზრდება სურამის

და გორის რაიონებში, გურიაში და აჭარისტანში. 6.000 ფუთამდე შეიძლება დაგროვება, მაგრამ საჭიროა მისი მოშენებაც.

10. **წყლის-პილპილა** (Polygon Hydropiper). დიდი რაოდენობით იზრდება ველურად სოხუმის ჭაობიან მინდვრებში და აჭარისტანში. **სპეციალისტების გამოკვლევით ეს მცენარე გაცილებით უკეთესია, ვიდრე ამავე დანიშნულების ამერიკული მცენარე** (Radix. Hydrast. Canad). ამ მცენარის მოვლა-მოშენებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან აღნიშნულ ამერიკულ მცენარის ძირში ჩვენ ამჟამათ ფუთში ვაძლევთ 400 მანეთს.

ასეთი მცენარეების დასახელება, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, შეიძლება 400-მდე გაგრძელდეს. ზოგი მათგანი საუკეთესო და ძვირფას წამლეულობას იძლევა, ზოგი საღებავს და სხვა ტეხნიკურ მასალებს.

სამკურნალო და ტეხნიკურ მცენარეულობას შეუძლია დიდი სარგებლიანობა მოუტანოს ჩვენს მეურნეობას, როგორც კი მისი კულტურისა და დაგროვების საქმე სათანადო სიმაღლეზე დადგება.

ცნობილ სპეციალისტ-პრაქტიკოსების გამოანგარიშებით,—არის ნათქვამი სახმედვაჭრობის მასალებში—ერთი ქცევა მიწა იძლევა 20 ფუთს გვირილას ყვავილს, რაც ოთხასი მანეთი ღირს; ფარმაციის მაგისტრის მუშინსკის და კამაროვის ცნობით კატაბალახათი გაშენებული ერთი ქცევა მიწა იძლევა 40 ფ. ძირს—ღირებულს 1.000 მანეთად; ფარმაცევტიული ჟურნალის რედაქტორის სვირლოვსკის მიერ შეგროვილ ცნობების მიხედვით ერთი ქცევა მიწა იძლევა 45 ფუთს პიტნის ბალახს, რის ღირებულებაც 1.080 მანეთს უდრის. ამავე სპეციალისტების გამოანგარიშებით და მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ცნობით ერთ ქცევა მიწაზე შეიძლება მივიღოთ 30 ფუთი გამხმარი გიჟუნას ფოთოლი, ღირებული 1.200 მანეთად. ამ რიგათ საშუალოთ სამკურნალო მცენარეულობის კულტურა ერთ ქცევა მიწაზე იძლევა 920 მან. სამკურნალო მცენარეულობისაგან მიღებული-შემოსავლის გამომხატველი ციფრები, რომელიც მოყვანილია ზემოთ, საგრძნობლათ გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ საკუთარ ფარმაცევტიულ ლაბორატორიებში შეიძლება ამ მცენარეულობის გადამუშავება. მაგალითად, ერთ ქცევა მიწაზე მიღებულ გიჟუნასაგან ჩვენ შეგვიძლია ლაბორატორიის საშუალებით დავამზადოთ 270 გირვანქა ნაქენჯი (ექსტრაქტი), რომლის ღირებულებაც 2.970 მანეთს უდრის. გადასამუშავებლათ დასჭირდება 370 მანეთი, **ასე რომ ერთ ქცევა მიწაზე გიჟუნას კულტურა მოგვცემს წმინდა შემოსავალს 2.600 მანეთს**. ასეთსავე შედეგს მივი-

ლებთ თუ ამ მცენარის ფოთოლს ატროპინის მისაღებათ გადავამუშავებთ. როგორც უკვე ვსთქვით, ეს მცენარე მოსავალს იძლევა 6 წლის განმავლობაში: შემდეგ მას თხრიან და მის ძირისაგან აკეთებენ ატროპინს, რომლის ერთი გირვანქა 700 მანეთი ღირს".

სამკურნალო მცენარეულობის კულტურას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ფარმაცევტიული მრეწველობის განვითარებისათვის, ხოლო ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სახალხო ჯანმრთელობა, მისი დაცვა და განმტკიცება ბევრათაა დამოკიდებული სამკურნალო საშვალებათა მომარაგებისა და სათანადოთ განვითარებულ ფარმაციისაგან. საკუთარი საფარმაციო მრეწველობის განვითარება მით უფრო აუცილებელია ჩვენში ამ ჟამათ, როდესაც ევროპის ბაზრიდან მედიკამენტების შემოტანა მეტად ძნელია და ძალიან ძვირი ჯდება.

# მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის მრეწველობა.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგს წარმოადგენს. ისტორიკოსები მოგვითხრობენ მეაბრეშუმეობის არსებობაზე ძველ კოლხიდაში (ძველი საქართველოს ნაწილია) ჯერ კიდევ 13 საუკუნის წინეთ. როგორც საქართველოს კლიმატიური, ისე ეკონომიური და ყოფა-ცხოვრების პირობები ფრიად ხელსაყრელია მეაბრეშუმეობის განსავითარებლად და ამიტომ მეაბრეშუმეობა მუდამ წარმოადგენდა ჩვენი გლეხობის საგრძნობი ნაწილის კეთილდღეობის არსებით წყაროს.

მეაბრეშუმეობა მეტა ფართო მასშტაბით არის განვითარებული. აბრეშუმის მოყვანაზე გლეხები მუშაობენ 1 1/2—2 თვის განმავლობაში და ის ოჯახს საშუალოდ აძლევს 30—100 მანეთამდე შემოსავალს; ამ მუშაობაში შეიძლება გამოყენება როგორც ბავშვების, ისე, უმთავრესად, ქალებისა და მოხუცების შრომისა. მოსახლეობის სიმჭიდროვე დასავლეთ საქართველოში, მცირე მიწიან გლეხებს აიძულებს ხელი მოჰკიდონ აბრეშუმის საქმეს. დასავლეთ საქართველოში ერთ კვადრატულ ვერსზე მოდის 54,4 სული, აღმოსავლეთ საქართველოში—კი 36,4 მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში მეაბრეშუმეობა უფრო მეტადაა განვითარებული. ასე, მაგ. ქვემო იმერეთში, სადაც მოდის 50.000 ფ. ნედლი პარკი, ერთ კვადრატულ ვერსზე მოდის 97,2 *) სული მცხოვრები; სამეგრელოში (სენაკის მაზრა) — 75,2 გურიაში—66,2 სული. თუ გლეხს აქვს მოშენებული თუთის ხეები, მას, გარდა თესლის შეძენისა, არაფერი ეხარჯება. თესლის ღირებულება კი დაახლოვებით იმავე თესლიდან მიღებული პარკის ღირებულების 10%-ს შეადგენს.

ოვამდე საქართველოში ნედლი პარკის მოსავალი 100—150 ათას ფუთამდე აღწევდა.

---

*) ქუთაისის მაზრის მცხოვრებთა სიმჭიდროვეზე დიდ გავლენას ახდენს ქალაქ ქუთაისის მცხოვრებთა რიცხვი.

ომის დაწყებამდე—1914 წლისთვის ა/კავკასიაში მეაბრეშუმეობას მისდევდა 2.000.000 სული. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ომამდე ნედლი პარკის მოსავალი და ფასი ნედლ და ხმელ პარკზე შემდეგი იყო:

| წლები. | პარკის მოსავალი ათას ფუთობით | | | | ფასი ოქროს მანეთებში | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საქართველო | | აზერბეიჯანი, სომხეთი და ყარსი. | | | |
| | ნედლი | ხმელი | ნედლი | ხმელი | ნედლი | ხმელი |
| 1909 | 125 | 39 | — | — | — | — |
| 1910 | 130 | 52 | 200 | 64 | 16 | 52 |
| 1911 | 150 | 49 | 195 | 63 | 17 | 48 |
| 1912 | 147 | 45 | 161 | 53 | 13 | 43 |
| 1913 | 96 | 32 | 180 | 60 | 16 | 72 |
| 1914 | 128 | 43 | 194 | 63 | 20 | 65 |

წლიური საშუალო მოსავალი 1909—1914 წ. საქართველოში და 1910—1914 წ. აზერბეიჯანში და სომხეთში გამოიხატებოდა:

| | ნედლი პარკი | ხმელი პარკი |
|---|---|---|
| საქართველოში . . | 130 ათ. ფ. | 51 ათ. ფ. |
| აზერბეიჯანში, . . . | | |
| სომხეთში და ყარსის . | | |
| ოქლში . . . . | 191 „ „ | 62 „ „ |
| ა/კავკასიაში . . . | 326 „ „ | 113 „ „ |

ფუთი ნედლი პარკის საშუალო ფასი იყო 16 მან. ოქროთი ხმელის—70 მან. ეს ცნობები გვიჩვენებს, რომ საქართველოს პარკის მოსავალი შეადგენდა ა/კავკასიის მოსავლის 41%-ს. 1890 წლიდან 1905 წლამდე ნედლი პარკის მოსავალი 40 ათ. ფუთიდან 100 ათ. ფუთ. გაიზარდა. შემდეგ 1905 წლის რევოლიუციურ ხანასთან დაკავშირებით 1905/6 წლებში პარკის წარმოება მცირდება, მაგრამ 1907—14 წ. მეურნეობის ეს დარგი კვლავ სწრაფად ვითარდება და ნედლი პარკის პროდუქცია 150 ათ. ფუთს აღწევს. პარკის პროდუქციის ასეთი სწრაფი ზრდა, სხვა ფაქტორებთან ერთად გამოწვეული იყო აბრეშუმის ნაწარმოების გაძვირებით.

საზღვარ-გარეთელი ბაზრების დახურვამ და შემდეგ უხეირო საშინაო ეკონომიურმა პოლიტიკამ 1911—1920 წლებში დაასუსტა ჩვენი მეაბრეშუმეობა. ომმა და მის მიერ გამოწვეულმა ამბებმა დაანგრია მეაბრეშუმეობა მთელს ა/კავკასიაში, მაგრამ საქართველომ პირველმა დაიწყო აღდგენა თავისი მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგისა.

ომამდე ა/კავკასიის პარკის მთელი მოსავლიდან მარსელში და მილანში ყოველწლიურად გაჰქონდათ 100.000-დე ფუთი ნედლი პარკი, ანუ 32 ათას ფუთ. ხმელი პარკი. თითქმის მთელ ამ რაოდენობას საქართველოს პარკი შეადგენდა. ასეთივე რაოდენობის პარკი გატანილი იქნა მოსკოვში ა/კავკასიის დანარჩენი კუთხეებიდან. ომის შემდეგ პარკის ექსპორტი შეწყდა და მისი მოსავალი შემცირდა.

თესლის რაოდენობა ათას კოლოფებით და ნედლი და ხმელი პარკის მოსავალი ათას ფუთობით შემდეგ ციფრებში გამოიხატებოდა:

| წლები | გაცოცხლებული ჭიის რაოდენობა კოლოფებით | ნედლი პარკის მოსავლის რაოდენობა ათას ფუთობით | ხმელი პარკის რაოდენობა ათას ფუთობით |
|---|---|---|---|
| 1910 | 100 | 125 | 52 |
| 1911 | 110 | 150 | 49 |
| 1912 | 110 | 147 | 45 |
| 1913 | 70 | 96 | 32 |
| 1914 | 105 | 128 | 43 |
| 1917 | 37 | 42 | 14 |
| 1918 | 32 | 40 | 13 |
| 1921 | 55 | 85 | 28 |
| 1922 | 36 | 56 | 19 |
| 1923 | 58-63 | 90-100 | 33 |
| 1924 | 104 | 125-140 | 42-47 |
| 1925 | 87 | 130-143 | 43-48 |
| 1926 | 100 | 140 | — |

წლიური საშუალო რაოდენობა გაცოცხლებული ჭიის და მოსავლისა გამოიხატებოდა (ათას ფუთობით):

| წ ლ ე ბ ი | გაცოცხლებული ჭიის რაოდენობა კოლოფებ. | ნედლი პარკის მოსავალი ათას ფუთობით | ხმელი პარკის მოსავალი ათას ფუთობით |
|---|---|---|---|
| 1910-1914 | 99 | 129 | 43 |
| 1923-1925 | 85 | 128 | 43 |

1923 წ. სწარმოებს მეაბრეშუმეობის სწრაფი აღდგენა და 1924 და 1925 წ. პარკის მოსავალი უკვე ომამდე არსებულ სარეკორდო დონეს აღწევს.

საქართველო სარგებლობს, როგორც უცხოეთის, ისე ადგილობრივი თესლით. 1925 წ. საქართველოში გამოყენებული იქნა უცხოეთის და ადგილობრივი აბრეშუმის თესლი თითქმის თანაბარი რაოდენობით. ადგილობრივად დამზადებული თესლის რაოდენობა შეადგენს 39.661 კოლოფს, უცხოეთისა კი 47.331 კოლოფს.

მეაბრეშუმეობის რაიონების მიხედვით გაცოცხლებული ჭიის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა 1923-25 წლებში: (იხ. ცხრ. გვ. 170).

აღნიშნულ რაიონებში მეაბრეშუმეობა ფრიად დიდ როლს თამაშობს გლეხის მეურნეობაში; მთავრობამ, მიწად-მოქმედების კომისარიატის სახით, ანგარიში გაუწია რა ამ გარემოებას, სხვა ორგანიზაციებთან ერთად მიიღო ზომები მეაბრეშუმეობის განსავითარებლად და საქართველოს ნაციონალურმა შემოსავალმა მეურნეობის ამ დარგიდან უკვე მიაღწია ომამდე არსებულ დონეს.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მთავრობამ შექმნა სრულიად საქართველოს კოოპერატიული ამხანაგობა „აბრეშუმი“, რომლის ამოცანას შეადგენდა: 1) მეაბრეშუმეთა მომარაგება კარგი ხარისხის თესლით, თუთის სანერგე მასალებით, დასაგები ქაღალდით და ინსტრუმენტებით; 2) ზომების მიღება პარკის დამზადებისა და გასაღებისათვის, მეაბრეშუმეთათვის დამატებითი მოგების მიცემა და პარკის პირველადი გადამუშავება ადგილობრივ, 3) ხელის შეწყობა და დახმარება მეაბრეშუმეობისათვის სათანადო ცოდნის გავრცელებისა და პრაქტიკული ღონისძიებათა მიღების საშუალებით. ამ ამხანაგობამ 46 პუნქტში მოაწყო პარკის სახრჩოლავი და სახმობები, მეაბრეშუმეებს ურიგებდა აბრეშუმის თესლს შეღავა-

| რაიონები: | გაცოცხლებული ჰიის რაოდენობა კოლოფებით | | | ნედლი პარკის მოსავლ. რაოდენობა 1925 წ. ათ. ფ. | ჩაბარდა სხვა ორგანიზაც. ათ. ფუთობით |
|---|---|---|---|---|---|
| | 1923 წ. | 1924 წ. | 1925 წ. | | |
| **1. ქვემო იმერეთი:** | | | | | |
| ქუთაისის, ხონის, სამტრედიის, ბაღდად-საჩინოს . . . | 20.621 | 34.382 | 30.000 | 45-49,5 | 36 |
| **2. გურია:** | | | | | |
| ჩოხატაური, ოზურგეთი, ლანჩხუთი . | 17.589 | 24.938 | 20.000 | 30-33 | 26,2 |
| **3. სამეგრელო:** | | | | | |
| სენაკის მაზრა: | | | | | |
| აბაშა, ბანძა . . . | 12.825 | 15.221 | 12.000 | 18-19,8 | 15,44 |
| ზუგდიდის მაზრა | | | | | |
| ზუგდიდი, ხობი, ხეთა, წალენჯიხა და სხვ. . . . . | — | 17.456 | 14.000 | 22-24,1 | 23 |
| **4. კახეთი და ქართლი** . . . | 4.820 | 7.960 | 4.000 | 5-5,6 | 2,742 |
| **5. ზემო იმერეთი:** | | | | | |
| რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის მაზრა . | 2.110 | 2.300 | 2.000 | 3-3.3 | 1,6 |
| **6. აფხაზეთი და აჭარა** . . . . | — | 1.750 | 5.000 | 8-8,75 | 4,582 |
| სულ . | 07.965*) | 104.007 | 87.000 | 130.143 | 109.664 |

თიან პირობებში—მათ კოლოფ თესლში ართმევდა 2 მ. 70 კ. ნედლი პარკის რეალიზაციის დროს.

პარკის მოსავალი ერთი მისხალი თესლიდან ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია. მაშინ, როდესაც იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში და თითქმის ოსმალეთშიაც ერთი კოლოფი თესლი (6 მისხალი გა-

*) ამ რაოდენობის გარდა კიდევ დარიგდა 5.000 კოლოფამდე. ამ რიგად 1923 წ. სულ დარიგდა 63.000 კოლოფი თესლი.

ცოცხლებული ჭიისა) იძლევა ორ-სამ ფუთ ნედლ პარკს, საქართველოში ერთი კოლოფი თესლიდან პარკის მოსავალი 1 ფ. 15 გირ. და 1 ფ. 20 გირ. შუა ირყევა. ასეთი მცირე მოსავალი აიხსნება თესლის დაბალი ხარისხით, აბრეშუმის ჭიის არა სწორი კვებით და თესლიდან ჭიის გამოყვანის პრიმიტიული წესებით. „აბრეშუმი“ მოწოდებული იყო ყველა ეს მიზეზები თავიდან აეცილებინა მეაბრეშუმეობისათვის და ის ჯეროვან ნიადაგზე დაეყენებინა.

1926 წ. მოხდა „აბრეშუმის“ ლიკვიდაცია და შექმნილ იქნა აბრეშუმის ტრესტი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან. ამ ტრესტს გადაეცა „აბრეშუმის“ პასივი და აქტივი და „აბრეშუმის“ მიერ დასახულ ამოცანათა გარდა, ტრესტს დაევალა მოაწყოს აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკები და ჯეროვან ნიადაგზე დააყენოს პარკის დამზადება—რეალიზაციის საქმე.

ომამდე ერთი კოლოფი თესლი ღირდა საშუალოდ ორი მანეთი ოქროთი. ერთი ფუთი ნედლი პარკი ღირდა 16 მანეთზე მეტი, ხოლო ხმელი—60 მან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ომამდე საქართველოში მოდიოდა ყოველწლიურად საშუალოდ 129 ათასი დარგავლებით 130 ათ. ფუთი ნედლი პარკი, ანუ 51.000 ფ. ხმელი. თუ 16 მან. ვიანგარიშებთ ფუთ ნედლ პარკზე და 60 მან. ხმელზე, მივიღებთ, რომ ნედლი პარკის ღირებულება უდრიდა წლიურად 2.800.000 მან. ოქროთი, ხმელი—2.580.000 მან.

ომამდე საქართველოში 90.000 კოლოფი თესლი საღდებოდა. წლიურად საჭირო თესლის ღირებულება უდრიდა 180.000 მან. აი, საშუალოდ ამ ღირებულების თესლი შემოჰქონდა საქართველოს ყოველწლიურად და იმავე დროს ნორმალურ პირობებში საქართველოდან გადიოდა 100 ათ. ფ. ნედლი, ანუ 32 ათასი ხმელი ფ. პარკი, რაც შეადგენს 1.600.000—1.920.000 მან. ოქროთი ომამდე არსებულ ფასებში. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საქონლის ფასების საერთო აწევას, ეს ციფრი სამ მილიონ მანეთამდე უნდა გადიდდეს.

ომამდე პარკის ადგილობრივი მოხმარება გამოიხატებოდა საერთო მოსავლის 15—20%-ში, მაგრამ უკანასკნელ წლებში, ფართლეულის კრიზისისა გამო, ადგილობრივად პარკის მოხმარება გაიზარდა 40%-დე (1921 წ.) და დაახლოვებით ამდენივე % იხმარება ადგილობრივად უკანასკნელ წლებშიაც (მეაბრეშუმეები თავიანთი პარკიდან თვითონ აკეთებენ ძაფებს, ქსოვენ აბრეშუმს პრიმიტიული წესით და სხვ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარკი გადასატანად მეტად ცუდი საქონელია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა პარკის ადგილობრივად

გადამუშავება აბრეშუმის ამომღებ და დამხვევ ფაბრიკებში, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში აბრეშუმის ამოღების საქმე იმდენად სუსტათაა განვითარებული, რომ შესაძლებელია მხოლოდ მთელი მოსავლის 1/15 ანუ 1/12 ნაწილის ადგილობრივად ამოღება და დახვევა.

მიუხედავად ფრიად ხელსაყრელი პირობებისა მეაბრეშუმეობა საქართველოში მაინც ვერ არის განვითარებული იმ დონემდე, რომლემდინაც სასურველი და შესაძლებელია მისი განვითარება. არ არსებობს ის ტეხნიკური და კომერციული პირობები, რომელთაც შეუძლიანთ მოსახლეობის წაქეზება მეურნეობის ამ დარგის განვითარებისაკენ. ევროპის კაპიტალისტები, განსაკუთრებით საფრანგეთის კაპიტალისტები, მშვენივრად იყენებენ საქართველოს მეაბრეშუმეობას და მათ არა ერთხელ წამოუყენებიათ საკითხი ჩვენი მეაბრეშუმეობის საქმეში მათი მონაწილეობის შესახებ, როგორც ორგანიზაციულად, ისე კაპიტალითაც.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს მეაბრეშუმეობა მტკიცედ დაადგა აღორძინებისა და შემდეგი განვითარების გზას. მის განვითარება—წინ სვლას ხელს უწყობს ადგილობრივად ბაღდადის ჯიშის თესლის დამზადების საქმის მოწყობა. ბაღდადური, ჩინური და ევროპიული თესლის ჯიშების შედარებითი შესწავლა ქვემო-აღნიშნულ შედეგს იძლევა*):

| | აბრეშუმის გამოსავალი %-ში | ძაფის სიგრძე მეტრებში | ძაფის სიმტკიცე გრამებში | ᲒᲘ%-ში | სისქე მილიგრამ. |
|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთის . . . | 36—35 | 546 | 38 | 18,5 | 137 |
| ევროპის . . . | 35—34 | 723 | 33,3 | 21 | 172 |
| ბაღდადის . . . | 32,5 | 866 | 33,4 | 20,4 | 173 |

ევროპის მთავარ ბაზარზე მარსელში და მილანში, ბაღდადის თეთრი ჯიშის პარკს დიდის ინტერესით ყიდულობენ აბრეშუმის ამომღებნი ევროპიელი.

ამჟამად მეტად წარმატებით სწარმოებს მუშაობა თესლის ადგილობრივად დამზადებისათვის და მორიგ ამოცანას წარმოადგენს

*) გამოკვლევა მოახდინა მოქ. ივანოვმა ტფილისის მეაბრეშუმეობის სადგურის ლაბორატორიაში.

მთელი საქართველოსათვის საჭირო თესლის ადგილობრივადვე დამზადების საკითხის მოგვარება. რასაკვირველია, თესლი უნდა იქნეს კარგი ჯიშის და ხარისხის.

ამ ამოცანის განხორციელება გადაარჩენს საქართველოს ოსმალეთის და საფრანგეთის მეთესლეებისაგან ყოველ წლიურად ათი ათასობით თესლის ყიდვისაგან. თესლის დამზადების შემდეგი საფეხური იქნება ინდენი თესლის დამზადება, რომ შეგვეძლოს თესლის მიწოდება აღმოსავლეთის მეზობელი სახელმწიფოებისათვის.

ხმობისა და ნედლი პარკის ხრჩოლვის გამარტივებულ წესს თანდათან სცვლის ნედლი პარკის მექანიკური ხმობა და ხრჩოლვა, რომელიც სულ რამოდენიმე საათს გრძელდება. მექანიკური ხმობა პროდუქტს აიაფებს და შესაძლებელს ხდის მსოფლიო ბაზარზე პარკის 2-3 თვით ადრე გაგზავნას. პარკის სახმობი და სახრჩოლავი სადგურები მოწყობილია სამტრედიაში. მომავალში განზრახულია სახმობი სადგურების მოწყობა საქართველოს მეაბრეშუმეობის ყველა მთავარ რაიონებში.

საქართველოში ძალიან სუსტად არის განვითარებული აბრეშუმის ამოღების, დახვევისა და ქსოვის მრეწველობა. ომამდე საქართველოში არსებობდა 6 აბრეშუმის სახვევი ქარხანა 200 აუზით, ამჟამად არსებობს; სამტრედიაში 1, (52 აუზით), თელავში—1 (60 აუზით), ხონში—1 (48 აუზით) ოზურგეთში—1 (20 აუზით), და ორი პატარა ტფილისის აბრეშუმის სადგურთან და ბათომის სახელოსნო სასწავლებელთან.

ასეთია სახალხო მეურნეობის ამ დარგის თანამედროვე მდგომარეობა. მისი მნიშვნელობა მეაბრეშუმეობის რაიონებში მცხოვრებ გლეხებისათვის ფრიად დიდია, თუ გავიხსენებთ იმას, რომ ყოველ წლიურად ასი ათასი ნედლი ანუ 32 ათასი ხმელი პარკის ექსპორტი ჩვენს ქვეყანას აძლევდა 1.600.000 მან. 2.000.000 მანეთამდე. ამ ჟამად კი მას შეუძლია 2.000.000 მან. მეტის მოცემა ოქროთი, ხოლო საერთო ნაციონალური შემოსავალი მეურნეობის ამ დარგიდან 2—2,6 მილ. მანეთს შუა ირყეოდა, ნათელი გახდება მეაბრეშუმეობის მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

თანახმად მეურნეობის ამ დარგის განვითარების საპერსპექტივო გეგმისა 1930 წ. საქართველოში 140.000 კოლოფი ადგილობრივი და 10 ათ. უცხოეთის თესლი უნდა იქნას გაცოცხლებული, სულ 150 ათ. კოლოფი. ევროპაში და ოსმალეთში კოლოფი თესლი იძლევა 2-3 ფ. მოსავალს; უნდა ვიგულისხმოთ, რომ კარგად დამზადებული ადგილობრივი თესლი არ იქნება უცხოეთში დამზადებულ

თესლზე უარესი, და 150.000 კოლოფ თესლს შეუძლია მოგვცეს არა ნაკლებ 300.000 ფ. ნედლი ანუ 100 ათ. ფ. ხმელი პარკისა; ამრიგად 1930 წ. ნაციონალური საერთო შემოსავალი მეურნეობის ამ დარგიდან უნდა ვამოიხატოს შემდეგ ციფრებში:

| | | |
|---|---|---|
| 210*) ათ. კოლოფი თესლი (2 მ. კოლ.) | 420.000 | მან. |
| 300.000 ათ. ფ. ნედლი პარკი (ფ. 17 მ.) | 5.100.000 | მან. |
| ს უ ლ | 5.520.000 | მან. |

| | | |
|---|---|---|
| ანუ 210 კოლოფი თესლი | 420.000 | მან. |
| 100 ათ. ფ. ხმელი პარკი, (ფუთი 60 მან.) | 6.000.000 | მან. |
| სულ | 6.420.000 | მან. |

მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, აბრეშუმის თესლის და პარკის საგრძნობი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა იქნას გატანილი. ამ რიგად 1930 წ. თესლისა და პარკის ექსპორტი შეადგენს:

| | | |
|---|---|---|
| 70.000 კოლ. თესლი, (კოლ. 2 მან.) | 140.000 | მან. |
| 70.000 ფ. ხმელი პარკი, (ფ. 60 მან.) | 4.000.000 | მან. |
| სულ | 4.340.000 | მან. |

ასეთია პერსპექტივა 1930 წლისათვის.

მაგრამ არც 6.420.000 მან. და არც 4.340.000 მან. არ შედის ის თანხები, რომელიც საქართველოს უნდა მისცეს ამოღების, დახვევის და ქსოვის მრეწველობამ, ცხადია, რომ მეურნეობის ამ დარგს ბრწყინვალე მომავალი აქვს.

1926 წელმა დაადასტურა ვარაუდის სისწორე. 1926 წ. საქართველოში მოხმარებულ იქნა 100.000 კოლოფზე მეტი თესლი, ხოლო დამზადებულ იქნა 140.000 ფ. ნედლი პარკი. თუ ამას მიუმატებთ პარკის იმ რაოდენობას, რომელიც გლეხობამ თავისთვის დაიტოვა შინა-მრეწველობის წესით გადასამუშავებლად, მივიღებთ 168.000 ფუთზე მეტ ნედლ პარკს. გლეხებმა ფუთ პარკზე მიიღეს 1-ლ ხარისხზე 22 მან., მე-11 ხარისხისაზე—20 მან. ამ რიგად 1926 წელს ნედლი პარკის მოსავლის საერთო ღირებულება 3.500.000 მანეთს აღწევს, ამ თანხიდან საექსპორტო ნედლ პარკზე მოდის 2,8 მილ. მან. ხოლო ხმელზე 3,3 მილ. მან.

---

*) სულ უნდა დამზადდეს 210 ათ. კოლოფი თესლი, აქედან 70 ათ. კოლოფი უნდა გატანილ იქნას საზღვარ გარეთ (აღმოსავლეთის ქვეყნებში), ხოლო 140 ათ. კოლოფი დარჩება შიგ ჩვენს ქვეყანაში.

# შინა-მრეწველობა.

შინა-მრეწველობას საქართველოს სახალხო მეურნეობაში ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია. მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არ მომხდარა შინა-მრეწველობის გამოკვლევა და ომამდე შინა-მრეწველთა მდგომარეობის შესახებ სწორი ცნობები არ მოიპოვება, თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ „შალის“ დამზადებას მატყლისაგან მისდევენ დასავლეთ საქართველოში: ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის და რაჭის მაზრებში და აღმოსავლეთ საქართველოში: ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის და ყოფ. თიანეთის მაზრებში.

აბრეშუმის ნაქსოვებს აკეთებენ ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, და თელავის მაზრებში.

მეჭურჭლეობას მისდევენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მაგრამ შინა-მრეწველობის ეს დარგი განსაკუთრებით იყო გავრცელებული ტფილისის, დუშეთის, გორის, თელავის და შორაპნის მაზრებში.

ხისაგან სხვადასხვა საგნების: ბორბლების, ურმების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, სახლის მოწყობილობის და სხვ. გაკეთებას მთელ საქართველოში აწარმოებდენ.

კალათების წვნას ყველგან ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში და კახეთში.

ქუდების, ქეჩის და ნოხების კეთებას მისდევენ უმთავრესად მთიან ზოლში.

ლითონის გადამუშავებას აწარმოებდენ ახალციხის მაზრაში და ნაწილობრივ ქუთაისისა და სიღნაღის მაზრებში.

შინა-მრეწველნი ნედლეულს უმთავრესად ადგილობრივად იძენდენ.

დასავლეთ საქართველოში მატყლი მოჰქონდათ შემსყიდავებს ახალგორის რაიონიდან (დუშეთის მაზრა) და აგრეთვე ტფილისის ბაზრიდანაც.

თავის პროდუქციას შინა-მრეწველნი უმთავრესად ჰყიდიდენ მეზობელ სოფლებში, საბაზრო პუნქტებზე, საქართველოს გარეთ კი ჰყიდიდნენ შემსყიდავების საშუალებით.

„კავკასიის მაუდი,“ აბრაშუმის ნაქსოვები, ლითონის ნაწარმი და სხვა იყიდებოდა რკინის გზების სადგურებზე, მინერალურ წყლებზე და შავი-ზღვის სანავთსადგურო ქალაქებში.

ომის ხანაში გაძლიერდა შალისა და აბრეშუმის წარმოება, რადგანაც შეწყდა საქართველოში უცხოეთისა და რუსეთის ფაბრიკულ ნაწარმოებთა შემოზიდვა. ომის დროს იწყო განვითარება თითქმის ქალალდის წარმოებამაც.

რევოლიუციურ ხანაში ცუდი პირობები დაუდგა შინა-მრეწველობას მატყლზე და აბრეშუმზე მონოპოლიის დაწესებისა და სამოქალაქო ომთან და ვალიუტის მერყეობასთან დაკავშირებით შინა-მრეწველთა პროდუქციის საზღვარ-გარედ გატანის შეწყვეტისა გამო.

ქვემოდ მოყვანილ ცნობებში*) მოცემულია შინა-მრეწველობაში მომუშავეთა და მათი პროდუქციის რაოდენობა:

| შინა-მრეწველობის დარგში | კომლთა რიცხვი | მომუშავეთა რიცხვი | პროდუქციის დაახლოვებითი ღირებულება მანეთებში. | 1 შინა-მრეწველზე მოდის |
|---|---|---|---|---|
| 1. ადგილობრივი შალის დამზადება . . | 27.674 | 50.000 | 3.000.000 | 60 |
| 2. აბრეშუმის ნაქსოვი | 5.388 | 6.000 | 1.080.000 | 180 |
| 3. ნოხების ქსოვა . . | 3.384 | 6.000 | 288.000 | 46 |
| 4. კალათების წვნა და სხვ. . . . . | 3.122 | 6.000 | 120.000 | 20 |
| 5. თიხის დამუშავება . | 1.403 | 2.800 | 280 000 | 100 |
| 6. ხისაგან სხვადასხვა საგნების დამზადება | 2.904 | 6.000 | 1.800.000 | 300 |
| 7. ცოცხების დამზადება | 3.363 | 6.000 | 90.000 | 15 |
| 8. ნაბდებისა და სხვ. წარმოება . . . . | 1.765 | 3.000 | 960.000 | 320 |
| სულ . | 49.003 | 85.800 | 7.618·000 | — |

*) ეს და ყველა ქვემოდ მოყვანილი ციფრები შინა-მრეწველთა რაოდენობის შესახებ ამოღებულია 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებიდან. ეს აღწერა შეეხო საქართველოს 736 სოფელს, ე. ი. ეს ციფრები სინამდვილეს არ გამოხატავენ. სინამდვილეში შინა-მრეწველთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. მუშათა და მათი პროდუქციის რაოდენობა წარმოადგენს მიწ. მოქმ. კომის. არსებულ შინა-მრეწველობის განყოფილების ვარაუდს.

ეს ცხრილი გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შინა-მრეწველობას საქართველოს სახალხო მეურნეობაში, თუმცა აქ მოყვანილი ცნობები შეეხება ჩვენი შინა-მრეწველობის მხოლოდ ნაწილს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1923 წლის აღწერით აღრიცხულია შინა-მრეწველობა მხოლოდ 1.347 სოფელში, ხოლო უფრო დაწვრილებით 763 სოფელში.

შინა-მრეწველობის ცალკე მაზრებში გავრცელების შესახებ წარმოდგენას შემდეგი ცხრილი იძლევა: (იხ. ცხრ. გვ. 178).

ქვემოთ მოყვანილი მასალებიდან, (ეს მასალები ამოღებული გვაქვს ვ. კაკაბაძის შრომიდან: „შინა მრეწველობა საქართველოში") ნათლად სჩანს, თუ რა მდგომარეობაშია შინა მრეწველობის ცალკე სახეები ჩვენში.

**შალის წარმოება**. შალის წარმოება შინა-მრეწველობის საკმაოდ მნიშვნელოვანი დარგია. ბევრ რაიონებში გლეხობა მხოლოდ ადგილობრივი შალით იმოსება. შალის შინაური წარმოება დიდ დახმარებას უწევს სოფლის მოსახლეობას, ვინაიდან ის აწვდის მას ყოველგვარ ტანსაცმელს. მაგალითად, ხევსურეთში „მიუხედავად მეტის-მეტ სილარიბისა, ძნელია შეხვედრა ხევსურელის დაგლეჯილ და გაცვეთილ ტანისამოსში. ხევსურელ როგორც კაცის, ისე ქალის ტანსაცმელს სიკოხტავის პრეტენზიაც კი აქვს.—იმ გარემოებამ, რომ მთიულეთი ისტორიული პირობების გამო, ხანგრძლივად მოწყვეტილი დანარჩენ საქართველოს, თავის პატრონი ხდებოდა, აგრეთვე სუსხიანი ზამთრის გამო, რომ ის ნახევარ წელზე მეტი დანარჩენ კაცობრიობისაგან მოწყვეტილი იყო,—შექმნა მთიულებისათვის ისეთი განსაკუთრებული ცხოვრების პირობები, რომ მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ"*).

მოვიყვანოთ ცხრილი შალის წარმოების გავრცელებისა მაზრების მიხედვით. (იხ. ცხრ. გვ. 179).

---

*) Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края. М. В. Мачабели „Исследование Тионетского уезда, Тифлис. губ." т. V, 1887 г.

| მაზრები: აღმოს. საქართველო: | ზალის წარმოება | აბრეშუმის ნაქსოვის წარმოება | ნოხებ. და დაბალდაგ. წარმოება | ქალათე-ბის და სხვ. წვნა | თიხის გა-დამუშა-ვება | ხის დამუ-შავება | ცოცხების დამზადება | ნაბდების წარმოება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახალქალაქის | 460 | — | 45 | — | 118 | — | — | 443 |
| 2. ახალციხის | 23 | — | — | — | — | 165 | — | — |
| 3. ბორჩალოს | 85 | — | 38 | — | 6 | — | — | — |
| 4. გორის | 3893 | 52 | — | 222 | 224 | 177 | — | 559 |
| 5. დუშეთის | 619 | 5 | — | 190 | — | — | — | — |
| 6. თელავის | 1001 | 5 | 472 | 789 | 83 | 4 | 305 | — |
| 7. თიონეთის | 2576 | 65 | 1557 | 324 | 9 | — | 10 | 198 |
| 8. სიღნაღის | 369 | — | 224 | 5 | 51 | 13 | — | 4 |
| 9. ტფილისის | 1118 | — | 984 | — | 15 | — | 60 | 16 |
| სულ აღმოს. საქართ. 9 მაზრა და 70 თემი | 10144 | 127 | 3320 | 1530 | 506 | 359 | 375 | 1220 |
| **დასავლ. საქართ.** | | | | | | | | |
| 1. ზუგდიდის | 2782 | 1502 | — | 272 | 15 | 1106 | 2284 | 486 |
| 2. ლეჩხუმის | 100 | — | — | — | — | — | — | 8 |
| 3. ოზურგეთის | 13 | 273 | — | 359 | 367 | 96 | 10 | — |
| 4. რაჭის | 411 | 2 | — | — | — | 125 | — | 3 |
| 5. სენაკის | 1826 | 396 | — | 5 | 4 | — | — | — |
| 6. ქუთაისის | 5826 | 3065 | — | 313 | 160 | 658 | 241 | — |
| 7. შორაპნის | 5060 | 23 | — | 510 | 271 | 601 | — | — |
| სულ დასავ. საქართ. 7 მაზრა და 134 თემი | 16008 | 5361 | — | 1459 | 827 | 2585 | 2535 | 497 |
| **აფხაზეთი:** | | | | | | | | |
| 1. გუდაუთის | 98 | — | 64 | 300 | — | — | — | — |
| 2. გუმისტინის | — | 10 | — | — | — | — | — | — |
| 3. სამურზაყანოს | 370 | — | — | — | 68 | — | — | 45 |
| სულ აფხაზეთში 3 მაზრა, 14 თემი | 468 | 10 | 64 | 300 | 68 | — | — | 45 |
| **აჭარისტანი.** | | | | | | | | |
| 1. აჭარისტანის | 3 | — | — | — | 3 | 10 | — | — |
| 2. ქობულეთის | — | — | — | — | — | — | — | — |
| 3. ჭოროხის | — | — | — | — | — | 10 | — | — |
| სულ აჭარისტანის 3 მაზრა, 14 თემი | 3 | — | — | — | 2 | 20 | — | — |
| | 27674 | 5388 | 3384 | 3312 | 1403 | 2964 | 3363 | 1763 |

| მ ა ზ რ ე ბ ი: | ახალქალაქ. | ახალციხის | ბორჩალოს | გორის | დუშეთის | თელავის | თიანეთის |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლებთა რიცხვი, რომლებ. მოხდა შინამრეწვ. გამოკვლევა. . . . . | 10 | 6 | 1 | 111 | 18 | 10 | 94 |
| კომლთა რიცხვი ამ სოფლებში . . . . . | 1420 | 488 | 152 | 6267 | 1208 | 3808 | 3631 |
| მათ შორის მისდევს შალის წარმოებას (კომლი). . . . | 460 | 23 | 85 | 3893 | 619 | 1001 | 2576 |
| % კომლ. საერთ. რიცხვ. | 32,3 | 4,7 | 55,9 | 62,1 | 51,2 | 26,3 | 70,9 |

| მ ა ზ რ ე ბ ი: | სიღნაღის | ტფილისის | სულ. აღმოს. საქართველ. | სამხრ. ოსეთში | ზუგდიდის | ლეჩხუმის | ოზურგეთის |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლებთა რიცხვი, რომლებ. მოხდა შინამრეწვ. გამოკვლევა . . . . . | 4 | 33 | 287 | 54 | 30 | 14 | 2 |
| კომლთა რიცხვი ამ სოფლებში . . . . . | 710 | 6043 | 23.723 | 1866 | 10.267 | 524 | 253 |
| მათ შორის მისდევს შალის წარმოებას (კომლი) . . . | 369 | 1118 | 10.144 | 1051 | 2782 | 100 | 13 |
| % კომლ. საერთ. რიცხვ. | 52,0 | 18,5 | 42,6 | 56,3 | 27,1 | 19,1 | 5,1 |

| მ ა ზ რ ე ბ ი: | რაჭის | სენაკის | ქუთაისის | შორაპნის | სულ. დასავ. საქართველ. | აჭარაში | აფხაზეთში | საერთო. ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლებთა რიცხვი, რომლებ. მოხდა შინამრეწვ. გამოკვლევა . . . . . | 9 | 32 | 53 | 82 | 222 | 1 | 20 | 584 |
| კომლთა რიცხვი ამ სოფლებში . . . . . | 1031 | 5247 | 16.318 | 13,749 | 47.389 | 16 | 3744 | 76.742 |
| მათ შორის მისდევს შალის წარმოებას (კომლი) . . . | 411 | 1826 | 5826 | 5050 | 16.008 | 3 | 468 | 27.674 |
| % კომლ. საერთ. რიცხვ. | 39,8 | 34,8 | 35,7 | 36,7 | 33,8 | 18,7 | 12,5 | 35,5 |

ამ ცნობებით შეიძლება დაახლოებითი წარმოდგენის შედგენა. სულ 77.742 კომლიდგან შინამრეწველობის ამ დარგს მისდევს 35,5 პროც. აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე (სამხრეთ-ოსეთით) მოდის 40.4 პროც., ხოლო დასავლეთ საქართველოზე (აჭარა-აფხაზეთით) 59,6.

აღმოსავლეთ საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს ყოფ. თიანეთის მაზრას, სადაც 3.631 ჩვენებიდან შალის წარმოებას 2.576 კომლი, ე. ი. 70.9 პროც. ეწევა; მეორე ადგილი უჭირავს გორის მაზრას—62,1 პროც, შემდეგი სამხრეთ-ოსეთს—56,3 პროც., ბორჩალოს მაზრას—55,9 პროც., სიღნაღის მაზრას—52,0 პროც., დუშეთის მაზრას—51,2 პროც. და სხვ.

დასავლეთ საქართველოში: რაჭის მაზრაში ამ წარმოებას მისდევს 39,8 პროც., შორაპნის—36,7 პროც., ქუთაისის—35,7 პროც., სენაკის—34,8 პროც. და სხვ. შალის წარმოება რამოდენიმე სახეთ იყოფა.

35.544 ჩვენებიდან 18.248 კომლი ანუ 51,4 პროც. მისდევს შალის ქსოვილის დამზადებას, დაახლოვ. 20 პროც.—საჩოხე შალის დამზადებას, ხოლო 7,4 პროც. წინდების ქსოვას.

შალის ქსოვილის დამზადებას ყველა მაზრებში აქვს ადგილი, მაგრამ უფრო გავრცელებულია გორის, ქუთაისის, ტფილისის, სენაკის, შორაპნის, ყოფ. თიანეთის და თელავის მაზრებში და აგრეთვე სამხრეთ ოსეთში. საჩოხე შალი მზადდება უმთავრესად ზუგდიდის, თიანეთის, სენაკის, დუშეთის, ქუთაისის და თელავის მაზრებში; წინდები—გორის, თელავის და რამოდენიმედ ქუთაისის მაზრაში და სხვ.

ზოგიერთ რაიონებში (უმთავრესად თიანეთის და გორის მაზრებში) ქსოვენ კიდევ ჩულქებს, ხელთათმანებს, პაიჭებს, ზონარს აპეურს, ჩითას და თათს. ახალციხის მაზრაში ქსოვენ შალის „ჩადრებს", ქალის საკაბეებს, პირპადეებს, ჩაბალახებს; ტლანქ ძაფისაგან ზოგიერთ რაიონებში ქსოვენ აგრეთვე ტომრებს (მაგალითათ, თელავის მაზრაში) და სხვ.

შალის ქსოვა ჩვენში სწარმოებს პრიმიტიულად, უბრალო ხის დაზგაზე.

შალები ჩვენში ერთნაირი ხარისხის არ იქსოვება. დასავლეთ საქართველოს შალებს საზოგადოდ იმერულ შალებს უწოდებენ. ხარისხით სხვადასხვა გვარია. ომის წინ იმერული შალი ვრცელდებოდა კავკასიის საზღვრებს გარედაც. იმერული შალი ხშირად მოთელილი

და დაწნეხილი იყიდება. იმერეთში ქსოვენ აგრეთვე აბრეშუმ ნარევ და ბამბანარევ შალებსაც.

ონურ შალმა სახელწოდება ქალ. ონიდან მიიღო, თუმცალა მის დამზადებას ონში არ აწარმოებენ; მას ღებულობენ უღელტეხილის გადაღმა სოფ. მარქანაში, ხვალაში, ყეგენში, ბასხანაში, კარა-ჩაიში, დიგორში და სხვა ოსურ და თათრულ სოფლებში. რაქველები კი, და განსაკუთრებით ონის მცხოვრებნი მხოლოდ ამ შალის გასაღებას აწარმოებდენ, რისთვისაც ქუთაისში „ონური შალის“ სპეციალური მაღაზიები ჰქონდათ გახსნილი.

აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებული შალები სიმკვრივით და მასალის ღირსებით იმერულ ქსოვილებზე უკეთესია, თუმცალა ამ დარგს აქ ისეთი სამრეწველო ნიშვნელობა არ აქვს, როგორც დასავლეთ საქართველოში. ყველაზე საუკეთესო ქსოვილებათ ითვლება თხის და აქლემის ღუნღლისაგან დამზადებული თივთიკი, რომელსაც დიდი ფასი აქვს.

ახალქალაქის და ახალციხის მაზრაში ამზადებენ ორი ხარისხის შალს (დუხობორების შალის გარდა); საუკეთესო ხარისხს უწოდებენ „ერ-შალს“, ხოლო უბრალოს „ჩულფა-შალს“. „ერ-შალს“ ქსოვენ საუკეთესო ცხვრის მატყლისაგან, რომელსაც უმატებენ ცოტაოდენ მდარე ღირსების აბრეშუმს (დაახლოვებით 1 გირვ.-ას 15 არშინიან ნაჭერზე), „ჩულფა შალზე“ კი მიდის ყველა ხარისხის მატყლი.

**დუხობორების შალი** მოგვაგონებს საქარხნო წარმოების იაფფასიან „შევიოტს“. მათ ტეხნიკური მხარე შედარებით მაღლა აქვთ დაყენებული — ხმარობენ თვითსართავებს, შალს სთელენ, უფრო კარგად ღებავენ, ვიდრე მეზობელ რაიონებში და სხვ.

უკანასკნელ დროს, ომისა და რევოლიუციის ხანაში, შალი შეიქნა თითქმის მოქალაქეთა 80 პროც-ის აუცილებელი სამოსელი, რამაც ხელი შეუწყო ქსოვილების ხარისხის გაუმჯობესებას. შინამრეწველობაში დაიწყეს საკოსტუმეების, საკაბე-საპალტოვეების დამზადება და ამასთან დაკავშირებით გაუმჯობესდა როგორც ქსოვა-ღებვა, ისე მატყლის წინასწარი დამუშავება. თუ წინეთ მხოლოდ ორდგიმელს ქსოვდენ, ეხლა დაიწყეს ოთხი და ექვსი დგიმელის მზადება.

**რამდენი შალი მზადდება ჩვენში?**

---

*) სპ. ჩომახიძე: „სამრეწველო კოოპერაცია და შინამრეწველობა საქართველოში“. ჟურნ. „ტეხნიკა და ცხოვრება“, № 2, 1926 წ.

ამის შესახებ სწორი ცნობები არ მოიპოვება, ხოლო დაახლოვებით წარმოდგენას მოგვცემს ხპ. ჩომახიძის დაკვირვება, რომელიც ამბობს:*).

„1917 წელს ხონის რევოლიუციონურ კომიტეტმა დაადო ბაზარზე შემოტანილ თითეულ შალს გადასახადი 10 კაპ., რაიც აძლევდა თვიურად 250 მანეთს. ამ ცნობის მიხედვით, თუ ვიანგარიშებთ თითეულ შალს 10 არშინს, მივიღებთ, რომ ხონის ბაზარზე გამოდიოდა გასასყიდად 25.000 არშინი შალი თვიურად ანუ წელიწადში 300.000 არშინი. ასეთვე რაოდენობა უნდა ვივარაუდოთ, რომ რჩება თვით გლეხის მეურნეობაში; ასე რომ წლიურად მარტო ხონის რაიონში მზადდებოდა 600.000 არშინამდე შალი. აღნიშნული რაიონი კი, როგორც მატყლის მოხმარების, ისე შინამრეწველთა რაოდენობის მიხედვით იმერეთის ოთხი მთავარი მაზრის 1/4 წარმოადგენს; ასე რომ, წლიური დამზადება აქ საშუალოდ 2.500.000 არშ. უდრის“.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ რაოდენობის 2/3 რომ ვიანგარიშოთ, 1.500.000 არშინზე მეტი გამოვა და, მაშასადამე, მთლად საქართველოში შალი უნდა მზადდებოდეს არა ნაკლებ 4.000.000 არშინისა წლიურად. მაგრამ ეს ანგარიში ცოტა გადაჭარბებულადაც რომ მივიჩნიოთ (თუმცაღა, ჩვენის ფიქრით, გადაჭარბებული არ უნდა იყოს), ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ შალის წარმოებას ჩვენს ეკონომიკაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ხალიჩები** ხალიჩა-ფარდაგის წარმოება უმთავრესად გამოკვლეულია აღმოსავლეთ საქართველოში; დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ აფხაზეთის ერთი მაზრის შესახებ მოიპოვება ცნობა მაშინ, როდესაც ზოგიერთ მაზრებში, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც მისდევენ ამ წარმოებას. (მაგალითად, სენაკის მაზრაში და სხვ.). ამ ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოში ეს დარგი ყველაზე უფრო განვითარებული ყოფილა თელავის 44,1 პროც., თიანეთის—43,9 პროც., ახალქალაქის—26,5 პროც., და ბორჩალოს მაზრაში—23,9 პროც. ხალიჩების წარმოება უფრო განვითარებულია ბორჩალოს მაზრაში.

ამ დარგშიდაც მუშაობას უმთავრესად სეზონური ხასიათი აქვს; 3.486 ჩვენებიდან ზამთარში მუშაობს 2.274, ე. ი. 65,2 პროც., გაზაფხულზე—19,2 პროც., შემოდგომაზე 12,6 პროც. და ზაფხულში მხოლოდ 2,9 პროც.

წარმოებაში უმთავრესად ჩაბმული არიან ქალები. 3.635 ჩვენებიდან—3.244, ე. ი. 89,2 პროც.

უფრო მეტი მზადდება ფარდაგები, შემდეგ ხალიჩა და ბოლოს ხურჯინი და ტომრები.

ხალიჩები ხასიათდებიან ზომის, მოსახულობის, საღებავის, ნაქსოვის ხარისხის და მასალის მიხედვით. საუკეთესო ხარისხის ხალიჩები ჩვენში მზადდება ბორჩალოს მაზრაში,—სქელი, რბილი, გრძელხაოიანი, ორიგინალური სურათებით და მკვიდრი მცენარეული საღებავით შეღებილი.

რაც შეეხება ქსოვას, ფარდაგები და საერთოდ უხაო ნაკეთნიც ისეთივე დაზგებით იქსოვება, როგორც ხალიჩები.

ფარდაგი ნაკლები სიმაგრის არის და იქსოვება უფრო მალე, ვიდრე ხალიჩა; მასალაც უმეტეს შემთხვევაში უფრო მდარე ღირსებისაა და ხალიჩაზე თითქმის ორჯერ ნაკლები ღირს. საერთოდ ფარდაგი ორგვარია: უბრალო ზოლებიანი—ერ-ფარდაგი და მოსახული—კილიგი; უკანასკნელი კარგ მატყლიდან იქსოვება, ქსოვილი მაგარია, სილამაზითაც გაცილებით მაღლა სდგას ერ-ფარდაგზე და უფრო მეტს ფასობს.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით ხალიჩის წარმოებაში ჩაბმულია 6.000 მუშა-ხელი, ნაწარმთა დაახლოებითი ღირებულება ნაანგარიშევია 288.000 მან. და თვითეული შინამრეწველის წლიური შემოსავალი—48 მან.

**ქეჩის წარმოება.** ქეჩის ანუ ჩულის წარმოება უძველეს დროშია წარმოშობილი, მაგრამ ეს წარმოება მეტად პრიმიტიული იყო. მატყლის წინასწარი დამუშავება ხშირად მხოლოდ გაჩეჩვით მთავრდება. ეხლა საქართველოში მზადდება უბრალო ჩული, ნაბადი, ნაბდის ქუდი, საოფლე, სამუხლე და სხვ.

ამ საგნების წარმოების ტექნიკა მარტივია. მაგალითად, ნაბდის მისაღებად იღებენ კარგად გარეცხილ და გაჩეჩილ მატყლს. ნაბდის დამზადებისას უპირატესობას აძლევენ შავ მატყლს; თეთრი ნაბადი მზადდება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, რადგან ადვილად ისვრება. ხანდისხან თეთრ მატყლიდან გაკეთებულ ნაბადს ღებავენ.

კარგ ნაბდისაგან თხოულობენ, რომ ის იყოს თანაბარი სიმკვრივის, უჭუჭრუტანები, კარგად მოთელილი და ბსუბუქი.

უბრალო ჩული უმეტეს შემთხვევაში საოჯახო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მზადდება და იხმარება საბნად, ტახტზე გადასაფარებლად ან ხალიჩ-ფარდაგის მაგიერად.

ნაბდის ქუდები აღმოსავლეთ საქართველოში,—თიანეთის და დუშეთის მაზრებში მზადდება.

საზოგადოდ ნაბდის წარმოება უმთავრესად განვითარებულია ქუთაისის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში; აქ დიდი ხანი არ არის, რაც ამ საქმეს საფუძველი ჩაეყარა, მაგრამ საკმაოდ დაწინაურდა; ისინი ბაზარზე იმერული ნაბდის სახელწოდებით გამოდიან და ჯერ-ჯერობით უძნელდებათ ჩრდილოეთ-კავკასიის ნაბდებისთვის მეტოქეობის გაწევა.

რაც შეეხება ქუდებს, ისინი მზადდება კარგი ღირსების, უმთავრესად თუშების და ქისთების მიერ ყ. თიანეთის მაზრაში (განსაკუთრებით დუნსოფელში) და დუშეთის მაზრაში მონასტრის, ქვედა-ხევის და მაღლა-ხევის სოფლის საზოგადოებებში; ზოგიერთი აქ დამზადებული ქუდი გამომუშავების ხელოვნებით მოგვაგონებს კარგი ღირსების კასტორს.

სამეგრელოში ნაბდის ქუდის დამზადება განვითარებულია ს. ს. მარტვილში, ლეხაინდროვოში, აბედათში, ნახარებოში და ბანძაში (სენაკის მაზრა), ჯვარში (ზუგდიდის მაზრა) და სხვ. მეგრული ქუდები შემოაქვთ ქალებს პარტიობით ხონში, ზუგდიდში და სენაკში, სადაც შემყიდველები—ებრაელები ძალიან იაფად იძენენ, ასს 12-დან 30 მან.-დე. განსაკუთრებული შეკვეთით აქაური შინამრეწველნი საუცხოვო ღირსების ქუდებს ამზადებენ; საუკეთესო ქუდებათ ითვლება სვანური. სვანებს „მიაქვთ თერგისა და ყუბანის ოლქში ზაფხულობით ზურგით: არაყი, ჩირი, დაფქული, მსხალი, თაფლი და სხვა ხილეულობა, ადგილობრივი ხელობის კალათები და სცვლიან მატყლზე, ქეჩებზე, შალებზე და სხვ. ამ მატყლისაგან სვანის ქალები აკეთებენ მშვენიერ შალებს, ქუდებს“. *)

**აბრეშუმის წარმოება.** 1848 წ. სამეგრელოს მთავარმა დავითმა იტალიიდან გამოიწერა ახალი, ევროპაში განთქმული თესლი და ამასთანავე გამოიწვია ცნობილი აბრეშუმის საქმის მცოდნე გრაფი როზმორდიუკ. ამ თესლის გავრცელებას მან ყოველმხრივ ხელი შეუწყო. მალე დაარსა აბრეშუმის ამოსახვევი სახელოსნოები, თან ჩამოიყვანა ორი ფრანგი ქალი, რომელნიც მეგრელ ქალებს ძაფის ამოხვევას ასწავლიდენ.

მაგრამ, მეაბრეშუმეობა ჩვენში მტკიცე ნიადაგზე დადგა მე-50 წლებიდან; როდესაც გასულ საუკუნეს მე-50—60 წლებში საფრანგეთში და იტალიაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა ფართოდ გავრცელდა, მათ ძალაუნებურად აბრეშუმის ძებნა ჩინეთში, იაპონიაში, სპარსეთში და ამიერ-კავკასიაში დაიწყეს. უცხოეთის ბაზარზე აბრე-

*) ეგნ. გაბლიანი: „ძველი და ახალი სვანეთი“, 1925 წ.

შუმის მოთხოვნილების ზრდამ, ერთის მხრივ, და უცხო მწარმოებელთა ჩვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებულმა ყურადღებამ მეორეს მხრით გამოიწვია ჩვენში ამ საქმის საოცარი განვითარება.

აბრეშუმის წარმოება უფრო განვითარებულია დასავლეთ საქართველოში, სადაც პირველი ადგილი უჭირავს ქუთაისის მაზრას—42,1 პროც.; მეორე—ოზურგეთის მაზრას—35,1 პროც., შემდეგ ზუგდიდის—15,5 პროც. და სენაკის მაზრას—14,2 პროც.

აბრეშუმის ნართიდან, როგორც ვიცით, სხვადასხვა ნივთები მზადდება: დარაია, ჯეჯიმი, წინდები, ჩულქები, ხელთათმანები, საფულეები, ქამრები, თავთა, თავსახურავი, შარფები, ცხვირსახოცები და სხვა.

შინამრეწველებს გადასამუშავებლად რჩებათ მეორე და მესამე ხარისხის პარკი, რომელსაც არ ყიდულობენ ან ყიდულობენ მეტად მცირე ფასებში; ამუშავებენ ამოსახვევ და ამოხვევისას დარჩენილ უვარგის ნარჩენს. ქსოვენ ფერად-ფერად საბნის პირებს, აბგებს, საშარვლეებს, ხანდისხან საჩოხესაც. დომფალის კედი იხმარება ძაფათაც. ყაჭი დომფალზე მდარეა ღირსებით და ხმარობენ იმავე საგნებისთვის.

წინდის ჩხირით ქსოვა უფრო განვითარებულია დასავლეთ საქართველოში, ამისთვის უმთავრესად ხმარობენ ყვითელ ძაფს. იქსოვება მოსახურავები, შარფები ბადის მზგავსად, თავსაფრები, ჟაკეტები, რომელნიც საუკეთესო ღირსების იქსოვებოდა ოზურგეთის მაზრაში და გაქონდათ ბაქოში, პიატიგორსკში და რუსეთში (მაგალითად, ებრაელებს ხშირად შეხვდებოდით მატარებლებში სხვადასხვა აბრეშუმეულით; ამნაირადვე ხშირად ქსოვდენ წინდებს, ქალის ჩულქებს, ხელთათმანებს, წნავდენ სხვადასხვა ფერის ხვანჯრებს, სარტყლებს, ამზადებდენ საფულეს, არშიებს, ახალუხის შემოსაყოლებლად გრეხილს და სხვ.

აბრეშუმის ძაფით ქარგვა გავრცელებულია მთელ საქართველოში. მას აქვს როგორც საოჯახო, ისე სამრეწველო მნიშვნელობა. სამრეწველო ხასიათის ქარგვას ეწევიან ოზურგეთის, ქუთაისის და განსაკუთრებით ახალციხის მაზრაში.

**ხის დამუშავება.** ხისგან ჩვენში შინამრეწველური წესით აკეთებენ: სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, საოჯახო ჭურჭლეულობას, ავეჯეულობას, ურმებს, აკვანს, მუსიკალურ იარაღებს და სხვ

სასოფლო-სამეურნეო იარაღებიდან მზადდება: ბარი, ფოცხი, ნიჩაბი, ორთითა, თოხის-ტარი, ხის სახნისი, გუთანი, სალეწი ფიცრები, ჩერიები, საჩეჩელი, საფეიქრო დაზგები, სანიავებლები, საწნეხ-

ლები, სადღვებლები, საღვინე კასრები (კეთება განსაკუთრებით გავრცელებულია კახეთში) და სხვ.; საოჯახო საგნებიდან—სკამი, მეხი, სავარძელი, კიდობანი და ყუთები მარცვლეულის, ტანსაცმელის, საჭმელ-სასმელის და სხვ. შესანახად, ვარცლი, გობი, ჯამი, ბარქაში, სუთი, კოდი, კოვზი, როდინი და მრავალი სხვა. ეს საგნები თითქმის ყველა რაიონებში მზადდება, არ ხასიათდება მხატვრული დამუშავებით და ვრცელდება მხოლოდ ახლო-მახლო.

ზოგიერთ რაიონში მოსახლეობა ეწევა საკასრეს (клепка) დამზადებას წიფლის და მუხის მასალისაგან. მუხის საკასრე საჭიროა საღვინე კასრების დასამზადებლად, ხოლო წიფლის—ციმბირის კარაქისათვის.

რკინის-გზის სტატისტიკის მიხედვით საშუალო წლიური გაგზავნა საკასრისა იმ სადგურებიდან, სადაც ეს სარეწავი განვითარდა (ნატანები, რიონი, მარელისი, მოლითი, წიფა, სურამი, გომი, კასპი და ზოგ. სხვა) 1909 წელში 200.000 ფუთს შეადგენდა, ხოლო 1912—13 წ. 450.000 ფუთამდე ავიდა. ითქმის მთელი ეს საკასრე მიდიოდა ბათომით სამხრეთ რუსეთში.

ზოგიერთ რაიონებში აკეთებენ მუსიკალურ იარაღებს; მაგალითად, კახეთში შალაურის ჩონგურებმა დიდი გავრცელება მოიპოვეს, ბაღდადის რაიონში მზადდება ბალალაიკები და სხვ.

აკეთებენ სათუთუნეს („ტაბაკერკებს"), ჯოხებს, კოვზებს; მრავალნაირ საგნებს ამზადებდენ მისგან ათონის ბერები; უკანასკნელ დროს გაჩნდა საანგარიშოები ბზის „ძვლებით" და სხვ.

შინდიდან აკეთებენ ჯოხებს, ჩაქუჩებისა და ნიჩბების სახელურებს, შალაშინის და სხვა იარაღების ბუდეს და სხვ.

**წნულისა და ჩალის წარმოება.** ხის წნულის და ჩალის წარმოება საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული.

ხორბლეულობის ჩალიდან წნავენ ნაირ-ნაირ კალათებს, ქუდებს, ჭილობებს და სხვ. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ტეხნიკურად საქმე უკეთ დაყენებულია დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში.

ჭაობის მცენარიდან, ჭილიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში აკეთებენ ჭილობებს. ჭილობებს დიდი გამოყენება აქვს ოჯახში, სადაც ის ფარდაგების და ხალიჩების მაგიერობას სწევს. კარგი ღირსების ჭილობები მზადდება ოზურგეთის მაზრაში, განსაკუთრებით აკეთში და აცანაში.

**მეთუნეობა.** მეთუნეობა საქართველოში არსებობს უხსოვარ დროიდან. მეთუნეობის ცენტრალური პუნქტებია: შორაპნის მაზ-

რაში—შროშა, ხარაგოული, ძირულა, მარელისი; ქუთაისის მაზრაში—კურსები, სენაკის მაზრაში—ნამიკოლოვო, სიღნაღის მაზრაში—ანაგა, თელავის მაზრაში—ატოზა და ტფილისის მაზრაში—მცხეთა.

დიდად გავრცელებულია ქვევრების და კრამიტის კეთება აგრეთვე ს. ს. ბოსლევში, რქვიაში და გეძრულში, რომლებშიაც ამ საქმეში ჩაბმულია ყველა მეკომურთაგან დაახლოვებით ნახევარი.

მეჭურჭლეების მიერ მზადდება კოკები, დოქები, ჯამები, ქილები, თუნის მილები, ქოთნები, კვაწიები, კეცები, ქვევრები და სხვ. მცხეთაში და ხარაგოულში ამზადებენ საკმაოდ ლამაზ, ორიგინალურ დოქებს, სურაიებს, ჭინჭილებს და სხვ.

თიხის ნაკეთებიდან თავისი უზარმაზარი სიდიდით და დამზადების ტეხნიკით განსაკუთრებულ ინტერეს წარმოადგენს დიდი ქვევრები ღვინისათვის, ეს ქვევრები კეთდება 50-და 200 ვედრამდე, იშვიათად გვხვდება 300 და სოფელ ყვარელში ერთ-ერთ მამულში ღვინის ქვევრი ყოფილა 500 ვედროს ჩამტევი, რომლის გასაწმენდად ორი კიბე იდგმებოდა და რამდენიმე კაცი ეშვებოდა*).

კერამიკული წარმოება უფრო მეტად განვითარებულია დასავლეთ საქართველოში (10,8 პროც.), ვიდრე აღმოსავლეთში (4,9 პროც.). აღმოსავლეთ საქართველოში ეს დარგი უფრო მეტად გავრცელებულია ახალქალაქის მაზრაში და გორის მაზრაში, ყველაზე სუსტად—ბორჩალოს მაზრაში; დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია უმთავრესად ქუთაისის, შორაპნის და ოზურგეთის მაზრაში, ყველაზე სუსტად გამოკვლეულ მაზრებიდან—ზუგდიდის მაზრაში.

**თავსაბანი მიწა.**—მეთუნეობასა და კერამიკულ წარმოებასთან ახლო სდგას—„თავსაბანი მიწის“ დამუშავება. თავსაბანი მიწა ანუ ფლორიდინი, როგორც მას უცხოელები უწოდებენ, აღმოჩენილია ჩვენში გორის მაზრაში, სოფ. კავთისხევის და კასპის შუა; შორაპნის მაზრაში, ძირულის ხეობაში; სენაკის მაზრაში—თამაკონის თემში; ლეჩხუმის მაზრაში და სხვ.

ჩვენი ხალხი მას ხმარობს რამოდენიმედ საპნის მაგიერ და განსაკუთრებით თავის დასაბანად: საკმაოდ აშორებს ჭუჭყს და, რაც უმთავრესია, საუცხოოდ არბილებს თმას და აძლევს მას ერთგვარ სხივს. ვისაც რამდენჯერმე დაუბანია მით თავი, შემდეგ გადაჩვევა ძალიან ეძნელებათ, განსაკუთრებით ქალებს. ის ყოველ ბაზარზე შე-

*) А. Пиралов. „Краткий очерк кустарных промыслов Кавказа“ 1913 г.

მოაქვთ ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში და სხვ. წარმოადგენს დაახლოვებით კვერცხის სიდიდის მომრგვალებულ მიწას, გამხმარ მდგომარეობაში, უმეტეს შემთხვევაში უსწორ-მასწორო ზედაპირით. ჩვენ რომ კომერციული ხალხი ვიყოთ, შეგვეძლო ფორმებში ჩამოგვეყალიბებია, დაგვესუფთავებია, დაგვეწნეხა, მიგვემატებია ცოტაოდენი სურნელოვანი ნივთიერებანი, გაგვეხვია ლამაზ „ეტიკეტებში“ და სათანადო რეკლამით ფართო ბაზარზე გასასყიდად გამოგვეშვა. ასე ვრცელდება, მაგალითად, „კილ“-ი და ზოგიერთი სხვა ნივთიერებანი ფართო ბაზარზე.

**კირი**.—კირის გამოწვას აწარმოებენ აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად გორის მაზრაში—ქუთაისის მაზრაში. გორის მაზრაში კირის გამოწვას აწარმოებენ გორიჯვარში, კავთისხევში, თელათგორში და ცინარეხში.

ქუთაისის მაზრაში კირის მთავარი რაიონია სოფ. ბანოჯა და მისი მიდამოები.

შინა-მრეწველთათვის პრაქტიკულ დახმარების აღმოჩენის საკითხი პირველად 1896 წ. იქნა წამოყენებული კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ; 1899 წ. 31 დეკემბერს დაარსდა კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტი.

კომიტეტი მოწოდებული იყო გამოერკვია შინა-მრეწველთა საჭიროებანი და მათთვის დახმარება გაეწია. პირველი სამი წლის განმავლობაში კომიტეტი ყოველწლივ იღებდა სახელმწიფო სუბსიდიებიდან 4—4 ათას მანეთს და დაახლოვებით ამდენივე ეძლეოდა მას საერობო თანხებიდანაც. ცხადია, რომ ასეთი მცირე და განსაზღვრული თანხებით კომიტეტი ვერაფერს გააკეთებდა.

1911 წლიდან კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა რამდენიმედ გაავითარა თავისი მოღვაწეობა. კომიტეტის შუამდგომლობით 1911 წ. ხარჯებისათვის 4000 მან. ნაცვლად მას მიეცა 20.220 მანეთი.

1913 წ. ტფილისში მოეწყო მატყლის პატარა სართავი ფაბრიკა; ის ამზადებდა მხოლოდ სახალიჩე ნართს, რომელსაც აწოდებდენ აზერბეიჯანის, სომხეთის და დაღესტანის იმ რაიონებს, სადაც ხალიჩა მზადდებოდა.

საქართველოში მოეწყო რამდენიმე სასწავლო-საჩვენებელი სახელოსნო, მაგრამ ყველა ისინი მოეწყო მხოლოდ კერძო პირთა და სოფლის საზოგადოებათა ინიციატივით. ასეთი სახელოსნოები იყო მცხეთაში, ყარსში, ოზურგეთში, ყაზბეგში და საგარეჯოში.

1920 წლიდან თანხების უქონლობისა გამო შინა მრეწველობის განყოფილებამ განიზრახა თანხების მოპოება შალის წარმოების განვითარებით.

შალის წარმოების განვითარებასთან ერთად თავი იჩინა ნართის ნაკლებობამ და შინა-მრეწველობის განყოფილებამ სახლში მომუშავე ქალებს შეუკვეთა სართავი და ამ წარმოებაში ჩაება 500-დე ქალი.

შინა-მრეწველობის განყოფილების გაძლიერებული მუშაობის შემდეგ 1920 წ. გამოშვებულ იქნა 27 მქსოველი, აგვისტო-სექტემბერში მოეწყო ქსოვის შესასწავლი კურსები, რომელიც 66 კაცმა მოისმინა.

1921 წ. შინა-მრეწველობის განყოფილების მუშაობამ საგრძნობლად წინ წაიწია. მას გადაეცა ყოფილ „განათლების“ მხატვრული სახელოსნო სკოლა. განყოფილებამ ამ სკოლაში მოაწყო განყოფილებები: 1) საქსოვი, 2) ხალიჩის, 3) არშიების, 4) თეთრეულის საკერავ-საქარგავი 5) საკერავი და 6) საჩულქე.

1921 წელმა შინა-მრეწველობის განყოფილებას მისცა 288 მილ. მან., ანუ 18.000 მან. ოქროთი მოგება, მაუდის პროდუქცია კი იმავე წელში გამოიხატა 69.902 არშ.

1922 წლიდან განყოფილებამ მცხეთაში აამუშავა კერამიკული სახელოსნო და ამ რიგად მოაწყო ახალი წარმოება — თიხის წარმოება, შემდეგ გაფართოვებული იქნა მაუდის საბოლოოდ გადამმუშავებელი სახელოსნო.

1924 წ. მცხეთაში, გორში, ოზურგეთში, სოფ. ავლევში და დილომში გახსნილ იქნა სასწავლო-საჩვენებელი სახელოსნოები.

# ტ ყ ა ვ ი.

მთელი ტყავი, რომლის შეძენა შესაძლებელია საქართველოში, თუ არ ვიანგარიშებთ წვრილი რქიანი საქონლის ტყავს, იხმარება შიგ საქართველოშივე და საგარეო ვაჭრობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ეს გარემოება ხელს უწყობს ტყავის წარმოების განვითარებას. მაგრამ ჯერ-ჯერობით ტყავის მრეწველობა ჩვენში ჯერ არის საკმაოდ განვითარებული.

დღემდე ეს წარმოება მოქცეული იყო წვრილ მწარმოებელთა ხელში, რომელთაც არ გააჩნდათ საკმაო ტეხნიკური მოწყობილობა. ცოტათ თუ ბევრად მსხვილი კაპიტალის დახარჯვით შესაძლებელია ტყავის გადამმუშავებელი ისეთი ქარხნის შექმნა, რომელიც მოწყობილი იქნება თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი მოთხოვნილებების თანახმად. ასეთ ქარხანასთან ერთად უნდა მოეწყოს ფეხსაცმელეების დასამზადებელი ქარხანა, რომლის ნაწარმოები ხელმისაწდომი იქნება მოსახლეობის ფართო მასისათვის და ეს ორი წარმოება საქონელს მიაწოდებს არა მარტო საქართველოს ბაზარს, არამედ მეზობელ რესპუბლიკების (სომხეთ-აზერბეიჯანის) ბაზრებსაც.

ტყავის ქარხანა და ფეხსაცმელების ფაბრიკა დიდის ნაყოფიერებით და წარმატებით იმუშავებს ჩვენში, რადგანაც ა.-კავკასიის 6 მილიონ. მოსახლეობას დიდძალი პროდუქციის გასაღება შეუძლია.

წარმოების ასეთი შემოსავლიანობა ხელს უწყობდა ადგილობრივ მწარმოებლებს ტყავის ქარხნების და ფაბრიკების შექმნაში, მაგრამ მათ არ მოეპოვებოდათ საკმაო თანხები და ამიტომ ვერ შექმნეს მტკიცე პირობები თავისი არსებობისათვის და ვერ შესძლეს ამ საქმის წარმატებით წაყვანა.

ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობამაც ვერ გამოიღო ნაყოფი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წვრილი რქიანი საქონლის ტყავს, როგორიცაა ცხვრის, თხის და ხბოს ტყავი, დიდი საექსპორტო მნიშვნელობა აქვს.

1913 და 1917 წწ. საქართველოში იყო:

| | 1913 წ. | 1917 წ. |
|---|---|---|
| ცხვარი . . . . | 1.700.000 თავი | 1.414.000 თავი |
| თხა . . . . . | 190.000 „ | 197.000 „ |
| ხბო . . . . . | ცნობა არ არის | 400.000 „ |

ეს ციფრები დაახლოვებითია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იძლევიან იმის სურათს, თუ რამდენი ცხვარი, თხა და ხბო იყო საქართველოში 1917 წ. ამ ციფრებზე დაყრდნობით ჩვენ სისწორით ვერ გამოვარკვევთ, თუ რამდენ ტყავს იძლევა საქართველო ყოველწლიურად. მაგრამ ამ კითხვის გაშოკვლევის დროს ჩვენ გვეხმარება ცნობები ქ. ტფილისის სასაკლაოზე დაკლულ წვრილ რქიან საქონლის შესახებ. 1913 წ. ქალაქის სასაკლაოზე ქ. ტფილისის საჭიროებისათვის დაკლულ იქნა 157.784 თავი წვრილი რქიანი საქონელი.

როგორც ვიცით, საქართველოში ტფილისი უდიდესი მომხმარებელია და მისი მოსახლეობა 1913 წ. მეტი იყო ყველა დანარჩენი ქალაქების მოსახლეობის საერთო ჯამზე და საქართველოს მთელი მოსახლეობის 10—12 პროც. შეადგენდა.

1917 წლიდან მეცხვარეობა ეცემა, მაგრამ 1925 წ. ის მაინც შეადგენს 1.400.000 თავს.

ცხვრების საშუალო წლიური მატება უდრის 23 პროც.-ს, ასე რომ ერთ მილიონ ცხვარს წლიურად შეუძლია 322.000 ბატკანის მოცემა.

ამავე ანგარიშით 197 ათ. თხას შეუძლია 46.000 თიკანის მომცემა წლიურად.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1917 წ. იყო 400.000 თავი ხბო.

ამრიგად საქონლის წლიური მატება შეიძლება გამოხატულ იქნას შემდეგ ციფრებში:

| | |
|---|---|
| ბატკანი . . | 322.000 თავი |
| თიკანი . . | 46.000 „ |
| ხბო . . . | 400.000 „ |

*) არსებულ სტატისტიკურ მასალებში შეტანილია შესწორებები, თანახმად მესაქონლეობის სპეციალისტების მოხსენებებისა.

საქონლის საგრძნობი ნაწილი მიდის სასაკლაოზე. მარტო ტფილისის სასაკლაოზე იკვლებოდა წლიურად 158 ათ. თავი წვრილი რქიანი საქონელი, ანუ მთელი წლიური მატების 30 პროც. თუ ვიანგარიშებთ, რომ მთელ საქართველოში, ტფილისის გამოკლებით, წლიურად ტფილისზე ცოტა მეტი საქონელი იკვლება, დაახლოვებით მთელი წლიური მატების 40 პროც., მაშინ მივიღებთ, რომ საქართველოში უტფილისოდ წლიურად იკვლება 200.000-დე თავი წვრილი რქიანი საქონელი, ანუ სულ მთელ საქართველოში 360 ათასამდე თავი. სინამდვილეში ეს ციფრი ცოტა ნაკლები უნდა იყოს, რადგანაც სოფელი შედარებით ძალიან ცოტა ხორცს ხმარობს. უფრო ძნელია იმის გამორკვევა, თუ რამდენი ხბო იკვლება წლიურად. თუ ვივარაუდებთ, რომ ყოველ წლიურად იკვლება მატების 30 პროც. ჩვენ მივიღებთ ციფრს 120.000.

ჩვენი ვარაუდიდან შემდეგი დასკვნა გამოდის:

| | |
|---|---|
| საქართველოს ყოველწლიურად შეუძლია მოცემა — ცხვრის და თხის ნედლი ტყავის . . . | 360.000 |
| ხბოს „ „ | 120.000 |
| ს უ ლ . . . | 480.000 ცალ. |

ეს ვარაუდი შედარებით ახლოსაა იმ ოფიციალურ ცნობებთან, რომლის მიხედვით 1921 წ. განზრახული იყო 300—380 ათ. ცალი ცხვრისა და თხის ტყავის საექსპორტოდ დამზადება.

„შევროს“ მოთხოვნილება მიწოდებაზე მეტია. ამ ხარისხის ტყავს უმთავრესად ხმარობენ საფრანგეთში. სადაც მასზე დიდი მოთხოვნილებაა. საქართველოს თხის ტყავი მაღალი ღირსების არაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასზე მოთხოვნილება დიდია, არის მოთხოვნილება აგრეთვე ცხვრისა და ხბოს ტყავზეც.

საქართველოდან შეიძლება გატანა ცხვრის, თხის და ხბოს ტყავისა სრული რწმენით, რომ ის მსოფლიო ბაზარზე საგრძნობი მოგებით გასაღდება.

ყოფილი რუსეთის იმპერიიდან უკანასკნელ დრომდე ტყავი გაჰქონდათ უმთავრესად გერმანიაში, რომელიც მას სხვა ქვეყნებში ჰყიდდა.

საქართველოს ამ ჟამად შეუძლია ტყავის გატანა უშუალოდ ტყავის მომხმარებელ ქვეყნებში და ამ ექსპორტიდან ნორმალური მოგების მიღება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საქართველოში ტყავის მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. მხოლოდ ტფილისში არსებობს ტყავის 4 ქარხანა, რომელთა შორის ყველაზე დიდია ყოფ. ადელხანოვის ქარხანა. ის 90 წელია, რაც არსებობს და ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ ა.-კავკასიაში და რუსეთშიაც. ომამდე ამ ქარხნის დატვირთვა წლიურად აღწევდა 60.000-დე მსხვილი და 75.000-დე წვრილი რქიანი საქონლის ტყავს, მაგრამ ამ ქარხნის ნაწარმოები არასოდეს არ ყოფილა მაღალი ღირსების გასაბჭოების შემდეგ, 1921 წ. ეს ქარხანა გადავიდა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელში და მისი პროდუქცია უდრიდა ომამდე არსებული პროდუქციის 20 პროც.

დანარჩენი ტყავის 3 ქარხანა გაცილებით ნაკლებია ადელხანოვისაზე და სამივეს პროდუქცია არ აღემატება ადელხანოვის ქარხნის პროდუქციის 30 პროცენტს.

სახელმწიფო გამგებლობაში მყოფი ოთხივე ქარხანა ამზადებენ ტყავს:

| | 1922 წ. | 1923 წ. | 1923/24 წ. | 1924/25 წ. | 1925/26 წ |
|---|---|---|---|---|---|
| მსხვილს | 10988 ც. | 11628 ც. | 23706 ც. | 35.253 ც. | 56385 ც. |
| წვრილს | 10724 ც. | 8904 ც. | 7679 ც. | 30.586 ც. | 30489 ც. |

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, აღნიშნული ქარხნების პროდუქცია 2—3 ჯერ გაიზარდა უკანასკნელ წლებში. მიუხედავად ამისა, ამ დარგში მიწოდება მოთხოვნილებას მაინც ვერ ფარავს.

ყოფილ ადელხანოვის ქარხანასთან ტყავის ტრესტის მიერ მოწყობილ იქნა ფეხსაცმელებისა და ქეჩების სახელოსნო, რომელმაც დააშზადა:

| | 1922 წ. | 1923/24 წ. | 1924/25 წ. | 1925/26 წ. |
|---|---|---|---|---|
| ჩვეულებრივი ფეხსაცმელი | 8549 წყვ. | 6280 წყვ. | 13.650 წყვ. | 15.033 წყვ. |
| აზიური | 17236 „ | 47435 „ | 88.975 „ | 111825 „ |

1925/26 წ. დამზადებული ტყავის ღირებულება უდრიდა 1.743.967 მ. ხოლო იმავე წელში დამზადებული ყველა სახის ფეხსაცმელების ღირებულება უდრიდა 713.268 მან.

სახელოსნოს ნაწარმოები საკმაოდ კარგი ღირსებისაა, ამიტომ კარგი გასავალი აქვს.

მოყვანილ ცნობებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: დაკლულ საქონელთა რაოდენობის მიხედვით საქართველოს საშუალება აქვს 400.000 დე ტყავი დაამზადოს წლიურად, მაგრამ 1922, 1923, 1924/5 და 1925/6 წლებში ფაქტიურად გაცილებით ნაკლები იქნა დამზადებული. პროდუქციის ასეთი სიმცირე აიხსნება ნედლეულის ნაკლებობით. ამის მაზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არ ვიცით ნედლეულის შესყიდვა. თუ ნედლეულის დამზადების საქმე სწორად იქნება დაყენებული, ტყავის ქარხნები და ფაბრიკები კარგად იქნება მოწყობილი, მაშინ ეს გაადიდებს შრომის ნაყოფირებას და ადგილობრივად დამზადებულ ფეხსაცმელებზე მეტ მოთხოვნილებას შექმნის.

ტყავის მრეწველობის მდგომარეობა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ცნობებით და საქართველოს საგეგმო კომისიის პერსპექტიული გეგმით შემდეგში გამოიხატება:

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავის ტრესტი აერთიანებს:

1) ტყავის ქარხანა № 1 ყოფ. სააქც. საზ. ადელხანოვისა,— მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი—151 კაცი.

2) ტყავის ქარხანა № 3 ყოფ. ზაგრარიანცისა და ფ. ვართაზარიანცისა სააქც. საზ.—მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი—36.

3) ყოფ. გ. გ. ადელხანოვის სააქც. საზ. ფეხსაცმელების ფაბრიკა. სარჭებით (შპილკებით) ფეხსაცმელების მექანიკურად დამამზადებელი განყოფილებით. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 189 კაცი.

4) ქეჩის ფაბრიკა ყოფ. ადელხანოვის სააქც. საზ. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი—29 კაცი.

5) ტყავის ქარხანა „დაბახანა“, რომელიც აზიური წესით ამზადებს ტყავს, განსაკუთრებით გლეხური ბაზრის საჭიროებისათვის. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი—29 კაცი.

6) ელექტრონული სადგური გ. გ. ადელხანოვის ყოფ. სააქც. საზ. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი—29 კაცი.

ზემოთ ჩამოთვლილი ორი ქარხანა (1 და 3) ომამდე წლიურად ამზადებდა 63 ათას მსხვილ და 45 ათას წვრილ ტყავს.

ფეხსაცმელების ფაბრიკა წლიურად ომამდე იძლეოდა 120.000 წყვილ სამხედრო ტიპის მექანიკურად დამზადებულ ფეხსაცმელს, 60.000 წყვ. ჩუსტს და 40.000 წყვილ ქეჩისაგან (თექა) დამზადებულ ფეხსაცმელს.

ქეჩის ფაბრიკაზე წლიურად მზადდებოდა 10.000 ფ. მზა ქეჩა.

საწარმოვო გეგმის შესრულება 1924/25 წ. და 1925/26 წ. წარმატებით მიმდინარეობდა, ფაბრიკა-ქარხნებზე ადგილი აქვს ტეხნიკურ გაუმჯობესებას, რომელიც მათ ნაყოფირებას ადიდებს. თუ ტყავტრესტისათვის გამოთხოვილი თანხები თავის დროზე იქნა მიღებული, 1928 წლისათვის ტრესტის წმინდა მოგებამ 1 მილ. მანეთს უნდა მიაღწიოს, ხოლო 1929/30 წ.—1,5 მილ. მანეთს. ამ ჟამად ტყავის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი 1,5 მილ. მან. მეტი. ასეთია ტყავის მრეწველობის განვითარების პერსპექტივა ჩვენში.

---

# საფეიქრო და საპონ ზეთის მრეწველობა.

ა-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მეფის მთავრობის პოლიტიკის წყალობით სრულიად არ განვითარებულა საფეიქრო მრეწველობა. და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს კუთხეში მრეწველობის ამ დარგისათვის საჭირო ნედლეული საკმაოდაა.

საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი საქართველოში შემოჰქონდათ უმთავრესად რუსეთიდან და ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებიდან. თვით საქართველოში საფეიქრო მრეწველობის განვითარებაზე არავინ ფიქრობდა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიექცა ყურადღება ამ საკითხს და ჩვენში თანდათან ფეხს იკიდებს საფეიქრო მრეწველობა. მაგ. ქუთაისში უკვე მუშაობს სახელმწიფო მაუდის პირველი ფაბრიკა, 1926 წ. 7 ნოემბერს ტფილისში საძირკველი ჩაეყარა მაუდის ახალ ფაბრიკას, რომელმაც უნდა გადაამუშაოს წლიურად 61. ფუთი ადგილობრივი გაურეცხავი მატყლი.

ამ ახალი ფაბრიკის წლიური პროდუქცია შემდეგ ციფრებშია ნავარაუდევი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1) | კამვოლის ნაქსოვი | I ხარის. | 498.000 | მეტრი | 2.2 .000 | მ. ღირ. |
| 2) | „ „ | II „ | 335.000 | „ | 1.508.000 | მან. |
| 3) | მაუდის ტრიკო | I ხარის. | 161.000 | „ | 700.000 | „ |
| 4) | „ „ | II „ | 92.400 | „ | 369.000 | „ |
| 5) | მაზარის ტიპის მაუდი | | 91.500 | „ | 412.000 | „ |
| | | სულ . . . . . | 1.177.900 | მეტ. | 5.229.000 | მ. ღირ. |

ასეთია მაუდის ახალი ფაბრიკის საწარმოვო გეგმა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაბრიკის დაარსება-მოწყობა ძალიან ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიკის წინსვლას საერთოდ და კერძოდ შეამცირებს ჩვენი სავაჭრო ბალანსის პასივობას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსსაფეიქრო საპონ-ზეთ სახდელი ტრესტი აერთიანებს შემდეგ დღეს არსებული წარმოებებს:

1) კარლ მარქსის სახელობის ქარხნები (ყოფ. აქც. საზოგ. ტაიროვის, ალიხანოვის და ტოლესი). მუშაობა სწარმოებს სამ წყებად.

ა) ზეთსახდელი ქარხანა № 1. გატარების უნარი წლიურად 330.000 ფ. ბამბის თესლი, 52.800 ფ. ურაფინო ზეთი. მოწყობილობა გაცვეთილია 30 პროც.-ით.

ბ) სარაფინო განყოფილება-წლიური გატარების უნარი უდრის 52.800 ფ. ბამბის ურაფინო ზეთს, 47.300 ფ. რაფინულ ზეთს და 6.500 ფ. ნარჩენებს (სოაპსტოკა). მუშაობა სწარმოებს ერთ წყებად.

გ) გლიცერინის განყოფილება. გატარების უნარი—71.500 ფ. ცხიმი.

დ) მარმარილოს საპნის ქარხანა № 1; წლიური პროდუქცია 110.000 ფუთი საპონი. მოწყობილობის გაცვეთა—30 პროც.-ში გამოიხატება.

ე) ტუალეტის საპნის განყოფილება: წლიური პროდუქცია—70.000 დიუჯ. ტუალეტის საპონი. მოწყობილობის გაცვეთა—20 პროც.

ვ) საპნის ქარხანა № 2. პროდუქცია—96.000 ფუთი საპონი. მუშაობა სწარმოებს ორ წყებად. მოწყობილობის გაცვეთა უდრის 30 პროც.-ს.

2) ზეთის ქარხანა № 2. (ყოფ. სააქც. საზოგ. „ჟირმას"-ის). გატარების უნარი—275.000 ფ. ბამბის თესლი, 44.000 ფ. ურაფინო ბამბის ზეთი, მუშაობა სწარმოებს სამ წყებად.

ქარხანასთან არის სარაფინო განყოფილება. გატარების უნარი—44.000 ფ. ბამბის ზეთი, 38.720 ფუთი რაფინული ზეთი და 5.800 ფუთი ნარჩენები (სოაპსტოკა).

ზეთისა და სარაფინო განყოფილება ხელახლა შეკეთებულ იქნა. განყოფილების გაცვეთა უდრის 30 პროც.

ქარხანასთან არსებობს საპნის განყოფილება, ორი ძირითადი სახარშავი ქვაბით. პროდუქცია 18.000 ფ. უდრის წლიურად. მოწყობილობის გაცვეთა—30 პროც.

3) კომინტერნის სახელობის ქაღალდის ნართის ფაბრიკა (ყოფ. მახმუდბეგოვის) სხვადასხვა ნომრის ქაღალდის ნართის პროდუქცია წლიურად 6.800 ფუთი. მუშაობა სწარმოებს სამ წყებად. მოწყობილობის გაცვეთა—15 პროც.

4. წითელი პროფინტერნის სახელობის ბამბის ფაბრიკა (ყოფ. ძმ. ზლატოგორსკების):

ა) ბამბის საწმენდი განყოფილება: განყოფილება ა-კავკასიის სახკომსაბჭოს დეკრეტის საფუძველზე გადაეცა ა-კავკასიის ბამბის კომიტეტს.

ბ) უბრალო ბამბის განყოფილება. პროდუქცია წლიურად 13 ათ. ფ. სხვადასხვა ნომრის ქაღალდისა და მატყლის ბამბისა. მუშაობა ორ წყებათ სწარმოებს. მოწყობილობის გაცვეთა—40 პროც.

გ) გიგროსკოპიული განყოფილება: პროდუქცია 2.500 ფ. წელში. მუშაობა 2 წყებათ სწარმოებს. მოწყობილობის გაცვეთა 10 პროც.

5) პირველი სახელმწიფო მაუდის ქარხანა ქუთაისში, ფაბრიკის პროდუქცია 166.000 მეტრი მაუდი წლიურად. მოწყობილობის გაცვეთა 25 პროც.

ჩამოთვლილი დარგები მრეწველობისა თავმოყრილია ერთი ტრესტის ხელში და დიდ ინტერეს წარმოადგენს მთელი ა/კავკასიისათვის; მოთხოვნილება ამ ტრესტის ნაწარმოებზე დიდია, საჭიროა ამ ტრესტის ქარხნების შემდეგი განვითარება და გაფართოვება.

მეურნეობის ზემოდ ჩამოთვლილი დარგების რაციონალურად მოწყობის მიზნით მიზანშეწონილად უნდა იქნას აღიარებული ტრესტის ფაბრიკებისა და ქარხნებ კონცენტრაცია და მათი შემდეგი გაფართოვება. თუ ტრესტმა მოახერხა ორი სამი წლის განმავლობაში საჭირო სესხის მიღება ფულის სახით და განახორციელა წარმოებათა გაფართოვება და კონცენტრაციის პროექტები, მაშინ, ტრესტის მმართველობის აზრით, 1928/30 წლებში არ უნდა სწარმოებდეს წარმოებათა შემდეგი გაფართოვება და მთელი ეს ორი წელიწადი

უნდა მოხმარდეს წარმოების ტეხნიკურ გაუმჯობესებას, გასაღების ბაზრების შენარჩუნებას, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გრძელ-ვადიანი კრედიტების თანდათან დაფარვას.

პერსპექტიული გეგმის თანახმად ფაბრიკა-ქარხნების ნაყოფიერებამ უნდა მიაღწიოს.

| წარმოებათა დასახელება. | 1925/26 წ. | 1926/27 წ. | 1927/28 წ. | 1928/29 წ. | 1929/30 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| **ზეთსახდელი ქარხნები:** | | | | | |
| ბამბის რაფინული ზეთი | 75.870 ფ. | 75.870 ფ. | 75.870 ფ. | 75.870 ფ. | 75.870 ფ. |
| სასაქმებელი ზეთი . . | 4.500 | 4.500 | 4.500 | 4.500 | 4.500 |
| „სოიას“ „ . . | 900 | 900 | 900 | 900 | 900 |
| სელის „ . . | 1.764 | 1.764 | 1.764 | 1.764 | 1,764 |
| შარბათის „ . . | 1.440 | 1.440 | 1.440 | 1.440 | 1.440 |
| **საპნის ქარხნები:** | | | | | |
| სარეცხი საპონი . . . | 161.540 ფ. | 199,000 | 199.000 | 199000 | 199.000 |
| **ტუალეტის განყოფილება:** | | | | | |
| სხვადასხვა ტუალეტის საპონი . . . . . | 47.525 | 50.000 დუ. | 50.000 დუ. | 50.000 დუ | 50.000 დუ |
| **გლიცერინის განყოფილება.** | | | | | |
| ტეხნიკური გლიცერინი | 3.704 ფ. | 6.070 ფ. | 6070 ფ. | 6070 ფ. | 6.0 ფ. |
| **ქაღალდის სართავი ფაბრიკა.** | | | | | |
| სხვადასხვა ნართი და ძაფები . . . . . | 6.800 ფ. | 6.800 ფ. | 17.370 ფ. | 17.370 ფ. | 17.370 ფ, |
| ნარმა . . . . . | — | — | 137.500 | 137.500 ფ. | 137.500 ფ |
| **უბრალო ბამბის ქარხანა.** | | | | | |
| მატყლისა და ქაღალდის ბამბა . . . . . | 13.500 ფ. | 15.000 ფ. | 30.000 ფ. | 30.000 | 3 |
| **გიგროსკოპიული ბამბის ფაბრიკა.** | | | | | |
| გიგროსკოპიულ ი . . . | 2.500 ფ. | 2.500 ფ. | 10.000 ფ. | 10.000 ფ. | 10.000 ფ. |
| **მაუდის ქარხანა.** | | | | | |
| სხვადასხვა მაუდი . . | 166.144 მ. | 226.000 მ. | 226.000 მ. | 226.000 მ. | 226,000 მ, |

წარმოებათა კონცენტრაციის და გაფართოვების შემდეგ პროდუქციის საგრძნობი გადიდება მიღწეული იქნება მხოლოდ საფეიქრო წარმოებებში მათი მოწყობილობის საგრძნობი გაფართოვებისა გამო. რაც შეეხება ქიმიურ წარმოებებს, მათი გადიდება იქნება ფრიად საგრძნობი. იმავე დროს მათი კონცენტრაციით საქონელი გაიაფებული იქნება და ამ გზით გაფართოვდება გასაღების ბაზარი.

---

# შავი ქვა

## დახასიათება.

შორაპნის მაზრაში, მდინარე ყვირილის რაიონში, ქ. ჭიათურის მახლობლად არის შავი ქვის მადანის მდიდარი საბადო, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

ამ ბუდობებს დაახლოებით 125 კვ. კილომეტრის სივრცე უკავია. ბუდობები მთელ სივრცეზე თითქმის ჰორიზონტალური მიმართულებითაა და შესდგება მადანის სხვადასხვა ფენისაგან სისქით 5-8 ფუტამდე; ამ ფენების შუა მდებარეობს ქვიშიანი თიხა და ქვიშა.

ზოგან მადანს სცილდება მისი მფარავი ნიადაგის ფენები და ის პირდაპირ მოსჩანს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბუდობი ღრმად არა სძევს. ჭიათურის ბუდობების მადანი შეიცავს 52-58 პროც. მარგანეცს.

შედარებისათვის ავიღოთ ჭიათურის და ინდოეთის ბუდობების (საშუალო ციფრები) მადანის ანალიზი.

| | ინდოეთი | ჭიათურა |
|---|---|---|
| შავი ქვა | 52 % | 52 % |
| რკინა | 7 „ | 1 „ |
| კაჟიანი მიწა | 6,5 „ | 8 „ |
| ფოსფორი | 0,1 „ | 0,17 „ |

გეოლოგების გამოაგარიშებით მარგანეცის რაოდენობა ჭიათურის ბუდობებში 14 მილიარდ ფუთამდე, ანუ 230 მილიონ მეტრიულ ტონამდე აღწევს.

1913 წ. შავი ქვის მსოფლიო ამოღება უდრიდა 1997.063 მეტრ ტონას, აქედან საქართველოზე მოდიოდა 970.000 ტონი, ანუ **თითქმის ნახევარი** მთელ მსოფლიოში ამოღებული შავი ქვისა.

შავი ქვის ამოღება მთელს დედამიწაზე 1919 წელში უდრიდა 1.061.489 ტონას, რომლიდანაც საქართველოზე მოდიოდა მხოლოდ

53.200 ტონა. 1913 წლიდან 1919 წლისთვის შავი ქვის ამოღება ინდოეთში 815 ათ. ტონიდან 543 ათ. ტონამდე შემცირდა, ხოლო გადიდდა ბრაზილიაში 120 ათ. ტონიდან 202 ათ. ტონამდე; ისპანიაში 21—65 ათას ტონამდე, ჩილში 448 ათ. ტონიდან 11 ათას ტონამდე შემცირდა.

ზემოთ აღნიშნულიდან აშკარაა, რომ შავი ქვის ამოღების მხრით მსოფლიო ბაზარზე პირველი ალაგი საქართველოს ეჭირა, მეორე ინდოეთს, რომლის მადანი თითქმის ისეთივე თვისებების მქონეა, როგორისაც ჭიათურის მადანი.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის აღდგენა და მის არა მარტო ომამდე არსებულ დონემდე აყვანა, არამედ განვითარება იმ დონემდე, როდესაც ის შესძლებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნლებების დაკმაყოფილებას, ფოლადის ჩამოსხმის თანამედროვე ტეხნიკის პირობებში ცხადია, არის **მსოფლიო მნიშვნელობის** საკითხი.

1924 წლამდე ჭიათურის მთელი ის ტერიტორია, რომლის წიაღში მადანი მოიპოებოდა, გადაცემული ჰქონდა კონცესიონერებს 50 წლის ვადით. კონცესიონერები აძლევდენ მთავრობას ყოველ ამოღებულ ფუთ მადანში $^1/_2$ დან $1^1/_2$ კაპ.; გარდა საფუთო გადასახადებისა მთავრობა გატანილ შავ ქვაზე იღებდა წმინდა მოგების 35 პროც. მთავრობა არ ერეოდა მრეწველთა საქმეების მართვაში და კონცესიონერები სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდენ, როგორც საწარმოთა შინაგან მართვაში, ისე შავი ქვის ამოღების ნორმებსა და მარგანეცის გადაზიდვის წესებში. მაგრამ შავი ქვის ამოღების და ტრანსპორტის ტეხნიკური პირობები ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მიზეზებისა გამო დღემდე სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი: მხოლოდ ზოგიერთ საწარმოს აქვს მოწყობილი მადანის რონოდამდე მექანიკურად მიტანის საქმე, უმრავლესობა კი სარგებლობს ტრანსპორტის პრიმიტიული წესით (ურმებით და კურტნებით) ჭიათურის წიაღის მთავრობის მფლობელობაში გადასვლით და კერძო სარგებლობის მოსპობით უნდა გაუმჯობესებული ყო მადანის ამოღების სისტემა ბუდობების უკეთესი გამოყენების მიზნით და უნდა მოსპობილიყო მადანის ურმებით და კურტნებით გადაზიდვა.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ შავი ქვის მრეწველობის უფრო რაციონალურად დაყენებას და ამ პირობების გამოყენებას გვიკარნახებს მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებებიც.

ხელსაყრელ პირობებს ეკუთვნის: მადანის თითქმის ჰორიზონტალური მდებარეობა, წიაღში გაჯების უქონლობა და აგრეთვე ისიც, რომ წიაღში არ არის მაღალი ტემპერატურა და ადგილ გადამცვლელი ნიადაგის წყლები.

ეს პირობები აადვილებენ ამოღების და შიგნიდან, გვირაბიდან მადანის გარეთ გამოზიდვის მექანიზაციას და ქმნიან ერთ და იმავე დროის განმავლობაში მთელს მანძილზე მუშაობის წარმოების შესაძლებლობას. მექანიზაციის საშუალებას წარმოადგენს ჰიდრავლიური ენერგიის სიჭარბე. შიგ გვირაბში მადანის გადასაზიდი საშვალებათა და აგრეთვე ამოსაღებ მანქანების ელექტროფიკაცია მოითხოვს ერთდროულად წარმოებაში დიდი თანხის ჩადებას, მაგრამ ეს ხარჯი ძალიან მოკლე ხანში იქნება ანაზღაურებული, რადგანაც ამ გზით შავი ქვის ღირებულება საგრძნობლად გაიაფდება. შემდეგ საზღვარ გარეთ უნდა იზიდებოდეს არა ნედლი მადანი, არამედ შავი ქვის პროდუქციის ის სახეები, რომელთაც ბაზარზე უდიდესი ფასი აქვთ. ასეთ პროდუქციას პირველად ყოვლისა ფერო-მარგანეცი წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან მოწყობილ ფერო-მარგანეცის კომისიის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ფერო-მარგანეცის წარმოება ჭიათურის მიდამოებში უაღრესად ხელსაყრელია და ნედლი მადანის გატანასთან შედარებით ფერო-მარგანეცის გატანას დიდი უპირატესობა აქვს. აღნიშნულ გამოკვლევაში მოცემულია კალკულიაცია, რომელიც ჩვენ აქვე მოგვყავს შემოკლებით.

1926-29 წ. წ. ჭიათურის მარგანეცის ამოღებამ და გატანამ შეიძლება მიაღწიოს 60.000.000 ფუთს; შემდეგში ეს რაოდენობა კიდევ უნდა გადიდდეს.

ამ ჟამად ევროპის ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით 50 პროც. შავი ქვის მადანის ერთეულ ტონაში საშუალოდ 20 პენსი ღირს, (რაც სისველის გამოკლებით დაახლოებით შეადგენს 52 კაპ. ფუთზე). 60.000.000 ფ. ეღირება 31.200.000 მანეთი.

60.000.000 ფ. ნედლი მადანის გაზიდვიდან შესაძლებელია 3.000.000 მან. მიღება.

თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ მთელი ეს 60.000.000 ფ. მარგანეცი გადამუშავებული იქნება ფერო-მარგანეცად, მაშინ საერთო ღირებულება 28.120.000 ფუთი ფერო-მარგანეცისა ევროპის ბაზარზე უდრიდეს იქნება 55,130.000 მან.

შესაძლებელი მოგება ფერო-მარგანეცის ექსპორტიდან ამ შემთხვევაში გამოიხატება 11.526,000 მან. ე. ი. თუ ჩვენ 60.000.000 ფ. მარგანეცის ნაცვლად გავიტანთ მის ეკვივალენტურ ‹ დენობით ფერო-მარგანეცს 28.120.000 ფ. მაშინ მივიღებთ 8.526.000 მანეთით მეტს, ანუ ფუთ მარგანეცზე 5 კ. მაგივრად 18,9 კაპ.

## ჭიათურის შავი ქვა და მსოფლიო ბაზარი.

ჭიათურის რაიონიდან შავი ქვის ექსპორტი 5 წლის განმავლობაში 1909-1913 წლამდე საშუალოდ წლიურად უდრიდა 46.800 ათ. ფუთს, ხოლო წლიური მოხმარება მარგანეცისა მთელს მსოფლიოში შეადგენდა 129.200 ათ. ფუთს.

მარგანეცის მოხმარებას მთელს დედა-მიწაზე და მის ექსპორტს ჭიათურიდან შემდეგი ცხრილი გვიხატავს.

| წლები | მსოფლიო მოხმარება | ექსპორტი საქართველოდან | ჭიათურის მარგანეცის % მსოფლიო მოხმარებაში |
|---|---|---|---|
| | ათას ფუთებში | | |
| 1909 | 94.725 | 35.089 | 37,0 % |
| 1910 | 122.036 | 39.636 | 32,5 „ |
| 1911 | 127.082 | 37.511 | 29,5 „ |
| 1912 | 148.012 | 55.834 | 37,7 „ |
| 1913 | 174.028 | 65.827 | 37,8 „ |

ამ რიგად 1909 წ. მარგანეცის მსოფლიო მოხმარების 37 პროც. საქართველოს მარგანეცი შეადგენდა. 1910-1911 წ.წ. ჩვენი მარგანეცის ექსპორტი ცოტათი შემცირდა, მაგრამ 1912 წ. ექსპორტი კვლავ გადიდდა და შეადგინა მსოფლიო მრეწველობის მიერ მარგანეცის მოხმარების 37,7 პროც, ხოლო 1913 წ.—37,8 პროც.

საქართველოს შავი ქვის მსოფლიო მნიშვნელობა აშკარა გახდება, თუ ჩვენ შევადარებთ საქართველოში და სხვა ქვეყნებში შავი ქვის ამოღებას და ექსპორტს და მის მოხმარებას მსოფლიო მრეწველობის მიერ.

## მარგანეცის ამოღება

### ათას ფუთებში.

| ქვეყნები | 1909 | 1910 | 1911 | 1912 | 1913 | 1914 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდოეთი | 39.846 | 49.656 | 41.711 | 26.255 | 41.808 | — |
| ბრაზილია | 14.928 | 15.759 | 10.784 | 9.602 | 10.137 | — |
| საქართვ. | 36.506 | 33.805 | 28.635 | 35.325 | 59.188 | 40.446 |
| | 91.280 | 99.220 | 81.130 | 71.182 | 111.133 | 40.446 |
| სხვა ქვეყნ. | 20.594 | 36.690 | 36.721 | 39.954 | 38.315 | — |

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩვენი შავი ქვის ორი ახალი კონკურენტი—მარგანეცი ოქროს ნაპირიდან (აფრიკა) და ეგვიპტიდან. ოქროს ნაპირზე მარგანეცის ამოღება დაიწყო 1916 წ. და თავისი ბუდობების სიძლიერით და ამოღების სიადვილით ის ჭიათურის შავი ქვის საშიშ კონკურენტს წარმოადგენს. 1924 წ. იქ ამოღებულ იქნა 15,4 მილ. ფ. შავი ქვა. ეგვიპტეში შავი ქვის ამოღება დაიწყო 1920 წ., ხოლო 1923 წ. ამოღებამ 8,5 მილ. ფუთს მიაღწია.

უეჭველია, რომ მსოფლიო ბაზარზე ახალი კონკურენტები ძალიან დიდ როლს ითამაშებენ და ჩვენ თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ მათი მნიშვნელობა.

## შავი ქვის ექსპორტი.

### ათას ფუთებში.

| ქვეყნები | 1909 | 1910 | 1911 | 1912 | 1923 | 1914 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდოეთი | 28.971 | 36.414 | 34.326 | 38.553 | 47.887 | — |
| ბრაზილია | 14.228 | 15.759 | 10.784 | 9.602 | 7.565 | — |
| საქართვ. | 35.088 | 39.636 | 37.510 | 55.834 | 65.827 | 43.652 |
| სხვა ქვეყნ. | 78.987 | 91.809 | 82.620 | 103.989 | 121.278 | |
| | 4.413 | 4.344 | 5.765 | 9.529 | 9.442 | — |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მარგანეცის ამოღების საქმე ამ ხნის განმავლობაში საქართველოში უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ინდოეთში და თუ 1909 წელში ამ მხრივ პირველი ადგილი ბრიტანეთის ინდოეთს ეკავა, სამაგიეროდ 1913 წ. პირველი ადგილი საქართველომ დაიჭირა. ხოლო რაც შეეხება ექსპორტს, ამ მხრით აღნიშნული 5 წლის განმავლობაში საქართველოს მუდამ პირველი ადგილი ეკავა. საქართველომ 1909 წ. ინდოეთზე მეტი გაიტანა 6 მ. ფუთით, 1913 წ. 18 მილ. ფუთით. ხუთი წლის განმავლობაში, 1909-დან 1913 წ. წ. ყოველ წლიურად საშუალოდ ამოქონდათ (ათას ფუთებში).

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველოში . . | 38.300 | გაჰქონდათ . | 46.800 |
| ინდოეთში . . . | 39.900 | „ . | 37.411 |
| ბრაზილიაში . . . | 12.200 | „ . | 11.700 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ ომამდე ხუთი წლის განმავლობაში შავი ქვის მსოფლიო მოთხოვნილების თითქმის ნახევარს საქართველოს შავი ქვა აკმაყოფილებდა, ცხადია, ეს გაძლიერებული გაზიდვა შავი ქვისა გვიმტკიცებს, რომ მარგანეცზე თვით საქართველოს მრეწველობის მხრივ არ ყოფილა მოთხოვნილება, რაც ჩვენი მრეწველობის ძალზე ჩამორჩენილობის მაჩვენებელია.

მაგრამ მარგანეცის მრეწველობის განვითარებასთან ერთად დღის წესრიგში დაისვა ჩვენი მრეწველობის განვითარება მსოფლიო ამოღების 41,5 პროც. და ექსპორტის 50 საქართველოზე მოდიოდა.

მარგანეცის მომხმარებელი ქვეყნები ხმარობდნენ (ათას ფუთობით).

| ლ ე ბ ი | ადგილობრივი მარგანეცი | შემოტანილი მარგანეცი | მოხმარების საერთო რაოდენობა. |
|---|---|---|---|
| 1909 | 13.900 | 80.200 | 94.600 |
| 1910 | 23.300 | 98.700 | 122.000 |
| 1911 | 29.400 | 97.600 | 127.000 |
| 1912 | 29.600 | 118.400 | 148.000 |
| 1913 | 28.300 | 145.700 | 174.000 |
| საშუალოდ | 24.900 | 108.200 | 133.100 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, თუ რამდენათ მცირე რაოდენობის საკუთარი მარგანეცი აქვთ მომხმარებელ ქვეყნებს. მარგანეცის წლიური მოხმარება ყველა ქვეყნებში 1909—1913 წ. საშუალოდ შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

| | | |
|---|---|---|
| ადგილობრივი მარგანეცი . . | 24.900 | ათ. ფ. |
| შემოტანილი „ . . | 108.200 | „ „ |
| ს უ ლ . . . . . | 133.100 | ათ. ფ. |

ამ ციფრებიდან ირკვევა, რომ მარგანეცის მომხმარებელი ქვეყნები თავიანთი მოთხოვნილების მხოლოდ 18,7% იკმაყოფილებენ საკუთარი მარგანეცით, ხოლო 81,3%, ანუ 4-ჯერ მეტი მოდის მარგანეცით მდიდარ, მაგრამ საკუთარი მრეწველობით ღარიბ ქვეყნებზე, როგორიცაა საქართველო, ინდოეთი და ბრაზილია.

## ამოღება და ექსპორტი.

მარგანეცის ამოღება და ექსპორტი 1909—1914, 1915—1918, 1919—1921 და 1921—25 ⁄ 26 წლების პერიოდებში შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

მარგანეცის ამოღება საქართველოს გასაბჭოებამდე.

| წლები | ამოღება ათას ფუთობით | წლები | ამოღება ათას ფუთობით | წლები | ამოღება ათას ფუთობით |
|---|---|---|---|---|---|
| 1909 | 36.506 | 1915 | 15.737 | 1919 | 3.345 |
| 1910 | 33.805 | 1916 | 14.677 | 1920 | ცნობები არ არის |
| 1911 | 28.635 | 1917 | 12.488 | 1921 | 5.611 |
| 1912 | 35.325 | 1918 | 1.683 | 1922 | 3.245 |
| 1913 | 59.188 | | | 1923 | 11.846 |
| 1914 | 40 446 | | | 1924 | 20.903 |
| | | | | 1924/25 | 33.160 |
| | | | | 1925/26 | 51,799 |

1925 საანგარიშო წელში მარგანეცის ამოღებამ გადააჭარბა 1913 წ. ამოღების 56%-ს, ხოლო 1925/26 სამეურნეო წელში მარგანეცის ამოღება დაუახლოვდა ომის წინა დროინდელ რაოდენობას, ასეთივე სწრაფი ტემპით იზრდება მარგანეცის ექსპორტი.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ექსპორტის მდგომარეობას ომამდე, ომის ხანაში, გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ.

მარგანეცის ექსპორტი

| წლები | ათას ფუთ. | წლები | ათას ფუთ. | წლები | ათას ფუთ. | წლები | ათას ფუთ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1909 | 24.683 | 1915 | 540 | 1919 | 2.358 | 1922 | 10.270 |
| 1910 | 35.089 | 1916 | 1.862 | 1920 | 10.735 | 1923 | 21.580 |
| 1911 | 39.636 | 1917 | 359 | 1921 | 1.560 | 1924 | 30.000 |
| 1912 | 37.510 | 1918 | 4.078 | | | 1925 | 26.611 |
| 1913 | 55.834 | | | | | 1925/26 | 31.007 |
| 1914 | 65.827 | | | | | | |

საქართველოს შავი ქვის მრეწველობაში 1920 წლიდან იწყება გადატეხა და ჩვენი მარგანეცი მსოფლიო ბაზარზე თანდათან თავის ადგილს იკავებს და უახლოვდება თავის ომამდე არსებულ მდგომარეობას.

## მარგანეცის ღირებულება და ფასები.

რაც შეეხება ჭიათურის მარგანეცის ფასებს, ისინი 1913 წელს შემდეგნაირად ირყეოდა: ჭიათურის სადგურის პლატფორმაზე 6—8 კაპ. და ფოთში გემზე დატვირთვით—20—25 კ., როდესაც მარგანეცის ფასებზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურის მარგანეცს თავისი თვისებებით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში, მისი ფასები მაინც დაბლა იდგა ინდოეთის და თითქმის ბრაზილიის ფასებზე.

ქვევით ჩვენ მოგვყავს საქართველოს, ინდოეთის და ბრაზილიის მარგანეცის ფასები ინგლისის ბაზარზე 1909—1913 წ. ფასები აღებულია პენსებში ლითონის თითოეულ ერთეულზე—არა ნაკლებ ტონისა.

| სახელწოდება | 1910 | 1911 | 1912 | 1913 |
|---|---|---|---|---|
| ინდოეთის მარგ. | $8^1/_2$-$9^3/_4$ | $8^1/_2$-$9^1/_2$ | $9$-$^1/_2$-$11^1/_2$-$12^1/_2$ | 10-11-12-$12^1/_2$ |
| ბრაზილიის „ | — | — | 9-10-11-12 | $9^1/_2$-$10^1/_2$-11-12 |
| საქართველოს „ | $7^1/$ -$8_1/_2$ | $7^1/_2$- | 7 $^1$ $/_2$-9-10-11 | 8-$9^1/_2$-10-$10^3/_4$ |

მიუხედავად მაღალი თვისებისა და დიდი მოთხოვნილებისა ჭიათურის მარგანეცზე, ამ წარმოების ორგანიზაციულად მოუწყობლობისა და ბაზრების უცოდინარობის გამო, ქართული მარგანეცის ფასები მუდამ დაბლა იდგა.

მოყვანილი ცნობები ამტკიცებენ, რომ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში და მის სავაჭრო ბალანსში მარგანეცს, როგორც საექსპორტო საქონელს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შესაფერი ადგილი მაინც არ უკავია.

რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მარგანეცის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნისათვის, საჭიროა გამოვარკვიოთ მარგანეცის ექსპორტის საერთო ღირებულება, ამისათვის კი საჭიროა მარგანეცის თვითღირებულების და გასაყიდი ფასის გამორკვევა.

ფუთი ჭიათურის მადანის თვითღირებულება ომის წინ შემდეგი ელემენტისაგან შესდგებოდა:

| | | |
|---|---|---|
| ამოღება . . . . . | 1 | კაპ. |
| დახარისხება დ გაცხრილვა-გამოტანა | 0,5 | „ |
| გამაგრება, ტექნიკური ზედამხ. და სხ. | 1 | „ |
| გადაზიდვა რკინისგზის პლატფორ. | 2,03 | „ |
| დახმარება უბედურ შემთხვ. დროს . | 0,8 | „ |
| იჯარა . . . . . | 1 | „ |
| გარეცხვა . . . . . | 1 | „ |
| ზედნადები ხარჯები . . . . . | 0,3 | „ |

ამ რიგად, ომამდე გარეცხილი მადანის ფუთი ჯდებოდა 7,63 კაპ., ხოლო გაურეცხავი—6,63 კ. მოჰყავს რა ეს ცნობები, ჭიათურის მრეწველი ის. ვარაზაშვილი აღნიშნავს, „რომ რკინისგზის პლატფორმამდე გადაზიდვა არის ყველაზე დიდი ელემენტი თვითღირებულებაში, რომელიც შეადგენს გაურეცხავი მადანის ღირებულების 28,9% და გარეცხილის—25,2%, ასეთ დიდ ხარჯებს იწვევს მარგანეცის პრიმიტიული წესით (ურმებით და კურტნებით) გადაზიდვა, და ეს მაშინ, როცა იქ არის იდეალური ბუნებრივი პირობები მექანიკური გადაზიდვის გამოსაყენებლად“. მადანის გაუმჯობესებული წესით ჩამოტანის გამოყენებამ გვიჩვენა, რომ ამ წესით მარგანეცის გადაზიდვა იაფდება 1—78 კაპეიკით ფუთზე.

საგეგმო კომისიები ცოტა სხვაგვარ ციფრებს იძლევიან. ამ ცნობებით გასაყიდი ფასი კენჭი (**кусковой**) მადანისა 1913 წელს ფრანკო-პლატფორმა ჭიათურა უდრიდა $5^3/_4$-8 კაპ., ხოლო გარეცხილი მადანის ფასი—9-13 კაპ.; კენჭი მადანის თვითღირებულება 6 კაპეიკამდე ირყეოდა.

იმავე ცნობებით 1924 წელს კენჭი მადანის თვითღირებულება ფრანკო-პლატფორმა ჭიათურა გამოიხატებოდა 15,61 კაპ., გარეცხილი მადანის კი—24,04 კაპ.

თუ მივიღებთ მხედველობაში მაღალ საზღვაო ფრახტს და ჩვენი მარგანეცის განსაკუთრებულ პირობებს მსოფლიო ბაზარზე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მივსცეთ მარგანეცის ამოღების და ტრანსპორტის საქმის მოწყობას ჭიათურაში და გადმოტვირთვა-დატვირთვის საქმის მოწესრიგებას ქ. ფოთში.

მარგანეცის ამოღების და რკინის გზაზე მიტანის მექანიზაცია ჭიათურაში, მარგანეცის გარეცხის ტეხნიკის გაუმჯობესება, დატვირთვის მექანიზაცია ჭიათურაში, შორაპანში და ფოთში, დატვირთვის სისტემის გაუმჯობესება რკინისგზის ტრანსპორტის მოწესრიგებასთან ერთად და სხვ.—აი ის, რაც არსებითად აუცილებელია ჩვენი მარგანეცის გასაიაფებლად. ხელით გადატვირთვა შორაპანში ვიწრო ლიანდაგიდან ფართო ლიანდაგიან რონოდებში გაიაფებულ უნდა იქნას მექანიზაციის გზით. ამავე დროს რკინის გზის ტრანსპორტი ჭიათურიდან ფოთამდე—ბათომამდე უნდა სწარმოებდეს პირდაპირი რონოდებით, გადაუტვირთველად. შემდეგ გემის დატვირთვა ხელით მეტად აფერხებს საქმეს. დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება დაიტვირთოს 400—1000 ტონამდე მაშინ, როდესაც მექანიკური დატვირთვა საათში მოგვცემს 200 ტონას ანუ დღე და ღამ 4800 ტონას და შეამცირებს გემის დგომას.

ასეთი ტეხნიკური გაუმჯობესება დაახლოვებით შემდეგ გაიაფებას მოგვცემს:

| | თანამედროვე საშუალო ღირებულ. | ღირებულება მექანიზაციის პირობებში. | გაიაფება |
|---|---|---|---|
| გადაზიდვა რკ. გზამდე . . . | 4,5 კ. | 1,0 კ. | 3,5 კ. |
| დატვირთვა ჭიათურაში . . | 1,0 კ. | — | 1,0 კ. |
| დატვირთვა შორაპანში . . | 1,5 კ. | 0,5 კ. | 1,0 კ. |
| დატვირთვა ფოთში . . . . | 2,0 კ. | 0,5 კ. | 1,5 კ. |
| პლატფორმის იჯარა ჭიათურაში, რონოდების და გემის დგომა, აგენტურა და სხვა . | 1,0 კ. | — | 1,0 კ. |
| | 10 კ. | 2,0 კ. | 8,0 კ. |

ინჟ. საპიცკის გამოანგარიშებით აღნიშნული პირობების განხორციელება 50 მილ. ფუთ წლიურ გაზიდვის პირობებში მოგვცემს ეკონომიას არა ნაკლებ 3.475.000 მანეთისა. ხარჯი კი, რომელიც აუცილებელია მექანიზაციის და სხვა საქმეთა მოსაგვარებლად დაახლოვებით შემდეგია:

| | |
|---|---|
| მისასვლელი გზები . . . . . | 1.500 ათ. მან. |
| გადასაზიდი საშუალებანი შორაპანში | 250 ათ მან. |
| იგივე ფოთში . . . . . | 400 „ „ |
| სულ . . . | 2.150 ათ. მან. |

კ. მოდებაძე ერთ-ერთ თავის მოხსენებაში, ეხება რა მარგანეცის საქმის რაციონალურად დაყენების საკითხს, შემდეგ ღონისძიებებზე მიუთითებს საჭირო გაუმჯობესებათა და მათი ღირებულების შესახებ.

| | |
|---|---|
| 1. შეცვლილ უნდა იქნეს არსებული გადაზიდვა-რკინის გზამდე მექანიკური გადაზიდვით (ლიანდაგის გზებზე მექანიკური წევით), რასაც დასჭირდება . . . . . | 1.500.000 მ. |
| 2. უნდა მოეწყოს მადანის ამოღების მექანიზაცია | 250.000 „ |
| 3. უნდა მოეწყოს შორაპანში გადატვირთვის მექანიზაცია (ჭიათურის ხაზის ფართო ლიანდაგზე გადაკეთების ნაცვლად) . . . . . | 250.000 „ |
| 4. უნდა მოეწყოს გემებზე დატვირთვის მექანიზაცია ფოთში . . . . . | 500.000 „ |
| 5. უნდა აშენდეს მარგანეცის გამწმენდი ახალი ტიპის ქარხნები, რომ ამით შემცირებულ იქნას მადანის დიდი რაოდენობით დაკარგვა, რასაც აქვს ადგილი ჭიათურაში არსებულ ქარხნებში . . . . . | 1.000.000 „ |
| 6. განახლება მოძრავი შემადგენლობისა ჭიათურის შტოზე და სხვა წვრილი ღონისძიებანი . | 500.000 „ |
| სულ . . . | 4.000.000 მ. |

„თუ გაატარებთ ცხოვრებაში ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებსო,—სწერს კ. მოდებაძე,—ეს ჭიათურის შავი ქვის მრეწველობას ასწევს ტეხნიკურად თანამედროვე მრეწველობის დონემდე და საგრძნობლად გააიაფებს მადანის თვითღირებულებას. ეს გაია-

ფება მცოდნე სპეციალისტების გამოანგარიშებით შეადგენს არა ნაკლებ 8—10 კაპ. ფუთ მადანზე; ე. ი. წლიურად 50 მილ. ფუთი მარგანეცის გაზიდვის პირობებში მარგანეცის საქმის რეორგანიზაციისათვის გაწეული მთელი ხარჯი დაფარული იქნება ერთი წლის განმავლობაში“.

აქ გამოთქმული დებულების საილიუსტრაციოდ კ. მოდებაძეს შოჰყავს შემდეგი ცხრილი, რომელიც სპეციალისტების მიერ საკითხის ზედმიწევნით შესწავლის შედეგია:

| | ეხლა | მექანიზაც. შემდეგ. | გაიაფება |
|---|---|---|---|
| 1. გადაზიდვა რკინის გზით | 4,50 | 1,00 | 3,50 |
| 2. დატვირთვა ჭიათურაში | 1,50 | არ იქნება | 1,50 |
| 3. დატვირთვა შორაპანში | 1,50 | 0,50 | 1,00 |
| 4. დატვირთვა ფოთში . . | 2,00 | 0,50 | 1,50 |
| 5. პლატფორმის იჯარა, ronოდების, გემის დგომა, აგენტურა და სხვ. . . | 1,00 | — | 1,00 |
| სულ . . . | 10,50 კ. | 2,00 კ. | 8,50 კ. |

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ ფოთში დატვირთვის მექანიზაცია მოგვცემს აგრეთვე საზღვაო ფრახტის რამოდენიმე შილინგით (ტონაზე) გაიაფებას“.

შემდეგ ეხება რა იმას, თუ რას აძლევდა ჭიათურის მარგანეცი მთავრობას, მარგანეცის საქმის იგივე მცოდნე სწერს: „საკმაოდ სწორი გამოანგარიშებით ამ ჟამად მთავრობა გაზიდულ ფუთ მადანზე იღებს 11—13 კაპ. შემდეგი ანგარიშით:

1. საფუთო გადასახადები (ღებულობდენ ფოთის და ჭიათურის აღმასკომები) . . . . . 1,50 კ.
2. გადასახადი მონოპოლიისათვის . . . . . 1,00 კ.
3. იჯარა . . . . . 2—3,00 კ.
4. მოგება სამ მილიონიან ფონდიდან . . . . . 1,50 კ.
5. 35 % გადარიცხვა მოგებიდან . . . . . 2—3,00 კ.
6. განსხვავება რკინის გზის ფრახტისა . . . . . 2,00 კ.

სულ . . . . . 12,00 კ.

თუ მხედველობაში მივიღებთ 50 მილიონ ფუთის ექსპორტს, მაშინ მთავრობის შემოსავალი გამოიხატება 6 მილ. მანეთში, მაგრამ თუ მარგანეცის ექსპლოატაციის საქმე გაუმჯობესებული იქნება, მაშინ მთავრობის შემოსავალი საგრძნობლად გაიზრდებოდა.

როდესაც განხორციელდება მარგანეცის ამოღების მექანიზაცია, აშენდება ახალი ტიპის მარგანეცის მწმენდი ქარხნები, გაიყვანება ფართო ლიანდაგიანი გზა, მოეწყობა მექანიკური გადატანა მარგანეცისა რკინის გზამდე, განახლდება მოძრავი შემადგენლობა, განხორციელდება წარმოების რაიონის ელექტროფიკაცია, მოეწყობა წარმოებიდან ნავთსადგურამდე გადაუტვირთველად მარგანეცის გადაზიდვა, ფოთის ნავთსადგური მოეწყობა ოკეანეთა გემების მისაღებად და ამ გემების დატვირთვა იქნება მექანიკური, როდესაც ყველაფერი ეს მოეწყობა, მაშინ საგრშნობლად შემცირდება მარგანეცის თვითღირებულება, რაც უეჭველად ხელსშეუწყობს ჩვენი მარგანეცის მდგომარეობის განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე და მისი ექსპორტის გადიდებას ჩვენი რესპუბლიკისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში.

მარგანეცის რეალიზაციისათვის ზემოთ აღნიშნული პირობების შექმნის მიზნით, მთავრობა ხელშეკრულებით შეეკრა უცხოელ კაპიტალისტებს. 1925 წ. 12 ივნისს*) საკავშირო მთავრობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალით ჭიათურის შავი ქვის რაიონი კონცესიით გადაეცა ამერიკულ ფირმა ჰარიმანს და კომპ.

შავი ქვის მრეწველთა ფირმებმა თავიანთი მხრით ხელი მოაწერეს განსაკუთრებულ ხელშეკრულებას იმავე ჰარიმანთან და კომპ. ამასთან შეფარდებით 25 ივლისს ლიკვიდაცია ეყო საზოგადოება „ჩემოს“ და კონცესიონერი შევიდა თავის უფლებებში მარგანეცის ამოღების და ექსპორტის საქმეში.

მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების ძალით კონცესიონერს უფლება აქვს კონცესიის პირველი წლის განმავლობაში აწარმოვოს ამოღება არა დამოუკიდებლად, არამედ შავი ქვის ყოფილ მრეწველთა ფირმების საშუალებით, თუ უკანასკნელნი იმუშავებენ კონცესიონერის საშუალებებით მოიჯარადრეების სახით, იგულისხმება, რომ ამ ორი წლის განმავლობაში კონცესიონერი მოაწყობს საკუთარ წარმოებას და შემდეგში ამოღებას და გარეცხვას აწარმოებს

*) ეს ადგილი ამოღებულია ა/კ. 1925/26 წ. ბიუჯეტის „ახსნითი ბარათიდან“ გვ. 154—156.

დამოუკიდებლად. სხვანაირათ, რომ ვსთქვათ, ჭიათურის რაიონში ორი წლის შემდეგ იმუშავებს მხოლოდ ერთი ფირმა.

კონცესიონერი ვალდებულია ყოველწლიურად ამოიღოს არა ნაკლები 500.000 ტონა მარგანეცისა, მუშაობა კი უნდა სწარმოებდეს მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ. კონცესიონერი ვალდებულია იხადოს პირველი სამი წლის განმავლობაში სატონე გადასახადის სახით $1\frac{1}{2}$ მილ. დოლარი წლიურად, შემდეგ კი 2 მილ. დოლარი წლიურად; მთელი საკონცესიო ვადის განმავლობაში კი უნდა გადაიხადოს 62 მილ. დოლარზე მეტი.

მაგრამ მთელი ეს თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს საბიუჯეტო შემოსავლად, რადგანაც კონცესიონერი იხდის რა სატონე გადასახადს, თავისუფალია მთელი რიგი ადგილობრივი გამოსაღებებისაგან, როგორიცაა საფუთო გადასახადი და სხვ. ამავე დროს კონცესიონერი თავისუფალია სანავთსადგურო $\frac{1}{2}$ კაპიკიანი საფუთო გადასახადისაგან. თუ შევადარებთ,—ნათქვამია „ახსნითი ბარათში"—შემოსავალს, რომელსაც მთავრობა საკონცესიო ხელშეკრულებით იღებს. იმ შემოსავალთან, რომელსაც მთავრობა იღებდა საზოგადოება „ჩემოს" დროს გაზიდულ თითეულ ტონა მარგანეცზე, აშკარაა, რომ საკონცესიო შემოსავალი ფისკალური თვალსაზრისით არაა განსაკუთრებით მომხიბვლელი მსოფლიო ბაზარზე მარგანეცის მაღალ ფასების და იაფი საზღვაო ფრახტის პირობებში. გაიაფებული თვითღირებულების პირობებში შეიძლებოდა „ჩემოს" თითეულ ტონაზე საგრძნობლად მეტი თანხები გადაერიცხა მთავრობის სასარგებლოდ, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საკონცესიო ხელშეკრულებით სამი ანუ 4 დოლარი ტონაზე.

მაგრამ კონცესიას აქვს ზოგიერთი ძალიან ხელსაყრელი მხარეები. კონცესიონერი ვალდებულია დახარჯოს არა ნაკლებ ოთხი მილიონი დოლარისა რკინის გზაზე, ფოთში ელევატორის მოწყობაზე და ჭიათურის საწარმოთა მოწყობილობაზე. თუმცა კონცესიონერი ვალდებულია აწარმოვოს წესიერი ამოღება არა ნაკლებ 500.000 ტონისა, მაგრამ მას მოუხდება წლიურად არა ნაკლებ 800.000 ტონის ამოღება, რომ გაამართლოს მთავრობისათვის უზრუნველყოფილი მინიმუმი სატონე გადასახადი.

კონცესიონერის მიერ ხელშეკრულების შესრულება საგრძნობლად გააიაფებს ჭიათურის შავი ქვის თვითღირებულებას და მისი რეალიზაცია საგრძნობლად გაიზრდება, რაც, რასაკვირველია, სათანადო გავლენას მოახდენს ჩვენს სახალხო მეურნეობაზე და გაზრდის ჩვენს საბიუჯეტო შემოსავალს.

ჩვენი მარგანეცის ბედი და მისი ექსპლუატაციის პერსპექტივები არ ამოიწურება ამ საკონცესიო ხელშეკრულებით. ჩვენი მეურნეობის შემდეგი განვითარება გაგვიხსნის ახალ ეკონომიურ ჰორიზონტებს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად გამოიყენებს ამ ძვირფას მადანს, რომელსაც დიდი მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

---

# ქვანახშირი

საქართველოში მოიპოვება ქვა-ნახშირის რამოდენიმე ბუდობი. მათ შორის გამოკვლეულია ტყვიბულის და ერთი უმნიშვნელო ბუდობი—გელათის და არა საკმაოდაა გამოკვლეული ტყვარჩელის ქვა-ნახშირი.

გარდა ქვა-ნახშირის ამ სამი ბუდობისა არის ქვა-ნახშირის ბუდობი ბზიბის რაიონში, სოფ. კოჯერიბშის ახლოს და კახეთში სოფ. გომბორის, მუხროვანის, საიმთერის ახლოს და სიღნაღის მახლობლად.

ქვა-ნახშირის მარაგი გამოკვლეულ რაიონებში დაახლოვებით შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

| | |
|---|---|
| ტყვიბულის | 6 მილიარდი ფუთი |
| ტყვარჩელის | $12^1/_2$ „ „ |
| გელათის | 50 ძილიონი „ |

საქართველოს გამოკვლეულ რაიონებში არის სხვა და სხვა ხარისხის ქვა-ნახშირის მარაგი სულ 18.550 მილიონ ფუთამდე. უეჭველია, რომ ტყვიბულის და ტყვარჩელის ქვა-ნახშირს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, რასაც ადასტურებს ის ინტერესი, რომელიც ევროპის კაპიტალისტებმა გამოიჩინეს განსაკუთრებით ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მიმართ. მაგრამ გარდა ამ ინტერესისა, საჭიროა აღინიშნოს ის ბედნიერი გარემოება, რომ ქვა-ნახშირის ბუდობები იმყოფება მსოფლიოში ცნობილ, მარგანეცით ფრიად მდიდარ ჭიათურასთან ახლოს.

ქვა-ნახშირის არსებობა აადვილებს საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას, რასაც ხელს უწყობს ჩვენში სპილენძის, რკინის, ვერცხლის, ტყვიის, სურმის (საოლავის) და სხვ. მარაგის არსებობა.

როგორც ეს დაამოწმა ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ანალიზმა, ეს ნახშირი სავსებით გამოდგება ორთქმავალების გასათბობად. ამიტომ

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი სავსებით გამოსადეგი იქნება სათბობ მასალათ შავი-ზღვის სავაჭრო და სამხედრო ფლოტისათვის.

## ტყვიბულის ნახშირი

ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ტყვიბულის მაღაროებზე. ტყვიბული იმყოფება ქუთაისიდან 49 ვერსის მანძილზე და უკანასკნელთან შეერთებულია ფართო ლიანდაგიანი რკინის გზით.

ტყვიბულის ნახშირის ბუდობები ეკუთვნის „იურსკის" ფორმაციას. მთავარი სამუშაო ფენი შესდგება ხუთი ფენისაგან საერთო სიძლიერე-სისქით—11-დან 12 საჟენამდე. ამ ფენს ძირად და სახურავად აქვს სილიანი ქვა (песчанник). ნახშირის ფენები გარედ გამოდიან და მუშაობა უმთავრესად ღიად სწარმოებს. ამ ფენებში ნახშირი სხვა და სხვა ხარისხისაა და რაც უფრო ღრმაა, ნახშირის ღირსება მით უკეთესია, შესაძლებელია ნახშირის ზოგიერთი ფენის დაკოკსვა, რომლიდანაც გამოდის 50% კოკსი და 3,5% ნაცარი.

თბო-უნარიანობა ტყვიბულის ნახშირისა—6.576—7.525 კალორიას უდრის.

ნახშირის ანალიზებმა, რომელიც გაკეთებულ იქნა ა/კავკასიის რკინის გზების და ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლის ლაბარატორიებში, ასეთი შედეგი მოგვცა:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი: | ნახშირბადი | 67,0 | 73,89%-დე |
| | ნაცარი | 9,0 | 12,6 „ |
| | გოგირდი | 1,09 | 1,6 „ |
| | მქროლავი ნივთიერებ. | 26,11 | 34,0 „ |
| | გიგროსკოპიული წყალი | 0,39 | 0,19 „ |
| მეორე: | ნაცარი | 16,72 | 19,14 „ |
| | გოგირდი | 2,12 | 0,98 „ |
| | სისველე | 0,67 | 0,72 „ |
| | მქროლავი ნივთიერებ. | 37,82 | 38,30 „ |
| | კოკსი | 62,18 | 61,70 „ |

ტყვიბულის ქვა-ნახშირის ექსპლოატაცია დაიწყო 1847 წელს, როდესაც შავი-ზღვის ფლოტისათვის ამოღებულ იქნა 23.000 ფ. შემდეგ ამოღება პროგრესიულად იზრდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1860 | წელი | 150.000 | ფუთი |
| 1880 | „ | 320.000 | „ |
| 1900 | „ | 3.857.000 | „ |

1900 წლიდან ექსპლოატაცია არ ვითარდება და ქვა-ნახშირის ამოღება 3.500.000—4.800.000 ფუთ შუა ირყევა. ინჟენ. ყიფშიძე აღნიშნავს: „ტყვიბულის ქვა-ნახშირის დამუშავება არ სწარმოებს გაუმჯობესებული წესით, ნახშირს ბაზარზე უშვებენ დაუნამავად (без мокрого обогащения), წვისა და საერთოდ სარგებლობის წესები პრიმიტიულია. ამავე დროს არის შესაძლებლობა დამაკმაყოფილებელი კოკსისა და საგძნობი რაოდენობით გარეშე ფასიანი პროდუქტების მიღებისა“.

ტყვიბულის ქვა-ნახშირის ამოღება შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1909-13 | წ. | საშუალო | 3,5 მილ. ფუთი |
| 1913 | „ | „ | 4,4 „ „ |
| 1914 | „ | „ | 3,9 „ „ |
| 1915 | „ | „ | 4,5 „ „ |
| 1916 | „ | „ | 3,6 „ „ |
| 1917 | „ | „ | 3,4 „ „ |
| 1918 | „ | „ | ცნობა არ არის |
| 1919 | „ | „ | 2,2 „ „ |
| 1920 | „ | „ | 4,8 „ „ |
| 1921 | „ | „ | 4,6 „ „ |
| 1922 | „ | „ | 2,6 „ „ |

უკანასკნელ წლებში ინჟერებ სკორუტასი და კარაპეტიანის ცნობებით ტყვიბულის ნახშირის საერთო ამოღება უდრიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1922/23 | წ. | 1-ლ ოქტომბრამდე | 2,5 მილ. ფუთი |
| 1923/24 | „ | „ „ | 3,8 „ „ |
| 1924/25 | „ | „ „ | 4,5 „ „ |
| 1925/26 | „ | „ „ | 5,3 „ „ |

ინჟენერ კარაპეტიანის ცნობის თანახმად 1923/24 სამეურნეო წელში (1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე) ტყვიბულიდან მიეცა ქვა-ნახშირი (ათას ფუთობით):

| | | |
|---|---|---|
| ა/კავკასიის რკინის გზას | 2.328 | 66% |
| ტფილისის ტრამვაის | 418 | 12 „ |
| სხვა და სხვა სახელმწიფო სამრეწველო წარმოებებს | 396 | 11 „ |
| წყლის ტრანსპორტს | 271 | 7,7 „ |
| სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებას | 16 | 0,5 „ |
| კერძო პირებს | 80 | 2,3 „ |
| მოხმარებულ იქნა ტყვიბულის საკუთარ საჭიროებისათვის | 210 | 5,3 „ |

იმავე ინჟენერ კარაპეტიანის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ტყვიბულის მაღაროები საკმაოდ ეზრუნველყოფილია რონოდებით და ლიანდაგით. ყველა შენობა და მიწის ქვეშა სამუშაოების უდიდესი ნაწილი განათებულია ელექტრონით. მაღაროების სამანქანო განყოფილება რიგიან მდგომარეობაშია, მხოლოდ თითქმის ყველა საბინაო შენობა შეკეთებას მოითხოვს.

ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებში ჩადებულია 976,3 ათასი მანეთი, მათ შორის ძირითადი კაპიტალი—733,6 ათ. მან., საბრუნავი კაპიტალი—197,4 ათასი მანეთი და საამორტიზაციო ფონდი—30,4 ათასი მანეთი. მუშა ხელზე საანგარიშო წლის განმავლობაში დახარჯულია 321.000 მანეთი. ფუთი ნახშირის თვითღირებულება (1923/24 წ.) გამოანგარიშებულია 7,5 კაპ. გასაყიდი ფასი უბრალო ნახშირის—15—17,5 კაპიკამდე, მსხვილი და წვრილი ნახშირის—21,5—23,5 კაპიკამდე, სამჭედლოს ნახშირისა—28-31 კაპ. და წვრილმანის—8,5—10,5 კაპიკამდე ფუთი ფრანკო სადგური ტყვიბული. სახელმწიფო დაწესებულებებს ბითუმად ყიდვის დროს შეღავათი ეძლეოდათ 40% დე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ტყვიბულის ქვა-ნახშირის ამოღება ძლიერ გაიზარდა და ომამდე არსებულ დონეს მიაღწია და აგრეთვე ამ ნახშირის მოთხოვნილება საგრძნობლად გაიზარდა როგორც შიგ რესპუბლიკაში, ისე მის გარედ. წარმოების ტეხნიკური გაუმჯობესების წყალობით ნახშირის ღირსებამაც აიწია: ნაცარიანობა 1921 წ. —29%-ს აღწევდა, 1924/25 წ. კი ის 15%-დე დაეცა.

ტყვიბულის ქვა-ნახშირის წარმოებაში მუშაობდა:

| | |
|---|---|
| 1909-13 წ. (საშუალო წლიური) . . . . | 556 კაცი |
| 1923-24 წ. . . . . | 673 „ |
| 1924-25 წ. . . . . | 700 „ |
| 1925-26 წ. . . . . | 824 „ |

ამ რიგად, წარმოებაში ჩამბული მუშათა რიცხვი თანდათან მატულობს, მატულობს აგრეთვე ამოღებული ქვა-ნახშირის რაოდენობაც.

საჭიროა წარმოების შემდეგი გაუმჯობესებანი. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე სწარმოებს.

## ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

საქართველოში გამოკვლეულ ქვა-ნახშირის ბუდობებიდან ყველაზე მდიდარი და ხარისხით უკეთესი არის ტყვარჩელის ქვა-ნახშირი, რომელიც აფხაზეთში, ოჩემჩირის ახლოს, ზღვიდან 35 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

ეს ბუდობი გამოკვლეულ იქნა 25 წლის წინად და ჯერ კიდევ 1899 წ. ინჟენ. ჩერნევსკიმ, დენბსკიმ და შახ-გული მირზამ მოახდინეს გამოკვლევა და გააკეთეს პირველი ანალიზები.

შემდეგ 1900 წელში ტყვარჩელის ბუდობი დათვალიერებულ იქნა ინჟენერების დუტუგინის, ვებერის და მარგოლიუსის მიერ. 1901-1904 წ.წ. ბუდობები გამოაკვლია ინგლისელ ინჟინერებმა, პროფ. გალოვეიმ და ემბლეტოკიმ.

ფენების საგრძნობი სისქემ, ნახშირის მაღალმა ხარისხმა, 9.000 კალორიის თბო-უნარიანობამ და სხვ. რამოდენიმეჯერ მიიპყრო ევროპის კაპიტალისტების ყურადღება. პროფ. გალლოვეის გამორკვევით ტყვარჩელის ნახშირი ჰგავს მანმუზერშეირის საუკეთესო ხარისხის ნახშირს, ხოლო ყოფ. რუსეთის იმპერიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის გამორკვევით ტყვიბულის ნახშირი ნიუკესტელსკის ნახშირს ჰგავს. დაბოლოს ტყვარჩელის ნახშირი გაგზავნილი იქნა ქერჩში ცეცხლით დასაწმენდ ღუმელებში გამოსაცდელად, რის შედეგად მიღებულ იქნა 68,2 პროც. მეტალურგიული ფოლადისფერი კოკსი. 1900 წ. ნახშირი გამოსაცდელად გადაეცა შავი-ზღვის სამხედრო ფლოტს. ნალმიან კრეისერ „კაპიტან სახენ"-ზე, ტრანსპორტ „ბუგ"-ზე და ნალმოსან № 256 ტყვარჩელის ნახშირი ცნობილ იქნა, როგორც ფრიად მაღალი ხარისხის მქონე, ამავე დროს მისი ხარჯი გამოიხატა საათში $2^1/_2$ გირ. თითო ინდიკატორის ძალაზე.

მაგრამ მიუხედავად ტყვარჩელის ნახშირის ასეთი უპირატესობისა და მისი ზღვასთან სიახლოვისა, ეს მდიდარი ბუდობი არ მუშავდება და უქმად ძევს.

ამ ადგილებზე მიმდინარეობს მდ. გალიზგა, რომელსაც ინჟენ. ბაბეს გამოანგარიშებით შეუძლია 83.442 ცხენის ძალის ჰიდრავლიური ენერგიის მოცემა. ეს გარემოება ჰქმნის ამოღების და ტრანსპორტის მექანიზაციის შესაძლებლობას ელექტროფიკაციის საშუალებით.

ტყვარჩელის რაიონში არის შესანიშნავი ტყე, რომელსაც შეუძლია ადგილობრივადვე მოცემა საჭირო გასამაგრებელ მასალებისა, იქვეა საამშენებლო ქვა და სილა.

მდინარე გალიზგას შენაკადები ფრიად საჭიროა ამოღებულ სქელ ფენების თხიადი (для мокрой закладки) ამოვსებისათვის.

და ბოლოს, ინჟენ. გალოვვის და ინჟენ. ჩერნევსკის გამოანგარიშებით, ნახშირის მარაგი უდრის $12^1/_2$ მილიარდ ფუთზე მეტს, რაც სრულ საფუძველს იძლევა, რომ ყოველწლიურად შესაძლებელია 120—200 მილ. ფუთი ქვა-ნახშირის ამოღება.

იმავე ინჟინერების გამოანგარიშებით, ნახშირის თვითღირებულება იქნება 6—8 კაპ. ფრანკო სოხუმი ან ფოთი. მაგრამ გარდა მაღალი ღირსების სათბობი მასალისა, ტყვარჩელის ნახშირს შეუძლია მოცემა საკმაოდ ფასიანი პროდუქტის—ქვა-ნახშირის კუპრისა (ფისი); ბენზოლისა და ტოლუოლის დიდი შემადგენლობით. ეს პროდუქტები იძლევა მასალას სხვა და სხვა ფარმაცევტიული ნაკეთობისათვის: სალიცილის მჟავასი, საღებავისა, სახარინისა, ნაფტალინისა, ანტიპირინისა, პიკრინის მჟავასა, კარბოლის მჟავასათვის და სხვ. სოფლის მეურნეობისათვის შესაძლებელია გამომუშავებულ იქნას გოგირდ-მჟავა ამონი, რომელიც ფრიად ასუქებს მიწას და ანაყოფიერებს მას ტეხნიკური კულტურებისათვის.

სათბობი მასალის მხრივ ტყვარჩელის ქვა-ნახშირი გამოდგება საქართველოს მეტალურგიული მრეწველობისათვის, რომელიც მოითხოვს კოკსს და ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებისათვის—აზერბეიჯანსომხეთისათვის, რომელთაგან პირველს აქვს მდიდარი რკინის მადანი —500.000 ათ. ფ. (60 პროც. რკინას შეიცავს), ხოლო მეორეს სპილენძის დიდი მარაგი. ამავე დროს არც ერთ მათგანს არა აქვს თავისი ნახშირი და მათი ამ დარგის მრეწველობა დამოკიდებულია დონის ქვა-ნახშირისაგან.

ყოფ. რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს ლაბორატორიაში გაკეთებული ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ანალიზის შედეგი ასეთი იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| სისველე . . . . . | 0,93 | — | 1,0-დე |
| ნაცარი . . . . . | 5,92 | — | 6,37-დე |
| გოგირდი . . . . . | 0,98 | — | 1,39-დე |
| ნახშირბადი . . . . . | 79,64 | — | 85,92-დე |
| მქროლავი ნივთიერებანი | 7,67 | — | 8,57-დე. |
| თბო-უნარიანობა . . . | 7.710-დან | | 9.000 კალორიამდე |
| კოკსის გამოსავალი . . | 66,89 | „ | 78,20%. |

ცხადია, რომ ასეთი ბუდობების დასამუშავებლად დახარჯული კაპიტალი სრულიად უზრუნველყოფილი იქნება დიდი მოგებით.

ტყვარჩელის ექსპლოატაციის შესახებ 1920 წ. სწარმოებდა მოლაპარაკება მრავალ ევროპიულ ფირმასთან და გამომუშავდა საკონცესიო ხელშეკრულება ორ მსხვილ ევროპიულ ბანკთან. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ახალი ნავთ-სადგურების გაკეთებას და ახალი რკინის გზის გაყვანას, აგრეთვე აფხაზეთის ტყეების ექსპლოატაციას.

სამი წლის მოსამზადებელი ხანის გასვლის შემდეგ კონცესიონერები ვალდებული იყვნენ ამოეღოთ ნახშირი:

პირველ წელში—200 ათ. ტონა, მეორე წელში—400 ათ. ტონა, მესამე წელში—600 ათ. ტონა, მეოთხე წელში—800 ათ. ტონა, მეხუთე წელში—1.000.000 ტონა, მეექვსე წელში—1.300.000 ტონა, მეშვიდე წელში—1.600.000 ტონა, მერვე და შემდეგ წლებში—2.000.000 ტონა.

კონცესიონერები ვალდებული იყვნენ საქართველოს მთავრობისათვის გადაეცათ მოსამზადებელ ხანაში ამოღებული ნახშირის 5 პროც., შემდეგ პირველ 10 წელში—10 პროც., შემდეგი ათი წლის განმავლობაში—15 პროც., შემდეგ კი საკონცესიო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე—20 პროც.

პროცენტული ანარიცხი მთავრობას უნდა მისცემოდა ყველა ხარისხის ნახშირიდან პროპორციულად.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კონცესიონერებისაგან მიღებული ნახშირი ვერ დააკმაყოფილებდა საქართველოს მრეწველობის მოთხოვნილებებს, კონცესიონერები ვალდებული იყვენ საქართველოსათვის დაეთმოთ დანარჩენი ნახშირის 25 პროც. ადგილობრივ საბაზრო ფასებში.

კონცესიონერები ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს აძლევდენ ერთ მილიონ იტალიურ ლირას.

ეს მოლაპარაკება და წინასწარი ხელშეკრულების დადება ამტკიცებს, რომ ტყვარჩელის ნახშირს მსოფლიო მასშტაბით სერიოზული საძრეწველო მნიშვნელობა აქვს.

### სხვა რაიონების ნახშირი.

ტყვიბულის ბუდობებთან გეოლოგიურად დაკავშირებულია გელათის მცირე ბუდობი. თბო-უნარიანობა ამ ნახშირისა ტყვიბულისაზე დაბალია (5017 კალორია), მაგრამ მას უფრო ადვილად ეკიდება და შეიძლება მოხმარებულ იქნას საცხოვრებელი შენობების გა-

სათბობად. გელათის ნახშირის მარაგი განსაზღვრულია 50 მილიონ ფუთით.

ზღვიდან რამოდენიმე ვერსის მანძილზე, აფხაზეთში, სოფ. კოჯერიბშის მახლობლად, მდინარე ბზიბის ქვემო დენაში არის კარგი ღირსების ნახშირის ბუდობები, რომელიც გამოდგება ორთქმავლების გასათბობად. ცალკე ფენების სიმდიდრე 3 საჟენამდე აღწევს, მაგრამ მარაგი არ არის გამორკვეული. ეს ბუდობი მუშავდებოდა, მაგრამ ამოღება უმნიშვნელო იყო—1912 წ.—4.000 ფ. და 1917 წ.—4.500 ფ. დამუშავებას ხელს უშლის გზების უქონლობა.

სამხო სამმართველოს ლაბორატორიაში გაკეთებული ანალიზის შედეგი ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| ნახშირბადი . . . . . | 38,40-დან | 40,00%-დე |
| მქროლავი ნივთიერებანი . . | 16,74 — | 24,60 „ |
| სისველე . . . . . | 4,27 — | 4,60 „ |
| ნაცარი . . . . . | 30,00 — | 39,10 „ |

თბო-უნარიანობა გამოურკვეველია.

ნახშირი ძევს ოთხ ფენად, 5-დან 6 მეტრის სიძლიერით. სხვადასხვა ფენებიდან და ადგილებიდან აღებული ნახშირის ანალიზით ინჟენ. ჩარნოტსკიმ შემდეგი სურათი მიიღო:

| | | |
|---|---|---|
| ნახშირბადი . . . . . | 54,37-დან | 69,60%-დე |
| ნაცარი . . . . . | 3,90 — | 44,77% „ |
| გოგირდი . . . . . | 1,01 — | 3,01% „ |
| სისველე . . . . . | 4,86 — | 11,02% „ |

ამ ბუდობების ნახშირის მარაგი გამოანგარიშებულია 720 მილ. ფუთის რაოდენობით.

ნახშირის ბუდობები არის აგრეთვე ქართლში და კახეთში. აქ ბუდობები მრავალია, მაგრამ უმნიშვნელო მარაგით და მათი ნახშირიც დაბალი ხარისხისაა.

---

# ნავთი.

ნავთის წყაროები საკმაოდ მრავლადაა საქართველოში. ნავთი გამოკვლეულია ინჟ. რატცეს მიერ, მაგრამ ნავთის ბუნებრივი მარაგის რაოდენობა გამორკვეული არ არის. ინჟენ. ბაბეს დასკვნის თანახმად ნავთის მარაგი საქართველოში საგრძნობლად დიდია. ინჟ. ყიფშიძე ამბობს, რომ ნავთის დამჟავების პროდუქტი—ასფალტი, შეიძლება დიდის რაოდენობით მოპოებულ იქნას რესპუბლიკის მრავალ პუნქტებში *).

რატცე შემდეგ ცნობებს იძლევა საქართველოში ნავთის წყაროების შესახებ.

იმერეთში, ბაღდადის მიდამოებში, მდ. ღანის-წყალის ველზე მდინარის კალაპოტში გამოდის შავი ნავთი. სადგურ მარელისის ახლოს, მდ. მასა-კიდეს ღელეს ველზე არის აგრეთვე 0,930—0,935 ხვედრითი წონის შავი ნავთი.

ქართლ-კახეთში—ნავთლუღში, ქ. ტფილისიდან 12 კილომეტრის მანძილზე არის მჩატე ნავთის წყარო, გოგირდის წყლის შენარევით. ამ წყაროს ნავთის ხვედრითი წონაა 0,890—0,905.

მდინარე ალაზანის მარჯვენა შენაკადის, მდ. რიყეს მიდამოებში, გომბორის მთების ჩრდილო ფერდობზე არის მჩატე შავი ნავთის წყარო, რომლის ხვედრითი წონა არის 0,851—0,879-დან—0,910-დე და შეიცავს 25 პროც.-ს ბენზინს.

კახეთის მთებში, სიღნაღის სამხრეთით, სოფლების: მაჩხანის, ბოდბეს და მირზაანის მიდამოებში არის მთელი ჯგუფი ნავთის წყაროებისა, რომლებიც შეიცავენ ოზოკერიტს. ამ წყაროების ნავთი საკმაოდ მძიმეა და მისი ხვედრითი წონაა—0,957.

წითელ ჭებში (Красные колодцы) არის რამოდენიმე წყარო ნავთისა, რომელიც შეიცავს 25 პროც.-ს პარაფინს და რომლის ხვედრითი წონაა—0,910.

---

*) ბაბე: „Ископаемые богатства Грузии“ 1920 წლ. გამოცემა 29 გვ.
ყიფშიძე: „Краткие сведения о горных богатств. Грузии“ 1919 წლ. გამოცემა, 36 გვ.

შირაქის ველზე, მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე არის წყაროები მჩატე ნავთისა, დიდძალი ბენზინის შენარევით. ხვედრითი წონა— 0,900—0,910.

ელდარის რაიონში მოიპოვება მძიმე ნავთი 0,980 ხვედრითი წონის.

სოფ. დავით-გარეჯის, პატარა ძირულის, მუხროვანის, მარტყოფის, ნორიოს ნავთის წყაროებიდან სცემს გოგირდის გაზი და მანათობელი გაზი.

ნავთის წყაროები კიდევ მრავალ ალაგას მოიპოვება საქართველოში, მაგრამ ისინი შესწავლილი არ არის და მათი ნავთის ხვედრითი წონა გამოურკვეველია.

ნავთის სამრეწველო მიზნით მოპოების ცდას ადგილი ჰქონდა წარსული საუკუნის ოთხმოცდა ათიან წლებში სიღნაღის მაზრაში, პატარა შირაქის ხნარცვში.

ნავთის ამომღები და გამწმენდი საწარმონი დაარსებული იყო ძმებ ოთაროვების მიერ და 1902 წ. გახსნილ იქნა შესაფერი ქარხნები, რომლებმაც 6 წელი იარსება. ექვსი წლის განმავლობაში ქარხნებმა იმუშავეს სულ 543 დღე და ამოღებულ იქნა სულ 92.000 ფუთი ნავთი, რომლისგან მიღებული იქნა 1.600 ფ. ბენზინი, 49.500 ფ. მაზუთი და 9.400 ფ. ნავთი; 1908 წ. ეს ქარხნები თანხების უქონლობისა გამო დაიხურა.

ამ ჟამად საბჭოთა მთავრობამ ყურადღება მიაქცია შირაქის ველს და საკონცესიო ხელშეკრულება დასდო იტალია-ბელგიის სამთო-სამრეწველო საზოგადოებასთან ნავთის დამუშავების შესახებ. 1924 წ. დაიწყო მუშაობა ნავთის ბუდობების გამოკვლევის მიზნით. განზრახულია შირაქის ნავთის წყაროების ფართო გამოკვლევა *).

1926 წ. ყურადღება მიექცია გურიაში ნავთის არსებობამ. მთავრობამ განსაზღვრული თანხა გადასდო გურიაში გეოლოგიური და სხვა გამოკვლევის მოსახდენად. გამოკვლევა უკვე დაიწყო და ის გვიჩვენებს, ექნება თუ არა გურიის ნავთს სამრეწველო მნიშვნელობა.

ამ რიგად, როგორც დავინახეთ, საქართველოს მრავალ პუნქტში არის ნავთის წყაროები. ზოგიერთი ამ წყაროთაგანი შეიცავს ძვირფასი პროდუქტის—ბენზინის და პარაფინის დიდ პროცენტს. ამიტომ ამ დარგში კაპიტალის დახარჯვა მოგებით უზრუნველყოფილი იქნება.

---

*) „Заря Востока“ № 611, 28 ივნისი, 1924 წ.

მეფის მთავრობის დროს ბაქოს ნავთის მრეწველნი და მათი მფარველი მთავრობა არ აძლევდენ მსვლელობას საქართველოს ნავთიანი ადგილების გამოკვლევის საქმეს იმ მიზნით, რომ არ შექმნილიყო ბაქოს ნავთისთვის კონკურენცია.

ძმებ ოთაროვებისათვის კრედიტების მიუცემლობამ, საქართველოს ნავთიანი ადგილების ბანკის საშუალებით შესყიდვამ და ამ მიწების „თადარიგში" გადარიცხვამ (მიწები: მუხთაროვის, ტაგიევის, ნობელის—ყარსის ოლქში და ამ-კავკასიის სხვა პუნქტებში) შეუძლებლად გახადა საქართველოს ნავთიანი ადგილების გამოკვლევა და ექსპლოატაცია.

ამ ჟამად, როცა მეფის მთავრობა თავისი „მიდრეკილება—მიდგომით" „არქივის" საკუთრებას შეადგენს, ფართოდ უნდა იქნას დაყენებული საქართველოს ნავთის გამოკვლევისა და შესწავლის საქმე, ამ მხრივ ხელისუფლების მიერ უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები და მახლობელ წლებში გამოირკვევა საქართველოს ნავთის ბედიღბალი.

რომ დავამთავროთ საქართველოს სათბობ საშუალებათა მიმოხილვა, საჭიროა მოვიხსენიოთ ტორფის ბუდობები, რომელთა. 50.000 დეს. უჭირავთ ფოთის ახლოს და რომლის სისქე და სიმძლავრე $5^1/_2$ მეტრს აღემატება.

ტორფის ბუდობები არის აგრეთვე მდინარე ინგურის და რიონის დაბლობზე და მდინ. ხობის მიდამოებში.

ტორფს ის მნიშვნელობა ექნება, რომ ის, როგორც სათბობი მასალა, ჩვენს ტყეებს გაჩეხვას გადაარჩენს.

---

# რკინა.

რკინის მადანი საქართველოს ტერიტორიის მრავალ ადგილას მოიპოვება, უმთავრესად რკინის წითელი სიმჟავების სახით.

სამწუხაროდ, რკინის საბადოები ცუდადაა გამოკვლეული, ხოლო რკინის მადანის მარაგი, არსად არაა გამორკვეული, გარდა ჩათახის საბადოსი.

ინჟ. ბაბეს ცნობებით საქართველოში რკინის შემდეგი საბადოებია:

1. აფხაზეთში—რკინის მადანი არის მდ. ბზიბისა და კოდორის აუზში. რკინის პროცენტული შემადგენლობა გამოურკვეველია.

2. ჭოროხის რაიონში მდ. მორგულ-სუს აუზში არის რკინის წითელი სიმჟავე. მადანი შეიცავს 54 პროც. რკინას და მდ. ხათილა-სუს მადანი შეიცავს 50,5 პროც. რკინას. მსგავსი მადანი მოიპოვება ართვინის მიდამოებში, ბეშაულში, სინგოში და ირცში.

3. ქობულეთის ახლოს, ზღვის პირზე მდინარე სუფსასა და ნატანების შესართავთა შუა არის ქვიშა, რომელიც შეიცავს 10 პროც. მაგნიტის რკინას.

4. იმერეთში, ბანოჯას ახლოს (ქუთაისის მაზრაში) იღებდენ ოხრას (ყვითელი სამღებრო ქვაა); 1913 წ. ამოღებული იქნა 344 ტონა; იმავე წელში შორაპნის მაზრაში, სოფელ შროშაში—ამოღებული იქნა 10 ტონა ოხრა, რომელიც შეიცავდა რკინას—16--40 პროც.-დე (საშუალოდ 29 პროც.).

5. რაჭაში მრავლად არის წაბლის ფერი და წითელი ჯავარიანი მაგარი ქვა, ლახოსტაკი (железняк), რომელიც უძველეს დროიდან ცნობილია ჩასავალში, წედისში, ხიროდში, გოგალეთაში და სხვა ადგილებში.

6. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩათახის რკინის საბადო, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისიდან 70 ვერსის და ლიუქსემბურგიდან 9 ვერსის მანძილზე, ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისის ხეობაში.

ჩათახის რაიონის საბადოები არის მდინარე ბოლნის-ჩაის ორივე მხარეზე. ინჟენ. გეოლოგი კარაპეტიანი შემდეგნაირად აწერს ჩათახის რკინის მადანის საბადოებს:

მდინარე ბოლნის-ჩაის მარჯვენა ნაპირზე მადანი მოიპოვება: 1) სარკინეთის მთაზე—ცუგრუგუშენში, 2) ამ ადგილიდან აღმოსავლეთით 275 საჟ. მანძილზე პატარა მაღლობის ფერდობზე, 3) 1—$1^1/_2$ ვერსის მანძილზე მაღალი მთის ფერდობზე და 4) უკანასკნელთა ჩრდილო-აღმოსავლეთით $3^1/_2$ ვერსის მანძილზე, გულარის მთაზე.

მდ. ბოლნის-ჩაის მარცხენა ნაპირზე მადნით ცნობილია შემდეგი ადგილები: 1) დემირ-სუ, 2) მთა დემირ-დაგი, 3) ამ ადგილებიდან დასავლეთის $2^1/_2$ ვერსის მანძილზე მთის ფერდობზე და 4) სოფელ ბოლნისიდან 3 ვერსის მანძილზე დასავლეთით—ბაღდადში და პალტაში.

ყველა აქ ნაჩვენებ ადგილებში არის ნიშნები იმისა, რომ ერთ-დროს იქ ყოფილა მადნის დამუშავება. ინჟ. კარაპეტიანის აზრით იმ ადგილებზე უხსოვრის დროიდან ხდებოდა მადანის ამოღება. შემდეგ იქვე ადნობდენ მას და რკინა გამოყავდათ. ამ ადგილებისავე ახლოს შემჩნეულია კვალი უძველესი დასახლებული პუნქტებისა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იქ სცხოვრობდა დიდძალი მოსახლეობა, რომელიც ალბად ამუშავებდა მადანს და იმისგან რკინას ღებულობდა. ინჟ. კარაპეტიანმა იპოვა ძველი დიდ-ძალი ხროვა ლითონის წიდასი (шлак) შემდეგ ადგილებში; 1) მადანის საბადო დემირ-სუს ახლოს, 2) დემირ-დაგის ძირთან, 3) სოფ. შანშიევკას ხეობაში და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ძველ დროში, ამბობს ინჟ. კარაპეტიანი, ამომღებნი და გადამმუშავებელნი, როგორც სჩანს, არ ყოფილან გაცნობილი მადანის დამუშავების გაუმჯობესებულ წესებს და მადნიდან ღებულობდენ რკინას მცირე რაოდენობით; ლითონის წიდას ნაჭრებიდან ანალიზით მიღებულ იქნა რკინა 38 პროც.-დე. ძველი მელითონენი ამუშავებდენ ისეთ ადგილებს, სადაც პრიმიტიული წესით ადვილად შეიძლებოდა მადანის მიღება და თუ რაიმე დაბრკოლებები შეხვდებოდათ, სხვა ადგილებზე გადადიოდენ. ჩათახის საბადო წინეთ ალბად სამჭედლო იქნებოდა ა.-კავკასიის დასავლეთ რაიონებისათვის. ჩათახის საბადოების შესახებ ნაჩვენებია ვახუშტის გეოგრაფიაში, რომელიც აღნიშნავს მდ. პოლადაურს (ფოლადის ადგილი) და სარკინეთის ადგილს (რკინის ადგილი). ეს სახელწოდებები შემდეგ თათრების მიერ შეცვლილ იქნა სახელებით: დემირ-სუ (რკინის წყალი) და დემირ-დაგი (რკინის მთა) და სხ.

1807 წელს ლოგინოვმა მოუსწრო ჩათახის რაიონში ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ რკინის დამუშავებას, მაგრამ ეს წარმოება მალე შეწყდა. 1850 წ. ჩათახის რაიონი გამოიკვლია გეოლოგ აბიხმა, შემდეგ ინჟ. ივანიცკიმ. უფრო სერიოზული გამოკვლევა ამ რაიონისა აწარმოვა 1905 წ. ინჟ. ერნმა.

მის მიერ ქედაბეკის ლაბორატორიაში გაკეთებულმა ანალიზმა შემდეგი გამოარკვია:

| | დემურ-დაგის მადანი | ცუგრუგუშენის მადანი |
|---|---|---|
| რკინა | — 59,28 პროც. | 58,24 პროც. |
| პირიტი | —0,022 „ | 0.028 „ |
| გოგირდი | 0,21 „ | 0,095 „ |

ინჟ. ერნის *) აზრით მადანის სიძლიერე ცუგრუგუშენში 5 საჟენამდე აღწევს და ორივე ძარღვში საშუალოდ $1^1/_2$ საჟენზე მეტია მადანის მარაგი: მინიმალური გამოანგარიშებით 800.000 ტონას უდრის.

ჩათახის საბადოებიდან მადნის ამოღება დაწყებული იქნა 1862 წ., როცა აშენებულ იქნა ვიტესი და ბერნულის ორი პატარა ქარხანა ძველი ტიპის ორი ბრძმედით. 1862 წლიდან 1875 წლამდე ამ ქარხნებში 700.000 ფ. მადანიდან გადადნობილი იქნა 219.000 ფ. თუჯი. ქარხანა მუშაობდა ხის ნახშირით, რაც მისი ხელმძღვანელების გამოუცდელობის მაჩვენებელია. მადანის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადნობდენ თუჯის მცირე რაოდენობით შემცველ მადანს, თორემ 700.000 ფ. 60 პროც. რკინის მადნიდან 219.000 ფ. მაგივრად 400.000 ფუთამდე თუჯი უნდა გამოსულიყო. ერთი ფუთი თუჯის გადადნობაზე $1^1/_2$ ფ. ხის ნახშირი იხარჯება. ქარხნის ირგვლივ ყველა ტყეები ნახშირად იქნა დამწვარი. წვის წესები პრიმიტიული იყო, მაგრამ თანხების სიმცირის, მინერალური სათბობის უქონლობის გამო, ტფილისთან ძნელი მიმოსვლისა და აგრეთვე მადნის დამუშავების უცოდინარობის გამო ისეთი პირობები შეიქმნა, რომ 1875 წ. ქარხანა დაიხურა და მასთან ერთად შეწყდა მადანის ამოღებაც.

ქარხანა მოწყობილი იყო მდ. ლოქო წყლის და ფირფინ-ჩაის შესართავთან ახლოს; ქარხნის მუშაობის პირველ ხანაში აღნიშნული მდინარეებიდან ქარხანაში მიყვანილი იყო წყალი—არხი დღემდე

*) ინჟ. ერნის ცნობები Кипшидзе: „Горные богатства Грузии“ 1919 წ. ჯამოც. გვ. 33.

შენახულია. ამ ჟამად კი წყლის ენერგიის გამოყენება, ცხადია, უკეთ შეიძლება ელექტრონის ენერგიის სახით.

ჯერ კიდევ 1865 წ. ჩათახის გამოკვლევის შემდეგ ინჟ. ივანიცკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩათახის საბადოს ფენების სიძლიერით და მადნის შემადგენლობით, რომელშიც რკინა ზოგან 84,82 პროც. აღწევს, ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საბადოა ევროპაში,

ინჟ. კარაპეტიანი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია ჩათახის მადანის საერთო მარაგის თითქმის დაახლოვებითი გამორკვევაც, ვინაიდან არ არის ცნობები მადნეულის მასის სიღრმისა და გამადნებული მასის რაოდენობის შესახებ. ის მცირე გამოკვლევითი საექსპლოატაციო მუშაობა, რომელიც სარკინეთის მიდამოებში სწარმოებდა, ნათლად მიგვითითებს საბადოების სიმდიდრეზე. ჩათახში მუშაობის დროს მუშავდებოდა მხოლოდ ისეთი მადანი, რომელიც 35—36 პროც.-ს შეიცავდა. ექსპლოატაციის ასეთ წესს ინჟ. კარაპეტიანი მტაცებლურ წესს უწოდებს. გაუჯობესებული ტეხნიკური პირობები შესაძლებელად გახდიან უფრო ღარიბი მადნების ექსპლოატაციას.

სარკინეთის მადნის ეძსპლოატაციას შეუდგენ ჯერ კიდევ 1922 წელში; ამ მუშაობას შინამრეწველობითი ხასიათი ჰქონდა დ 1926 წ. მუშაობა ჩათახში შეწყვეტილი იქნა, რადგანაც მისი დამუშავების ტეხნიკის დღევანდელ პირობებში ის საზარალო წარმოება შეიქნა.

ჩათახის რაიონში მოსახლეობა ჯერ კიდევ უძველეს დროში აწარმოებდა რკინის დნობას, იქ, სადაც წყალმა მიიღო პოლადაურის სახელი (ფოლადიანი ადგილი), ხოლო მთას სარკინეთი უწოდეს, ცხადია, რკინის წარმოებას უაღრესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს; მხოლოდ ჯერ-ჯერობით არ არის მოხდენილი საჭირო კვლევა-ძიება და არც გაუმჯობესებული მადნის დამუშავების ტეხნიკაა გამოყენებული და ამიტომ ჩათახის წარმოება საზარალო წარმოებათაა აღიარებული, მაგრამ ზემოთ აღნიშნული პირობები აშკარად ღაღადებენ ჩათახის პერსპექტივებზე.

# სპილენძი და ზოგიერთი სხვა მინერალი.

საქართველოში არის სპილენძის მადანის რამოდენიმე ბუდობი. სამრეწველო მნიშვნელობა აქვს შემდეგ ბუდობებს:*) ბორჩალოს მაზრის ალავერდის რაიონი, ქვარცხანა და ძანსული ართვინის ოლქში, ბელოვანი, ზაქათალის ოლქი,**) თელავის მაზრაში სადგ. ყაზბეგთან ახლოს (ქართულ სამხედრო გზაზე), ტფილისის მაზრაში ბელი-კლიუჩის მიდამოებში და რაჭის მაზრაში.

1) ალავერდის რაიონი. ამ რაიონის მადანი ანალიზის მიხედვით შეიცავს (დაბლობ რაიონში):

| | | |
|---|---|---|
| სპილენძს | — 3,48 %-დან | — 7,69 %-დე |
| რკინას | — 23,23 „ | — 76,76 „ |
| გოგირდს | — 20,11 „ | — 34.00 „ |
| (მაღლობ რაიონში): | | |
| სპილენძს | — 3,78 „ | — 4,71 „ |
| თუთიას | — 29,07 „ | — 43,48 „ |
| ტყვიას | — 14,45 „ | — 18,80 „ |
| რკინას | — 8,18 „ | — 17,53 „ |

თუ მადანი შეიცავს სპილენძს 3-დან 18 პროცენტამდე. ჩვეულებრივად სამრეწველო ხასიათის მადნად არის ცნობილი.

მაღლობი რაიონის მადანის თითეული ტონა შეიცავს კეთილშობილ ლითონებს: ვერცხლს—36,0-დან — 57,3 გრამამდე და ოქროს 0,6 — 0,8 გრამამდე. ერთი ტონა წითელი სპილენძი შეიცავს 783 გრამამდე ვერცხლს და 13 გრ. ოქროს. ალავერდის ქარხნის ნაყოფიერება ნაანგარიშევია 200.000 ფ. სპილენძი წლიურად. 1907—1913 წ. კავკასიის სამრეწველო მეტალურგიული საზოგაოოების ქარხნებში წლიურად საშუალოდ ადნობდენ 153.000 ფ. სპილენძს.

---

*) Кипшидзе. Горные богатства Грузии. гв. 21.

**) ჩამოთვლილი ბუდობები 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს ფარგლებში არ შედიან.

1919 წლისთვის გამოკვლეული და მომზადებული იყო 4 მილ. ფ. 3,8 პროც-დან 7 პროც. სპილენძის შემცველი მადანი. ამ მადნიდან შეიძლებოდა მიღება 500.000 ფუთ. გოგირდის ალმადანისა, რამოდენიმე ათეულ ათას ფუთ კარგი ღირსების თუთიას მადანისა და 100 ფუთზე მეტი ვერცხლისა და 2 ფ. ოქროსი.

2) **ახტალაც** უძველესი დროიდან ცნობილია თავისი სპილენძით. ახტალის ბუდობის სპილენძის ანალიზის შედეგი ასეთია:

**მადნების პირველი ჯგუფი:**

| | | |
|---|---|---|
| რკინა | — 43,32%-დან | — 43,78 %-დე |
| თუთია | — 13,96 „ | — 14,94 „ |
| ტყვია | — 11,10 „ | — 15,81 „ |
| სპილენძი | — 4,63 „ | — 4,93 „ |

**მადნების მეორე ჯგუფი:**

| | | |
|---|---|---|
| რკინა | — 20,19%-დან | — 20,43 %-დე |
| თუთია | — 9,61 „ | — 10,00 „ |
| სპილენძი | — 1,42 „ | — 3,68 „ |
| ტყვია | — 0 „ | — 13,68 „ |

ეს მადნები შეიცავენ აგრეთვე ვერცხლსაც, მაგრამ მისი პროცენტი არ არის გამორკვეული.

3) **შამბლული.** ამ ბუდობის მადანი ანალიზით ისეთივეა, როგორც ახტალას მადანი. 1913 წ. ამოღებულ იქნა 15.773 ტონა მადანი და გადამუშავებულ იქნა 739 ტონა ლითონის სპილენძი. შაგალი-ელიარის ბუდობი შეიცავს რამოდენიმედ მეტს სპილენძს, ვინემ ზემოთ ჩამოთვლილი მადნები, სახელდობრ, 5—6 პროც. სპილენძს. საშუალო წლიური გამომუშავება უდრის 565 ტონა ლითონის სპილენძს.

4) **ჭოროხის რაიონი.** მდ. მორგულ-სუს აუზში არის უმთავრესი ძანძულის საბადოები 0,15-დან—13 პროც. სპილენძის შემადგენლობით. მადნის მარაგი განსაზღვრულია 6,604.416 ტონათი, რომელიც 1.315.088 ტონა ლითონის სპილენძს შეიცავს.

1909 წ. ამოღებულ იქნა 57.981 ტონა მადანი, ხოლო 1910 წ. —35.550 ტონა. ამ ბუდობის საექსპლოატაციოდ არსებობდა ინგლის-ამერიკანული საზოგაღოება, რომელსაც ჰქონდა 200.000 ფ. სპილენძის გადამდნობი ქარხანა.

5/ **ბეშ-აულ-ქვარცხანას რაიონი.** ალავერდის ლაბორატორიაში გაკეთებულმა ამ რაიონის მადანის ანალიზმა გამოარკვია მადნის გან-

საკუთრებული სიმდიდრე სპილენძით. აღებული იყო ოთხი ხარისხის მადანი, რომელშიაც აღმოჩნდა:

| | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| სპილენძი | 0,9 % | 7,81 % | 22,5 % | 50,7 % |
| რკინა | 44,11 „ | 32,85 „ | — | — |
| გოგირდი | 50,15 „ | 40,65 „ | — | — |

მადანი შეიცავს აგრეთვე კეთილშობილ ლითონებს:

ვერცხლს . . . . . 0,0090 %
ოქროს . . . . . 0,00069 „

ამ რაიონის ზოგიერთი ადგილის მადანი შეიცავს აგრეთვე 1,3 პროც. დარიშხანს.

მადნის მარაგი განსაზღვრულია 360.000 ტონათი. ამ ბუდობს ამუშავებდენ 1913 წ. და ამოღებულ იქნა 2·451 ტონა მადანი.

6) **ირსა-ჩაის რაიონის საბადო.** მადანის ძარღვი ამ რაიონში აღწევს ორ მეტრს. პარიზში ჟიარარის ლაბორატორიაში გაკეთებულმა ანალიზმა ასეთი შედეგი მოგვცა (აღებულია მადნის ოთხი ჯგუფი):

| | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| სპილენძი | 14,80 % | 8,80 % | 7,13 % | 16,8 % |
| რკინა | 22,54 „ | 21,98 „ | 18,87 „ | 30,09 „ |
| გოგირდი | 25,85 „ | 25,40 „ | 21,55 „ | 34,50 „ |

ამ რაიონში 1913 წ. ამოღებულ იქნა 1,392 ტონა მადანი. მდ. ხათილასუს და ხოდლარ-სუს აუზში მდებარე მადანიც მდიდარია სპილენძით, რომლის პროცენტი 8,12 და თითქმის 21,5 პროც. აღწევს. 1912 წ. ამ რაიონში ამოღებულ იქნა 819 ტონა მადანი, 1913 წ.—474 ტონა.

მდინარე ჭოროხის და მის შენაკადების აუზში არის 36-დე საბადო სპილენძის მადანის, გოგირდის და სპილენძის ალმადანის, რომელნიც ზოგან სპილენძს შეიცავენ 6,8 პროც, და თითქმის 22,5 პროც-დე. ამ საბადოებში მადანის მარაგი არ არის გამორკვეული.

7) კახეთში ართანა და ფშაველის ჩრდილოეთით მთა საყორნეს ფერდობებზე არის სპილენძის მადანის საბადოები. მადანი შეიცავს 1,43 პროც-დან 8,36 პროც. სპილენძს, ზოგიერთ ადგილებში-კი სპილენძის პროცენტი 17-დე ადის*). მადანის მარაგი გა-

*) Обследование инженеров Лоренц, Цейтлина и Симоновича.

მორკვეულია დაახლოვებით. ფიქრობენ, რომ მადანის მარაგი 50.000 ტონაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

8) ყაზბეგის რაიონში არის მადანის საგრძნობი რაოდენობა, დაახლოვებით 200.000 ტონა, მაგრამ სპილენძის პროც. დაბალია,— 2,0 პროც-დან—4,0 პროც. აღწევს.

სპილენძის მადანი აღმოჩენილია აგრეთვე ღველეთში, წიკლაურში, ბოგულაში და ამ რაიონის ზოგიერთ სხვა ადგილში.

რევოლიუციამდე აქ არსებობდა ბიშლერის სამადნეები, რომლიდან 1910 წ. ამოღებულ იქნა 109.615 ფ. მადანი, 1913 წ.— 189.945 ფ. და 1915 წ.—61.200 ფ.

9) რაჭის და ლეჩხუმის მაზრებშიაც მოიპოვება სპილენძის მადნების გამოურკვეველი საბადოები. ინჟ. ყიფშიძის ცნობებით, მამისონის უღელტეხილზე არის მადანის ძარღვები 2 გოჯიდან 2 არშინამდე მადანის სიძლიერით; ეს მადნები შეიცავენ სპილენძს 5 პროც-დან—20 პროც-დე ხოლო სოფ. ღებში არის 8—9 %/0 სპილენძის შემცველი მადანი.

10) ბოტის საბადოები (ყოფ. სამთომადნო სამრეწველო საზოგადოების „ხოტ"-ის) მადნები შეიცავს სპილენძს 6-დან 8 პროც-დე-ექსპლოატაცია სწარმოებდა 1887 წლიდან თითქმის განუწყვეტლივ. 1910 წ. ამოღებულ იქნა 20.500 ფუთი მადანი და გადამდნარი 685 ფ. სპილენძი; 1915 წ. ამოღებულ იქნა 50.400 ფ. მადანი. 1915 წლიდან მადანის დამუშავება შეწყვეტილია.

სპილენძის მადანის ამოღება ომამდე ფრიად საგრძნობი იყო. ალავერდის ჯგუფის მადნების ამოღება და გადადნობა ომამდე და ომის დროს შემდეგ ციფრებში გამოიხატა:

| | ამოღება: | გადადნობა: |
|---|---|---|
| 1910 წ. | 4.512.895 ფ. | 196.051 ფ |
| 1911 „ | 7.503.505 „ | 211.830 „ |
| 1912 „ | 6.080.582 „ | 233.648 „ |
| 1913 „ | 6.575.262 „ | 231.540 „ |
| 1914 „ | 4.328.516 „ | 198.352 „ |
| 1915 „ | 2.439.116 „ | 115.581 „ |
| 1916 „ | 1.858.331 „ | 103.361 „ |
| 1917 „ | 1.969.926 „ | 74.522 „ |

ამ ჟამად ქარხნებს ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება. საჭიროა აგრეთვე წარმოების რეკონსტრუცია და გადასაზიდი საშუალებების გაუმჯობესება. ალავერდის ფგუფის სრულიად აღსადგენად

საჭირო იქნება 2.000.000 მანეთამდე ორი წლის განმავლობაში და ამ პირობებში აღდგენილ იქნება ალავერდის რაიონის წლიური ნაყოფიერება ომის წინა-დროინდელ დონემდე—200.000 ფ. სპილენძი*).

საერთოდ სპილენძის მრეწველობის განვითარება ჩვენში დამოკიდებულია მადანის ამოღების წესების გაუმჯობესებაზე, მადანის გადადნობაზე, დამატებით საწარმოთა წემოღებაზე იმ ელემენტების გამოსაყენებლად, რომლითაც ამ ჟამად არავინ სარგებლობს, გოგირდმჟავასი და შაბიამანის წარმოების მოწყობაზე და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მამისონის ულელტეხილის საბადოების შესწავლას. მამისონის ულელტეხილის რაიონის მადანი შეიცავს 6—20% სპილენძს, მაშინ, როდესაც ალავერდის რაიონის მადანი შეიცავს 2—5% სპილენძს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აქ სპილენძის პროცენტი 2-დე დადის და ძალიან იშვიათად აღწევს 7-10%.

მდინარე რიონის იაფი ენერგია, რომელიც საჭიროა მადნის ამოღების, დნობის და მადნის გადამუშავების ელექტროფიკაციისა და მექანიზაციისათვის, და მადნის ტრანსპორტის გაიაფება ძალიან ფართო პერსპექტივას უხსნის მამისონის რაიონს.

სამთო-მრეწველობის გამოკვლევა—შესწავლის საკითხები მოქცეულია საქართველოს მთავრობის ყურადღების ცენტრში და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სპილენძის საბადოები საქართველოში სათანადოდ იქნება გამოკვლეული.

## სხვადასხვა მადნეული.

**ოზოკერიტი** არის ნავთის დამჟავების პროდუქცია და გვხვდება საქართველოს მრავალ ადგილებში, ნავთიანი მიწების რაიონებში. ეს მადნეული აღმოჩენილია აფხაზეთში, მდ. ბზიბის ველზე, გურიაში—ნატანების და სამხთოს მიდამოებში, გურიმთაში და ბოქვში, იმერეთში – სოფ. ძმოისის ახლოს, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით და შორაპნის მაზრაში—სოფ. თედელეთის მახლობლად მდინარე ყვირილის მიმართულებით, კახეთში—შირაქის ველზე და თელავის მაზრაში დავით-გარეჯში და სხვ.

ოზოკერიტიანი ჩამონაყარის ანალიზმა, რომელიც პროფესორ ალექსეევის მიერ იქნა გაკეთებული, შემდეგი სურათი მოგვცა:

---

*) ამ ჟამად ალავერდის რაიონი სომხეთის საზღვრებშია მოქცეული.

(ნატანები).

| | |
|---|---|
| ნახშირბადი | 51,17 % |
| სისველე | 4,60 „ |
| O | 35,57 „ |
| ნაცარი | 9,66 „ |

(სამხთო)

| | |
|---|---|
| ნახშირბადი | 84,10 % |
| სისველე | 8,19 „ |
| ნაცარი | 2,17 „ |
| C | 4,98 „ |

(სამხთო):

| | |
|---|---|
| ნახშირბადი | 52,08 % |
| მძიმე და მჩატე ზეთი და გაზი | 4,26 „ |
| სისველე | 1,5 „ |
| პარაფინი | 2,4 „ |

2) **საოლავი** (სურმა). ყაზბეგის რაიონში, სოფ. სიონ და გლოლის მახლობლად და ელიას მთაზე არის საოლავის ბუდობი, ძარღვების სიძლიერე 3-დან 4 გოჯამდე აღწევს. ინჟენ. ყიფშიძის აზრით ეს ბუდობები საკმაოდ მდიდარია და ყურადღების ღირსია. მადნის ანალიზმა აღმოაჩინა 67,43% ლითონის საოლავი.

გარდა ამისა, საოლავის მადანი აღმოჩენილია სვანეთში, სოფ. ბალდეს ახლოს. ინჟენ. ოტენის ანალიზმა გამოარკვია საოლავის მადნის შემადგენლობა. მადანში აღმოჩნდა 67,59% ლითონის საოლავი. ღების სატყეო რაიონში მდ. ჩოშურის გასწვრივ აღმოჩენილია საოლავის მადანი 2-დან 4 გოჯის სიძლიერით.

ამ რაიონის გამოკვლევა აწარმოვა ინჟ. რეიშერსმა 1913 წ. მისი აზრით ეს ბუდობი საგრძნობლად მდიდარია. მადანის ანალიზი არ არსებობს.

3) **ბარიტი** აღმოჩენილია იმერეთში, ქუთაისიდან ჩრდილოეთით და ლეჩხუმის მაზრაში.

რევოლიუციამდე სწარმოებდა ბარიტის დამუშავება. მისი ამოღება შემდეგ ციფრებში გამოიხატა:

| | |
|---|---|
| 1909 წ. | 2.343 ტონი |
| 1912 | 1.163 „ |
| 1913 | 854 „ |
| 1915 | 442 „ |

1913 წ. ბარიტს იღებდენ შემდეგ სოფლებში:

| | | |
|---|---|---|
| ლეკერეთში | 357 | ტონა |
| ონთჭეიშში | 130 | „ |
| ვანში | 63 | „ |
| დარჩში | 170 | „ |
| ოსუნელში | 33 | „ |
| მექვენაში | 16 | „ |
| გაბიჭაში | 20 | „ |
| ჩაკლეთში | 65 | „ |
| სულ | 354 | ტონა. |

**გოგირდის მადნები.** გოგირდის ალმადანი გვხვდება სპილენძის მადნიანი ადგილებში. დიდი ბუდობებია აღმოჩენილი ჭოროხის რაიონში, მდ. მორგულ-სუს აუზში, ძანსულისა და ქვარცხანის მიდამოებში და მდ. აჭარის წყლის აუზში. აფხაზეთში—მდ. ბზიბის და კოდორის აუზებში და სხვ., გურიაში—სოფ. მამათის, ჯვარის და სხვ. მოიპოვება გოგირდის ალმადანის ბუდობები. ოზურგეთის მაზრაში სოფ. ლიგში და შორაპნის მაზრაში ძირულის რაიონში მოიპოვება ალმადანი, რომელიც 55% გოგირდს შეიცავს, რომლიდანაც შეიძლება გოგირდის სიმჟავის მიღება.

დუშეთის მაზრაში აბანოს რაიონში 1897 წლიდან იღებენ გოგირდის ალმადანს. 1897 წ. ამოღება უდრიდა 16.000 ფუთს, შემდეგ ამოღება თანდათან ეცემოდა: 1899 წ. ამოღებულ იქნა მხოლოდ 5.820 ფუთი, ხოლო 1910 წლიდან 1915 წლამდე—მხოლოდ 400 ფუთი წლიურად. სოფ. კობში (დუშეთის მაზრაში) ომამდე სწარმოებდა გოგირდის შინა-მრეწველობის წესით ამოღება.

საქართველოში გოგირდის ალმადანის ამოღების უმთავრესი ადგილია ალავერდის რაიონი, რომელიც 1921 წლ. სომხეთის ფარგლებში მოექცა. 1916 წ. ალავერდის რაიონში ამოღებულ იქნა 3.000 ტონზე მეტი გოგირდის ალმადანი.

**ინფუზორის მიწა,** რომელიც უმთავრესად ნავთის საწარმოებზე იხმარება მილების და ქვაბების იზოლიაციისათვის, ლითონის, მინის და ხის გასაელვარებლად, საღებავების მოსამზადებლად და სხვ. აღმოჩენილ იქნა ახალციხის მაზრ. კისასტიბის და ოხმას ახლოს, ოსნოველის მიდამოებში. ბუდობის სიძლიერე $2^1/_2$ საჟენიდან—3 საჟენამდე აღწევს. ინფუზორიის მიწის მარაგი რამოდენიმე ასეულ ათას ტონაში გამოიხატება.

სხვა და სხვა ლაბორატორიაში გაკეთებულმა ანალიზებმა ასეთი შედეგი მოგვცა:

| | ლონდონის ქიმიური ინსტიტუტის ლაბორატორია | პროფეს. როუს ლაბორატორია | ნობელის ლაბორატორია ბაქოში |
|---|---|---|---|
| წყალი . . . . . | 10,75 % | 10,35 % | 5,75 % |
| ინფუზორიტი . . . . . | 87,25 „ | 89,60 „ | 92,88 „ |
| თიხა რკინის სიმჟავესთან . | 2% | კვალი | 1,29 „ |
| | — | 0,05 | — |
| 0 | — | — | — |

ინფუზორიის მიწის ამოღება იზრდება ნავთის საწარმოთა მოთხოვნილების გადიდებასთან ერთად. 1900 წელს ამოღებული იქნა 740—ტონა, 1910 წ.—3.500 ტონა.—ინფუზორიტი არის აგრეთვე გორის მაზრაში, სურამის მახლობლად. ნობელის ლაბორატორიის ანალიზით ეს მინერალი შეიცავს 92% ინფუზორიტს.

ამ რაიონში ამოღებულ იქნა:

| | | |
|---|---|---|
| 1911 | წელში . . . . . | 190.600 ფ. |
| 1912 | „ . . . . . | 330.000 „ |
| 1913 | „ . . . . . | 10.000 „ |
| 1914 | „ . . . . . | 24.000 „ |

ომისა და რევოლიუციის ხანაში ამოღება შემცირდა და უმნიშვნელო ციფრებში გამოიხატა.

**ქვა საბეჭდი** (ლიტოგრაფიული ქვა). დიდი რაოდენობით მოიპოვება დუშეთის მაზრაში სოფლებ ფასანაურის და ანანაურის რაიონებში, საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად. ინჟინერ სვიმონოვიჩის და მორგულისის დასკვნით ქვასაბეჭდის მარაგი მილიარდ ფუთამდე აღწევს.

თვისებით ამ საბადოს მინერალი ცნობილ ზოლენგოფენის ქვა საბეჭდს ჰგავს.

გარდა ამისა, ქვასაბეჭდი გვხვდება სადგ. ქსანკას ახლოს, გორის მაზრაში, ბელი კლიუჩის მიდამოებში, ტფილისის მაზრაში და მდინარე რიონის ველზე. ქუთაისიდან ჩრდილოეთით მექვენას მიდამოებში, სადაც ჰპოულობენ კარგი ღირსების დიდ ქვებს.

**მარმარილო**, რომელიც მშვენიერ სააღმშენებლო დ სადეკორაციო მასალას წარმოადგენს, დიდი ფენებით, 22 მეტრის სიძლიერით, ძევს ბოგოსის ხეობაში, სოფ. ორჯოხის მიდამოებში, 10 კილომეტრის

სივრცეზე. შორაპნის აღმოსავლეთით მდ. ბოჟოლის ხევის და ბახანის ქვემო-დენაში არის შაქარივით თეთრი მარმარილოს დიდი ფენი.

მოყვითალო — რუხი ფერის მარმარილოს ქვაკირი მონახულ იქნა სოფ. შულავერში, ბორჩალოს მაზრაში. მშვენიერი ღირსების ანქვითი (оникс) გვხვდება ახალციხის მაზრაში, არზიანის მთის აღმოსავლეთის ფერდობზე.

**ცემენტის საწარმოებელი მასალები** არის აფხაზეთში შავიზღვის მთელ ნაპირზე, სადაც ცემენტი ნოვოროსიელ ცემენტს ჰგავს. ქ. სენაკის მიდამოებში არის მასალები მშვენიერი გიდრავლიური ცემენტისათვის. გარდა ამისა, საუკეთესო ცემენტის მასალა გვხვდება აგრეთვე მუხისში, მდ. ალგეთის აუზში და სადგურ ყასპის ახლოს. უკანასკნელ საბადოს ექსპლოატაციას აწარმოებდა მანთაშევის ფირმა.

გიპსი და ალებასტრი გვხვდება ჭოროხის რაიონში, ლეჩხუმის და რაჭის მაზრებში. ტფილისში და მის მიდამოებში არის გაჯი—კარგი კედლის გასალესი მასალა, რომელიც ინჟენ. სტრუვეს ანალიზით 54 პროც-დან 76 პროც-მდე გიპსს შეიცავს.

ტფილისის (ვაკე), ქუთაისის და გორის მიდამოებში არის საჭურჭლე თიხა. იმერეთში, ქუთაისის მაზრაში, სოფ. შკარის ახლოს და ახალციხის მაზრაში სოფ. კისასტიბის ახლოს არის თეთრი საფაიანსო თიხა. შროშაში არის ცეცხლ-გამძლე თიხა, სადაც მუშაობს ქარხანა „შროშა"-ს სახელწოდებით.

თიხის ამოღება 1913 წელს უდრიდა 83.000 ფუთს. ასეთივე ცეცხლ-გამძლე თიხა არის ალავერდის ახლოს, სადაც ის იხმარებოდა სპილენძის გადამდნობი ქარხნის საჭიროებისათვის და სადაც 1913 წელს ამოღებულ იქნა თიხა 140.000 ფუთის რაოდენობით.

საქართველოში 1916 წელს იყო 295 *) აგურის და ქოთნების ქარხნები.

**ალიუნიტი** იხმარება კვასცების დასამზადებლად, რომელიც საჭიროა მრეწველობაში და ფარმაცევტიკაში. ეს მინერალი გვხვდება თიხის ფიქალებში ოზურგეთის მიდამოებში და გურიის სხვა ადგილებში.

გარდა ამისა ალიუნიტი არის ბორჩალოს მაზრაში, დემურჩიგასანბის მიდამოებში და მდ. დებედა-ჩაის მარცხენა ნაპირზე შაბლუღის ქარხნების ახლოს.

ოლთის რაიონში, მდ. ოთლა-ჩაის და რანასკერტ-სუს შესართავთან არის ალიუნიტი, ხოლო ოლთიდან სამ კილომეტრის მანძილზე

---

*) Инж. Бабэ. Горные богатства Грузии.

სოფ. ბულახანასთან არის ბავრუკის (Бура) წყარო, რომელსაც ოსმალეთის მთავრობა ამუშავებდა.

**ვერცხლი და ტყვია.** უძველესი დროიდან ცნობილია ვერცხლისა და ტყვიის საბადოები ალავერდის, ახტალის დამბლულის რაიონებში. გეოლოგი ო. კარაპეტიანის დასკვნით სამადნეების არა სწორი წესით დამუშავებისა გამო ვერცხლი-ტყვიის ძარღვები დაიკარგა ჯერ კიდევ 1817 წელში და ბერძნები, რომელნიც ამუშავებდენ ამ სამადნეებს, იძულებული შეიქნენ თავი დაენებებიათ ამ ბუდობებისათვის. 1887 წელში სამადნეები გადავიდა ფრანგული კომპანიის ხელში, მაგრამ ეს კომპანია ვერცხლის მადანის გამოუკვლევლად შეუდგა სპილენძის მადანის დამუშავებას *).

ტყვია-ვერცხლის მადანის ამოღების კვალი გორის მაზრაშიაც არის.

აფხაზეთში, ძირშ-აბახუს მთის ფერდობზე ჯერ კიდევ 1906 წელს სწარმოებდა ტყვია-ვერცხლის მადნის ამოღება. აღნიშნულ წელში ამოღებულ იქნა 3.000 ფუთამდე მადანი, 1912 წელს—1.000 ფუთამდე, 1915 წ. 3.686 ფუთამდე. იქავე, ახიზთა-აკარას მთის ფერდოებზე 1912 წელს ამოღებულ იქნა 6.000 ფუთი მადანი. ამ მადნების დასამუშავებლად 1917 წელს შეიქმნა საზოგადოება 6 მილიონი მან. კაპიტალით. ბორჩალოს მაზრაში 1900 წელს ამოღებულ იქნა 80.000 ფუთი მადანი 11—15 პროც-დე ტყვიის და 0,014-დან 0,04 პროცენტი ვერცხლის შემცველი. ინჟენრებ მოდებაძის და შოსტაკის ცნობებით სოფ. ჩასავალის და ჩოლურის მიდამოებში, ჩუბისხევის სატყეო რაიონში (აფხაზეთში) არის ტყვიის წმინდა მადანი, რომელიც შეიცავს 84-დან 85 პროც-დე წმინდა ტყვიას და ფუთში 2,2 მისხალ ვერცხლს.

**ოქრო.** საქართველოს სამთო-მადნო მრეწველობას საფუძველი ჩაუყარა მეფე ირაკლიმ, რომელმაც ამ მიზნისთვის ოსმალეთიდან გამოიწერა 800 ბერძენის ოჯახი 1770 წელში. პირველ წელში ახტალას სამადნოებში ამოღებულ იქნა 480 ლიტრა ანუ 91 ფუთი ვერცხლი. ყოველი ლიტრიდან 46 მისხლამდე ოქრო გამოდიოდა.

საქართველოს ოქრო და ვერცხლის შესახებ ხმებმა პეტროგრადამდე მიაღწია და ვაჭრებმა—დემიანოვმა და პოპოვმა 1799 წ. ითხოვეს საქართველოს ბუდობების მათთვის კონცესიით მიცემა. ამ ვაჭრების თხოვნა გადაეცა ბერგ-კოლეგიის პრეზიდენტს—მუსინ-პუშ-

*) Кипшидзе. Горные богатства Грузии. 1919 წ. 28 გვ.

კინს, რომელიც მოვლენილ იქნა საქართველოში სამადნოების დასათვალიერებლად. სამადნოების დათვალიერების შემდეგ მუსინ-პუშკინმა სთხოვა იმპერატორ პავლეს ნება დაერთო, რომ მას მოლაპარაკება ეწარმოებია საქართველოს მეფე გიორგი მეთორმეტესთან რუსეთისათვის სამთო-საქარხნო საწარმოთა გადაცემის შესახებ.

საქართველოს რუსეთთან გაერთიანების შემდეგ საქართველოს ოქროს ამოღების საქმე ჩაკვდა, მხოლოდ მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულ იქნა ოქროს ბუდობების გამოკვლევა.

1850—63 წლებში მკვლევარებმა ტომილოვმა და გილევმა ოქრო იპოვეს მდინარე ინგურის და რიონის ზემო დასილულ ნაწილში. 1864 წ. კასტენმა ოქრო აღმოაჩინა სვანეთში და სამთო-სამმართველოში მიიტანა ოქროს ბუნებრივი ზოდი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ინჟენ. შესტაკმა მოახდინა აციდან მოტანილი ტყვიის მადნების ანალიზი და დაასკვნა, რომ 100 ფ. მადანში უნდა იყოს 5,0—5,4 და 7-დან—8 ნახევ. მისხლამდე ოქროვო.

ინჟენერ ბაბეს ცნობებით ოქრო მოიპოვება:

1) ჭოროხის რაიონში, სოფ. ლონჯათ-ხევში, ბორჩხას მიდამოებში და მდ. არდანუჩ-სუს ველზე. ოქროს ნიშნებია აგრეთვე ბეშაულ-ქვარცხანას სპილენძის მადანში 0,00062-დან, 0,00959 პროც-ტის შემადგენლობით;

2) სვანეთში მდინარე ინგურის ზემო-ნაწილებში, სოფ. უშკულ ლის, კალას, ელის, აცის, იპარის და ეწერის მიდამოებში. ამ ადგილებში აღმოჩენილ იქნა ოქროს მატარებელი კვარციტის რამოდენიმე ნიმუში.

3) ბორჩალოს მაზრაში, მდ. დამბლულის და ფინიცაურის ველებზე, ბაშქიჩეთის, კაზრეთის და ბოლიჩის მიდამოებში. ინჟენერ წულუკიძის ცნობებით ეს მადნები შეიცავს 0,012 პროც-დან 0,019 პროც-მდე ოქროს. ალავერდის, შამბლულის და ახტალას სპილენძის მადნებში აღმოჩენილია ოქრო საკმაო რაოდენობით: ალავერდში 0,8 გრამამდე ერთ ტონა მადანში და 13 გრამამდე წითელ სპილენძში, ახტალაში 47 გრამამდე ერთ ტონაში;

4) საგურამოში, დუშეთის მაზრაში, მდ. თეზამის და გლდანის აუზებში 0,005 პროც-დან—0,012 პროც-დე.

**გრაფიტი** არის ქვანახშირის უძველესი სახე, მაგრამ იგი ძალიან მაღალ ტემპერატურის დროსაც არ იწვის და არც დნება და ამიტომ შეიძლება ხმარებულ იქნეს ცეცხლ-მძლე ჭურჭლის მოსამზადებლად.

საუკეთესო გრაფიტი, რომელიც შეიცავს 99,5 პროც-ს ნახშირბადს და მხოლოდ 0,5 პროც-ს შენარევს, იპოვება კუნძულ ცეილონზე. სხვა საბადოების გრაფიტი კი შეიცავს ბევრ შენარევს. ასე, მაგალითად, გერმანული გრაფიტი შეიცავს თიხას 50 პროც-დე.

მსოფლიოში მოპოვებული გრაფიტის მთელი რაოდენობის 3 % მიდის ფანქრების გასაკეთებლად, 35 პროც-დე სხვადასხვა ცეცხლმძლე ჭურჭლეულობის მოსამზადებლად, 40 % იხმარება თუჯის საქმეში და 10 %-კი მანქანებისთვის საჭირო საზეთ ნივთიერებათა მოსამზადებლად.

გრაფიტის ომის წინა დროინდელი ფასი ირყეოდა მისი სიწმინდის მიხედვით ტონაზე 600—900 მარკას შუა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში ამ მინერალის ბუდობები იმყოფება ალტაის და ურალის მთებში, თერგსა და ყუბანის ოლქებში და ა/კავკასიაში.

საქართველოში გრაფიტის ბუდობებს ჩვენ ვხდებით დუშეთის მაზრაში, სოფ. კოლოთის მახლობლად და გორის მაზრაში ნარუჯის ხეობასა და მდ. ჩეროთ-ხევის ველზე.

დასახელებულ რაიონებში ქვიშნარის იმ ფენების სიძლიერე, რომელიც გრაფიტს შეიცავს, უახლოვდება 2 საჟენს. ეს ბუდობები უსათუოდ ყურადღების ღირსია, ვინაიდან გრაფიტის შემცველი— ქვიშნარის დაფქვისა და დალბობის გზით შეიძლება მივიღოთ გრაფიტი ფხვნილის სახით.

გრაფიტის ყველაზე უფრო მდიდარი ბუდობი საქართველოში არის სოფ. ჩუმალეთში, სურამიდან 7 ვერსის მანძილზე. ჩუმალეთის გრაფიტი ტფილისის ლაბორატორიის ანალიზის თანახმად შეიცავს ნახშირბადის 60 პროც-ს და მას ამ მხრივ ცეილონის გრაფიტის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

სიძლიერე ფენისა, რომელიც შეიცავს წმინდა გრაფიტს, ცოტა ქვიშნარისა და თიხის შენარევით, აღწევს 1 არშინს და ამასთანავე ეს ფენა საკმაოდ დიდ მანძილზე გაშიშკლებულია *).

აქამდე გრაფიტის ცეცხლ-მძლე ნაწარმი მოდიოდა გერმანიიდან. ამიტომ რკინის გზის სიახლოვის, ფენების დიდი სიმძლავრის და მინერალის მაღალი ხარისხის პირობებში საქართველოში გრაფიტის დამუშავებას ექნება დიდი მნიშვნელობა, როგორც საქართველოს, ისე მთელ საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ მრეწველობისათვის.

---

*) В. Ю. „Графиты Грузии". „Эконом. Вестник Закавказья", № 7. 1924 წ., 123 გვ.

# თეთრი ნახშირი და ელექტროფიკაცია

მსოფლიო მრეწველობას სამი ძირითადი ძალა ამოძრავებს: ქვა-ნახშირი, ნავთი და წყალვარდნის ძალა. ამ ძალების გადიდება და მათი ეკონომიურად გამოყენება წარმოადგენს თანამედროვე ტეხნიკის და მეურნეობის უმთავრეს ამოცანებს.

ამჟამად მთავარი მამოძრავებელი ძალაა ქვა-ნახშირი. ინჟ. ფეხტეს ცნობებით (Industrei und Handels Zeitung 19 თებ. 1921 წ.) მსოფლიო მეურნეობა იყენებს 120 მილიონამდე ცხენის ძალას. აქედან 75 მილ. ცხენის ძალას ხმარობენ ქარხნები, ფაბრიკები, ტრამვაები და ელექტრონული განათება, 21 მილ. ცხენის ძალას რკინის გზები და 24 მილ. ცხენის ძალას საზღვაო და მდინარეების ფლოტი.

აღნიშნულ 75 მილ. ცხენის ძალა ასე ნაწილდება: კონტინენტალურ ევროპაში 24 მილ. ცხენის ძალა, დიდ ბრიტანეთში ახალშენებით—19 მილ. ცხენის ძალა, ჩრდ. ამ. შეერთებულ შტატებში—29 მილ. ცხენი ძალა და აზია ⁄ სამხრ. აფრიკაში—3 მილ. ცხენის ძალა.

120 მილ. ცხენის ძალიდან თეთრ ნახშირზე მოდის 18 მილ. ცხენის ძალას.

ქვა-ნახშირისა და ნავთის რაოდენობა მსოფლიოში განსაზღვრულია.

გარდა ამისა მათგან შეიძლება სხვადასხვა ფასიანი პროდუქტების მიღება და ამიტომ მათი სათბობ მასალად გამოყენება არარაციონალური და საზარალოა. სულ სხვაა წყლის ენერგია; ის წარმოადგენს Perpetuum mobile-ს. მისი ენერგია არ მცირდება და მრეწველობას აძლევს უფასო მამოძრავებელ ძალას, მაგრამ ამ ენერგიის გამოყენება მოითხოვს წინასწარ მსხვილ ხარჯებს, დიდი სადგურების მოწყობას და დიდი ქარხნებისა და ფაბრიკების არსებობას, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წყლიდან მიღებული ელექტრონის ენერგიის გამოყენება. ყველა ეს შესაძლებლობანი რეალურია მხოლოდ უაღრესად განვითარებული ტეხნიკისა და მსხვილი მეურნეობის პირობებში.

ჰიდრავლიური ენერგიის გამოყენება სწრაფად ვითარდება წარსული საუკუნის ბოლოდან.

1915 წლის ცნობებით სხვადასხვა ქვეყნებში იყო:

| | სულ | გამოყენებული | % |
|---|---|---|---|
| | მილიონი ცხენის ძალა | | |
| ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში | 28 | 7,00 | 25,0 |
| კანადაში . . . . . | 27 | 3,40 | 12,3 |
| საფრანგეთში . . . . . | 9 | 1,60 | 17,7 |
| ნორვეგიაში . . . . . | 15 | 1,20 | 8,0 |
| ისპანეთში . . . . . | 5 | 0,44 | 8,8 |
| შვეციაში . . . . . | 4,5 | 0,70 | 15,6 |
| იტალიაში . . . . . | 4 | 0,98 | 24,5 |
| შვეიცარიაში . . . . . | 2 | 0,50 | 25,0 |
| გერმანეთში . . . . . | 6 | 0,62 | 10,3 |
| დიდ ბრიტანეთში . . . . . | 1 | 0,88 | 88,0 |
| საქართველოში . . . . . | 6 | 0,039 | 0,7 |

ეს ციფრები არაა სავსებით სწორი; ზოგიერთი ქვეყნის ჰიდრავლიური ენერგიის შესახებ ჩვენ სულ არ მოგვეპოება ცნობები. თეთრი ნახშირის კლასიურმა ქვეყნებმა—ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და ნორვეგიამ გვიჩვენეს ელექტრონის ენერგიის მისაღებად ჰიდრავლიური ენერგიის გამოყენების უპირატესობა.—განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩრდილო ამერიკის და ინგლისის მაგალითები: პირველი მდიდარია ნავთით, მეორე—მაღალი ღირსების ქვა-ნახშირით. მიუხედავათ ამისა ორივე ქვეყანა ყოველივე ზომას ხმარობს, რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს ჰიდრავლიური ძალა.

ინგლისში შედგენილია 500 ათ. ცხენის ძალის ელექტრონული დანადგარის პროექტი 30 ფუტიანი მოზღვავების გამოსაყენებლად. დაგეგმარებულია გიგანტიური კაშხალი 3,5 ინგლ. მილი, რომელიც გადასჭრის მდინარე სევერნას შესართავს და თავის რაბების (шлюзы) საშუალებით უშვებს წაზღვავებას. წაზღვავების დასაწყისში რაბები

იხურება და წყალს უშვებენ მთელ რიგ წყლის ტურბინებში, რომელიც დადგმულია შიგ კაშხალში. მთავარი კაშხალის რამოდენიმე მანძილზე განზრახულია დამხმარე მარაგელის მოწყობა, რომელსაც წყლით აავსებს ელექტრო-ტუმბოები, რომელნიც მოქმედობენ მთავარი კაშხალის ტურბინებიდან და უზრუნველყოფენ სადგურის მოქმედების შეუწყვეტლობას.

საქართველოს არ სჭირდება ასეთი კოლოსალური ხარჯების გაწევა, რომ თავისი წყალვარდნილები და მთის წყლების დენის ძალები გამოიყენოს, მაგრამ იმავე დროს საქართველოს მხოლოდ ჰიდრავლიური ენერგიის გამოყენებით შეუძლია აამოძრაოს სხვადასხვა თითქმის ჯერ ხელუხლებელი თავისი სიმდიდრენი, განავითაროს თავისი მრეწველობა და შექმნას თავისი ქვეყნის მტკიცე მატერიალური კეთილდღეობა.

საქართველოსთვის უაღრესად ხელსაყრელია ის გარემოება, რომ მინერალურ სიმდიდრეთა და ტყეების გვერდით გაბნეულია ათელი ძლიერი მდინარე და წყალვარდნილი, რომელთაც შეუძლიანთ 6 მილიონზე მეტი ცხენის ძალის მოცემა. ამ რაოდენობიდან დღეს დღეობით გამოყენებულია დაახლოებით 0,5 პროც. არ არის საჭირო იმის მტკიცება, თუ რა უპირატესობა აქვს ჩვენი წყლის ენერგიის გამოყენებას; მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი მრეწველობის გაშლა უხდა დავიწყოთ ჩვენი მდინარეების და წყალვარდნილების ჰიდრავლიური ენერგიის ფართო გამოყენებიდან.

ჰიდრავლიური ენერგიის გამოსაყენებლად არის შემდეგი მთავარი პერსპექტივები:

1. რკინისგზის ელექტროფიკაცია.
2. ფერო-მარგანეცის წარმოება,
3. სატყეო მრეწველობის ელექტროფიკაცია,
4. ენერგიის მიცემა ფაბრიკა-ქარხნებისათვის,
5. ელექტრონის ენერგიის გამოყენება სოფლის მეურნეობაში.
6. ბინების და ქუჩების განათება.

გარდა წარმოების გაიაფებისა ელექტრონის ენერგიის გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გზებისათვის იმით, რომ შედარებით ციცაბო ალმართებზე და დალმართებზე ადვილად ტარდება ტვირთები ელექტრონული ენერგიის დახმარებით. ელექტრონის წყალობით ჩვენს მთიან ქვეყანას შეუძლია მიიღოს კარგი მიმოსვლის გზები დიდი თანხების და შრომის დაუხარჯავათ.

ინჟ. ზავალიშინის დაახლოვებითი გამოანგარიშებით სამთო მრეწველობას უახლოეს 10 წელში დასჭირდება:

| | | |
|---|---|---|
| რკინის მადანის მრეწველობას და ქვანახშირის ამოღებას ტყვარჩელში და კოჯერიშში . . . . . | 20.000 | ცხ. ძალა. |
| ტყვიბულის ქვანახშირის ამოღებას . . . . | 10.000 | „ „ |
| ჭიათურის მარგანეცს (დნობა) . . . . . | 50.000 | „ „ |
| ჩათახის თუჯის სადნობ ქარხანას . . . . . | 5.000 | „ „ |
| ვაგრის ცემენტის და ფარბიტ-კალცის ქარხ. | 10.000 | „ „ |
| სულ . . . | 95.000 | ცხ. ძალა. |

იმავე ზავალიშინის ანგარიშით მდინარე ბზიბის, ინგურის და კოდორის მიდამოების ტყეების ექსპლოატაციისა და ამ რაიონის რკინის გზისათვის საჭიროა 35 000 ცხენის ძალა.

მრეწველობის განვითარების ეს გეგმა მოითხოვს 130.000 ცხენის ძალას, რის მიღება წყლის ენერგიის გამოუყენებლად ძნელი წარმოსადგენია.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს იმ ენერგიის რაოდენობას, რომლის მიღება შესაძლებელია ზოგიერთი ჩვენი მდინარეებისაგან ინჟბაბეს გამოანგარიშებით:

| | | |
|---|---|---|
| სუფსა . . . . . | 29.375 | ცხენის ძალა |
| რიონი . . . . . | 823.705 | „ „ |
| ყვირილა . . . . . | 57.726 | „ „ |
| ცხენის წყალი . . . . | 160.271 | „ „ |
| გუბის წყალი . . . . | 123.409 | „ „ |
| ცხენის წყალი . — . . | 344.251 | „ „ |
| ტეხური . . . . . | 275.836 | „ „ |
| ინგური . . . . . | 972.736 | „ „ |
| კოდორი . . . . . | 374.234 | „ „ |
| ბზიბი . . . . . | 284.960 | „ „ |
| მტკვარი (ბორჯომიდან მდ. ხრამამდე) . . . . | 319.100 | „ „ |
| არაგვი . . . . . | 241.000 | „ „ |
| დიდი ლიახვი . . . . | 184.000 | „ „ |
| ხრამი . . . . . | 68.600 | „ „ |
| მაშავერი . . . . . | 60.300 | „ „ |
| დებედა ჩაი . . . . . | 50.000 | „ „ |
| ალაზანი . . . . . | 500.000 | „ „ |
| დანარჩენი მდინარეები | 1.200.466 | „ „ |
| სულ | 6.069.967 | ცხენის ძალა |

გარდა ჩვენ მიერ ზევით ნაჩვენებ 130.000 ცხენის ძალისა, რომელიც საჭიროა მსხვილი ამოღებითი მრეწველობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ინჟ. ბაბეს გამოანგარიშებით*) ჰიდრავლიური ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნას კიდევ მეურნეობის შემდეგ დარგებში.

| | |
|---|---|
| 1. რკინის გზის არსებული ხაზების ელექტროფ. | 75.000 ც. ძ. |
| 2. მორწყვის ელექტროფიკაცია . . . . . | 150.000 „ |
| 3. ქალაქების განათება და წვრილი მრეწველ. . | 100.000 „ |
| სულ . . . . | 325.000 ც. ძ. |

ზემოთ მოყვანილი ორი ვარაუდიდან სჩანს, რომ მეურნეობის ზემოთ აღნიშნული დარგების ელექტროფიკაციას დასჭირდება 555.000 ცხენის ძალა.

საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ შედგენილია საქართველოს ელექტროფიკაციის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომელშიდაც ნავარაუდევია მთელი რიგი ძლიერი სადგურების აგება.

1. ქუთაისის—42,9 ათ. ცხენის ძალა—უნდა ემსახუროს ქუთაისის, ხაშურის, სამტრედიის და ჭიათურის რაიონებს, გათვალისწინებულია საუღელტეხილო ნაწილის—ხაშური-ზესტაფონის მოთხოვნილება, ტყის, ქაღალდის და ფერო-მარგანეცის მრეწველობის საჭიროებანი. სადგურის ღირებულება ენერგიის გზისათვის (ხაშურამდე) გადაცემის ჩართვით 11.320 ათ. მ. ენერგიის გზისათვის გადაუცემლად—9.000.000 მან. ფერო-მარგანეცის არსებობის პირობებში კილ. საათის ღირებულება ნაანგარიშევია 1 კაპ., უფერო—მარგანეცოდ—1,5—2 კაპ. კილ. საათი; სხვა გამოანგარიშებებით ენერგიის ღირებულება 0,54 და 1,17 კაპ. შუა ირყევა.

2. აჭარის წყალზე—5.000 ცხენის ძალა. სადგური შენდება ბათომიდან 32 ვერსის მანძილზე. მისი საერთო ღირებულება გამოანგარიშებულია—2.862.000 მან. სადგური ემსახურება ბათომს ნავთსადგურიანად და ბათომის რაიონს.

3. აბაშის—მდინარე აბაშაზე. ახალსენაკიდან 35 ვერსის მანძილზე—870 ცხენის ძალა. განზრახულია 2500—ცხენის ძალამდე გადიდება. ეს სადგური უკვე შენდება. ის ემსახურება ახალსენაკს, ხონს და ფოთს.

4. გუმისტინის—750 ცხენის ძალა. განზრახულია მისი 1.500 ცხენის ძალამდე აყვანა. 750 ცხენის ძალიანი სადგურის აშენება ნაანგარიშე-

*) საქართველოს გზათა სამინისტროს ლაბორატორიის ყოფილი მმართველი.

ვია ერთი მილიონი მანეთი. გარდა ამისა განზრახულია აფხაზეთში 200 და 100 ცხენის ძალიანი ორი სადგურის აშენება. ეს ორი სადგური დაჯდება—200.000 მანეთი.

5. კახეთის—ბაკურციხის ახლოს—5·000 ცხენის ძალა. ეს სადგური დანიშნული იქნება ტყის, თამბაქოს, აბრეშუმის დახვევის მრეწველობის, მეღვინეობის, მეპურეობის, მებამბეობის, მეცხვარეობის საჭიროებისათვის. მხედველობაში მიღებულია შირაქის ნავთის მომავალი საჭიროებანიც.

6. ზემო-ავჭალის—36.000 ცხენის ძალის. მისი ღირებულება 18 მილ. მანეთამდე აღწევს. სადგური აშენებულია მდინარე მტკვარზე—ტფილისიდან—18 ვერსის მანძილზე და მცხეთიდან ერთი ვერსის მანძილზე. ამ სადგურის დატვირთვა განსაზღვრულია უმთავრესად ქალ. ტფილისის მოთხოვნილებებით და შემდეგ მასთან ახლო მდებარე რაიონის მოთხოვნილებებით. ქალაქ ტფილისის მოთხოვნილება 1922 წ. უდრდია 6.000 ცხენის ძალას, ხოლო ძველი 44 სადგურის სიძლიერე 9.460 ცხენის ძალას არ აღემატებოდა.

ინჟ. ჭიჭინაძის გამოანგარიშებით ზემო-ავჭალის სადგურის მაქსიმალური დატვირთვა ექსპლოატაციის პირველ წელში იქნება 8·700 ცხენის ძალა, ხოლო 1931 წლისათვის კი—სადგურის დატვირთვა 18.000 ცხენის ძალას მიაღწევს და ამ დროისათვის დაისმება საკითხი სადგურის 36.000 ცხენის ძალამდე გაფართოების შესახებ.

სადგურის აშენება უკვე დამთავრებულია და 1927 წ. თებერვლიდან ის ენერგიას მიაწოდებს ქალ. ტფილისს.

8. უკვე აგებულია, ან შენდება მთელი რიგი პატარა სადგურებისა:

ა) ახალციხეში—80 ცხენის ძალის, ბ) ხონში—70 ცხენის ძალის, გ) აგარაკ—აბასთუმანში—60 ცხენის ძალის, დ) გორში—100 ცხენის ძალის, ე) ბორჯომში—300 ცხენის ძალის.

ამჟამად საქართველო ხმარობს დაახლოვებით 8 მილ. ფ. სათბობს ნავთზე გადაყვანით. ომამდე 1911—13 წ. საშუალოდ წლიურად იხმარებოდა—9.740.000 ფ. სათბობი, მათ შორის რკინის გზას მიჰქონდა 6.000,000 ფუთი.

თუ ნავთს ავიღებთ ომამდე არსებულ ფასებში—40,5 კაპ. ფუთს, მაშინ ელექტრონის ენერგიაზე გადასვლით მივიღებთ წლიურად 3 მილ. მანეთზე მეტ ეკონომიას. მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად გაიზრდება წყლის ენერგიის გამოყენებაც, რომ ამ გზით შემცირებულ იქნას საწარმოვო და სატრანსპორტო ხარჯები.

# მინერალური წყლები

საქართველო მეტად მდიდარია მინერალური წყლებით და სამკურნალო ტალახებით. საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველოს ცნობებით ჩვენში არის მინერალური წყაროები:

აღმოსავლეთ საქართველოში—88
დასავლეთ „ „ —72

ინჟ. ყიფშიძე ასე ასწერს საქართველოს მინერალურ წყლებს: „ქიმიური შედგენილობით და თავიანთი ფიზიკური თვისებებით საქართველოს წყაროები მეტად სხვადასხვა გვარია. ყველაზე მეტია ჩვენში გოგირდის წყაროები, შემდეგ ტუტოვანი, უმთავრესად ნახშირმჟავა და ნახშირ—მჟავა ტუტოვანი წყაროები, მესამე ადგილი კი უჭირავს რკინიან წყლებს.“

წყაროების უმრავლესობა სრულებით არაა გამოყენებული, ან ცოტაა გამოკვლეული. საექსპორტო მნიშვნელობა მხოლოდ ბორჯომის წყალს აქვს. მომავალში შეიძლება საქართველოს ბევრ მინერალურმა წყალმა უცხოეთის ბაზარზე საპატიო ადგილი დაიჭიროს; უეჭველია, რომ საქართველოს ზოგიერთი მინერალური წყალი თავისი მაღალი სამკურნალო თვისებებისა გამო მიიზიდავს უცხო კაპიტალს. ბორჯომმა უკვე მიიქცია მსხვილი კაპიტალისტების ყურადღება, რომელნიც არა ერთხელ ცდილან მიეღოთ აგარაკ ბორჯომის კონცესია.

ბორჯომი მდებარეობს ტფილისიდან 149 ვერსის და ბათუმიდან 243 ვერსის მანძილზე, ბორჯომის ხეობაში, რომელიც ჰყოფს თრიალეთისა და იმერეთის ქედებს. საშუალო სიმაღლე შავიზღვის დონედან ბორჯომში უდრის 810 მეტრს. რკინის გზა ბორჯომს აერთებს ტფილის—ბათუმთან.

ბორჯომი შესანიშნავ კლიმატიურ სადგურს წარმოადგენს და მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფთა მკურნალობისათვის.

ნათელი, თბილი დღეები, ძლიერი მცენარეული და სხვა პირობები საშუალებას იძლევა ბორჯომით მთელი წლის განმავლობაში სარგებლობისა.

ბორჯომში არის შემდეგი სამკურნალო წყლები: ეკატერინესი—მარილ-ტუტოვანი 23,6°C ტემპერატურის, 2.372.000 ვედრა წლიური დებეტით და ევგენიევის—29,9°C ტემპ. და 620.000 ვედ. წლიური დებეტით. ორივე წყალი შეიცავს იოდიანი და ბრომიანი ნატრის.

ბორჯომის წყლის ჩამსხმელი განყოფილების საჭიროებისათვის ბორჯომში არსებობს შუშის ქარხანა. ამ ქარხნის სიძლიერე შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 1925/6 წ. განზრახული იყო 5.967.000 ბოთლის დამზადება; ბოთლის თვით ღირებულება ნავარადუევი იყო 7,8 კაპ. ნაკვლად 9,03 კაპიკისა 1924/25 წ.

პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს ბოთლების პროდუქციის შემდეგ განვითარებას იმ ანგარიშით, რომ 1929/30 წ. ამ პროდუქციამ მიაღწიოს 15.675.000 ბოთლს წლიურად, ბოთლის თვითღირებულება იქნება—4,7 კაპ.

წარმოების დღევანდელ პირობებში ერთი ბოთლი ჯდება 10 კაპიკამდე, რაც მეტად მაღალი ფასია. მით უმეტეს, რომ რუსეთის ქარხნების ბოთლები ფრანკო—ბორჯომი ჯდება 5-6 კაპ., ხოლო უცხოეთის კი 3 კაპ. ფრანკო ბორჯომი.

ბოთლების წარმოების გასაიაფებლად განზრახულია უფრო ძლიერი ფეჩების დადგმა და ბოთლების წარმოება 1930 წლისათვის აწეულ უნდა იქნას 16 მილ. ბოთლამდე წლიურად.

ბოთლებში ბორჯომის წყალს ასხამენ მთავარი წყაროდან, რომელიც ცნობილია „ეკატერინის“ სახელით. ამ წყაროს დებეტი დღეღამეში უდრის 72.000 ლიტრას. ჯერ არ არისგამოკვლეული თუ როგორ და რამდენად შეიძლება ამ წყაროს წყლის დებეტის გადიდება. ამ წყაროს ნაწილი იხმარება სასმელად, ნაწილს კი იყენებენ აბანოებისათვის. ბოთლებში ჩასხმის დროს დიდძალი წყალი იკარგება, მაგრამ, რომ არსებობდეს სათანადო პირობები ბოთლების წარმოების, ბოთლებში წყლის ჩასხმისა და ექსპორტის, მაშინ დღევანდელ პირობებშიაც ამ წყაროს შეუძლია წლიურად 19.800.000 ბოთლი წყლის მოცემა.

1913 წ. ჩასხმულ იქნა წყალი 9.000.000 ბოთლში, რაც მაქსიმალურ ციფრს წარმოადგენს.

მაგრამ მსოფლიო ომმა, შემდეგ რევოლიუციამ, სამეურნეო არევ-დარევამ და ბორჯომის წყლის მეურნეობის ბაზრებიდან მოწყვეტამ სრულიად დაანგრია ბორჯომის წყლის მეურნეობა და 1921 წ. ავსებულ იქნა სულ 92.000 ბოთლი. შემდეგ ბორჯომ ს წყლის მეურნეობა სწრაფი ტემპით იზრდება და 1925 წ. 3.000.000 ბოთლს აღწევს.

ბორჯომის კომბინატის 1925/26 წლის საწარმოვო გეგმით განზრახული იყო 6.875.000 ბოთლის ავსება, მაგრამ გარდა იმისა, რაც ჩასხმის დროს დაიკარგებოდა, უნდა დარჩენილი იყო 6.600.000 ბოთლი ბაზარზე გასატანად. გასაყიდი ფასი ბოთლი წყლისა ნაანგარიშევია 23 კაპ., ყუთებში ჩაუწყობლად—20 კ., ბორჯომის წყლის თვითღირებულება—19,6 კაპ., ყუთში ჩაუწყობლად—14,5 კაპ. 1928/29 წლისთვის ყუთებში ჩაწყობილი ბოთლის თვითღირებულება უნდა იქნეს 13,8 კაპ., ჩაუწყობელის—9,6 კაპ., გასაყიდი ფასი ყუთში ჩაწყობილი ბოთლი წყლის—18 კაპ., და ჩაუწყობლად—14 კაპ.

ბორჯომის წყლის ექსპლუატაციამ გამოიწვია ზოგიერთი დამხმარე წარმოების შექმნა. ეს დამხმარე წარმოებანი თანდათან იღებენ დამოუკიდებელი წარმოების ხასიათს და თავიანთი ზედმეტი პროდუქციის გაყიდვით ერთგვარ შემოსავალს იძლევიან.

ამ ჟამად ყველა წარმოება გაერთიანებულია ბორჯომის კომბინატში.

ასეთი წარმოებაა, მაგ., ნახშირმჟავას ქარხანა.

ნახშირ-მჟავას ქარხანამ 1919 წლიდან 1924 წლამდე მოგვცა თხელი ნახშირ-მჟავას შემდეგი რაოდენობა:

| წლები | გამომუშავებულია | მოხმარებული |
|---|---|---|
| | (კილოგრამებში) | |
| 1919 | 7.840 | 4.480 |
| 1920 | 24.165 | 24.265 |
| 1921 | 9.250 | 12.510 |
| 1922 | 38.990 | 37.340 |
| 1923 | 42.420 | 43.900 |
| 1924 (5 ოქ-დ) | 53.520 | 50.760 |
| 1925/26 | 110.000 ვარაუდი. | |

1925/26 წელში კილო ნახშირმჟავას თვითღირებულება გამოანგარიშებული იყო 29 კ., გასაყიდი ფასი კი—50 კ. რაოდენობით. 1929/30 წ. კილო ნახშირმჟავას თვითღირებულება ნავარაუდევია 21,8 კაპ., ხოლო გასაყიდი ფასი 35 კაპ. რაოდენობით.

ბორჯომის წყლის მოთხოვნილება წინ უსწრებს ნაყოფიერებას, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი მეტად სწრაფად იზრდება.

ბორჯომის წყლის ნაყოფიერების გასადიდებლად საჭიროა რკინის გზის შტოს და ჩამსხმელი ქარხნის ელექტროფიკაცია და სხვ.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ბორჯომის წყალს დიდი საექსპორტო მნიშვნელობა აქვს.

ომამდე ბორჯომის წყალი გაჰქონდათ ძალიან შორეულ ქვეყნებში. მის ღირსებაზე ლაპარაკობს ის გარემოება, რომ რამოდენიმე წლის განმავლობაში ბორჯომის წყლის ექსპორტმა რამოდენიმე მილიონ ბოთლს მიაღწია და 1914 წელში უცხოეთში გასატანად დამზადებულ იქნა 14 მილ. ბოთლი, მაგრამ ომმა შესწყვიტა ბორჯომის წყლის ექსპორტი ევროპასა და ამერიკაში. უმთავრესი მომხმარებელი ბორჯომის წყლისა იყო რუსეთი; 1918 წლიდან კვლავ განახლდა ბორჯომის წყლის ექსპორტი უცხოეთში—ევროპა-ამერიკაში, მაგრამ განუწყვეტელი სამხედრო მოქმედებანი და ეკონომიური ცხოვრების დაცემა ხელს უშლიდა საერთოდ ექსპორტის განვითარებას და კერძოდ მინერალური წყლის ექსპორტს. ამ ჟამად ბორჯომის წყალი კვლავ იბრუნებს თავის ძველ ბაზრებს.

გარდა ბორჯომის წყლისა საქართველოში არის მრავალი სხვა სამკურნალო ხასიათის მინერალური წყაროები, მათ შორის ამ ჟამად უფრო ცნობილია შემდეგი წყაროები:

**აბასთუმანის წყარო.** სამი წყაროდან პირველია—ეგრედ წოდებული „ბოგატირის", რომელიც 48,2°C ტემპერატურა აქვს და შეიცავს დიდძალ გოგირდს, დღე-ღამეში დებეტი 80.000 ვედროს უდრის.

აბასთუმანი მდებარეობს ახალციხის მაზრაში ბორჯომიდან 76 ვერსის და ხაშურის რკინის გზის სადგურიდან 100 ვერსის მანძილზე. ჩრდილოეთით აბასთუმანი დაცულია ზეკარის უღელტეხილით, რომლის სიმაღლე 2.000 მეტრამდე აღწევს, გვერდებიდან აჭარა-იმერეთის მთების გორაკებით, რომელთა სიმაღლე 1.800 მეტრამდე აღწევს. ეს გორაკები აბასთუმანზე მაღლა არიან 750-დან 900 მეტრით. აგარაკის სიმაღლე შავი ზღვის დონედან დაახლოებით 1.270 მეტრს უდრის.

თავისი კლიმატიური თვისებებით აბასთუმანი ჰგავს შვეიცარიას და ფრიად სასარგებლოა ძვლების, სასუნთქავი მილების, ტუბერკულიოზის და სისხლნაკლებობის მკურნალობის დროს.

აგარაკი აბასთუმანი ძალიან კეთილმოწყობილი იყო: იქ არსებობდა სასტუმროები, სანატორიუმები, აბანოები და სხვ., მაგრამ წარსული ომის დროს თათრების შემოსევამ ის თითქმის დაანგრია. საკურორტო სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აბასთუმანის აღდგენას, შეკეთებას და ამ ჟამად აბასთუმანი თითქმის

აღდგენილია და იქ ყოველ ზაფხულობით მკურნალობს და ისვენებს რამოდენიმე ათასი ავადმყოფი.

აბასთუმანი ბორჯომთან შეერთებულია კარგი გზატკეცილით, რომელზედაც საავტომობილო მოძრაობა სწარმოებს.

**შიგ ქ. ტფილისში**, მდ. მტკვრის ნაპირზე არის გოგირდის 31 წყარო წლის დიდი დებეტით, რომლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის. წყლის ტემპერატურა 31,8°-დან 47°C შუა ირყევა; ეს გოგირდ-ტუტოვანი წყაროები ამ ჟამად გამოყენებულია მხოლოდ უბრალო აბანოებისათვის და არ არის გამოყენებული სამკურნალო მიზნით. წინეთ არსებობდა რამოდენიმე პროექტი ტფილისის აბანოების სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენების შესახებ, მაგრამ უკანასკნელი ათი წლის ამბებმა ხელი შეუშალეს ამ პროექტების განხორციელებას. ეს საკითხი უცდის ხელსაყრელ პირობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვას უნდა დაწვრილებითი შესწავლა, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ყველა წყარო ქალაქის ფარგალში არის.

**წყალტუბო** მდებარეობს ქუთაისის მაზრაში ქ. ქუთაისიდან 10 ვერსის მანძილზე, მდინარე გუბის წყალის ზემო ნაწილში, ზღვის დონედან 800 ფუტის სიმაღლეზე. წყალტუბოს აბანო უხსოვარ დროიდან ცნობილია, როგორც სამკურნალო წყალი. ამ ჟამად წყალტუბოს აბანოთი ყოველწლივ სარგებლობს 40.000 კაცი. სარგებლობენ 12 წყაროთი, რომელთა დებეტი დღე-ღამეში 2 მილ. ვედრომდე აღწევს.

წყალტუბოს წყალი ჰგავს ვილდბადის და ტეპლიცის წყლებს.

წყალტუბოს წყლების ტემპერატურა უდრის 24°-დან 34°C.

წყალტუბოს წყლები რადიოაქტიურია და ეს რადიოაქტივობა აღწევს მაქსიმუმ 6,79 ერთეულს: დღე ღამის განმავლობაში რადიოაქტივობა რამოდენიმედ ირყევა, ამავე დროს უმაღლეს წერტილს აღწევს შუადღიდან დღის 2 საათამდე. წყალტუბრს კლიმატიური პირობები ისეთია, რომ აგარაკით სარგებლობა მთელი წლის განმავლობაში შეიძლება, საშუალო წლიური ტემპერატურა—14°C უდრის.

წყალტუბოში არის სასტუმროები, ნომრები და სხვ., მაგრამ ისინი ჯერ იტეჯენ ყველა სამკურნალოდ მოსულებს და ხშირად მოსულები ზაფხულობით ღამეს ურემზე ათევენ.

ქუთაისიდან წყალტუბომდე სულ 10 ვერსია, მაგრამ ეს გზა არ არის კარგად მოწყობილი და წვიმის დროს ამ გზით მგზავრობა მე-

ტად გაძნელებულია, რაც აბრკოლებს ამ მნიშვნელოვანი აგარაკით სარგებლობის საქმეს.

**ახტალას ტალახები** იმყოფება ალაზნის ველზე, სიღნაღის მაზრაში, კახეთის რკინის გზის სადგურ გურჯაანიდან ნახევარი ვერსის მანძილზე, 954 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონედან.

ახტალა წარმოადგენს პატარა ხნარცვს კავკასიის წინა მთების და გომბორის მთების შტოებს შუა. უძველეს დროში ეს მთები ტყით იყო დაფარული, მაგრამ მე-19 საუკუნის შუა რიცხვიდან ეს ტყე გაჰქრა და გამოჩნდა დაქრობილი, ანუ ნახევრად დაქრობილი ვულკანები. ერთი ამ ვულკანთაგანი ახლაც აფრქვევს ტალახს გოგირდიანი გაზებით.

ტალახების ახლოს არის აგრეთვე წმინდა, ცივი წყლის წყარო, ახტალის ტერაპევტიული მოქმედება შემჩნეულია ქრონიკული ანთების, ნერვების და ლიმფატიური ჯირკვლების და ქალთა სასქესო ორგანოების ავადმყოფობის დროს და სხვ.

ტალახს უჭირავს ოთხნახევარი დესეტინის სივრცე. ტემპერატურა 17°—18°C უდრის. ტალახის მარაგი აღწევს 10 მილიონ ვედრამდე. ტალახს აქვს თვისება თავისი ძალა გამოიჩინოს ხმარების შემდეგაც და ამიტომ შესაძლებელი ხდება მისი ხმარება სამკურნალო მიზნით დიდი ხნით.

ახტალაში არ არის აგარაკი, მაგრამ ტალახის დიდი სამკურნალო თვისება მას აყენებს სახელმწიფო მნიშვნელობის აგარაკთა რიგში. ამ ჟამად ტალახით სარგებლობენ ნაწილობრივ ადგილობრივად, ნაწილობრივ კი ტალახი მოაქვთ ქ. ტფილისში და აქ იყენებენ მას სამკურნალო მიზნით.

**კობის წყარო** არის ქართული სამხედრო გზის სადგურ კობის ახლოს. წყაროს წყალი ცივია, ნარზანის თვისებისაა. ეს ნახშირმჟავა რკინიან-ტუტოვანი წყალია, დღე-ღამეში მილიონ ბოთლზე მეტი დებეტით, რაც საშუალებას იძლევა ნახშირმჟავა გაზის დიდი რაოდენობით მოპოებისა.

**ზეკარის წყარო**—35°—36°C 20.000 ვედრო წყლის დებეტით დღე-ღამეში. არის აბანოს შენობა და სასტუმრო. წყაროები მდებარეობს ლამაზ და ჯანსაღ ადგილებში.

**უწერის წყაროები** მდებარეობს ქ. ონიდან 10 ვერსის მანძილზე, ქუთაისიდან 118 ვერსით დაშორებით, მდ. რიონის ნაპირზე. ტემპერატურა—11°—14°C. წყლის დებეტი დღე-ღამეში—2.500 ვედრაა. წყაროს ახლოს არის აბანოს შენობები და სასტუმრო.

**ციხის ჯვარის** გოგირდის წყაროები მდებარეობს სადგურ ბაკურიანიდან 5 ვერსის მანძილზე. ტემპერატურა—37° C. დებეტი დღე—ღამეში 30.000 ვედრა.

**ურაველის რკინიან—კირიანი წყაროები.**—ახალციხის მაზრაში, 6000 ფუტამდე ზღვის დონეზე მაღლა. ტემპერატურა 15°C, დებეტი 5.000 ვედრამდე დღე—ღამეში

**პლატენის რკინიან—ნახშირ-მჟავა** წყაროები არის აბასთუმნიდან 17 ვერსის მანძილზე; ტემპერატურა—13°—15°—C. დებეტი 6.000 ვედრამდე დღე—ღამეში.

**ცაიშის გოგირდის წყაროები** არის ზუგდიდის ახლოს; ტემპერატურა 26,5° C, დებეტი 48.000 ვედრა დღე—ღამეში.

**ტყვარჩელის გოგირდის წყაროები**—სად. ოჩემჩირიდან 40 ვერსის მანძილზეა. ტემპერატურა 34.5°C, დებეტი 30.000 ვედრა დღე-ღამეში. წყაროებთან არის აბანოს შენობები და სასტუმრო.

**სმადის მწარე—მარილიანი წყაროები** ახალციხის მაზრაში და მცხეთის მწარე მარილიანი წყაროები სპეციალისტების აზრით შეედრებიან «ფრანც იოსიფ»-ის და „გუნიადი იანოს"-ის სასაქმებელ წყლებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ და მრავალ სხვა წყლებს შეუძლიანთ მსოფლიო ბაზარს მიაწოდონ დიდძალი სამკურნალო წყლები, რომელთაც კარგი სამკურნალო თვისებისა გამო უთუოდ კარგი გასავალი ექნებათ.

მეორეს მხრით, თუ შექმნილ იქნება სათანადო პირობები—მოეწყობა კარგი გზები, ბინები და სხვ. საქართველოს კურორტებით შეიძლება ისარგებლონ უცხოელებმაც. ეს მით უმეტეს შესაძლებელია, რომ საქართველოს ყველა აგარაკი და სამკურნალო წყლების უმრავლესობა მდებარეობს ჯანსაღ და გასაოცარ ლამაზ მიდამოებში, სადაც მშვენიერი ჰაერია. თუ ეს მინერალური წყლები სათანადოთ იქნება მოწყობილი და რაციონალურად გამოყენებული, მაშინ ისინი შეიძლება გახდენ ჩვენი ქვეყნის გამდიდრების დაულეველ წყაროდ. ამ წყლებს შეუძლიანთ შექმნან საქართველოს მატერიალური კეთილდღეობის მტკიცე საფუძველი.

ქვემოდ ჩვენ მოგვყავს საქართველოს მთავარ სამკურნალო წყაროების სია.

# სია საქართველოს მინერალური წყლებისა.

## 1. ნახშირ-მჟავა წყაროები.

1. აფშოს ცივი წყარო,—ყოფ. თიანეთის მაზრაში.
2. ართხომოსის ცივი წყარო—დუშეთის საზრაში.
3. ათაბეთის ცივი წყარო—დუშეთის მაზრაში.
4. ბისოს ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზრაში.
5. ბრითათის ცივი წყარო—გორის მაზრაში.
6. ვეძა-აშმალოს ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზრაში.
7. ღების წყაროები—რაჭის მაზრაში.
8. გერგეთის ცივი წყარო—დუშეთის მაზრაში.
9. გუდანის ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზრაში.
10. ყარაბულაღის წყარო—ტფილისის მაზ.
11. ქმოსტის ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზრა.
12. ქოთურის წყარო—ბორჩალოს მაზრ.
13. კუდარის თბილი წყარო—რაჭის მაზრაში.
14. ლახამულის ცივი წყარო—ლეჩხუმის მაზრაში.
15. ლიკოკსის ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზრაში.
16. ლარსმინის ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზრა.
17. ტებელინის ცივი წყარო—შორაპნის მაზრაში.
18. ტრუსოვის ცივი წყარო (სსუარ) დუშეთის მაზრაში.
19. ხენედულის ცივი წყარო—ლეჩხუმის მაზრაში.
20. ჩიგო—ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზ.
21. შათილის ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზ.
22. შტავლერის ცივი წყარო—ლეჩხუმის მაზ.
23. ედისის ცივი წყარო—გორის მაზ.

## 2. ნახშირ-მჟავა ტუტოვანი წყაროები.

1. ბორჯომის ცივი წყაროები—ეკატერინის და ევგენიევის, გორის მაზრაში.
2. ვეძე-მაკართის ცივი წყარო—დუშეთის მაზ.
3. გუდარახის ცივი წყარო—ყოფ. თიანეთის მაზ.
4. ჯამურის ცივი წყარო—დუშეთის მაზ.

## 3. მარილ-ტუტოვანი წყაროები.

1. აბასთუმანის ცხელი წყარო—ახალციხის მ.
2. ბორჯომის თბილი (ეკატერ. და ევგენ.) წყაროები—გორის მაზ.

3. გუდამაყარის ცივი წყარო—დუშეთის მაზ.
4. ევგენიევის თბილი წყარო—ბორჯომი.
5. ეკატერინეს თბილი წყარო—ბორჯომი.
6. ელისუნის ცხელი წყაროები—კახის მ.. ზაქატალას ოლქი.
7. მულანლის ცივი წყაროები—ტფილისის მაზ.
8. ნოქალაქევის თბილი წყაროები—სენაკის მაზ.
9. ონის ცივი წყაროები—რაჭის მაზ.

### 4. სუსტი-ტუტოვანი წყაროები.

1. ახტალის—სიღნაღის მაზ.
2. დვირის ცხელი წყაროები—ახალციხის მაზ.
3. ჯავის—ტუტოვანი წყაროები—გორის მაზ.
4. ქურჯა—ტუტოვანი წყარო—სიღნაღის მაზ.
5. სასანი—სვანეთი.

### 5. გლაუბერის ტუტოვანი წყაროები.

1. სმადინის ცივი წყარო—გლაუბერის—ახალც. მ.

### 6. სუსტი მარილიანი წყაროები.

1. ქათემეისის ცივი წყარო—ბორჩალოს მაზრა.
2. ოლოდა—ცივი წყარო ახალ. მ.

### 7. რკინოვანი წყაროები.

1. კარმენის ცივი წყარო—თიანეთის მაზ.
2. კულაშის ცივი წყარო—ქუთაისის მ.
3. მახინჯაურის წყარო—ბათომის ოლქი.
4. პლატენის ცივი წყარო—ახალც. მ.
5. სიმონეთის ცივი წყარო—ქუთ. მ.
6. სუფსის ცივი წყარო—ოზურგ. მაზ.

### 8. ნახშირ-მჟავა რკინიანი წყაროები.

1. გლოლის ცივი წყარო, რაჭის მაზ.
2. გულაჭალის ცივი წყარო—ლეჩხუმის მ.
3. ჯოჯორის ცივი წყარო—რაჭის მ.
4. ედისის ცივი წყარო—გორის მაზ.
5. ქაცალახევის ცივი წყარო— ყოფ. თიანეთის მაზ.
6. ქვიშეთის ცივი წყარო—დუშეთის მაზ.
7. კობის ცივი წყარო „ „

8. ლუშქეთის ცივი წყარო—ლეჩხუმის მაზ.
9. მაჯარის „ „
10. მჟავე წყალი—ცივი წყაროები, რაჭის მაზ.
11. ლიბანის ცივი წყარო, გორის მაზ.
12. მიქელეთის აბანო—თბილი, ართვინი, ბათომის ოლქი.
13. ნაცარულის თბილი წყარო, რაჭის მაზ.
14. პლატენის ცივი წყარო, ახალციხ. მაზ.
15. როკის ცივი წყაროები, გორის მაზრ.
16. საჯევახოს ცივი წყარ. ოზურგეთის მაზ.
17. სასანიე—ცივი წყარო, ლეჩხუმის მაზ.
18. სლონის ცივი წყაროები, დუშეთის მაზ.
19. ურაველის ცივი წყაროები, ახალციხის მაზ.
20. ხახაბო—ცივი წყაროები, სოფ. თიანეთის მაზ.
21. ხიხათის ცივი წყაროები, შორაპნის მაზ.
22. ხამურის ცივი წყაროები, ახალც. მაზ.
23. წალვერის ცივი წყარო, გორის მაზ.
24. შოვის ცივი წყარ., რაჭის მაზ.
25. შურდინის ცივი წყარო—ახალქალაქის მაზ.
26. ერიმანის ცივი წყარო გორის მაზ.

## 9. რკინოვანი-ტუტიანი, გოგირდ-რკინიანი და კირიანი-რკინოვანი წყაროები.

1. ამაღლების ცივი წყარო (გოგირ.-რკინიანი), ოზურგ. მაზ.
2, ღების ცივი წყარო (გოგირ.-რკინ.), რაჭის მაზ.
3. კობის ცივი წყარო (რკინ.-ტუტიანი, დუშეთის მაზ.
4. ლესევითის—ნახშირ-მჟავა, რკინ. წყაროები, გორის მაზ.
5. ონის რკინ.-ტუტოვანი წყაროები (ცივი), რაჭის მაზ.
6. ურაველის ცივი რკინ.-კირიანი წყარო—ახალციხის მაზ.
7. უწერის ცივი, რკინოვან-ტუტიანი წყარო—რაჭის მაზ.
8. წალვერის ცივი რკინოვან ტუტიანი წყ., გორის მაზ.
9. ჭალის—რკინოვან-ტუტიანი, სოფ. ლესევი

## 10. მწარე-მარილიანი წყაროები.

1. ახალციხის თბილი, ახალც. მაზ.,
2. სმადინის ცივი წყარო—ახალციხ. მაზ.,

## 11. გოგირდის და გოგირდ-ტუტიანი წყაროები.

1. აბანო—ცივი წყარ., ლეჩხუმის მაზ.,
2. აბანო—თბილი წყარო, ართვინი, ბათომის ოლქი.

3. აბანოს-ჭანა—თბილი, ქუთაისის მაზრ.
4. აგარა—თბილი წყარო, ბათომის ოლქი.
5. ადიგიუნის ცივი წყარო, ახალც. მაზ.
6. ალპანოს ცივი წყაროები, ლეჩხუმის მაზ.,
7. ანანისის ცივი წყარო, გორის მაზ.
8. ასპინძის ცხელი წყარ., ახალციხის მაზ.,
9. ატენის ცივი წყაროები, გორის მაზ.,
10. ბაღდადის ცივი წყარო, ქუთაისის მაზ.
11. ბოსტაჟენის ცივი წყაროები, გორის მაზ.,
12. ბუვეულის ცივი წყარო, რაჭის მაზ.,
13. ღების „ „ *
14. გუჯარეთის ცივი წყარ. გორის მაზ.,
15. ძველი თვილების—ცხელი, ქუთაისის მაზრ.
16. ჯახველის ცივი წყარო, შორაპნის მაზ.
17. ჯუმის თბილი წყარო, ზუგდიდის მაზ.
18. დოლის ცივი წყარო, ლეჩხუმის მაზ.
19. ელისუის ცხელი წყარო, ზაქათალას ოლქი.
20. ზვარის თბილი წყაროები, ქუთაისის მაზრ.
21. ზეკარის თბილი წყაროები, „
22. ყაზბეგის თბილი წყარო, დუშეთის მაზ.
23. ყანჩავის თბილი. „ „
24. კვალითის თბილი, ქუთაისის მაზ.
25. ყვარელის—ცივი, თელავის მაზ.
26. ყივილაშვილების ცივი წყარო, შორაპნის მაზ.
27. კადლანის ცივი წყარო, გორის მაზ.
28. კოდლასანის—ცივი.
29. კურსები—ცივი, ქუთაისის მაზ.
30. ლამეშკრანა—თბილი, ოზურგეთის მაზ.
31. ლეგვანის—ცივი, ქუთაისის მაზ.
32. მახინჯაურის, ბათომის ოლქი.
33. მიქელეთის აბანო, ტფილისის მაზ.
34. ნაქალაქევის თბილი, სენაკის მაზ.
35. მუხროვანის თბილი, ტფილისის მაზ.
36. ნაქურდევის ცივი წყარო, ახალციხ. მაზ.
37. „ „ „ „
38. პხონის აბანო, თბილი წყარო გორის მაზ.
39. თიაველის ცხელი წყარო, ყოფ. თიანეთის მაზ.
40. თიაველის ცხელი.

41. საბის თბილი, ქუთაისის გუბ.
42. სადგერის ცივი წყარო, გორის მაზ.
43. საწირის აბანო,—ოკიბის წყარო.
44. ძველი სენაკის, სენაკის მაზ.
45. სარმუმი, ლეჩხუმის მაზ.
46. თარიხონის—ლეჩხუმის მაზ.
47. თეკლათის ცივი წყარო, სენაკის მაზ.
48. ტფილისის თბილი და ცხელი წყაროები.
49. ტრუსოვის ცივი წყაროები, დუშეთის მაზ.
50. ხახმატის ცხელი წყარო, ყ. თიანეთის მაზ.
51. ხერვინის თბილი და ცხელი წყაროები, ახალ. მაზ.
52. კისო, ცხელი წყარო, ყოფ. თიანეთის მაზ.
53. ხიხანის ცივი წყაროები, შორაპნის მაზ.
54. ხავლე—თბილი წყარო გორის მაზ.
55. ხოზანის—ცივი წყარო, ახალციხ.
56. ხრესილის ცივი წყარო.
57. უანგის თბილი წყაროები, ზუგდიდის მაზ.
58. წესი ანუ წენსი, გოგირ., რაჭის მაზ.
59. უკეკუბანის თბილი, ახალც. მაზ.
60. ციხის-ჯვარის თბილი წყაროები—გორის მაზ.
61. წყალტუბოს თბილი და ცხელი წყაროები, ქუთაისის მაზ.
62. ცხმორის წყაროები, რაჭის მაზ.
63. ცხრა-წყარო,—ცი.ხის-ჯვარ. წყაროები.
64. ციხის—შორაპნის მაზრა.
65. ჩრდილი—ოხალის თბილი.
66. ჩუმათელეთი—ცივი, გორის მაზ.
67. შაქრიანის თბილი წყაროები, თელავის მაზ.

## 12. ქირიანი წყაროები.

1. გუდამაყარის ცივი წყარო, დუშეთის მაზ.
2. ბორისახის ცივი წყარო, ყოფ. თიანეთის მაზ.
3. კაპოლხევის ცივი წყარო, „ „

## 13. ქიმიურად ნეიტრალური წყაროები

1. აბასთუმნის—ახალციხის მაზ.
2. ასპინძის—ახალციხე.
3. ბარცხის ცხელი.
4. დვირის ცხელი, ახალციხის მაზ.

5. ნოქალაქევის თბილი წყარო, სენაკის მაზ.
6. წინუბანის თბილი წყარო, ახალციხე.
7. წყალტუბოს თბილი და ცხელი, ქუთაისის მაზ.

## 14. გამოურკვეველი ხასიათის წყაროები

1. ასპინძის—ახალციხე.
2. ასკანეთის—ოზურგეთის მაზრა.
3. ახალციხის თბილი წყაროები.
4. აჭიურის—ბათომის ოლქი.
5. ბათომის „ „
6. ბარცხის—ცხელი წყარო.
7. გარაულის—რაჭის მაზრა.
8. გომის—ახალციხე.
9. გომურის—რაჭის მაზრა.
10. ირის-ჭალა—ახალციხე.
11. კულაში—ქუთაისი.
12. ლაგთინის—რაჭის მაზ.
13. ლაშე—ოზურგეთი.
14. ლაშხევი—ახალციხის მაზ.
15. ლონოთის—თელავის მაზ.
16. მურაკვაშის—ახალციხის მაზ.
17. ოკიზის „ „
18. ოშარის „ „
19. რუსთავის „ „
20. სტარო—თბილი, ახალქალ. მაზ.
21. ურავი—რაჭის მაზ.
22. წოწკეთა—ბათომის ოლქი.
23. წრია „ „
24. ჩასაველის—რაჭის მაზ.
25. შარმიგანის—დუშეთის მაზ.

## 15. სამკურნალო ტალახები.

1. ახტალის—სიღნაღის მაზ.
2. ციხის-ჯვარის—გორის მაზ.

## 16. ზღვის აბანოები.

1. ქობულეთი.
2. ციხის-ჯვარი.
3. „ზელენი მისი“.

## 17. მთის კლიმატიური სადგურები.

1) წაღვერი, 2) ცემი, 3) პატარა ცემი, 4) ბაკურიანი, 5) სუმბათოვო, 6) მანგლისი, 7) ბახმარო, 8) კოჯორი.

| | |
|---|---|
| რუსეთში | 222 |
| კავკასიაში | 585/3751 |
| საქართველოში | 214 |
| საზოგადოებრ. მნიშვნ. | 15—16% |
| ყ. ტფილისის გუბ. | 126 |
| „ ქუთაისის გუბ. | 74 |
| ბათომის ოლქი | 14 |

## ხაერთო დაყოფა საქართველოს მინერალური წყაროებისა.

| | |
|---|---|
| 1. გოგირდოვანი და გოგირდ-კირიანი | 72 |
| 2. გამოურკვეველი შემადგენლობის წყაროები | 27 |
| 3. ნახშირმჟავა | 23 |
| 4. ნახშირ-მჟავა-რკინიანი | 27 |
| 5. რკინა-ტუტიანი | 10 |
| 6. მარილ-ტუტიანი | 9 |
| 7. აკროტერმაული | 9 |
| 8. კლიმატიური სადგურები | 7 |
| 9. რკინიანი წყაროები | 6 |
| 10. სუსტი-ტუტიანი | 5 |
| 11. კირიანი წყაროები | 4 |
| 12. ზღვის აბანოები | 4 |
| 13. ნახშირ-მჟავა ტუტიანი | 4 |
| 14. სამკურნალო ტალახები | 2 |
| 15. მწარე წყლები | 2 |
| 16. სუსტ-მარილიანი | 2 |
| 17. გლაუბერ-მარილიანი | 1 |

## ცნობილი კურორტები.

| | |
|---|---|
| ბორჯომი | უწერა |
| წყალტუბო | სურამი |
| ახტალა | ფასანაური. |

## კლიმატიური სადგურები.

1. აბასთუმანი.
2. წაღვერი.

3. ცემი.
4. პატარა-ცემი.
5. ბაკურიანი.
6. სუმბათოვო.
7. მანგლისი.
8. ბახმარო.
9. ქობულეთი—ზღვის აბანოები.
10. ციხის ჯვარი „
11. „ზელენი მისი“ „
12. ბათომის ზღვის ნაპირი.

---

# გზები[1]

**რკინის გზები** საქართველოში ცოტაა და არაა საკმარისი. რკინის გზის მთავარი ხაზი ტფილისიდან მიდის ერთის მხრით ბაქოსაკენ და მეორეს მხრით—დასავლეთ საქართველოსაკენ. ამ უკანასკნელ ხაზს აქვს რამოდენიმე შტო, რომელთა საშუალებით ტფილისი უკავშირდება სხვადასხვა მაზრებს და ქალაქებს: გორის, შორაპნის, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებს და ქალაქებს: გორს, ბორჯომს, სენაკს და ფოთს.

ტფილისიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიდის რკინის გზის ცალკე შტო (კახეთის ხაზი), რომელიც ტფილისს თელავის და სიღნაღის მაზრებს უკავშირებს.

ყველა ამ გზების სიგრძე 875,5 ვერსს უდრის.

რკინის გზით მოგზაურთა რიცხვის ზრდას შემდეგი ციფრები გვიჩვენებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1913 წ. . . | 4.628,9 | ათ. მგზავრი . . | 100 % |
| 1923/24 წ. . | 3.316,6 | „ „ | 71,7 % |
| 1924/25 წ. . | 5.328,5 | „ „ | 115,1 % |

უკვე 1924/25 წ. რკინის გზით მოგზაურთა რიცხვი საქართველოში შედარებით 1913 წელთან 15,1 % მეტი იყო.

გაიზარდა აგრეთვე ტვირთის მოძრაობაც:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1913 წ . . . | 115,5 | მილ. ფ. . . | 100 % |
| 1922/23 „ . | 38,8 | „ „ | 33,6 „ |
| 1923/24 „ . | 48,5 | „ „ | 42,0 „ |
| 1924/25 „ . | 72,7 | „ „ | 62,0 „ |

---

[1]) ცნობები ამოღებულია საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ გამოცემულ 1924—25 წლის საქართველოს სახალხო მეურნეობიდან. გამოც. 1926 წ.

1922/23 წლიდან ტვირთვის მოძრაობა თანდათან ნატულობს. რკინის გზების ექსპლოატაციის გაფართოებასთან ერთად იზრდება რკინის გზის შემოსავალ-გასავალი და 1924/25 წლიდან საქართველოს რკინის გზა მოგებას ტოვებს.

საქართველოს რკინის გზების შემოსავალ-გასავალი [2]) შემდეგ ციფრებს იძლევა ათას მანეთებში:

| | შემოსავალი | გასავალი | განსხვავება |
|---|---|---|---|
| 1923/24 წ. | 12.162,5 | 13.809,4 | —1.646,9 |
| 1924/25 წ. | 21.377,5 | 20,313,9 | +1.063,6 |

1924/25 საბიუჯეტო წელს საქართველოს რკინის გზებმა დატოვა მოგება ერთი მილიონ მანეთზე მეტი.

საქართველოს რკინის გზების შემოსავალ-გასავალი 1913 წლის ფასებში შემდეგ სურათს გვაძლევს (ათას მეწეთებში) [3]):

| | შემოსავალი | გაასავალი | განსხვავება |
|---|---|---|---|
| 1913 წ. | 21.877,4 | 11.435,5 | +10,441,9 |
| 1923/24 წ. | 5.288,0 | 6.004,1 | — 0.716,1 |
| 1924/25 წ. | 9.945,6 | 9.472,9 | + 0,472,8 |

ეს ციფრები გვიჩვენებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და უნდა ექნეს მომავალში რკინის გზის შემოსავალს საქართველოს

---

[2]) „შემოსავალი გამოყოფილია იმ %%% მიხედვით, რომლითაც იხატება საქართველოს ხაზის მუშაობა საერთოდ ა.-კ. რკ.-გზების ხაზის მუშაობაში. ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოს სტატ. და კარტოგ. განყოფ. ცნობით—იგი უდრის 1923 წ. 68,6%, 1924 წ. 45,9% და 1925 წ. 61,6%, რაც ჩვენ აღებული გვაქვს სათანადო სამეურნეო წლის შემოსავლიდან საქართველოს ხაზის შემოსავლის გამოსაყოფათ. გასავლის კოეფიციენტი წარმოადგენს საშუალო პროცენტს დასახელებულ კოეფიციენტების და საქ. ხაზის მონაწილეობის (სიგრძით) საერთო ხაზში (42%), რომელიც არის შეფარდებული ცალ-ცალკე წლებისათვის. რასაკვირველია, ეს გამოანგარიშება არ შეიძლება სრულიად დამაკმაყოფ. ჩაითვალოს, მაგრამ პირდაპირი ცნობების უქონლ. პირობებში, შესაფერი გამოანგარიშების უკეთესი ხერხი არ მოგვეპოვება ჯერ-ჯერობით“. ეს შენიშვნა ამოღებულია საქართ. სახ. საგეგმო კომისიის „1924/25 წ. საქართველოს სახალხო მეურნეობიდან“.

[3]) ფულის სყიდვითი უნარი საბიუჯეტო ინდექსების მიხედვით: 1923/24 წ. 2,3 და 1924/25 წ. 2,25 ჯერ ნაკლები იყო 1913 წლისაზე.

ბიუჯეტში წონასწორობის დამყარების საქმეში. რკინის ხაზები თანდათან იზრდება და ეკვრება საქართველოს სხვადასხვა წინეთ თითქმის ურმითაც მიუვალ კუთხეებს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიურად განვითარებას და გაძლიერებას, ე. ი. ეროვნული სიმდიდრის და შემოსავლის გადიდებას.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, რკინის გზების შემოსავალიც გაიზრდება და ის მომავალში მრავალჯერ მეტი იქნება, ვიდრე ომამდე იყო; უკვე გარკვეულ სახეს იღებს პროექტი ფოთი-ბათომის მამისონის ულელტეხილით ჩრდილო-კავკასიასთან რკინის გზით შეერთების შესახებ.

ამ გზის გაყვანას საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე იმდენად დიდი გავლენა ექნება, რომ საჭიროა ამ კითხვაზე შეჩერება.

ამ კითხვის შესახებ არსებობს დიდი პროექტი [4]), რომლიდანაც ჩვენ მოგვყავს ზოგიერთი ცნობები. ამ პროექტში «Экономическая записка по грузообороту и финансовым результатам перевально железной дороги черноморско-каспийского транзита» ეკუთვნის ინჟ. ფელდტს, მის ცნობებში და ვარაუდში ჩემის აზრით, ბევრი რამ გაზვიადებულია, მაგრამ ამ მასალებით, თუ მათ სიფრთხილით მოვეპყრობით, სარგებლობა შეიძლება.

ამ პროექტით ჩრდილო-კავკასია რკინის გზით უნდა შეუერთდეს ფოთი და ბათომის ნავთსადგურებს შემდეგი მიმართულებით: ბესლანი (ჩრდილო-კავკასია)—მამისონის ულელტეხილი—ონი—ჭრებალო-მარტვილი—ახალსენაკი—ფოთი. ამ ხაზს ონიდან უნდა ექნეს შტო, რომელიც ცხინვალით გორამდინ მიდის.

პროექტის ავტორები შესაძლოთ სთვლიან ორგვარ ცვლილებას: პირველი—ბესლანიდან შეიძლება ხაზი წავიდეს ასხარისირით (ჩრდილო-კავკასია)—უწერით ონამდე და შემდეგ ჭრებალომდი უკვე ზევით აღნიშნული ხაზით; მეორე—ჭრებალოდან ქუთაის—კოპიტნარი—სამტრედია—სუფსათი ფოთამდე.

---

[4]) Проект (эскизный) электрической перевальной через Главный Кавказский хребет железной дороги черноморско-каспийского транзита и Они—Гори (Тифлис). 1925—25 г.г.

ეს პროექტი არსებითად შედგენილია ინჟ. ი. პროსინსკის მიერ. სანამ პროსინსკი აწარმოებდა ამ საქმეს და შეადგენდა ტექნიკურ გამოკვლევას, ინჟ. ფელდტი აქ სრულიად მეორე ხარისხოვან როლს თამაშობდა.

ბესლანიდან მამისონი—ახალსენაკი—ფოთამდე რკინის გზის ხაზის სიგრძე უდრიდეს იქნება 296 კილომ., ე. ი. უფრო მოკლეა ყველა იმ გზებზე, რომლებითაც აღმოსავლეთ რუსეთიდან, ციმბირიდან, აღმოსავლეთ აზიიდან შეიძლება გასვლა. შავი ზღვის ნაპირებზე ამ გზით გაიზიდება ადგილობრივი და გაცილებით უფრო მეტი სატრანზიტო საქონელი.

„პროექტის" ცნობებით ამ გზით უნდა გადაიზიდოს: პურეული—1.670.000 ფ.; ტყის მასალა—3.000.000 ფ. და სამთო მრეწველობის ტვირთები—17.450.000 ფ., სულ 22.220.000 ფ. ამას მიემატება მინერალური წყლები, ღვინო, ხილი, ბოსტნეულობის პროდუქცია და ბოლოს რკინის გზის გაყვანით გამოწვეული ეკონომიური განვითარების შედეგები. „პროექტის" ვარაუდით საქართველოში წლიურად ამ რკინის გზით უნდა გადაიზიდოს არა ნაკლები 29—30 მილიონი ფუთი საქონელი ათი წლის შემდეგ, როდესაც ეს გზა დამთავრებული იქნება.

სატრანზიტო საქონელი ამ გზაზე იმავე „პროექტში" ნავარაუდევია: რუსეთიდან ამიერ-კავკასიაში—45 მილიონი ფ., კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილიდან—140 მილ. ფ. და შავიზღვა—ყასპის შორის—20 მილ. ფუთი, სულ 205 მილ. ფუთი. ადგილობრივი საქონლის დამატებით ამ გზით წლიურათ უნდა გაიზიდოს ათი წლის შემდეგ არა ნაკლები 235 მილიონი ფუთისა.

ამ გზის შემოსავალ გასავალი იმავე „პროექტში" ნავარაუდევია: შემოსავალი მცირე სისწრაფით გადაზიდულ საქონლიდან წლიურად—14,6 მილიონი მან. და შემოსავალი მოგზაურების გადაზიდვიდან და სხვა წყაროებიდან—10,3 მილ. მან., სულ 24,9 მილ. მან. ამავე დროს წლიური ხარჯი ნავარაუდევია—ხუთ მილიონამდე და წმინდა მოგება—20 მილიონი მან.

ინჟ. ფელდტის და მისი თანამშრომლების მიერ შედგენილი „Экономическая записка" აშკარად ძალიან სუსტია და მაზედ დაყრდნობა არ შეიძლება; მისი სისუსტის მაჩვენებელია აქ ნაჩვენები მოგება—20 მილ. მან. და ხარჯები—ხუთი მილ. მან. ხარჯების გამოანგარიშება უსათუოდ საიმედო საბუთებზე არაა დამყარებული, მაგრამ ყოველშემთხვევაში ეჭვს გარეშეა ის, რომ ეს გზა, რომელიც ტეხნიკურად დამაკმაყოფილებლად იქნება მოწყობილი, იაფი ელექტრონის ძალით ისარგებლებს და გადასაზიდი საქონლით უზრუნველყოფილი იქნება, ეს გზა მომავალში დიდ მოგებას დატოვებს და ეს მოგება თანდათან გაიზრდება: ამ გზის მოწყობის შემდეგ

არ გაივლის ათი წელიწადი და ნავარაუდევი ოცი მილიონი მან. მოგება იმ დროსთვის სრულიადაც გაზვიადებული არ იქნება. ეს გზა მისი მოსაწყობად საჭირო კაპიტალის[5]) სარგებელს და საამორტიზაციო თანხას ადვილად გაიღებს და საქართველოს სხვა არა პირდაპირი დიდი სარგებლობის გარდა ყოველწლიურად დიდ მოგებას მისცემს.

**გზატკეცილები და საურმე გზები.** საერთოდ გზებით და კერძოთ გზატკეცილებით საქართველო მეტად ღარიბია. გზატკეცილების სამმართველოს ცნობებით სრულიად საქართველოში გზატკეცილების სიგრძე უდრის 2150 ვერსს, ხოლო საურმე გზების—3350 ვერსს, ორივე კი—5500 ვერსს.

თავის მნიშვნელობით და სიგრძით აღსანიშნავია შემდეგი გზატკეცილები: საქართველოს სამხედრო—201 ვერსი, ოსეთის სამხედრო—96 ვერსი, ბორჯომი—ახალციხის და ახალციხე-ახალქალაქის—115 ვერსი, ბორჯომი ახალციხის და ახალციხე-ახალქალაქის—115 ვერსი, ბორჯომ—ბაკურიანი—ახალქალაქის—77 ვერსი, ტფილისი—მანგლისის—60 ვერსი, მცხეთა—სურამის—100 ვერსი, სურამი-ძირულა-ქუთაისი-ხონი-სამტრედია—147 ვერსი, ახალსენაკი-სოხუმი-პილენკოვო—258 ვერსი, ტფილისი-ვაზიანი-სართიჭალა—სიღნაღი-ანაგა-წნორის-წყალი-ლაგოდეხი-150 ვერსი, ახალქალაქი-გოდერის უღელტეხილი-ბათომი—163 ვერსი, ვაზიანი-თელავი—67 ვერსი, ანაგა-ბაკურციხე-თელავი-ახმეტი—75 ვერსი, ტფილისი-თიანეთი—74 ვერსი და ზოგიერთი სხვ.[6])

მთავრობის მიერ განზრახულია მთელი რიგი ახალი გზების გაყვანა და არსებული გზების შეკეთება. გზების საკითხი საქართველოში არის უდიდესი პრობლემა, რომელიც იპყრობს და უნდა იპყრობდეს ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდგან საკმაო და კარგი გზები არის ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აღორძინების მთავარი ფაქტორი და დღეს კი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა გზების სიმცირის და არსებული გზების უვარგისობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის.

---

[5]) ინჟ. ფელდტის ანგარიშით საჭიროა ასი მილ. მან., სინამდვილეში, რასაკვირველია, გაცილებით მეტი იქნება საჭირო.

[6]) საქართველოს გზების სიგრძის და მდგომარეობის შესახებ დამაკმაყოფილებელი მასალები არ არსებობს. გზათა სამმართველოს მასალები, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, არ აკმაყოფილებს თვით სამმართველოს. „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924—25 წ." მოყვანილი ცნობები (იხ. იქვე გვ. 61) გზატკეცილების სამმართველოს ცნობებთან შეთანხმებული არაა.

# ნაციონალური პროდუქცია და მისი ღირებულება.

საქართველოს მეურნეობის სხვადასხვა დარგის დახასიათების დროს ჩვენ ვცდილობდით გამოგვერკვია, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს თითოეული მათგანი. ამ კითხვის სწორად გამორკვევისათვის საჭირო მასალა, სამწუხაროდ, ჯერ არ მოიპოვება, მაგრამ არსებული მასალების საშვალებით შეიძლება ამ დიდი კითხვის **დაახლოვებითი** გამოკვლევა, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

საქართველოს დღევანდელ სინამდვილეში სოფლის მეურნეობა არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური არსებობის უმთავრესი საფუძველი. ამას ამტკიცებს ამ წიგნის შინაარსი, მაგრამ ჩვენ აქვე მოგვყავს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს მიერ ახლად გამოქვეყნებული ცნობები [7]), და მისი საშვალებით შევეცდებით მოკლედ გამოვარკვიოთ თუ რას უდრის სრულიად საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამ პროდუქციის ღირებულება. (იხ. ცხრილი გვ. 270—271).

ეს ცხრილი, რომელიც მთლიანად სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამოანგარიშებებს ეყრდნობა, ფრიად საყურადღებოა. ის გვიჩვენებს, თუ რამდენად სინამდვილეს დაშორებულია გონჩაროვ-ჩეტირკინების „მეცნიერული“ გამოკვლევები. ჩეტირკინის „თეორეტიული“ გამოანგარიშებით საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება შემცირებულია 25—80 პროც. ორი სხვადასხვა გამოანგარიშებით ამ პროდუქციის საერთო ღირებულება უდრიდა (მილიონ მანეთებში და 1913 წლის ფასებში):

| | ჩეტირკინ-ნერსესოვის | სტატ. ცენტრ. სამმართველოს |
|---|---|---|
| 1913 | 83,8 | 113,9 |
| 1924-24 | 61,3 | 97,4 |
| 1924-25 | 60,5 | 105,5 |

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებიც არაა ამომწურავი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელ რაოდენობას მისი ციფრები, რასაკვირველია, არ გამოხატავს, მაგრამ ის სინამდვილესთან გაცილებით უფრო ახლოსაა,

---

7) მოამბე. 1926 წ. № 4—5. როდესაც ეს „მოამბე“ გამოვიდა „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები“ უკვე აწყობილი იყო. „მოამბეში“ მოთავსებული ცნობებიც დაახლოვებითია და ზოგიერთ შემთხვევაში ეს ცნობები საჭიროებს შესწორებას.

სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია და ამ პროდუქციის ღირებულება თანახმად სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამოანგარიშებისა გამოსახატება შემდეგ ცხრილებში, რომელშიდაც 1913 წლის ფასებია მიღებული. რაოდენობა და ღირებულება ნაანგარიშებია ათას ფუთებით და ათას მანეთობით.

| | პროდუქცია | | | | | ღირებულება | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1913 წ. | 1922-23 | 1623-24 | 1924-25 | 1925 1926 | 1913 | 1922-23 | 1923-24 | 1924-25 | 1925-26 |
| I. მარცვლეულის კულტურები. | | | | | | | | | | |
| ხორბალი | 15.117 | 9.155(?) | 9.155(?) | 12.460 | — | 13.605 | 8.239 | 8.240 | 11.214 | — |
| ქერი | 7.894 | 5.002 | 3.105 | 4.079 | — | 4.737 | 3.001 | 1.893 | 2.447 | — |
| ჭვავი | 1.121 | 274 | 336 | 326 | — | 728 | 178 | 218 | 212 | — |
| შვრია | 355 | 83 | 114 | 100 | — | 284 | 67 | 91 | 80 | — |
| სიმინდი | 23.566 | 26.839 | 24.645 | 27.451 | — | 11.783 | 13.420 | 12.322 | 13.726 | — |
| ფეტვი და ღომი | 163 | 96 | 68 | 100 | — | 325 | 192 | 136 | 200 | — |
| ასლი | 171 | 198 | 97 | 85 | — | 146 | 168 | 82 | 72 | — |
| ლობიო | 3.323 | 2.816 | 3.470 | 3.533 | — | 2.990 | 2.534 | 3.123 | 3.179 | — |
| ცერცვი და ოსპი | 63 | 13 | 540 | 550 | — | 76 | 15 | 648 | 660 | — |
| ბრინჯი | — | — | 6(?) | 6(?) | — | — | — | 14(?) | 14(?) | — |
| სულ მარცვლეული | 51.773 | 44.476 | 41.536 | 48.690 | — | 34.674 | 27.814 | 26.767 | 31.804 | — |
| ჩალა | 77.318 | 65.345 | 60.481 | 73.619 | — | 6.958 | 5.881 | 5.443 | 6.625 | — |
| კართოფილი | 1.824 | 1.595 | 3.702 | 3.770 | — | 730 | 638 | 1.481 | 1.508 | — |
| ბამბა ნედლი | 398 | 29 | 232 | 329 | — | 1.594 | 117 | 927 | 1.317 | — |
| თამბაქო | 555 | 245 | 490 | 489 | — | 7.777(?) | 3.424(?) | 6.823(?) | 6.845(?) | — |
| მებაღეობა | 4.930 | 3.654 | 3.933 | 3.731 | — | 4.437 | 3.389 | 3.540 | 3.358 | — |
| მევენახეობა | 11.561 | 7.430 | 9.824 | 8.234 | — | 16.665 | 10.711 | 14.161 | 11.869 | — |
| ჩაი | 34 | 72(?) | 72(?) | 72(?) | — | 123 | 260 | 260 | 560 | — |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტანი და ბაღჩა . . . . | 3.575 | 4.510 | 4.251 | 4.960 | — | 1.180 | 1.488 | 1.436 | 1.638 | — |
| ველოსნობა . . . . . | 12.477 | 12.656(?) | 12.652(?) | 13.687 | — | 4.691 | 4.718(?) | 4.718(?) | 4.873 | — |
| საერთო ჯამი . . . . . | — | — | — | — | — | 78.829 | 53.340 | 69.596 | 70.097 | — |
| II. მესაქონლეობა. | | | | | | | | | | |
| 1. მსხვილ ფეხა რქიანი საქონელი | | | | | | | | | | |
| ძროხ. და ხბოს ხორცი ათას ფ. | 873 | — | 818 | 883 | 920 | 2.618 | — | 2.454 | 2.650 | 2.761 |
| კამეჩის ხორცი „ „ | 141 | — | 124 | 139 | 148 | 282 | — | 449 | 277 | 295 |
| რძე კამეჩისა და ძროხის „ „ | 14.382 | — | 13.777 | 14.314 | 15.310 | 14.382 | — | 13.732 | 14.814 | 15.311 |
| ტყავი ათას ცალ. . . . . | 258 | — | 266 | 287 | 303 | 853 | — | 876 | 952 | 998 |
| 2. ცხვარი და თხა. | | | | | | | | | | |
| ცხვრ. და თხის ხორცი ათას ფ. | 6696 | — | 611 | 622 | 653 | 1.999 | — | 1.835 | 1.864 | 1.960 |
| რძე „ „ | 3.301 | — | 2.127 | 2.906 | 3.003 | 3.301 | — | 2.127 | 2.907 | 3.003 |
| მატყლი „ „ | 167 | — | 74 | 118 | 124 | 998 | — | 444 | 708 | 744 |
| ტყავი ათას ცალ. . . . . | 895 | — | 813 | 825 | 867 | 403 | — | 366 | 371 | 390 |
| 3. ღ ო რ ი. | | | | | | | | | | |
| ღორის ხორცი ათას ფ. . . | 202 | — | 236 | 303 | 331 | 806 | — | 943 | 1.211 | 1.324 |
| ჯაგარი „ „ . . | 0,6 | — | 0,3 | 1,3 | 1,4 | 30 | — | 15 | 65 | 70 |
| 4. მეფრინველეობა. | | | | | | | | | | |
| ფრინველის ხორცი ათას ფ. . | 526 | — | 516 | 526 | 538 | 5.262 | — | 5.167 | 5.262 | 5.378 |
| კვერცხი „ „ . | 541 | — | 530 | 541 | 552 | 1.731(?) | — | 1.694 | 1.731(?) | 1.768 |
| ბუმბული და ფრთა „ „ . | 16 | — | 14 | 16 | 17 | 126 | — | 114 | 126 | 129 |
| 5. მეფუტკრეობა. | | | | | | | | | | |
| თაფლი ათას ფ. . . . . | 15 | — | 23 | 28(?) | 28(?) | 107 | — | 163 | 199(?) | 199(?) |
| ფიჭა „ „ . . . . . | 3 | — | 3,4 | 4(?) | 4(?) | 48 | — | 54 | 66(?) | 66(?) |
| 6. მეაბრეშუმეობა. | | | | | | | | | | |
| პარკი ნედლი ათას ფ. . . . | 135 | — | 100 | 140 | 177 | 2.163 | — | 1.600 | 2.264 | 2.861 |
| მესაქონ. პროდუქციის ღირებულ. | — | — | — | — | — | 35.109 | — | 31.833 | 35.467 | 37.257 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქც. საერთო ღირებულების ჯამი . . | — | — | — | — | — | 113.938 | — | 97.429 | 105.564 | — |

ვიდრე ჩეტირკინ-ნერსესოვის ციფრები. სტატ. ცენტრ. სამმართველოს ჯერ არ ქონდა საშვალება მოეხდინა სოფლის მეურნეობის სრული და დამაკმაყოფილებელი აღწერა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილი რჩება აღრიცხვის გარეშე. ზოგიერთ შემთხვევაში ფასებიც არაა სწორად აღნიშნული. მაგალ. ნედლი თამბაქოს საშუალო ფასი 1913 წ. ნაჩვენებია 14 მან. მაშინ, როდესაც ზღვის ნაპირის მხოლოდ მესამე ხარისხის თამბაქო ფასობდა 12 მან. და სოხუმში 1913 წ. თამბაქოს ფოთოლს „სამსონს“ პლანტატორები ყიდიდენ:

| | |
|---|---|
| პირველი ხარისხის | 23,5—37 მანეთამდე. |
| მეორე „ | 17,5—26 „ |
| მესამე „ | 11,5—15 „ |

ზღვის ნაპირის თამბაქო საშუალოდ იყიდებოდა:

| | |
|---|---|
| პირველი ხარისხის | 25,5 მან. |
| მეორე ხარისხის | 18,0 „ |
| მესამე ხარისხის | 12,0 „ |

აქ აღნიშნული ფასებიდან შეიძლება საშუალო ფასად მიღებულ იქნეს 14 მან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამბაქოს უდიდესი ნაწილი არის დაბალი ხარისხის, ე. ი. მესამე და მეოთხე ხარისხის, მაგრამ სინამდვილე ამბობს წინააღმდეგს. სრულიად საქართველოში საშუალო წლიური მოსავალი 1909—13 წ. იყო 568,6 ათასი ფ. აქედან აფხაზეთში—455,9 ათ. ფუთი და აჭარისტანში—38,6 ათ ფ., სულ 494,5 ათ. ფ. მთელი ეს რაოდენობა იყო უმაღლესი ხარისხის; ამას ემატება დასავლეთ საქართველოში უმაღლესი ხარისხის 14 ათ. ფ. ამნაირად 1913 წ. უმაღლესი ხარისხის თამბაქოს რაოდენობა უდრიდა—508 ათას ფუთს და დაბალი ხარისხის 60 ათას ფუთს. ამ ცნობებიდან აშკარაა, რომ 1913 წელს თამბაქოს საშუალო ფასი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 18 მანეთზე ნაკლები; საშუალო ფასი იყო 19-20 მანეთი.

მომავალში, როდესაც უფრო სწორი ცნობები გვექნება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ამ პროდუქციის ღირებულების შესახებ, დავინახავთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა იძლეოდა და დღესაც მეტს იძლევა, ვიდრე ამას თანამედროვე სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებს.

სოფლის მეურნეობის მთავარი საშემოსავლო წყაროები არის: (1913 წ. ფასებში და მილიონ მანეთებში):

| | 1913 წ. | 1924—25 წ. |
|---|---|---|
| ხორბალი | 13,6 | 11,2 |
| ქერი | 4,7 | 2,4 |
| სიმინდი | 11,8 | 13,7 |
| ლობიო | 3,0 | 3,1 |
| ჩალა | 6,9 | 6,6 |
| კართოფილი | 0,7 | 1,5 |
| ბამბა ნედლი | 1,6 | 1,3 |
| თამბაქო | 7,8 | 6,8 |
| მებაღეობა | 4,4 | 3,3 |
| მევენახეობა | 16,6 | 11,8 |
| ბოსტანი და ბაღჩა | 1,2 | 1,6 |
| ველოსნობა | 4,7 | 4,9 |
| ძროხის, ხბოს, კამეჩის, ცხვრის, თხის და ღორის ხორცი | 5,7 | 6,0 |
| რძე კამეჩის, ძროხის, ცხვრის და თხის | 17,7 | 17,8 |
| ფრინველის ხორცი | 5,3 | 5,4 |
| კვერცხი | 1,7 | 1,7 |
| ნედლი პარკი | 2,2 | 2,9 |
| | 109,6 | 102,0 |

აი ამ-დარგებს ეყრდნობა საქართველოს სოფლის მეურნეობა და ამავე დროს ეს დარგებია საქართველოს მოსახლეობის კეთილ-დღეობის მთავარი საფუძველი. ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა და რა დარგს სოფლის მეურნეობისა უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება.

სოფლის მეურნეობის შემოსავალ-გასავალი თანახმად სტატ. ცენტრ. სამმართველოს გამოანგარიშებისა 1924—25 წ. გამოიხატება შემდეგ ცხრილში ჩერვონეცის მანეთში (1924—25 წ. ფასებში და მილიონ მანეთებში);

| | შემოსავალი | გასავალი |
|---|---|---|
| მემინდვრეობა | 91,3 | 101,8 |
| მესაქონლეობა | 91,2 | 89,7 |
| მევენახეობა | 21,2 | 19,0 |
| ველოსნობა | 16,3 | 16,7 |
| მეთამბაქოობა | 11,6 | 6,5 |
| მებაღეობა | 7,4 | 4,4 |
| | 239,0 | 238,1 |

სოფლის მეურნეობის მხოლოდ ოთხი დარგი ხარჯების დაფარვის შემდეგ იძლევა ზედმეტ გასატან საქონელს. ასეთი დარგებია: მესაქონლეობა, მევენახეობა, მეთამბაქოობა და მებაღეობა.

საერთოდ აქ მოყვანილ ცნობებში შესწორებების შეტანის შემდეგ სოფლის მეურნეობამ 1924—25 წ. 1913 წლის ფასებში მოგვცა დაახლოვებით 105—115 მილ. მანეთის პროდუქცია.

უფრო ძნელია საქართველოს მრეწველობის პროდუქციის და ამ პროდუქციის ღირებულების გამოანგარიშება.

ჩვენ აქ მოვიყვანთ არსებულ ცნობებს ცენზიანი, უცენზო და შინამრეწველობის პროდუქციის შესახებ და ამ პროდუქციის საერთო ღირებულებას.

თანახმად სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მასალებისა*) ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულება ჩერვონულ მანეთებში 1923—24 წელს უდრიდა 23,5 მილ. მან., მაგრამ ამ ანგარიშში შედის ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის დაახლოვებით მხოლოდ 75 პროც-ი; ამიტომ 1923—24 წლის ამ პროდუქციის ღირებულება უნდა უდრიდეს 31 მილ. მან.

1924—25 წლისთვის ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულება (რკინის გზის სახელოსნოების და ღვინის გადამუშავების წარმოების გამოკლებით) სტატ. ცენტრ. სამმართველოს გამოანგარიშებით უდრის 37,6 მილ. მან.

ბოლოს 1925—26 წ. 1924—25 წლის გამოანგარიშების წესის თანახმად ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულება უდრის 54,5 მილ. მან.

უცენზო, ე. ი. წვრილი მრეწველობის პროდუქციის ღირებულების გამოსარკვევად კიდევ უფრო სუსტი მასალა გვაქვს. ფინინსპეკტორების მიერ დაგროვილი მრეწველობის დაბეგვრის საბუთები, რომელზედაც ეყრდნობა პროდუქციის ღირებულების გამოანგარიშება, არაა დამაკმაყოფილებელი, რამდენადაც დამარწმუნა მათ მიერ სტატ. ცენტრალურ სამმართველოში გადაგზავნილ მასალათა დათვალიერებამ. უსათუოდ დიდძალი წვრილი მრეწველი ანგარიშს გარეშეა დარჩენილი.

გაუგებრობის ასაცდენად აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წვრილი მრეწველობის საერთო ბრუნვა სტატ. ცენტრალური სამმართველოს მიერ მიღებულია, როგორც ამ მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულების გამომხატველი. ასეთი ანგარიში, რასაკვირველია, არ არის სავსებით სწორი და მომავალში სამმართველო, ალბათ, უფრო სწორი და საიმედო გზით შეეცდება ამ კითხვის გამოკვლევას. დღეს

*) როდესაც საქარ „ეკონომიკის“ საფუძვლები იბეჭდებოდა, მაშინ ეს მასალები გამოქვეყნებული არ იყო. ეს მასალები მე მივიღე გ. ფერაძისაგან, რომელიც ამ კითხვას ამუშავებს სტატ. ცენტრ. სამმართველოში.

კი ჩვენ იძულებული ვართ ვისარგებლოთ არსებული მასალით, რომელიც გვიჩვენებს, რომ სოფლებში და ქალაქებში უცენზო მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1925—26 წლის პირველ ნახევარში უდრიდა 14 მილ. მანეთს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აღნიშნულ პროდუქციაში არ შედის წვრილი მრეწველობის პროდუქციის დიდი ნაწილი, მთელი წლის ამ მრეწველობის პროდუქციის ღირებულება უნდა ვივარაუდოთ არა ნაკლები 30 მილ. მანეთისა, რაც სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება.

წვრილი უცენზო მრეწველობის შემდეგ საქართველოს სახალხო მეურნეობაში დიდათ საყურადღებო ადგილი უკავია შინა მრეწველობას, რომელიც ძალიან გავრცელებულია მთელ საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ კიდევ უფრო, ვიდრე სხვა დარგებში, ნაკლები სტატისტიკური მასალა მოიპოვება*). 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების თანახმად, რომელიც მხოლოდ 736 სოფელს ეხება და ამ ფარგლებშიდაც სრულ სინამდვილეს ვერ გამოხატავს, შინამრეწველობის პროდუქციის დაახლოებითი ღირებულება ჩერვონეცის მანეთებში ნავარაუდევია 7,6 მილიონი მან. ზოგიერთი დაკვირვებული და საქმესთან კარგათ გაცნობილი სპეციალისტები იმ აზრისაა, რომ ამ მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებულება 15 მილ. ჩერვ. მანეთს უნდა აღემატებოდეს.

აქ მოყვანილი ცნობებით არ ამოიწურება საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგების პროდუქციის ღირებულება. აქ არ შედის კომუნალური და სხვა მეურნეობათა პროდუქცია, რომლებიდანაც სახელმწიფო საგადასახადო დაწესებულება გადასახადებს არ კრეფს. ასეთ პროდუქციას სხვათა შორის ეკუთვნის გასაყიდათ დამზადებული ბორჯომის წყალი, რომლის რეალიზაციამ 1926 წელს**) ექვსი თვის განმავლობაში პირველ დეკემბრამდე წმინდა მოგება დატოვა 584 ათასი მან., მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე ძველი მოჯარადრისაგან ახალი ხელმძღვანელებმა ფრიად აწეწილ-დაწეწილი, ტეხნიკურად ცუდათ მოწყობილი და დავალიანებული ჩაიბარა. მო-

---

*) იხ. ამ წიგნის 175 და მიმდევარი გვერდები.

**) Перспективный производственно-финансовый план на 1927-31 г. и сводный баланс Управления Боржомскими минеральными водами на 1-ое декабря 1926 г. ეს მასალები დამუშავდა ხოლოდ 1926 წ. დეკემბრის დამლევს და მე მივიღე 1927 წ. იანვრის პირველ რიცხვებში, როდესაც „საქართველოს ეკონომიკის საფუძვლები" თითქმის მთლიანად აწყობილი იყო. ახალმა მასალებმა კიდევ უფრო დამაოწმუნა, რომ ჩვენს მინერალურ წყლებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. და ამ წყლების და კურორტების მოწყობის ბაზად ბორჯომის მინერალური წყლის ექსპლოატაცია უნდა გახდეს. ამნაირად ბორჯომის წყლის შემოსავალი უაღრესად მიზანშეწონილად იქნება გამოყენებული.

ძავალში მოგებამ, რასაკვირველია, საგრძნობლად უნდა იმატოს. 1927 და 1928 წლები არის წარმოების ტექნიკურად მოწყობის ხანა და ამიტომ მოგების უდიდესი ნაწილი ამ ორი წლის განმავლობაში წარმოების მოწყობაზე უნდა დაიხარჯოს, მაგრამ შემდეგ წლებში წმინდა მოგება ნავარაუდევია განვლილი ექვსი თვის მიხედვით—1,2 მილიონი მანეთიდან 1,6 მილიონ მანეთამდე. ბორჯომის წყლის სამმართველოს რეალური საწარმოვო გეგმით 1927 წელს პროდუქციის ღირებულება ოთხ მილიონ მანეთს აღწევს.

საგადასახადო დაწესებულების მიერ არაა აღნიშნული ტფილისის აღმასკომის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება, რომელიც 1925—26 წელს უდრიდა შვიდ მილიონ მანეთს *). სხვა სამაზრო აღმასკომების და ქალაქების წარმოებათა პროდუქციის ღირებულება იმავე წელს იყო არა ნაკლები სამი მილ. მანეთისა **).

სამწუხაროდ ჩვენ არა გვაქვს ცნობები რკინის გზის სახელოსნოების პროდუქციის ღირებულების შესახებ. არა გვაქვს აგრეთვე ცნობა გადამუშავებულ ღვინოს დამატებითი ღირებულების შესახებ და სხვა. ყველა ასეთი პროდუქციათა ღირებულების გამოკლებით ჩვენ ვიღებთ შემდეგ ცხრილს, რომელიც მხოლოდ დაახლოვებით, შემცირებით და საორიენტაციო მნიშვნელობით გამოხატავს 1926 წლის ბოლოს საქართველოს მეურნეობის ყველა დარგების პროდუქციის საერთო ღირებულებას ჩერვონ. მილიონ მანეთებში.

აი ეს ცხრილი:

| | |
|---|---|
| 1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულება . . | 250 |
| 2. ცენზიანი მრეწველობის „ „ „ . . | 54 |
| 3. უცენზოსი „ „ „ „ . . | 30 |
| 4. შინა-მრეწველობის „ „ „ . . | 15 |
| 5. საგადასახადო დაწესებულებების მიერ გაუთვალისწინებელ წარმოებათა პროდუქციის საერთო ღირებულება . . . . . | 14 |
| სულ . . . . . | 363 |

*) ტფილისის მაზრის ადგილობრივი ბიუჯეტი 1925—26 წელ. გვ. 17 და 18.

**) მასალა ამოკრეფილია ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რომელიც ამ კითხვის შესახებ დამაკმაყოფილებელ ცნობებს არ იძლევა. ტფილისის მაზრის და ქალაქ ტფილისის გამოკლებით დანარჩენ ადგილობრივ ორგანოების წარმოებათაგან შემოსავალი დაახლოვებით უდრის 1,6 მილიონ მანეთს. მაგრამ ვინაიდან შემოსავალი არის წარმოების პროდუქციის საერთო ღირებულების მხოლოდ ნაწილი, სავსებით მისაღებია მთელი პროდუქციის ღირებულება ვივარაუდოთ შემოსავალზე ნახევრით ან ორჯერ მეტი. ჩვენ 33 არაუდობთ მთელი პროდუქციის ღირებულებათ სამ მილიონ მანეთს.

რასაკვირველია ეს გამოანგარიშება დაახლოვებითია, მაგრამ არსებული ცნობების საშვალებით ამ წიგნში უკვე დავახასიათეთ საქართველოს მეურნეობის ყველა დარგები და მოვიყვანეთ საჭირო ფაქტიური მასალა, რომელიც მკითხველს შეაძლებინებს თითეული დარგი დააფასოს და საქართველოს ეკონომიკის საფუძვლებზე საკუთარი შეხედულება შეიმუშავოს.

საქართველოს ეკონომიური და კულტურული მომავალი პირადად მე მესახება უზრუნველყოფილად. მიუხედავად უაღრესად მძიმე პირობებისა, საქართველო ეკონომიურად და კულტურულად დღესაც წინ მიდის, რასაც ამტკიცებს ამ წიგნში ჩემ მიერ მოყვანილი უტყუარი ცნობები.

ბედნიერი გეოგრაფიული მდებარეობა შავი ზღვის ნაპირას, იაფი და განუსაზღვრავი ჰიდრავლიური მამოძრავებელი ძალები, საკმაო რაოდენობა სხვადასხვა ნედლი მასალისა შიგ საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში, ბუნების ზედაპირის და წიაღის სიმდიდრე და მშვენიერი ჰავა—აი ის საუცხოვო პირობები, რომელიც საქართველოში ყოველმხრივ ხელს უწყობს დიდი მრეწველობის განვითარებას.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია მრავალი დიდი ღირსების მინერალური წყლებით და საუკეთესო კურორტებით და, რომ სხვა არაფერი იყოს, მხოლოდ ამ წყაროების შესაფერად გამოყენებას შეუძლია საქართველო მატერიალურად სრულიად უზრუნველჰყოს.

საქართველო მდიდარია ძვირფასი მცენარეებით, რომელთა მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში თანდათან უფრო თვალსაჩინო ხდება.

სოფლის მეურნეობას საქართველოში მტკიცე ნიადაგი აქვს.

ჩვენი ქვეყნის ბუნება მდიდარი და უხვია და ერის მოვალეობას შეადგენს ეს პირობები შესაფერად გამოიყენოს, რომ კაცობრიობის დიადი სოციალური იდეალები, რომლის უდიდესი მოძღვარი არის კ. მარქსი, დაუგვიანებლად განხორციელდეს საქართველოში.

---

# შენიშვნა

1) მე-8-ე გვ. შენიშვნა არ ეხება საქართველოში გამოყენებულ წყლის ენერგიის რაოდენობას. ხოლო იქ, სადაც სწერია: გამოუყენებელია—უნდა იყოს **გამოყენებულია**.

2) წიგნის მე-75-ე გვ. მოთავსებულია ცხრილი შინაური საქონლის რაოდენობის შესახებ 1913—1917—1923 და 1925 წლებში.

ეს ცხრილი განსხვავდება საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მიერ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ცნობებისაგან („სტ. მოამბე“ № 4—5). აქვე მოგვყავს ცხრილი „მოამბის“ № 4—5 საფუძველზე შედგენილი:

| | 1913 წ. | 1917 წ. | 1923 წ. | 1925 წ. |
|---|---|---|---|---|
| ცხენი . . . . | 120.508 | 88.296 | 79.200 | 89,7—84,4 |
| ვირი . . . . | 32.049 | 17.062 | 14.713 | |
| აქლემი . . . | 454 | 905 | 225 | |
| მსხვილი რქიანი საქონელი . . . | 1.144.991 | 1.041.648 | 1.176.800 | 1.190.700 |
| კამეჩი . . . | 156.679 | 144.814 | 134.700 | 160.000 |
| ცხვარი . . . | 1.663.488 | 1.418.571 | 1.418.571 | 1.500.000 |
| თხა . . . . . | 190.867 | 196.771 | 161.129 | 165.000 |
| ღორი . . . . | 284.254 | 856.722 | 393.000 | 475.000 |
| შინაური ფრინველი . . . . . | 3.717.000 | — | 3.638.000 | 3.800.000 |

3) 250 გვერდზე აღნიშნულია, რომ რუსეთიდან მოტანილი ბოთლი უფრო იაფი ჯდება, ვინემ ბორჯომში დამზადებული. ეს მდგომარეობა სულ უკანასკნელ ხანებში შეიცვალა ბორჯომის კომბინატის სასარგებლოდ. ამ ჟამად ტეხნიკურ გაუმჯობესებათა გამო ბორჯომში დამზადებული ბოთლი უფრო იაფია, ვიდრე რუსეთში დამზადებული.

# სარჩევი:


| | | გვ. |
|---|---|---|
| 1. | წინასიტყვაობა | |
| 2. | შესავალი | 3 |
| 3. | საქართველოს საზღვრები - ტერიტორია, ნიადაგი, ჰავა, ლანდშაფტები და მოსახლეობა | 10 |
| 4. | მიწათ-მფლობელობა და მიწით სარგებლობა | 28 |
| 5. | მელიორაცია | 35 |
| 6. | გადასახლება და განსახლება | 39 |
| 7. | საძოვრები | 44 |
| 8. | სატყეო მეურნეობა | 50 |
| 9. | პურეულის მეურნეობა | 64 |
| 10. | მესაქონლეობა | 74 |
| 11. | მევენახეობა და მეღვინეობა | 95 |
| 12. | მებაღეობა | 107 |
| 13. | მებოსტნეობა | 121 |
| 14. | მეთამბაქოობა | 123 |
| 15. | მებამბეობა | 142 |
| 16. | ჩ ა ი | 153 |
| 17. | სუბტროპიკული კულტურები | 158 |
| 18. | სამკურნალო მცენარეული | 162 |
| 19. | მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის მრეწველობა | 166 |
| 20. | შინა-მრეწველობა | 175 |
| 21. | ტ ყ ა ვ ი | 190 |
| 22. | საფეიქრო და საპონ-ზეთის მრეწველობა | 196 |
| 23. | შავი-ქვა | 201 |
| 24. | ქვანახშირი | 216 |
| 25. | ნ ა ვ თ ი | 224 |
| 26. | რ კ ი ნ ა | 227 |
| 27. | სპილენძი და სხვა მინერალები | 231 |
| 28. | თეთრი ნახშირი და ელექტროფიკაცია | 243 |
| 29. | მინერალური წყლები | 249 |
| 30. | გ ზ ე ბ ი | 264 |
| 31. | ნაციონალური პროდუქცია და მისი ღირებულება | 269 |

ფასი 3 მან.

33
თ 777